ივანე ბუქურაული

დაღესტნის სამი იმამი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და
წინასიტყვაობა დაურთო
პროფ. კოტე ჭრელაშვილმა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 2005

უაკ (UDC) 947.067
ბ 985

წინამდებარე ისტორიული ნარკვევი, რომელიც პირველად იბეჭდება, ეძღვნება დაღესტნის სამ იმამს — ყაზი მოლას (მულლას), ჰამზათ ბეგს და შამილს. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა კავკასიის ომების ლეგენდარულ გმირს — შამილს.

ტექსტი იბეჭდება უცვლელად, იმ სახით, როგორც იგი ავტორის ხელიდან გამოვიდა.

რეცენზენტები: დოც. ო. მელაძე,
დოც. რ. ფარეულიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005
© კოტე ჭრელაშვილი,

ISBN 99940-12-53-3

წინასიტყვაობა

ამ მეტად საყურადღებო ისტორიული ნარკვევის, „დაღესტნის სამი იმამის", ავტორი ივანე ბუქურაული დაიბადა 1869 წლის 4 აპრილს თუშეთში (ამჟამად ახმეტის რაიონი, სოფ. ზემო ალვანი), შეძლებული მეცხვარის ოჯახში. სწავლა დაიწყო სოფლის ორკლასიან სკოლაში, გაგრძელა საცხენისის (ყვარლის რაიონი) სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ შევიდა თელავის სამოქალაქო სასწავლებელში. 1884 წელს თბილისშია და სწავლას აგრძელებს ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1886 წელს. იმავე წელს შედის მიხაილოვის სამოქალაქო საავადმყოფოსთან არსებულ საფერშლო სკოლაში. დაამთავრა 1888 წელს. ორი წლის განმავლობაში ფერშლად მუშაობის შემდეგ დარწმუნდა, რომ ამ საქმისათვის არ იყო მოწოდებული და 1890 წელს შევიდა თბილისის ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომელსაც ამთავრებს 1894 წელს.

ამის შემდეგ იწყება ივ. ბუქურაულის პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სხვადასხვა სკოლებში.

სამწერლო ასპარეზზე გამოდის 1894 წლიდან. ამიერიდან სისტემატურად იბეჭდება მისი თხზულებები სხვადასხვა ქართულ გაზეთებში („ივერია", „დროება"...).

ივ. ბუქურაულს განსაკუთრებით იზიდავდა კავკასიის მთიელთა წარსული და აწმყო, მათი მითოლოგია, ეთნოგრაფია და ზნე-ჩვეულება.

მისი შემოქმედების თემატიკამ ფართო საზოგადოების ყურადღება მიიქცია. დიდმა ქართველმა პოეტმა ვაჟა-ფშაველამ ქებით მოიხსენია მისი ნაწარმოებები და მოუწოდა ავტორს, ამ მიმართულებით შემოქმედებითი მუშაობა გაეგრძელებინა.

ივ. ბუქურაული, დამსახურებული პედაგოგი და პერსონალური პენსიონერი, გარდაიცვალა 1943 წელს თავის მშობლიურ სოფელში, ზემო ალვანში. დაკრძალულია იქვე, ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში.

ივ. ბუქურაული, როგორც მწერალი, აღიზარდა და ჩამოყალიბდა ქართველი კლასიკოსი მწერლების ეროვნულ-დემოკრატიულ იდეებზე. მისი შემოქმედების ლაიტმოტივია ეროვნული თავისუფლების სულისკვეთება.

სამწუხაროდ, ამ მეტად ორიგინალური მწერლის შემოქმედებას დღემდე მზის სინათლე არ ღირსებია. ალბათ, ამის გამო სწერდა ახმეტის რაიონული გაზეთის „ბახტრიონის" რედაქციას გიორგი ლე-

ონიძე: „რატომ არა სჩანს გაზეთში თუშების ცხოვრება ისე, როგორც საჭიროა? ან პანკისი? რატომ არა გაქვთ ნარკვევები ალვანზე და სხვა.

უნდა გაგახსენოთ, აგრეთვე, მანდაური მწერლები ივანე ბუქურაული და ი. ცისკარიშვილი (ი. კახელი). კარგი იქნება, რომ აღნიშნოთ მათი თარიღები და შეაგროვოთ მასალები მათი ბიოგრაფიისა. ან რაიმე ნაწყვეტები დაბეჭდოთ მათი ნაწარმოებებიდან, ან მოგონებები მათზე!" (ელგუჯა ლებანიძე. ხსოვნა ღვინოსავით დავაძველე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 4 მარტი, 2005 წელი).

წინამდებარე ნარკვევი „დაღესტნის სამი იმამი" პირველია ივანე ბუქურაულის შემოქმედებიდან, რომელიც ცალკე წიგნად ქვეყნდება. იმედია, გამოჩნდებიან ერისკაცები, რომლებიც გიორგი ლეონიძის ამ პატრიოტულ მოწოდებას გამოეხმაურებიან და აღნიშნულ თუშ მოღვაწეთა საინტერესო შემოქმედებას მზის სინათლეს აღირსებენ.

ისტორიული ნარკვევის „დაღესტნის სამი იმამის" დაბეჭდვა თავის დროზე ვერ მოხერხდა. ამის გამო ივანე ბუქურაული ჩვენთან საუბარში დიდ წუხილს გამოთქვამდა. მე არ მავიწყდება მისი სევდიანი გამომეტყველება. ეს ამბავი მეც მაწუხებდა და ველოდი დროს, როცა შესაძლებელი გახდებოდა მისი ნაშრომის გამოქვეყნება. ეს ჩემი მორალური ვალიც იყო.

ახლა ხელნაწერი „დაღესტნის სამი იმამი" მაგიდაზე მიდევს. მას აწერია დამთავრების თარიღი — 1922 წელი.

ნაშრომს ადევს საგულისხმო რეზოლუცია: „მოწონებულია „მნათობში" დასაბეჭდად, 5.VII.41 წ.". ხელს აწერს ცნობილი ქართველი პოეტი კარლო კალაძე. მაგრამ იმ წელს დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, ავტორის მოთხოვნით ხელნაწერი გამოტანილ იქნა რედაქციიდან და დღემდე ინახებოდა მის ოჯახში.

აი, ახლა საშუალება გვეძლევა, გამოვცეთ ეს მეტად მნიშვნელოვანი ისტორიული ნარკვევი, რომელიც, ჩვენი ღრმა რწმენით, გარკვეულწილად გააშუქებს კავკასიის ომების ისტორიას. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შამილის, ამ ლეგენდარული გმირის, პიროვნების დახასიათებისათვის. გამოცემის ხარჯები თავისთავზე აიღო ინგუშმა მეცენატმა გილან ხალუხაევმა, რის გამოც ის განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს.

XIX საუკუნის კავკასიის ომებისა და შამილის ცხოვრება-მოღვაწეობის შესახებ არსებობს აუარებელი ლიტერატურა როგორც

ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე. მაგრამ ეს ნარკვევი გამოირჩევა თავისი პათოსით, ფაქტობრივი მასალის სიუხვით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნაშრომის პირველივე გვერდიდან ჩანს ავტორის თანაგრძნობა და მხარდაჭერა შამილის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი.

აქ, ალბათ, ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, კერძოდ, ავტორი ამ უნიკალური ნარკვევისა დაიბადა და გაიზარდა საქართველოს იმ რეგიონში, რომელიც უშუალოდ ესაზღვრება დაღესტანსა და ჩეჩნეთს. ეს არის საქართველოს ძირძველი მხარე თუშეთი, რომლის შესახებაც ცნობებს ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ისტორიკოსები გვაწვდიდნენ.

თუშეთში, კავკასიის ამ უძველესი მთიანი რეგიონის მოსახლეობაში, საერთოდ, არასდროს არსებულა სოციალური დიფერენციაცია. აქ ადამიანი ფასობდა მხოლოდ პირადი ღირსებით, რაც ასახულია კიდეც მის მდიდარ ხალხურ პოეზიაში. სახალხო მომღერლები ახლაც სიამაყით მღერიან ძველისძველ სიმღერებს, მაგალითად: „თუშთ არ იციან ვითარცა, ვინ არის მონა, ბატონი; თავად არიან თავისი მბრძანებელი და ბატონი", ანდა: „ვაჟკაცსა გული რკინისა, აბჯარ გინდ ჰქონდეს ხისანი, თვალნი ქორებულ მხედველნი, მუხლები შევარდნისანი".

ამ რაინდული თვისებებითა და თავისი მიწა-წყლის უსაზღვრო სიყვარულით თუშები ახლოს იდგნენ კავკასიის სხვა მთიელებთან. ჩვენი აზრით, ამ გარემოებამაც განაპირობა მათ შორის არსებული შინაგანი ფსიქოლოგიური ნათესაობა. ალბათ, ამის გამოც ვერ დაიჩრდილა მათი ეს სულიერი ერთიანობა შემდგომ შექმნილი რელიგიური სხვაობით. ამის ბრწყინვალე დასტურია „დაღესტნის სამი იმამი", სადაც ქართველი მთიელი ავტორი, ივ. ბუქურაული დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით ახასიათებს კავკასიის ომების ლეგენდარულ გმირს და მის შეუპოვარ მამაც ხალხს.[1]

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ომი რუსებსა და კავკასიის მთიელებს შორის არ ემყარება ორ ცივილიზაციას — ისლამურსა და ქრისტიანულს — შორის არსებულ დაპირისპირებას. ამაშია ისტორიული ნარკვევის „დაღესტნის სამი იმამის" დიდი ღირსება.

---

[1] თუ აქა-იქ ნეგატიურ მოვლენებსაც აღნიშნავს, ეს არ ეხება საერთოდ ხალხს, არამედ მხედველობაში აქვს პიროვნული დანაშაულობები. ეს უნდა გავითვალისწინოთ ამ ნარკვევის კითხვისას.

შამილის მიერ კავკასიაში აღმართული ბრძოლისა და დაუმორჩილებლობის სახალხო დროშა მიზნად ისახავდა, პირველ რიგში, ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვებას, ხოლო ისლამისტური ლოზუნგებით ის თავის მეომრებს ბრძოლის ჟინით აღაგზნებდა. ეს კარგად ჩანს თავად შამილის სიტყვებიდან, რომლითაც მან მიმართა ტყვე თუშს. ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

საქმე ის არის, რომ მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია მაგალითები, როცა დიდ და გამოჩენილ ადამიანებს სხვადასხვა ერი რაღაც ლეგენდის მიხედვით თავისად მიიჩნევს. ამის არაერთი მაგალითია ცნობილი კაცობრიობის ისტორიიდან.

ასეთივე ბედი ეწია შამილის ლეგენდარულ სახელსაც. ქართულ ისტორიოგრაფიაში ფიქსირებულია გადმოცემები, რომელთა მიხედვითაც შამილი იყო უკანონო შვილი ქართველთა სახელოვანი მეფის ერეკლე II-ის შვილის ალექსანდრე ბატონიშვილისა (1770-1844).

ამ გადმოცემებს შორის თავისი სანდოობით გამოირჩევა ივ. ბუქურაულის ვარიანტი, რომლის იგნორირება, ჩვენი აზრით, არ იქნებოდა მიზანშეწონილი.

აი, რას მოგვითხრობს ამის თაობაზე ივ. ბუქურაული თავის ისტორიულ ნარკვევში „დაღესტნის სამი იმამი“.

„შამილის ვინაობა არ არის გამორკვეული, საკამათოა, ვისი შვილი იყო შამილი, რა ჩამომავლობისა, ზოგიერთი ქართველი მწერალი იმ აზრისა არის, რომ შამილი იყო ალექსანდრე ბატონიშვილის (მეფე ერეკლე II-ის შვილი) უკანონო შვილი.

ყაზი მულლა იყო შამილზე ოთხი წლით უფროსი და თუ პირველი იმამი დაიბადა 1795 წ., შამილი დაიბადებოდა 1799 წ. ამ წელს ალექსანდრე ბატონიშვილი მართლაც იმყოფებოდა დაღესტანში საქართველოდან გავარდნილი. ალექსანდრე ბატონიშვილი იმყოფებოდა ავარიის ხანთან ჰუნზახში. ჰუნზახი კი გიმრზე საკმაოდ შორს არის და რომ შამილი გიმრელი იყო, ეს ეჭვს გარეშეა.

როგორ მოხვდა ბატონიშვილი გიმრს, ამ მაინც და მაინც უმნიშვნელო სოფელში, ან შამილის დედა ჰუნზახში — ეს ალლაჰმა უწყის“.

შემდეგ ივანე ბუქურაული აგრძელებს: „თქმულება, რომ შამილი ალექსანდრე ბატონიშვილის უკანონო შვილი იყო, მეც გამიგია თუშეთში. ბიძაჩემი ლეო, რომელსაც გამოვლილი ჰქონდა შამილის დროის ბრძოლებ-

ის ქარ-ცეცხლი და იყო ორი ტყვიით მკერდში დაჭრილი, იტყოდა ხოლმე: ერთი ცნობილი თუში (სახელი დამავიწყდა) დაეჭირათ ლეკებს ტყვედ და მიეყვანათ შამილთან ვედენში. თუში ვედენში (შამილის საცხოვრებელი სოფელი) დარჩენილიყო, სანამ თუშები გამოისყიდდნენ. ერთხელ შამილს დილით ადრე სეირნობის დროს დაენახა თუში და დაეძახნა. გამოკითხვის შემდეგ შამილს უთქვამს თუშისათვის:

„თუშებო, რა გინდათ ჩემგან, რას მერჩით ან თქვენ და, ან საერთოდ ქართველები. მე ვებრძვი რუსებს — ჩვენს საერთო მტერს. მე მინდა გავრეკო რუსები დაღესტნიდან, საქართველოდან და მით აღვადგინო ჩემი წინაპრების ტახტი. მე ერეკლეს შვილიშვილი ვარ“.

ივ. ბუქურაულმა თავის ბიძისგან მოსმენილი იგივე ინფორმაცია შედარებით უფრო ვრცლად, ოღონდ ოდნავ განსხვავებული ვარიანტით გამოაქვეყნა გაზეთ „მოამბეში“ (8, 1897 წ.).

აი, ისიც: „ერთი თუში, გამოჩენილი თავისი სიტყვით და გავლენიანი თუშებში, ტყვედ იქნა წაყვანილი ლეკებისაგან. ლეკებმა ეს თუში მიჰგვარეს შამილს. შამილმა თავისთან დაიჭირა თუში.

ერთ დილას, სეირნობის დროს თურმე მოიხმო თუში და მიმართა შემდეგი სიტყვებით: „თუშებო, რა გინდათ ჩემგან, ან თქვენ და ან ქართველებს, რათ მეწინააღმდეგებით. მე ხომ თქვენი მტერი არა ვარ. ვებრძვი ჩვენ საერთო მტერს — რუსებს და თქვენ კი არ მასვენებთ. მე მსურს გავრეკო კავკასიიდან საზიზღარი გიაურები და აღვადგინო ჩემი მამა-პაპის სამეფო სახლი. არავისთვის არ მითქვამს და არც არავინ არ იცის, მე ვინა ვარ და გარემოება მაიძულებს, რომ შენ გაგიმჟღავნო ჩემი ვინაობა. მე ვარ თქვენივე მეფე ერეკლეს შვილის ალექსანდრეს შვილი.

ბატონიშვილი ალექსანდრე, როდესაც სპარსეთში იმყოფებოდა, ცხოვრობდა ერთი ხანის ასულთან; ხანის ასული ბატონიშვილისაგან ორსულად შეიქმნა. რომ მამის რისხვა აეცილებინა თავიდან, იგი ვიღაცას გამოჰყვა დაღესტანში და აქ მშობა მე — შამილი. დიაღ, მე მეფე ერეკლეს ჩამომავლობიდან ვარ და მსურს აღვადგინო სახელოვანი პაპის ტახტი და საქართველოს თავისუფლება“.

ჩვენი აზრით, ივ. ბუქურაულის ეს ინფორმაცია უნიკალურია კავკასიის ომების ამ ლეგენდარული გმირის ბიოგრაფიისათვის. უნიკალურია იმიტომ, რომ ეს არის თავად შამილის პირით ნათქვამი თავისი წარმომავლობის, თავისი წინაპრების შესახებ. ისიც ყურადსაღებია, რომ

ამ ამბავს ივ. ბუქურაულს უყვება დაღესტნის ომების უშუალო მონაწილე, ბიძამისი ლეო ბუქურაული, რომელსაც შამილის ზემოთ მოყვანილი სიტყვები პირადად გადასცა პირველმა პირმა, იმან, ვისაც შამილმა გაანდო თავისი წარმომავლობა.

ღრმად უნდა ვიყოთ დარწმუნებულები, რომ შამილმა უთხრა ტყვე თუშს ის, რაშიც მას თვითონაც არ ეპარებოდა ეჭვი.

პირადად ჩვენც ვფიქრობთ, რომ იმ თუშის ნათქვამი სიმართლეს შეეფერება. მან თქვა ის, რაც შამილის პირით მოისმინა.

ისიც უნდა გაითვალისწინოთ, რომ კავკასიის მთიელთა საერთო დამახასიათებელი თვისება გახლავთ ზნეობრივ-მორალური სიწმინდის მტკიცედ დაცვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თავად ავტორიც, ივ. ბუქურაული, მთიელია, თუშეთში დაბადებული. თავისი ბავშვობა მას იქ აქვს გატარებული. თუშეთი კი უშუალოდ ესაზღვრება დაღესტანსა და ჩეჩნეთს. ასე რომ, ის ამ მხარის ხალხს, მათ ისტორიას მარტო საარქივო დოკუმენტებით კი არ იცნობს, არამედ უშუალო მხილველია მათი ყოველდღიური ცხოვრებისა, მათი ადათ-ჩვეულებისა. ეს ყველაფერი კარგად ჩანს მის მრავალრიცხოვან ეთნოგრაფიულ-ისტორიულ ნარკვევებში, რომლებიც იბეჭდებოდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

ახლა ორიოდე სიტყვა თავად ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებ:

ალექსანდრე ბატონიშვილი (ბაგრატიონი) დაიბადა 1770 წელს, თბილისში. მიიღო თავის დროისათვის ფართო განათლება. აღიზარდა კათოლიკე პატრების მეთვალყურეობის ქვეშ. 17-18 წლის ასაკში უკვე მონაწილეობდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში. საუფლისწულო ქვემო ქართლში ჰქონდა. მამის, ერეკლე II-ის, გარდაცვალების შემდეგ ჩაერთო სამეფო ტახტზე ასვლისათვის ბრძოლაში. როცა რუსეთმა 1801 წელს მისი სამშობლოს ოკუპაცია მოახდინა, მან მედგარი ბრძოლა დაიწყო თავისი ქვეყნის გათავისუფლებისათვის. ის ხან სპარსეთიდან, ხან თურქეთიდან და, უფრო ხშირად კი, დაღესტნის მხრიდან უტევს თავის სამშობლოში დაბანაკებულ რუსის ჯარს.

1812 წელს მთავარმართებელი რატიშჩევი თვალთმაქცური დაპირებებით ცდილობს ალექსანდრეს შემორიგებას, მაგრამ ალექსანდრეს მისმა უხვმა და ტკბილმა დაპირებებმა ვერ შეაცვლევინა სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლის სულისკვეთება.

აი, როგორ პასუხობს ის რატიშჩევის მაცდურ დაპირებებს: „თქვენმან მაღალმან კეთილგონიერებამ კარგად იცის, მინამ კაცი ცოცხალი არის, თავის მშობლის და სამკვიდრო მამულისათვის უნდა გაისარჯოს ვიდრე სისხლისა წვეთამდე და არავისგან ეს საზრახავი არ არის და არცა ავად ჩამოსართმევი. და რომელი კაცი არ ეცდება თავისი მშობლის მამულისათვის და ანუ თავისი სარჩოსათვის, ის არ იქმნება სრულის კაცის ანგარიშში“.

ანდა: „თქვენ თქვენი მამულისათვის არ ირჯებით?“ — მიმართავს აღშფოთებული ალექსანდრე ბატონიშვილი რუსის მოხელეს, კავკასიის მთავარმართებელ რატიშჩევს, — და მყვედრით ჩემი მამულის თავისუფლებისათვის ბრძოლას?!“[1]

როგორც ცნობილია ქართული ისტორიოგრაფიიდან, ქართველი მეფეები ისწრაფოდნენ, დიპლომატიური გზით ახლო ურთიერთობა დაემყარებინათ ერთმორწმუნე რუსეთთან. ამის შედეგი იყო 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის ძალითაც საქართველო შედიოდა რუსეთის მფარველობის ქვეშ, ოღონდ იმ პირობით, რომ რუსეთი საქართველოს შინაურ საქმეებში არ ჩაერეოდა და, რაც მთავარია, სამეფო დინასტიას არ გააუქმებდა.

1801 წელს რუსეთმა ეს ხელშეკრულება დაარღვია, გააუქმა ქართული დამოუკიდებელი სამეფო და გამოაცხადა რუსეთის გუბერნიად. რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ერთმორწმუნე ქართველ ხალხს, რომელიც იმედის თვალით შეჰყურებდა რუსეთის ქრისტიანულ იმპერიას, წაართვა რელიგიური დამოუკიდებლობაც, გააუქმა ეკლესიის ავტოკეფალია. სწორედ ამ ვერაგული საქციელის შესახებ წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი: „Ни персиане,огнепоклонники и мусульмане, ни арабы, ни монголы язычники, ни турки не делали того, что сделало русское правительство и его экзарх с христианской православной церквью Грузии“.

„30 июля 1811 года последовал высочайший указ, которым сразу и просто уничтожалась автокефалия одной из древнейших христианских церквей и учреждался экзархам правительственного синода“.

---

[1] შ. ხანთაძე, აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXII-13, თბილისი, 1961, გვ. 260.

სხვა უფრო გაუგონარი და ვერაგული საქციელი ჩაიდინა რუსეთის ხელისუფლებამ — მრავალრიცხოვანი სამეფო ოჯახი მთლიანად გადაასახლა პეტერბურგში. არ გაჭრა ერეკლე II-ის მეუღლის, დედოფალ დარეჯანის, ხვეწნა-მუდარამ: დამტოვეთ საქართველოში, ძოხუცი ვარ, დღეს თუ ხვალ მოვკვდები და მინდა ჩემი ძვლები ჩემი მეუღლის გვერდით დაიმარხოსო, ყური ვინ უგდო, ისიც პეტერბურგის შორეულ გზას გაუყენეს.

ასე მოულო ბოლო უძველესი ისტორიის მქონე ქართულ სამეფო დინასტიას ერთმორწმუნე ქრისტიანულმა რუსეთმა!

მხოლოდ ალექსანდრე ბატონიშვილმა მოახერხა, თავი დაეღწია რუსთაგან ტყვეობას და მთელი თავისი სიცოცხლე შეალია სამშობლოს გათავისუფლებას.

ეს იყო გამანადგურებელი დარტყმა ქართველი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების წინააღმდეგ.

ალექსანდრე ბატონიშვილი თვითმხილველია 1812 წლის კახეთის აჯანყებისა. ის თავისი თვალით ხედავდა რუსი ოფიცრებისა და ჯარისკაცების თავგასულობასა და ბარბაროსულ მოპყრობას ქართველი გლეხობისადმი. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნებულია გლეხთა საჩივრების საარქივო მასალა. ჩვენ აქ რამდენიმეს დავიმოწმებთ, სადაც მოთხრობილია დაუჯერებელი, უზნეო და ამორალური ქცევები რუსი მოხელეებისა პატიოსანი და მართალი ქართველი გლეხობის მიმართ.

აი, ერთი მათგანიც: „ცამეტი წლის განმავლობაში, რაც ხელმწიფემ ღირსი გაგვხადა მფარველობისა, სული ამოგვხადა უსამართლობამ. ამგვარი უღვთოობა და უბედურება არ გამოგვიცდია ლეკთა, ყიზილბაშთა და ოსმანთა ბატონობის დროსაც კი.

ვითმენდით, ვიტანდით თავზე მოვლენილ ჭირსა, მაგრამ როდესაც ხელიდან ცოლები წაგვგლიჯეს, აღარ მოვითმინეთ და ავიშალენით. გამორეკავდნენ ხოლმე დედაკაცებსა და ურემში აბამდნენ. ვასმევდით, ვაჭმევდით თუ ქრთამს ვაძლევდით, სულ ერთი იყო, მაინც განუწყვეტლივ გვამათრახებდნენ... ბავშვებს პურსა ჰგლეჯდნენ ხელიდან, დედაკაცებს კისერზე ქვებსა ჰკიდებდნენ. გაბრაზებული სალდათები ჩვენ თვითონ გვაბამდნენ და ცემა-ტყეპით გვერეკებოდნენ... ლოგინებიდან წამოგვლალავდნენ ხოლმე და თვითონ წვებოდნენ შიგა. ვინ მოთვლის რამდენი ცოლი და შვილი გაგვიუპატიურეს და ნამუსი აჰხადეს...

რაც რუსობამ მწუხარება მოგვაყენა, მაგვარი თურქთა, ყიზილბაშთა და ლეკთა ჟამთა ბატონობის დროსაც არ გამოგვივლია...

ცოლებს გვტაცებდნენ, ქმრებს ხელებს უკრავდნენ და ჩვენ თვალწინ ჩვენ ცოლებთან მრუშობდნენ. დედა-კაცი წივის და ჰკივის, კაცო, მიშველე! ქმარი კი ლულლულებს: რა გიშველო შეკრულ-შებოჭილმაო... ლოთობას ნუღარ იკითხავთ, გაილეშებოდნენ, ბატონო, დაერეოდნენ დედა-კაცებს და ზურგზე სულ ბოლს ადენდნენ"...

ამგვარი ფაქტები უამრავია, მათ ვინ ჩამოთვლის, თუმცა ნათქვამიც საკმარისია იმისათვის, რომ ხალხის მოთმინების ფიალა ავსებულიყო. აივსო კიდეც და იფეთქა საყოველთაო სახალხო აჯანყებამ, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია 1812 წლის კახეთის აჯანყების სახელწოდებით.

საქართველოს ამ ტრაგიკული ვითარების ობიექტური, დოკუმენტური აღწერის შემდეგ მონოგრაფიის ავტორს, ალექსანდრე ფრონელს ასეთი მძიმე დასკვნა გამოაქვს: „მადლიერი არავინ იყო რუსებისა, ვერ შეეთვისა მათს ზნე-ხასიათსა, არ მოსწონდა ახალი მართვა-გამგეობა; ოცნებობდა, ნატრობდა ძველ დროსა და ჟამსა, ელანდებოდა გმირი მეფე ერეკლე II, მისი ქველობა-ვაჟკაცობა და სულ იმის ფიქრში იყო — როდის იქნება მალე წავიდნენ ჭროღა თვალებიანი და ქერათმიანი სტუმრებიო. დიაღ, ასეთი იყო სულის ვითარება მაშინდელი თავადისა".[1]

ეს იყო მწარე პროტესტი რუსი მოხელეების ბარბაროსული მართვა-გამგეობის მისამართით თქმული. ასეთივე რეაქცია ჰქონდა ქართველ ხალხს სხვა დამპყრობლების მიმართაც. არც ერთი თავმოყვარე ერი არ მოითმენს მისი ეროვნული და პირადი ღირსების უდიერად შელახვას.

და აი, სახელოვანი მეფის ერეკლე II-ის შვილმა ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისთავზე აიღო მამულისა და მშობელი ხალხის ღირსების დაცვა. ის მთელი თავისი სიცოცხლე ხმალამოღებული იბრძოდა სამშობლოს გათავისუფლებისათვის და ამ შეუპოვარი ბრძოლის გზაზე შემოაღამდა კიდეც. კახეთის აჯანყების დამარცხების შემდეგ დაღესტანში გადავიდა. 1819 წლიდან დაღესტანშია, შემდეგ სპარსეთში.

ამ მამულის თავისუფლებისათვის დაუღალავმა მებრძოლმა პატრი-

---

[1] ალექსანდრე ფრონელი, ამბოხება კახეთისა (1812 წ.), ისტორიული ამბავი, თბილისი, 1907, გვ. 29,30,32,33,64.

ოტმა სიცოცხლის ბოლო წლები თეირანში გაატარა, სადაც ის გარდაიცვალა სიღატაკეში და იქვე დაიმარხა 1844 წელს.

აი, როგორ ახასიათებს ალექსანდრეს, როგორც პიროვნებას, ინგლისელი ოფიცერი უილიამ მანტიესი, რომელიც პირადად იცნობდა მას: „ბატონიშვილი არასდროს არ ერიდებოდა საშიშროებას და დაღლილობას. იგი ჭეშმარიტად უგრძნობი იყო ორივეს მიმართ... ბატონიშვილი იყო ფხიზელი გონების, დინჯი და არასდროს არ ვარდებოდა უკიდურესობაში. მას არასოდეს არ უამაყია თავისი წარმოშობით და არ ეძლეოდა უსარგებლო სინანულს თავისი კეთილდღეობისა და ბატონიშვილის მაღალი წოდების დაკარგვის გამო“.[1]

საინტერესოა პროფ. შ. ხანთაძის ცნობა ალ. ბატონიშვილის პორტრეტის შესახებაც. აი, რას წერს ის: „ალექსანდრე ბატონიშვილის გავრცელებული სურათი „აქტების“ V ტომშია დაბეჭდილი და იგი მიუღიათ თავრიზში რუსეთის გენერალური საკონსულოს მდივნისაგან თ. ა. ბაკულინისაგან, რომელსაც ეს სურათი შეხვედრია თავრიზში მცხოვრებ საგინაშვილების ოჯახში და ფოტოპირი გადმოუღია. სურათი დაუხატავს ისაი ჯანჯუღაზოვს. მასვე პორტრეტზე ლექსად მიუწერია:

„სახე არს ალექსანდრესი დამცემი მტერთა ზარისა,
მეფე ირაკლი მეორის ძისა თვით ლომთა შესაზარისა,
ქართლ-კახთ მეფობის მოსურნის, დღედაღამ
დაუმცხრალისა.
წელსა 1840, დეკემბრის 21.
დახატა ისაი ჯანჯუღაზოვმა“.[2]

ჩვენ ალექსანდრე ბატონიშვილის მღელვარე ცხოვრების ბიოგრაფიული ეპიზოდები იმიტომ გავიხსენეთ, რომ მკითხველს საშუალება მისცემოდა, ერთგვარი პარალელი გაევლო ამ ორ დიდ მამულიშვილსა და თავისი სვებედგამწარებული ხალხის თავისუფლებისათვის თავდადებულ პატრიოტებს — ალექსანდრე ბატონიშვილსა და შამილს შორის.

თუ ივ. ბუქურაულის მიერ დამოწმებული შამილის ნათქვამი თავისი წარმომავლობის შესახებ რეალობას ასახავს, ეი. თუ ამ ორ დიდ პიროვნებას

---

[1] შ. ხანთაძე, მასალები ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისათვის, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XXII-13, თბილისი, 1961, გვ. 272.

[2] იქვე, გვ. 274.

შორის მართლაც არსებობს გენეტიკური კავშირი, მაშინ გენები მათ შინაგან ფსიქოლოგიურ თვისებებშიც და გარეგნულ ანთროპოლოგიურ ნიშნებშიც უნდა ასახულიყო. ამიტომაც ვაქვეყნებთ აქ ალექსანდრესა და მისი სახელოვანი მამის, ერეკლე მეფის პორტრეტებს.

ანთროპოლოგებო, დააკვირდით ამ პორტრეტებს.

და ბოლოს, ამ ორ დიდ მამულიშვილს — შამილსა და ალექსანდრე ბატონიშვილს — საბოლოო ბედიც ერთნაირი არგუნა ღმერთმა: არც ერთს ელირსა მშობლიური მიწის მადლი და არც მეორეს. ერთი განისვენებს არაბეთის წმინდა მიწაში — ქალაქ მედინაში, ხოლო მეორე სპარსეთის მიწაში — ქალაქ თეირანში.

P.S. ქართულ გაზეთში „24 საათი“ გამოქვეყნდა ერთი მეტად მნიშვნელოვან ინტერვიუ (27 ივნისი, 2002 წელი, №25) იმამ ჰენდისთან. იმამი ჰენდი არის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის კაპელანი, ჩრდილოეთ ამერიკის ისლამის იურიდიული საბჭოს ოფიციალური წარმომადგენელი, ეროვნული და საერთაშორისო რწმენათშორისი საბჭოების წევრი.

მისი მოღვაწეობა მიზნად ისახავს სხვადასხვა რელიგიების დაახლოებას, ანუ, როგორც თავად ამბობს, მათ შორის „ხიდის გადებას“.

იმის გამო, რომ ქრისტიანული რელიგიის მიმდევრებს ხშირად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ისლამის მოძღვრების არსებითი დებულებების შესახებ, საჭიროდ ვცანით აღნიშნული ინტერვიუს მცირეოდენი შემოკლებით აქ წარმოდგენა. ამან შეიძლება გარკვეული წვლილი შეიტანოს შამილის პიროვნების შინაგანი ბუნების გახსნაშიც.

ჩვენი აზრით, შამილი პირველ რიგში იყო ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ლიდერი თავისი ხალხისა და არა მხოლოდ ფანატიკოსი მებრძოლი ქრისტიანი დამპყრობლების წინააღმდეგ, როგორც ზოგიერთი ფიქრობს.

იმამი ჰენდისგან ინტერვიუ აიღო ჟურნალისტმა შოთა უტიაშვილმა. აი, ეს ინტერვიუც:

— „თქვენი აზრით, ნაპრალი ისლამსა და სხვა რელიგიებს შორის ღრმავდება?

— არა, უბრალოდ, უფრო მეტად არის ფოკუსირებული მათ შორის არსებულ განსხვავებაზე, ვიდრე საერთო თვისებებზე.

— როგორ აშუქებდა პრესა 11 სექტემბრისა და მის შემდგომ მოვლენებს?

— ყველა ტელეარხზე იმ 13-14 პალესტინელს ვხედავდით, რომლებიც 11 სექტემბრის შემდეგ ქუჩაში ცეკვავდნენ და არ გვინახავს ის უამრავი მემორიალური ცერემონიალი, ის უამრავი პარაკლისი, რომელიც ისლამური სამყაროს ბევრ ქალაქში გადაუხადეს ტერაქტის მსხვერპლთ.

— როგორ შეიძლება ამ ნაპრალის ამოვსება?

— განათლების საშუალებით. ადამიანებს არ ესმით ერთმანეთის იმიტომ, რომ არ იცნობენ ერთმანეთს. ურთიერთობების მოწესრიგების მეორე საშუალებაა დიალოგი როგორც პოლიტიკოსებს, ისე სამღვდელოებას, აკადემიურ წრეებს, ახალგაზრდობასა და ქალებს შორის.

— ამერიკაში ახლახან გამოვიდა წიგნი, რომლის ავტორია ჯორჯ გრეგორი, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ საუბარი უნდა იყოს არა ცივილიზაციათა შეჯახებაზე, არამედ ინტერესთა შეჯახებაზე. რელიგია და კულტურა აქ არაფერ შუაშია, რელიგია არ უნდა იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ გააღრმავოს დაპირისპირება, პირიქით, მან შემრიგებლის როლი უნდა ითამაშოს. სულიერმა ლიდერებმა არავის უნდა მისცენ უფლება, რელიგია, განსაკუთრებით კი რელიგიური ექსტრემიზმი, პირადი ინტერესებისათვის გამოიყენოს. სწორედ ეს თქვა დღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა. მაგრამ მაინც ბევრი გამოთქვამს შიშს, რომ ხდება ისლამის სწრაფი პოლიტიზირება.

— ჯერ ერთი, არა მხოლოდ ისლამს იყენებენ პოლიტიკური მიზნებით, ქრისტიანობა და იუდაიზმიც არაერთხელ ყოფილა ამ მიზნით გამოყენებული. მე, როგორც მუსულმანი, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ისლამის პოლიტიზირება ავიცილოთ თავიდან, მეორეც, არანაირი ისლამის კრიზისი არ შეიმჩნევა და მას ვინმეს მხრიდან დაცვა არ სჭირდება. მისი სათავე და საფუძველი ყველასათვის აშკარაა. პრობლემა არის არა თავად ისლამში, არამედ იმაში, თუ როგორ ესმის და როგორ მისდევს მას ზოგიერთი. მაგალითად, ბინ ლადენი ამტკიცებს, რომ ამერიკელების გაჟლეტა ღვთისნიერი საქმეა. სად წაიკითხა მან ეს, ყურანის რომელ სურაში?

პირიქით, ყურანის მეორე თავი, 256-ე სურა ამბობს, რომ ძალადობას რელიგიაში ადგილი არა აქვს, ადამიანის ძალით გამაჰმადიანება არ შეიძლება. სხვაგან ალაჰი ამბობს:

„ჰოი, ადამიანებო, მე თქვენ შეგქმენით ერთი ქალისა და ერთი კაცისაგან და შეგქმენით თანასწორნი, ერებად და ტომებად, რათა თქვენ იცნობდეთ ერთმანეთს“.

წინასწარმეტყველი მუჰამედი ამბობს, რომ ის, ვინც მოკლავს ებრაელს ან ქრისტიანს, მომკლავს მე თვითონ. ტრადიციული ისლამური სამართალი თვით ბრძოლის ველზეც კი არ იძლევა მშვიდობიანი ადამიანის მკვლელობის უფლებას. ამიტომ ვამბობ, რომ ისლამს ბოროტად იყენებს ის ხალხი, ვისაც აქვს პოლიტიკური და არა რელიგიური მოთხოვნები. თუმცა, ხდება ისეც, რომ ჩვენ თვითონაც ვუტეხთ სახელს ჩვენს რელიგიას. მაგალითად, ყველას გვახსოვს, როგორ ეპყრობოდა თალიბანი ქალებს. თან ეს ისლამის სახელით კეთდებოდა, ისევე როგორც ავღანეთში ბუდისტური მონუმენტების განადგურება.

მუსულმანებმა უნდა გადახედონ თავიანთი მოქმედების მანერას და გარკვეული რეფორმაც გაატარონ. მაგრამ, ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს ფუნდამენტური და ჭეშმარიტი ღირებულებების უგულებელყოფას. მაგრამ არის ხალხი, ვისაც ისლამი არ მოსწონს და არც უნდა იყოს იგი.

— მაგრამ ქალებს, როგორც არათანასწორებს, არა მხოლოდ თალიბანი ეპყრობოდა?

— იცით, მე რვა წლისა ვიყავი, როდესაც დავინტერესდი ისლამური თეოლოგიით სწორედ ამ პრობლემის გამო. მე დავინახე, როგორ ეპყრობოდა მამაჩემი დედაჩემს, როგორ აიძულებდა მას უსიტყვო მორჩილებას და როგორი სასტიკი წინააღმდეგი იყო, რომ ჩემს 7 დას განათლება მიეღო. არადა, ყურანი გვასწავლის, რომ განათლების მიღება ყველა ადამიანის რელიგიური მოვალეობაა. მე უკვე მაშინ მივხვდი, რომ ადამიანებს არ ესმით, ან არ სურთ გაიგონ, რა არის ისლამი. როცა მე სკოლა დავამთავრე, მამაჩემს უნდოდა, ექიმი გამოვსულიყავი. მე კი თეოლოგია ავირჩიე, რადგან ვფიქრობდი, რომ ისლამის არასწორი ინტერპრეტაცია უნდა შეწყდეს. ასევე დაუშვებელია, რომ რელიგია გადაიქცეს კულტურად და კულტურა — რელიგიად.

— მაშინ რამ გამოიწვია ისლამის არასწორი ინტერპრეტაცია?

— ეს ბოლო 150 წლის მანძილზე მოხდა. ვფიქრობ, ეს ტენდენცია ოსმალთა ხალიფატის დაცემის შემდეგ შეიცვალა. ხალიფატის დაცემამ მოსპო მთელი სისტემა — განათლების, სოციალური. ამას მოჰყვა კოლონიალიზმი. როდესაც ბრიტანელებმა, ფრანგებმა და სხვებმა მუსლიმანური ქვეყნები დაიპყრეს, მათ დაანგრიეს სკოლები და მეჩეთები. არათუ ქალებმა, მამაკაცებმაც დაკარგეს განათლების მიღების შესა-

ძლებლობა. ამან შეუწყო ხელი უმცრების გავრცელებას. უსამართლობამ და სიღარიბემ კი ხელი შეუწყო რადიკალიზმს. ზოგიერთ ისლამურ ქვეყანაში კაცებს წვერების ტარების ეშინიათ, ქალებს კი ჩადრის ტარებისა. ამ ქვეყანაში აკრძალულია მეჩეთში შესვლა. პოლიტიკური რეპრესია კი იმავე ძალის უკურეაქციას იწვევს, როცა ადამიანები ღვთისგან მინიჭებულ უპირველეს უფლებას, თავისუფლებას კარგავენ, მათი საქციელის წინასწარმეტყველება შეუძლებელი ხდება. მთელ მსოფლიოში არის ოკუპირებული მიწები და ლტოლვილები. ეს უნდა დასრულდეს, რათა დასრულდეს ისლამური რადიკალიზმიც. განათლება, თავისუფლება და სამართლიანობა ერთადერთი შესაძლო გამოსავალია. როცა რელიგიურ ჯგუფს ღვთისმსახურების უფლებას ართმევენ, იგი მაშინვე იატაკქვეშა, საიდუმლო ორგანიზაციად იქცევა. ამგვარი ორგანიზაციები რადიკალიზმის წყაროა. ამიტომ სინდისის თავისუფლება ყველას უნდა ჰქონდეს. რესურსების განაწილება ასევე ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგი ნავთობის ფულით მილიარდებს შოულობს, ბევრს კი საჭმლის ფული არა აქვს. აუცილებელია დიალოგის დაწყება. ქალებმა და ბავშვებმა ამ დიალოგში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულონ.

ასე ფიქრობს მუსლიმანთა უმრავლესობა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ჩუმად არიან, მაშინ, როდესაც უმცირესობა, უმრავლესობის სახელით, საზოგადოებას თავის შეხედულებებს ახვევს თავს."

ამას წერს ისლამური თეოლოგიის გამოჩენილი სპეციალისტი იმამი ჰენდი. მუსლიმანებო და ქრისტიანებო, დააკვირდით, რას ქადაგებს ყურანი: „ძალით გამაჰმადიანება არ შეიძლება". ანდა: „წინასწარმეტყველი მუჰამედი ამბობს: „ის, ვინც მოკლავს ებრაელს ან ქრისტიანს, მომკლავს მე თვითონ", ტრადიციული ისლამური სამართალი თვით ბრძოლის ველზეც კი არ იძლევა მშვიდობიანი ადამიანის მოკვლის უფლებას და სხვ.

ამასვე გვასწავლის ქრისტიანების წმინდა წიგნი ბიბლია: „არა კაც კლა", „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი" და სხვ.

მაშ, რა ხდება პალესტინასა და ჩეჩნეთში? ვინ ბოლავს ფეხქვეშ ამ ორი დიდი რელიგიის ამ წმიდათაწმიდა შეგონებას?! მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს სისხლისმღვრელი ბრძოლები წმიდა ეკონომიკურ და ეროვნულ ხასიათს ატარებს და არა რელიგიურს.

პროფ. კოტე ჭრელაშვილი

დაღესტნის სამი იმამი

შესავალი

1801 წ. დაჰკრა სამგლოვიარო საათმა და სულით ავადმყოფმა რუსეთის ხელმწიფე პავლე პირველმა ერთი კალმის მოსმით თავისუფალი საქართველო რუსეთის პროვინციად აქცია... მაინც და მაინც საქართველო ისედაც უზარმაზარი რუსეთისათვის დიდ საქმეს არ წარმოადგენდა, მაგრამ ჩრდილოეთის იმპერიას სხვა მიზანი ჰქონდა. ეს მიზანი იყო საქართველოს შემოერთებით გაეხსნა თავისუფალი გზა კონსტანტინოპოლისაკენ, სპარსეთისაკენ და, საერთოდ, მცირე აზიისაკენ.

შემოიერთა საქართველო, გახსნა გზა, მაგრამ მას ხელს უშლიდა ჯერ კიდევ დაუპყრელი, თავისუფალი, უმთავრესი კავკასიონის ქედი, რომელიც თავის თოვლითმოსილი მწვერვალებით, თვალჩაუწვდენელი ღრეხევებით, ფრიალო სალი კლდეებით მიუვალ კედლად ჩაჭრილიყო რუსეთსა და მცირე აზიას შორის. ეს ქედი, რომლის სიგრძე ათას ოთხას კილომეტრს აღწევს და გაწოლილია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდინ, დასახლებულია სხვადასხვა ტომებით, რომელნიც ცხოვრობენ განცალკევებულად, თავისუფლად, თავიანთი ადათებით, ზნე-ჩვეულებებით, ენით და რწმენით. ერთ ხევს მეორე ხევისა არ ესმის, ბევრგან ერთ ხევში ცხოვრობენ ორი, სამი სულ სხვადასხვა ტომი, რომელთაც ერთმანეთისა არა ესმით რა. მიუვალი, ციხე-კოშკებად გარდაქცეული მათი სოფლები /აულები/, გაშენებულნი მთის დაკიდულ კალთებზე, მთის კუნწულებზე, მერცხლის ბუდეებად გეჩვენებოდათ. ამ მთის ხევ-ხუვებში, მთა-გორაკებზე გაფანტულ სოფლებში ცხოვრობენ თავისუფლებისმოყვარე, ამაყი და შიშის, განსაცდელის წინაშე შეუდრეკი, მამაცი მთიელები.

კარგი ბედაური, კარგი თოფი, ხმალი და ხანჯალი — აი, მთიელის სიმდიდრე. მთელ დღეებს ატარებს მთიელი ცხენზე. შეიკრიბებოდნენ ახალგაზრდები, წაიმძღვარებდნენ გამოცდილ ბელადს /წინამძღვარს/ და მიდიოდნენ სადავლოთ მოსაზღვრე ქვეყნებში, ჩამოდიოდნენ კახეთში, ქართლში, გადასცურავდნენ თერგს, ყუბანს, როგორც გრიგალი ქარი დაეცემოდნენ რომელიმე სოფელს, სწვავდნენ, ბუგავდნენ იქაურობას, მიჰყვანდათ ტყვეები, საქონელი და თუ გამოედევნებოდა მდევარი, რომელთანაც ძალით ვერას გააწყობდა, გაიფანტ-გამოიფანტებოდნენ და, თითქოს მიწაში ჩაძვრნენო, დაიკარგებოდნენ.

ბრძოლის ველი, მისი ცეცხლი, ტყვიის ზუზუნი, თოფის ჭექა და ხმლის წკეპა იყო მთიელის ღმერთი. როგორც იტყვიან, მთიელი მით სულდგმულობდა, მას ეტრფოდა და მით ცხოვრობდა... გაშმაგებული ვარდებოდა იგი ბრძოლაში, მოკვდებოდა — საიქიო ნეტარებას მოუმზადებდა მას, გამოვიდოდა გამარჯვებული — საააქაო მიიღებდა მას, როგორც საყვარელ გმირს. მისი გმირობის ხმა, როგორც მეხის გრგვინვა, გავარდებოდა მთებში. მას გამოუთქვამდნენ თანამოძმენი ლექსს, რომელიც დაიკვნესებდა ფანდურის სიმებზე, გულს აუჩქროლებდა, სისხლს აუჩქეფებდა, ატირებდა და აცინებდა თანამოძმეებს; მისი სახელი, ვაჟკაცობა გადავიდოდა საშვილიშვილოდ...

აი, სწორედ ამისთანა ხალხთან უნდა დაეჭირათ სასისხლო საქმე რუსებს. ადვილი არ იყო მონობის უღლით უვიცი, თავისუფლებისმოყვარე, მამაცი, თამამი ხალხის დამორჩილება, დაპყრობა და ამისთვისაც თითქმის სამოცი წელიწადი მოუნდა მძლავრ რუსეთს, სანამ დაიპყრობდა და დაიმორჩილებდა მთიელებს.

ულმობელი იყო ეს სისხლისმღვრელი ომი ორივე მხარისათვის. ბევრმა სახელოვანმა ვაჟკაცმა დალია სული. ჩაჩან-დაღესტნის და ყაბარდო-ჩერქეზეთის მინდორ-ველი და ხევ-ხუვები აივსო მეომრების ძვლებით. ბევრმა რუსის ასეულმა და ათასეულმა ჰპოვა კავკასიონის მთებში სამარე. გაძღა და გაილეშა სვავ-ყორანი, მგელი და ტურა. აი, ამ ბრძოლის ისტორიიდან მინდა ავიღო ცხოვრება და მოღვაწეობა ოთხი პირისა: ყაზი მულლასა, ჰამზად-ბეგისა, შამილისა და ჰაჯი მურადისა. ამასთან ზედმეტი არ იქნება გავაცნოთ მკითხველს, მოკლედ მაინც, ის მხარე, სადაც მოქმედებდნენ ეს პირნი და სადაც წარმოებდა უმთავრესი ბრძოლა.

დაღესტანი

ბორბალოს მთა უმთავრესი კვანძია უმთავრესი კავკასიონის ქედის აღმოსავლეთ ნაწილისა. ამ მთაში აქვს სათავე ხუთ მდინარეს, რომელნიც მიიმართებიან სხვადასხვა მხარეს: კახეთის ალაზანს, თუშეთის ალაზანს, შემდეგ დაღესტანში სულაქად წოდებულს, იორს, არაგვს და არღუნს. ბორბალოდან იყოფა ანდიის ქედი, ანუ პირიქით თუშეთის ქედი, რომელიც მიიმართება აღმოსავლეთისაკენ და თავდება კასპიის ზღვასთან. ანდიის ქედი ბევრად უფრო მაღალია აღმოსავლეთ უმთავრეს

ქედზე. ეს ქედი თუშეთის საზღვრებში მხოლოდ ერთი-ორი თვე არის განთავისუფლებული თოვლისაგან. მისი მწვერვალები: ტებულო /4 ათას მეტრს აღემატება/, დანო, კვავლო, დიკლო მუდმივად თოვლით არიან შემოსილნი. მხარეს, რომელსაც საზღვრავს ჩრდილოეთით ანდიის ანუ პირიქით თუშეთის ქედი, სამხრეთით მთავარი კავკასიონის ქედი, აღმოსავლეთით კასპიის ზღვა და დასავლეთით თუშეთი, ჰქვია დაღესტანი. „დაღესტანი" არაბულ ენაზე ნიშნავს მთის ქვეყანას. მართლაც, იშვიათად თუ მოიპოვება სხვა მხარე ისეთი მთიანი, როგორიც დაღესტანია. უმთავრესი ქედიდან გამოდიან ჩრდილოეთის მხრივ სხვა ქედები; ეს ქედები ისევ იყოფიან წვრილ-წვრილ ქედებად, ირევიან ერთმანეთში, ისე რომ პირველ შეხედვაზე კაცი ვერ გაარჩევს, რომელი მთა რომელ ქედს ეკუთვნის ან საითკენ აქვს ამა თუ იმ ქედს მიმართულება. ეს არეულ-დარეული ქედები, მთა-გორები, რაც უახლოვდებიან კასპიის ზღვას, თანდათან ილევიან და ვაკდებიან.

დაღესტანში ორი მდინარეა: სულაქი და სამური; სულაქი უმთავრესი მდინარეა დაღესტანში და შედგება ოთხი მდინარისაგან: ანდიის ყოისუს, ავარიის ყოისუს, ყარა ყოისუს და ყაზიყუმუხ ყოისუსაგან. ოთხივე მდინარე გამომდინარეობს უმთავრესი ქედიდან. სამური იღებს დასაწყისს ორი სათავით: საკუთრად სამური გუდურ დაღის და აკიმალის მთებიდან და ყარა (შავი) სამური. სამური მიდის აღმოსავლეთისაკენ და რამდენიმე ტოტად ჩადის კასპიის ზღვაში. ეს მდინარენი გააფთრებული, ქაფად ქცეული, ღრიალით მიექანებიან თავიანთ თვალჩაუწვდენელ კალაპოტებში, რომელთა სიგანე ზოგ ალაგას ათ მეტრს არ აღემატება, მათ ნაპირებზე კაცი კაცს ვერაფერს ვერ გააგონებს, რაც უნდა იღრიალოს, აიხედავთ მაღლა, ლურჯი ცა მხოლოდ ვიწრო ზოლად ჩანს. თავს დაგყურებენ კედელივით აყუდებული დიდრონქვებგამოშვერილი მთის კალთები, კლდე-ღრეები და მათი ნაპრალები. გული გისკდებათ, აი, ეს არის, მთელი ეს მთა, კლდე ჩამოიქცევა და თავზე დამატყდებაო. დიადი და მძლავრია ბუნება. მასთან შენ შენი თავი არარად მიგაჩნია. ამ დაკიდულ მთის კალთებზე და კლდეებზე შეამჩნევთ საცალფეხო ბილიკებს, რომელნიც გველივით მიიკლაკნებიან ზოგი ხევის გასწვრივ და ზოგიც აღმა-დაღმებზე. უჩვეო მგზავრისთვის საშიშია ეს ბილიკები. ერთი უხერხული ნაბიჯია საკმაო, რომ სამარე ჰპოვოს ხევის ჯურღმულში. მაგრამ მთიელს არ ეშინიან, ის ამ

ბილიკებზე არხეინად დადის ცხენით, თუ ფეხით, გზას არც კი უყურებს. ის უყურებს და შეჰხარის ბუნებას, თვალჩაუწვდენელ ხევებს, მოქუშულ კლდე-ღრეებს, ამწვანებულ მთის კალთებს, ქვიშნარს, თოვლით დაგვირგვინებულ მწვერვალებს, ხევებში ჩამოწოლილ ზვავებს, დაღესტნის ლურჯ ცას, ფსიტს, ჯიხვს და არჩვს, რომელნიც ყურებაცქვეტილნი შესცქერიან მას კლდეების კუნწუხოებიდან. ჩხატების ჩქრიალი, ხევებში წყლების გაშმაგებული გრგვინვა-ღრიალი მშობლიურ ნანას უბნობენ მასთან. უყურებს და შეჰხარის იგი ამ ბუნებას. თუმცა მძაფრია ეს ბუნება, მაგრამ იგი მისი მშობელია. უყვარს იგი, როგორც სამშობლო, როგორც ღვიძლი დედა, როგორც თავის აკვანი, თავის კერა. უყვარს და მზადაც არის, თავი გადადოს მისთვის, იბრძოლოს მის დასაცავად უკანასკნელ სისხლის წვეთამდინ.

დაღესტანს უჭირავს 10.000 კვ. კილომეტრი. დასახლებულია ლეკებით, მაგრამ სახელი „ლეკი" საზოგადოა, ყოველ დაღესტნელს ეძახიან ლეკს, მაგრამ დაღესტნის მცხოვრებნი განირჩევიან ერთმანეთისაგან როგორც ენით, ისე ზნე-ჩვეულებით. ლეკებს იხსენიებს პტოლომეი, რომელიც ცხოვრობდა მეორე საუკუნეში /120-170/ ჩ.წ.ალ-ით. პტოლომეი მოგვითხრობს: „ალბანელების ჩრდილოეთით, კავკასიის ქედის იქით ცხოვრობენ ტუსკები /თუშები/, ტუსკების შემდეგ ცხოვრობენ დიდურები /დიდოები/ და დიდურების იქით ცხოვრობენ ლეგები /ლეკები/".

დაღესტნელები ქრისტიანები იყვნენ არაბების კავკასიაში შემოსვლამდინ. არაბები შევიდნენ დაღესტანში და გაავრცელეს ისლამი. დაღესტანში ისლამის პირველი გამავრცელებელი იყო აბუმუსლიმი, რომელიც მოვიდა დაღესტანში VIII საუკ. თავის თანამომძეებით და დაიწყო, როგორც იმამმა, მუსლიმანობის გავრცელება. ეხლაც კიდევ გვხვდება დაღესტანში ეკლესიების ნანგრევები. ლეკებში ქრისტიანობა გაავრცელეს ქართველებმა.

ლეკები ცხოვრობენ ვაკე დაღესტანში და მთებში. მთის და ბარის ლეკები ისევე განირჩევიან კულტურულად და ეკონომიურად ერთიერთმანეთისაგან, როგორც, მაგალითად, საქართველოში ქართლ-კახელები და თუშ-ფშავ-ხევსურები. ბარელი ლეკი ბევრად უფრო შეგნებულია მთიელ ლეკზე. ბარელი ლეკი მუყაითად შრომობს, ხნავს, თესავს, აშენებს ხეხილის ბაღს, ფუტკარს, მისდევს მესაქონლეობას, ვაჭრობას, ხელოსნობას, მოგზაურობს სხვადასხვა ქვეყნებში, ეცნობა სხვადასხ-

ვა ხალხს, მის ყოფა-ცხოვრებას, ენას, ზნე-ჩვეულებას და ეს ყველა, რასაკვირველია, ანვითარებს მის გონებას, მის მსოფლმხედველობას.

მთის ლეკი კულტურულად ძლიერ ჩამორჩენილია. ის კარჩაკეტილია. მუშაობა ეზარება. მუშაობა დედაკაცის საქმეა. მთელი დღე ან გდია სადმე მწვანეზე, თუ ზაფხულია, ან ზის მეზობელთან და ლაყბობს, მასთან სთლის უაზროდ რამე ნაფოტს, ჯოხს, ბალახს, ერთი სიტყვით, რაც მოხვდება ხელში. ან არა და დახეტიალობს უმიზნოდ, უსაქმოდ მთის გორგურებზე. მთიელი ლეკი ძლიერ ღარიბია. ძლივს ღაფავს სულს. მძაფრი ჰავა და მწირი ნიადაგი არაფერს არ აძლევს. ფართო მეურნეობა აქ, რასაკვირველია, შეუძლებელია. საქონლის მოშენება კარგად შეიძლება, მაგრამ ამ დარგს დიდი შრომა და მუყაითობა უნდა, მთიელ ლეკს კი შრომა მუყაითობა ეჯავრება.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მთელი დაღესტანი განიყოფებოდა რამდენიმე სახანოდ და სხვადასხვა თავისუფალ თემებად. სახანოები იყო: კიურინის, ყაზიყუმუხის, მეხტულის, ტარკის და ავარიის. ამ სახანოებში ყველაზე დიდი და მძლავრი იყო ავარიისა, შემდეგ ყაზიყუმუხისა. ყაზიყუმუხელებმა XVIII საუკუნეში დაამარცხეს მანამდის უძლეველი „საშიშარი“ ნადირშაჰი.

ავარიის სახანოს უჭირავს დაღესტნის გული. მიწა-წყლით და ხალხის სიმრავლით ავარი ყველა სხვა სახანოებზე მძლავრი იყო. ავარიელები ბატონობდნენ მთელ დაღესტანზე; სხვა სახანოებს მისი ეკრძალებოდათ. ავარიის ხანებს — ნუცალებს შეეძლოთ გამოეყვანათ საბრძოლველად ოცი, ოცდაათი ათასი მეომარი. დიდად აწუხებდნენ ავარიელები საქართველოს. ისინი იყვნენ ამკლებნი ქართლ-კახეთისა. გაარღვევდნენ ხოლმე საქართველოს საზღვარს, გადავიდოდნენ ახალციხის ფაშასთან და იქიდან ოსმალებთან ერთად ესეოდნენ აღმოსავლეთ საქართველოს, როგორც ეს იყო ასპინძის ომში. ბოლოს, საქართველოს დასუსტების დროს, ისე გაუჭირეს საქმე ავარიის ხანებმა ქართველებს, რომ ქართველი მეფეები იძულებულნი იყვნენ საჩუქრის სახით ხარკი ეძლიათ მოუსვენარი ხანებისათვის, ოღონდ თავი დაენებებინათ ქართლ-კახეთზე თავდასხმისათვის.

ავარიელები არიან დარბაისელნი, ამასთან, ნიჭიერნი, თავდაჭერილნი და მტკიცე ხასიათისანი. საზოგადოდ, ლეკი პირდაპირია როგორც ლაპარაკში, ქცევაში, ისე ბრძოლის ველზე. ლეკი არ ფლიდობს, რაც

არის, არის. იგი ბრძოლის ველზე ხმალ-ხანჯლით ხელში, თვალებზე ბარჯღლოიანი ქუდჩამოფხატული, წინ გულმკერდგაშვერილი მიდიოდა პირდაპირ ხიშტებსა და ზარბაზნებზე. რუს-დაღესტნელების ხანგრძლივ ბრძოლაში ავარიელები იდგნენ პირველ რიგში; ისინი იყვნენ სული და გული მთელი დაღესტნისა. ავარიელებმა გამოიყვანეს ბრძოლის ველზე მთელი რიგი ვაჟკაცებისა, რომლებიც თავის ჭკუით, მამაცობით და სამხედრო ნიჭით აკვირვებდნენ თვითი რუსებს. თვით იმამები ყაზი მულლა, ჰამზად ბეგი და შამილი იყვნენ ავარიის შვილები. ავარიელი იყო, აგრეთვე, ჰაჯი მურადიც.

ავარიის ხანები ცხოვრობდნენ სოფ. ჰუნზახში, რომელიც მდებარეობს ავარიის ყოისუს ბოლოში, მარცხენა ნაპირზე. ჰუნზახის შემდეგ შესანიშნავია სოფლები გიმრი და გუნიბი. გიმრი მდებარეობს ავარიის ყოისუს მარჯვენა ნაპირზე, იქ, სადაც ქვემოთ უერთდება ანდიის ყოისუ. გუნიბი მდებარეობს ყარა-ყოისუს მარცხენა ნაპირზე.

ხანი იყო სრულუფლებიანი მბრძანებელი და ბატონი, მხოლოდ მისი ქვეშევრდომნი არ განიყოფებოდნენ წოდებებად, როგორც სხვა ქვეყნებში. იყვნენ ყველანი თანასწორუფლებიანი, ყველა იყო „უზდენი". არ იყო არც თავადი, არც აზნაური და არც გლეხი.

ის თემები, რომელნიც განცალკევებულად ცხოვრობდნენ, იყვნენ სრულიად თავისუფალნი, არ ემორჩილებოდნენ არავის. იყვნენ თავიანთი თავისთვის „მონა და ბატონი". თავიანთ თავს თვითონვე განაგებდნენ, ჰყავდათ თვით ხალხისაგან ამორჩეული წარმომადგენელი მოხუცნი, ხალხისაგან ნდობა და სიყვარულით დამსახურებულნი. ეს წარმომადგენელნი განაგებდნენ სათემო საქმეს, ასამართლებდნენ მომჩივრებს ადათით, შარიათით და სდებდნენ კუთვნილ სასჯელს. ხალხი უსიტყვოდ ემორჩილებოდა წარმომადგენლების განაჩენს.

საჩაჩნო

საჩაჩნო მდებარეობს დაღესტანიდან ჩრდილოეთ დასავლეთისაკენ. დაღესტანს და საჩაჩნოს ჰყოფს ანდიის ქედი. საჩაჩნოს საზღვრავს: აღმოსავლეთ-სამხრეთით ანდიის ქედი, ჩრდილო-დასავლეთით მდინარე თერგი და სამხრეთით უმთავრესი კავკასიის ქედი.

საჩაჩნოც მთიანია, მაგრამ საჩაჩნოს მთები, ქედები არ არიან მაღალნი, როგორც დაღესტნისა. არ არიან შიშველნი, ხრიოკი და ქვა-

ქვიშიანი, არამედ დაბურულნი არიან შეუვალი ულრანი ტყით. იგივე ვიწრო და ღრმა ხევები, სადაც სჩქეფენ და ღრიალებენ მდინარეები, საჩაჩნოს ტყეები, ომის დროს, სანამ რუსები გასტეხავდნენ ამ მხარეს, ისეთი ხშირი და ბნელი იყო, რომ კაცი კაცს ათ-თხუთმეტ მეტროზე ვერ გაარჩევდა. ეს ტყით დაბურული მთები შორიდან შავად მოსჩანდა და ამისათვის რუსები უწოდებდნენ „შავ მთებს“ /Черные горы/. ამ ულრან ტყეებზე მიდიოდა საცალფეხო ბილიკები, ისეთი ვიწრო, რომ მიმდინარე კაცს ხელებით უნდა გაეკაფა გზა აქეთ-იქიდან გამოშვერილი ხეების ტოტებში. როდესაც წვიმიანი ამინდი დადგებოდა, ისე ატალახდებოდა ეს გზები, რომ სიარული თითქმის შეუძლებელი ხდებოდა. ეს ულრანი ტყეები, ალაფებული გზა-ბილიკები, დიდრონი ლოდებით მოფენილი ღრე-ხევები, სადაც ჰქუხდნენ და ღრიალებდნენ წყლები, მტრისთვის მიუვალად ჰხდიდნენ საჩაჩნოს.

1855 წ. მეფის მთავრობამ გრომოვი გაგზავნა ვედენოში შამილთან მოსალაპარაკებლად ჭაჭავაძის და ორბელიანის ოჯახების გამოსყიდვის შესახებ. ლაპარაკის დროს შამილს სხვათა შორის ეთქო: „მე არ შემიძლიან შევედარო მძლავრ ხელმწიფეს /იგულისხმება რუსის/. მე უბრალო დაღესტნელი შამილი ვარ. მაგრამ ჩემი ტალახები, ტყეები და ხევები ბევრ ხელმწიფეზე მძლავრს მხდიან. რომ შემეძლოს, ჩემი ტყის თითო ხეს წავუსვამდე ძვირფას ზეთს და ჩემი გზების ტალახს ავურევდი სურნელოვან თაფლში — ასე ვაფასებ ჩემ ტყეებს, ჩემ ცუდ გზებს. ესენი შეადგენენ ჩემ სიძლიერეს. დიდი რუსის ხელმწიფე, რომელსაც არ უნდა დაემორჩილოს სამ ხელმწიფეს /ოსმალეთი, საფრანგეთი და ინგლისი იგულისხმება/, მე ვერაფერს მაკლებს, თუმცა ჯარს ჯარზე მიგზავნის“.

უმთავრესი მდინარე საჩაჩნოში არის სუნჟა, რომელიც გამოდის კავკასიონის ქედიდან, მიდის ჯერ ჩრდილოეთისაკენ, შემდეგ ბრუნდება აღმოსავლეთისაკენ და ერთვის მარჯვნივ თერგს. სანამ თერგში ჩავიდოდეს, სუნჟას ერთვის მარჯვნივ არღუნი /ვახუშტი არაგვს ეძახის/. არღუნი შედგება ორი არღუნისაგან: შატო /შატილის/ არღუნი გამოდის ბორბალოდან, მეორე შარო არღუნი გამოდის ანდიის ქედიდან ტებულის მიდამოებში.

ჩაჩნელები თავიანთ თავს ეძახიან „ნახჩე“-ს, რაც ნიშნავს ხალხს. ამ სახელსვე უწოდებენ მათ ყაბარდოელები, მხოლოდ დანარჩენი

მოსაზღვრე ხალხები, როგორც ქართველები, რუსები, დაღესტანელები და სხვები, ეძახიან ჩაჩანს. ჩაჩანი ერქვა ძველ დროს ერთ დიდ სოფელს, რომელიც მდებარეობდა არღუნის მარჯვენა ნაპირზე. ამ სოფლიდან მიიღეს სახელი „ჩაჩნელი". დღეს ეს სოფელი აღარ არსებობს.

ზეპირგადმოცემით ჩაჩნელები არიან გადმოსახლებულნი იჩქერიიდან, რომელიც ეხლა შეადგენს საჩაჩნოს აღმოსავლეთ ნაწილს. დღესაც წმიდა ჩაჩნური ენა არის შენახული იჩქერიაში. სუსტნი იყვნენ ჩაჩნელები. მოსვენებას არ აძლევდა მათ მოსაზღვრე ხალხები — ნოღები, ყუმიყელები, ყაბარდოელები, კალმიკელები და სხვები. შეწუხებულმა ჩაჩნელებმა მოიწვიეს გუმბეთიდან მთელი გვარი თურლოვები. თურლოვები იყვნენ თავადები. თურლოვები გულმოდგინედ მოეკიდნენ საქმეს. ჩამოაგდეს მშვიდობა. შემოიერთეს მთელი ჩაჩნის გაფანტული ერი, მისცეს სამართალი, გააღვივეს სამშობლოსადმი სიყვარული, შთაუბერეს ახალგაზრდობას გმირული სული და იარაღით ხელში გამოიყვანეს მტერთან საბრძოლველად. არ გაიარა ბევრმა ხანმა და ჩაჩნელებმა არამცთუ დაამარცხეს მტერნი, არამედ ეხლა თვითონ გადადიოდნენ თურლოვების წინამძღოლობით მოსაზღვრე ქვეყნებში და რისხვასა სცემდენ. მაგრამ თურლოვებს ბევრხანს არ აბოგინეს. ისინი იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ საჩაჩნო და გადასახლებულიყვნენ. თურლოვების გადასახლების შემდეგ საჩაჩნოში მოისპნენ თავადები. ხალხი თანასწორი და ერთუფლებიანი შეიქმნა.

მთელ საჩაჩნოში ერთი ხალხი ცხოვრობს, ერთი მოდგმისა, მაგრამ განირჩევიან ერთიერთმანეთში ენის კილოთი, ხასიათით და ზნე-ჩვეულებებით. ბარში, თერგის მარჯვნივ, არღუნზე მდებარეობენ დიდი და პატარა საჩაჩნოები, დასავლეთით (ღლიღოელები) ინგუშები, სამხრეთით, ანდიის ქედის ჩრდილო კალთებზე ცხოვრობენ ქისტები. ესენი, როგორც ზევითა ვთქვით, ყველანი ერთი მოდგმის ხალხია, მაგრამ, როგორც თვითონ ჩაჩნელები ამბობენ, გარდმოცემით მათში ბევრია გადმოსახლებული სხვა ტომთა საგვარეულოებიდან, როგორც, მაგალითად: გვარი ზუმსოები არიან ქართველის ჩამომავალნი, ქელოები — თუშისა, ახშიპატოები — ურიისა, ვარანდიელები თვლიან თავიანთ თავს ხევსურის ჩამომავლებად. ბევრი გვარია, რომელიც თავის თავს თვლის ბერძნების ჩამომავლად. ეს ყველა ხალხშია.

ჩაჩნელები ამ რამოდენიმე საუკუნის წინათ ქრისტიანები იყვნენ. აქაც ქართველებმა გაავრცელეს ქრისტეს მოძღვრება, მაგრამ საქართველოს დასუსტების შემდეგ ამ ხალხში შევიდა ისლამი. ბევრგან გვხვდება ეხლაც აქა-იქ მიყრუებულ ალაგებში სალოცავების და ეკლესიების ნანგრევები.

ბარის ჩაჩნელები მისდევენ ხვნა-თესვას, მებაღეობას, ხელოსნობას და ვაჭრობას, ქისტები კი ისევე ცხოვრობენ და ისეთივე მდგომარეობაში არიან, როგორც დაღესტანში დიდოები. ქისტები ბევრად ჩამორჩენილნი არიან ბარის ჩაჩნელებზე როგორც ქონებრივად, ისე გონებრივად.

ბარელი ჩაჩნელები ლამაზი ხალხია, ნამეტნავად ქალები: შავთვალწარბიანი, ოდნავ მოკაუჭებული ცხვირი, თეთრი კანი, სწორედ მოსული, ბრტყელი მხარ-ბეჭიანი, წერწეტი ტანისანი. ჩაჩნელებში მრგვალ, ჩასუქებულ, ღიპიანს იშვიათად შეხვდება კაცი.

ბარის ჩაჩნელი მამაკაცია, ბრძოლაში ფიცხი, უყვარს ჩასაფრება და თუ ჩასაფრდა, იქიდან ვეღარ გამოიყვან. ისვრის თოფს და ტყვიას იშვიათად ჰკარგავს მუქთად. მტრის დანახვაზე პირველი ვარდება ყიჟინით ბრძოლაში, მაგრამ თუ მტერი მაგრად დაუხვდა, ჩქარა იცის პირის ბრუნება.

აი, ამ ორ ხალხს: ლეკებს და ჩაჩნელებს ჰქონდათ რუსებთან გაშმაგებული ბრძოლა. რუსის მხარეზე იყო განათლება, ტეხნიკა, იარაღი, ოქრო და ევროპიულად გაწვრთნილი რეგულარული ჯარი. ლეკები და ჩაჩნელები მათ უყენებდნენ წინ თავიანთ მიუვალ კლდეღრეებს, გაუვალ ტყეებს, თვალჩაუწვდენელ ხევებს, უგზო-უკვლობას, უაღრესად მამულისადმი და რჯულისადმი გამსჭვალულ სიყვარულს და ზღაპრულ მამაცობას. ყური დავუგდოთ ღენერალ რ. ფადეევს, რომელიც თვითონ პირადად იღებდა მონაწილეობას ამ საშინელ ომებში და დაგვიტოვა შესანიშნავი შრომა, „Шестьдесят лет кавказской войны“ /„სამოცი წელიწადი კავკასიის ომისა“/, გამოცემული ტფილისში 1860 წ., სწორედ შამილის დაჭერის ერთი წლის შემდეგ: „ერთადერთი ჯარი, რომელიც შეეძლო გამოეყვანა აღმოსავლეთს მუსლიმანობის პირველი აღმოფეთქების განელების შემდეგ ევროპელების წინააღმდეგ, შესდგებოდა ყოველთვის კავკასიელებისაგან. წმიდა აზიური ჯარი ვერასდროს ვერ აიტანდა ევროპელების შეტევას, თუ არა

სიმრავლის ბევრად გადამეტებით. კავკასიელების სამხედრო ენერგიის შედარება ალჟირელების ან არაბების, ან ქაბილების ენერგიასთან, რომელთაც მატრაკვეცა ფრანგები აზვიადებენ და საშინელ მტრებად სახავენ, სულ რომ არა იყოს რა, სასაცილოა. არასდროს ალჟირელები, რაც უნდა ბევრნი ყოფილიყვნენ, ვერ აიღებდნენ ერთ ბლოკგაუზს ოცდახუთ ჯარისკაცით დაცულს. ადიღელები /ჩერქეზები/ და ლეკები ცარიელი ხელებით იღებდნენ ციხეებს, რომლებსაც იცავდნენ მთელი ბატალიონები. ჩერქეზ-ლეკები მიდიოდნენ გულდაგულ, პირდაპირ, წარბშეუხრელად უშიშარი სალდათების კარტერზე /ზარბაზანი, საფანტი/, ხიშტებზე. მოდიოდნენ სალდათებზე, რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ, დახოცილიყვნენ უკანასკნელ კაცამდინ, რომელნიც ბოლო წუთებში აფეთქებდნენ თოფის წამლის მაღაზიებს, მაგრამ ჩერქეზ-ლეკები მაინც მიდიოდნენ წინ და წინ; ავსებდნენ თავიანთი გვამებით თხრილებს, აფეთქების დროს ბევრი იღუპებოდა დამცველებთან ერთად, მაგრამ ბოლოს მაინც იღებდნენ ციხეს“...

ყაზი მულლა

ყაზი მულლა, პირველი იმამი დაღესტნისა, დაიბადა ავარიაში, სოფელ გიმრში, 1795 წ. მისი მამა, ისმაილი, იყო კაცი უხასიათო, ლოთი და მეზობლებს შორის პატივდაკარგული. ათი წლისა რომ შეიქმნა ყაზი მულლა, მამამ იგი გაგზავნა პაპასთან /სიმამრთან/ ყარანაიში. პაპა ყაზი მულლასი თავისი დროის შესაფერად სწავლული იყო. პაპასთან ყაზი მულლამ შეისწავლა არაბული ენა.

ყარანაიდან ყაზი მულლა წავიდა არაკანაში და მიებარა მოწაფედ მთელ დაღესტანში თავის მეცნიერებით განთქმულ საგითა ეფენდის. მართალია, საგითა ეფენდი იყო განთქმული თავის სწავლა-მეცნიერებით, მაგრამ უყვარდა ძალიან ღვინის სმა. ეს მასწავლებლის ღვინის სმა, ლოთობა არ მოსწონდა სწავლის და მეცნიერების მოყვარე ჭაბუკს — ყაზი მულლას. ყაზი მულლა უსაყვედურებდა ხოლმე თავის მასწავლებლებს, რომ იგი მისდევდა სმას, ლოთობას, რომ სწავლულ მეცნიერ კაცს, რომელსაც პატივით უყურებს და მოწიწებით ეპყრობა ხალხი, არ შეჰშვენის ლოთობა. საგითა ეფენდი ყურს არ უგდებდა თავის გონიერ მოწაფეს და განაგრძობდა ლოთობას. ყაზი მულლას პირდაპირი თქმისა და თავისუფალი აზრის გამო სულელს ეძახოდა.

მასწავლებელსა და მოწაფეს შორის ჩამოვარდა უკმაყოფილება და ბოლოს ჩხუბის შემდეგ ყაზი მულლა წავიდა თავის სოფელში.

ჯერ ბალღობაშიეე იქცევდა ყაზი მულლა დიდების ყურადღებას, არ ერეოდა ამხანაგებში, არ იღებდა მონაწილეობას რამე თამაშობაში, უყვარდა განმარტოება, ფიქრში გართობა, ოცნებობდა, დადიოდა მარტოდმარტო გულჩათხრობილი; დაჯდებოდა სადმე გორაკზე და მთელი თავის არსებით ეძლეოდა ოცნებას. რომ ხელი არაფერს არ შეეშალა მისი ოცნებისათვის, იგი ბევრჯერ ყურებს დაიცავდა ხოლმე სანთლით. იყო დიდი მორწმუნე, გატაცებით უყვარდა სწავლა და ჰქონდა ჭკუის მტკიცე მიმართულება. შემდეგ შამილი იტყოდა ხოლმე ყაზი მულლაზე: ჩუმია, როგორც ქვაო.

ყაზი მულლა საგითა ეფენდიდან რომ წავიდა, დაიწყო ხალხში ქადაგება, დადიოდა აქეთ-იქით სოფლებში; ხალხი გროვდებოდა მასთან და გულმოდგინედ უსმენდა. ყაზი მულლას უნდოდა ენახა სხვადასხვა ქვეყნები, სხვადასხვა ხალხი, უნდოდა შეესწავლა მათი ცხოვრება, მიდრეკილება, ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება და სხვა. ამ მიზნის განსახორციელებლად ყაზი მულლა მიდის ერთ შემოდგომას ნოღებში და ყაბარდოში. დაიარა ეს ქვეყნები, ინახულა სხვადასხვა ხალხი, ბევრი ახალი ნახა, გაიგო.

ზაფხულისთვის ყაზი მულლა ბრუნდება სამშობლოში. გზადაგზა მას ხვდება ხალხი, იგი აღფრთოვანებით ქადაგებს. აღტაცებული ხალხი ეგებება მას და ასაჩუქრებს ზოგი ძროხით, ზოგი ცხვრით და ზოგიც პურით. ამით ყაზი მულლა ქონებრივად ზურგს იმაგრებს.

ამის შემდეგ, შინ დაბრუნებისას, ყაზი მულლა ირთავს ცოლს. პირველი მისი ცოლი იყო ხასკიმის ქალი გიმრიდან. რომ გამოსცადოს თავის ცოლის ერთგულება, ყაზი მულლა პირველ ღამესვე ანდობს მას ტყუილად მოგონილ საიდუმლოებას. აფრთხილებს, რომ არავის არ უთხრას, მაგრამ მეორე დღესვე ყაზი მულლას საიდუმლოება მთელმა სოფელმა უკვე იცოდა. ყაზი მულლამ იმავე დღეს გააგდო თავის ცოლი. შეირთო მეორე — ხაშბა შამაუ. ისიც გააგდო იმავე დანაშაულისათვის. მესამედ და უკანასკნელად შეირთო ახალგაზრდა, ლამაზი ფატიმატი, ისალ მაჰამას და. ეს ისალ მაჰამა იყო რუსის პრაპორშჩიკი. ყაზი მულლა იყო ამ დროს ოცდაათი წლისა.

პირველად მიურიდიზმი კავკასიაში გაჩნდა მეთვრამეტე საუკუნის

დამლევს. ამ მოძღვრების მქადაგებელი იყო შეიხი მანსური, გადმოხვეწილი ორენბურგის მხრიდან. შეიხ მანსურმა მიიღო მიურიდიზმის მოძღვრება ბუხარელებისაგან. ხალხი აღელდა. დაიწყო მოძრაობა რუსების წინააღმდეგ, მაგრამ რუსებმა ეს მოძრაობა ჩქარა ჩააქრეს. შეიხ მანსური ანაპაში დაიჭირეს და გაგზავნეს სოლოვეცკის კუნძულზე, მისი მიმდევარნი კი გაიფანტნენ. ამის შემდეგ მიურიდიზმი აღარ ისმოდა.

მეცხრამეტე საუკუნის ოციან წლებში მიურიდიზმმა ისევ იჩინა თავი. ამ მოძღვრების ახალი მქადაგებელი იყო მოლა მაჰამედი, რომელიც ცხოვრობდა კიურინის სახანოში, სოფელ იარაგაში.

მოლა მაჰამედი იყო მაღალი ტანისა, ბევრი უძილობისა და ლოცვისაგან თვალები დასიებოდა და ჩასისხლიანებოდა, მისი მოკლე, ჭაღარა წვერი ჰფარავდა მოშაო, ხმელ, გამომეტყველ სახეს. მისი სიდინჯე, სიწყნარე, გულკეთილობა ამჟღავნებდა მასში სწავლულ ასკეტ-მოლას, რომლის წოდებას უმტკიცებდნენ მწვანე ჩალმა, იმ ფერისავე ახალუხი ლურჯი მანტიით. ეს, პირველი შეხედვით, წყნარი, უჩინარი მოხუცი დაბალი, ღამის სიჩუმეში ოდნავ გასაგები ხმით ქადაგებდა მუსლიმანების საერთო აჯანყებას, უხმობდა მათ ბრძოლისაკენ, არამორწმუნეებთან შეურიგებელი მტრობისაკენ. აკანკალებული ხელებით იგი ულოცავდა იმ იარაღს, რომლითაც უნდა დაღვრილიყო მთელი ზღვა სისხლი. არაფერს არა ზოგავდა მოლა მაჰამედი, რომ თავისკენ მიემხრო თანამოძმე კიურინელები. ამისათვის არ ზოგავდა თავის არც ფულს, არც ქონებას. ხშირად მართავდა წვეულებას და აჭმევდა ხალხს.

ხალხი გროვდებოდა მის სახლში, გულმოდგინედ უსმენდა მის მხურვალე სიტყვებს. ერთხელ, როდესაც ხალხი ბლომად მოგროვდა მის სახლთან, მოლა მაჰამედმა ისარგებლა ამით და მიჰმართა სიტყვით: „ხალხნო, ჩვენ არც მუსლიმანები ვართ, არც ქრისტიანები და არც კერპთაყვანისმცემლები. წინასწარმეტყველის /მუჰამედის/ მოძღვრებით მუსლიმანებს არ შეუძლიანთ იყენენ ურწმუნოთ ხელში. მუსლიმანს არ შეუძლიან იყოს ვისიმე მონა, არავის არ უნდა აძლევდეს ხარკს, მუსლიმანსაც კი. ვინც მუსლიმანია, ის თავისუფალი უნდა იყოს და ყველა მუსლიმანთა შორის უნდა იყოს თანასწორობა. ვინც თავის თავსა თვლის მუსლიმანად, იმისთვის უპირველესად უნდა იყოს

ღაზავათი — ბრძოლა ურწმუნოებთან, შემდეგ კი შარიათი /დარიგება, ანუ ცოცხალი სიტყვა მუჰამედისა, შეიცავს წესებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს თავის ცხოვრებაში ყოველმა მართლმორწმუნემ/. მუსლიმანი მარტო შარიათის ასრულებით უღაზავათოდ ვერ განთავისუფლდება; ვინც ასრულებს ღაზავათს, უნდა შეიარაღდეს, დაჰყაროს ცოლ-შვილი, სახლ-კარი და თავიც შესწიროს; თქვენ კი რა გააკეთეთ და რას აკეთებთ?... თქვენ, საცოდავნო, მხდალებო, თქვენ, ურწმუნოებო, არ ასრულებთ წინასწარმეტყველის სიტყვებს, მისდევთ მიწიერ განცხრომას და ამით ღუპავთ სარწმუნოებას! ურწმუნონი გზას გიკრავთ ალლაჰის ტახტისაკენ. უბრალოდ ასრულებთ ნამაზებს, ინახავთ მარხვას, მიემგზავრებით მექაში. ცა უარჰყოფს თქვენ ლოცვებს, თქვენს ხვეწნა-მუდარას.

თქვენს მდიდარ შეწირულობას, თქვენს ქორწინებას, თქვენს შვილებს აწევთ წყევლა და კრულვა. ხალხნო! შეჰფიცეთ, რომ თავს დაანებებთ ცოდვილობას. მოემზადენით წმიდა ბრძოლისათვის მარხვით, ლოცვით და შენანებით. დღე და ღამე იარეთ მეჩეთში და სთხოვეთ, ემუდარეთ ღმერთს, რომ მან შეგინდოთ ცოდვანი. როდესაც ურწმუნოების წინააღმდეგ შეიარაღების დრო დადგება, მე გავიგებ ზეციდან შთაგონებით და გამოგიცხადებთ. მანამდე კი იტირეთ და ილოცეთ. რაც შემეხება მე, მე ვარ მთელ ქვეყანაზე უცოდვილესი. წაიღეთ მთელი ჩემი ქონება, მომაშორეთ ტვირთი თქვენგან მოძღვნილი, მე ღირსი არა ვარ მისი. მე თვითონ ვიმყოფები სიბნელეში, ხშირად ჩემი განმარტება ყურანისა იყო გაუგებარი, ბევრჯერ შემცდარი, მაგრამ, მაპატიეთ, მე უკვე თავი მივანებე ყოველ მიწიერებას“.

ამ სიტყვებმა, თქმა არ უნდა, დიდი გავლენა იქონია გაუნათლებელ, ფანატიკოს დაღესტნელებზე. მოლა მაჰამედის სიტყვის შემდეგ მეჩეთის კარები არ დაკეტილა. მეჩეთი, მისი ეზო-კარი, სავსე იყო ხალხით, რომელიც თვალცრემლიანი ლოცულობდა და ინანიებდა ცოდვებს. თვითონ წინასწარმეტყველი /ასე ეძახდნენ მოლა მაჰამედს/ ჩაიკეტა თავის მღვიმეში და დღე და ღამეებს ასწორებდა ლოცვაში.

ჩქარა ხმა გავრცელდა მთელ დაღესტანში მოლა მაჰამედზე. ამ მოხუცს თვლიდნენ წინასწარმეტყველად, წმინდანად. დაღესტნის სხვადასხვა კუთხეებიდან მოდიოდა ხალხი სოფელ იარაგაში. უფრო გატაცებული მართლმორწმუნენი აღიარებდნენ თავიანთ თავს მიუ-

რიდებად /მიურიდი ნიშნავს ჭეშმარიტის მდომს, მაძიებელს/. მოლები სხვადასხვა თემებიდან ცდილობდნენ მიებაძნათ მოლა მაჰამედის წმიდა ცხოვრებისათვის. გატაცება იქამდის მივიდა, რომ იარაგელი მიურიდები გადიოდნენ იარაგში და მის გარშემო სოფლებში, ხის ხმლებით სცემდნენ ხმლებს, ქვებს, ხეებს, კედლებს და ჩრდილოეთისაკენ პირშებრუნებულნი, ე.ი. რუსეთისაკენ, ყვიროდნენ: „მუსლიმანებო, ღაზავათი!“

სხვა სოფლების მიურიდებმაც მიჰბაძეს იარაგელებს დაძახილი: „მუსლიმებო, ღაზავათი!“ — კიურინის სახანოდან მოედო მთელ დაღესტანს.

აი, ასე გაჩნდა დაღესტანში მიურიდიზმი, რომელმაც შეაერთა, შეადუღა მთელი დაღესტნის და საჩაჩნოს აქამდის ცალ-ცალკე მცხოვრები თემები, მისცა ერთი მიმართულება და ოცდაათი წლის განმავლობაში მედგრად ებრძოდა მძლავრ რუსეთს.

მოლა მაჰამედის ქადაგება, მოძრაობა მთელ დაღესტანში და ავჯანყება კიურინის სახანოში გაიგო კავკასიის მთავარსარდალმა ერმოლოვმა. ერმოლოვმა მისწერა კიურინის ხანს ასლანს, თუ რაში მდგომარეობდა ეს ახალი მოძღვრება მოლა მაჰამედისა, გამოეძია და შეეტყობინებია მისთვის; თანაც სწერდა, რომ ჩაექრო მღელვარება. ასლან ხანმა დაიბარა თავისთან მოლა თავის მოწაფეებით და მიმდევრებით. შუა გზაზე შეხვდნენ ასლან ხანი და მოხუცი, დაბრმავებული მოლა მაჰამედი დიდძალი მიურიდებით, მოლებით.

— როგორ ბედავ მაგნაირი სისულელეების ლაპარაკს? — შეუტია ასლან ხანმა მოლა მაჰამედს, — განა შენ არა გწამს რუსის ძალა, არ ფიქრობ, რამდენი სისხლი დაიღვრება შენი მეოხებით? შენი მიურიდები დადიან ყველგან, აღიზიანებენ ხალხს რუსების წინააღმდეგ და სცემენ ყველას, ვინც წინააღმდეგია.

— ჩემმა მიურიდებმა შეიგნეს ყურანის ჭეშმარიტება, — მიუგო მოლა მაჰამედმა, — და შენც, ხანო, გირჩევ თავი დაანებო მიწიერ ზრუნვას და იფიქრო იმაზე, რასაც ერთნაირად მოელიან ზეციდგან როგორც ყმა, ისე ბატონი.

— შენი მოძღვრება გაზვიადებულია, მე თვითონ კარგად ვიცი ჩემი ვალდებულება და სრულადაც ვასრულებ შარიათის დებულებებს.

— შენ სტყუი! — წამოიძახა მურშიდმა, — შენ ხარ მონა ურწმუნოებისა /რუსებისა/!

ასლან ხანმა ამ სიტყვებზე სტკიცა სილა მოლას. მოლა გაიშხლართა მიწაზე. შემდეგ უბრძანა ხანმა თავის ნუკრებს, ეცემნათ განურჩევლად მოლების და მიურიდებისათვის.

ასლან ხანი ჩქარა მიხვდა, რომ მეტად შორს წავიდა, მოიხმო თავისთან მოლა მაჰამედი და სთხოვა, ეპატიებინა მისთვის მიყენებული შეურაცხყოფა. მოლა მაჰამედმა სიამოვნებით აპატია, მაგრამ ამასთან შენიშნა, რომ ასლან ხანი ტყუილად ცდილობს, ჩააქროს აჯანყება, რომ ეს აჯანყება მოგების მეტს არაფერს არ მოუტანს ხანს, იმისათვის, რომ რაც მეტი მღელვარება იქნება დაღესტანში, მით უფრო საჭირო იქნება ასლან ხანი რუსებისთვის და თუ რუსებმა დაიპყრეს დაღესტანი, მაშინ ის საჭირო აღარ იქნება მათთვის და ხანობასაც ჩამოართმევენ. მოხუცი მურშიდის სიტყვები ჭკუაში დაუჯდა ასლან ხანს და გაუშვა შინ. ერმოლოვს კი მისწერა, რომ წესიერება აღვადგინეთო.

1825 წ. ყაზი მულლა მოვიდა იარაგში მოლა მაჰამედთან. ძალიან ჩქარა დაწინაურდა მსმენელთა შორის, მიიქცია მურშიდის ყურადღება, შეიქმნა მისი საყვარელი მოწაფე. მოლა მაჰამედმა შეკრიბა იარაგში უფროსები, მოლები, მიურიდები და მათი თანდასწრებით დააყენა საყვარელი მოწაფე — ყაზი მულლა — ღაზავათის უფროსად.

„ — წინასწარმეტყველის სახელით, — სთქვა მან და დაადო ყაზი მულლას თავზე ხელი, — გიბრძანებ შენ, ყაზი მულლავ, წადი, შეკრიბე ხალხი, შეაიარაღე და ალლაჰის შეწევნით დაიწყე ომი. სამოთხე ელის მას, ვინც მოჰკლავს რუსს, ან მოკვდება მისგან და ვაი მას, ვინც გაექცევა გიაურს“.

ყაზი მულლამ ყურანზე დასდო ფიცი, რომ მთელ თავის სიცოცხლეს შესწირავდა ღაზავათისა და შარიათისათვის.

ასე ყაზი მულლამ მიიღო იმამის სახელი და შეიქნა მოთავედ ახალი მოძღვრებისა, შეიქნა იმამად.

ყაზი მულლა იყო შუა ტანისა, განიერ მხარბეჭიანი, ხმელი, დიდრონი მისი თვალები თითქოს გამოცვივნას აპირებენო. სუფთა, გამომეტყველი სახე, ღრმა ნაოჭები განიერ შუბლზე უმტკიცებდნენ მუდმივ ფიქრში ჩართობას. მის მოთმინებას საზღვარი არა ჰქონდა. არასდროს არავის არ ენახა იგი გაჯავრებული. იშვიათად ლაპარაკობდა და, როგორც ნამდვილი ბრძენი, უფრო სდუმდა, ამისათვის ყოველ

მის სიტყვას ჰქონდა ძალა და მნიშვნელობა. იყო წყნარი, ჩუმი, დაღვრემილი და ცივი. ამასთან იყო დიდი მჭერმეტყველი, სიტყვის მეფე, ისეთი, რომ შეეძლო თავდავიწყებამდის აღფრთოვანებული ხალხის ბრბო გადაეყარა ცეცხლში და წყალში. დაღესტნელების თქმით, როდესაც ყაზი მულლა ლაპარაკობდა, ეგონა კაცს, რომ მისი პირიდან თითქო თაფლი გამოდისო, რომ კაცის გული პირდაპირ მის ბაგეებს ეკვრებაო. ერთის შებერვით მთელ კორიანტელს აყენებდა მსმენელთა გულში. ყაზი მულლა იყო ერთი მათგანი, რომელნიც იზიდავენ და მიჰყავთ ხალხი არა მარტო წუთებით, არამედ ისინი სთესავენ ხალხში ისეთ აზრებს, რომ მთესველის სიკვდილის შემდეგაც ხალხს აღელვებენ.

იარაგიდან ყაზი მულლა დაბრუნდა გიმრში. გიმრელები მოუთმენლად ელოდებოდნენ ახალი მოძღვრების მოთავეს. მთელი ხალხი გავიდა სოფლიდან დასახვედრად. სოფლიდან ერთი კილომეტრის მანძილზე ყაზი მულლა დადგა ერთ პატარა გორაკზე და იქიდან მოჰმართა ხალხს სიტყვით, რომელშიაც უმარტავდა შარიათის კანონდებულებებს. უპირველესად, სასტიკად აუკრძალა ღვინის სმა, რომელიც გავრცელებული იყო იმ დროს დაღესტანში ლეკებს შორის. ვინც დალევდა ღვინოს, იმას ჯოხით სცემდნენ. მისცა ნება მხოლოდ არყის დალევისა, მაგრამ ისიც ოთხი თვის შემდეგ აუკრძალა. ქალებს უნდა ეტარებიათ ჩადრები, მამაკაცებს უნდა დაეხურათ ჩალმები, შეეკრიჭათ ზემო ტუჩის თანასწორად ულვაში, წვერები უნდა დაეყენებინათ წვეტათ. აუკრძალა ყოველგვარი სიმღერა, ცეკვა-თამაში. უნდა ემღერნათ მხოლოდ ერთადერთი „ლია ილლაჰ ილ ალლა“ — არ არის ღმერთი ღმერთის მეტი. გიმრელები მოწიწებით ყურს უგდებდნენ ყაზი მულლას, ბევრი სტიროდა, ბევრი გატაცებული ჩოხის კალთას უკოცნიდა იმამს. ხალხი აღტაცებით სთხოვს ყაზი მულლას, იყოს მათი დამრიგებელი და ხელმძღვანელი, შეჰფიცეს, რომ იქნებოდნენ მისი მორჩილნი. გიმრელებს მიჰყვნენ სხვა სოფლებიც.

ყარანელებმა სთხოვეს ყაზი მულლას, რომ გაეგზავნა მათთვის ყადი ახალი მოძღვრების გასავრცელებლად. ყაზი მულლამ გაგზავნა, მაგრამ ყადი ძალიან სასტიკი გამოდგა. დაიწყო ხალხის შეწუხება. მოთმინებიდან გამოსულმა ხალხმა ყადი გააძევეს სოფლიდან. ყაზი მულლამ დაიჭირა სოფელი და მცხოვრებნი ჯოხით დასაჯა.

ყაზი მულლას ყოფილმა მასწავლებელმა საგითა ეფენდიმ საჯარ-

ოდ უარყო ყაზი მულლას მოძღვრება. ყაზი მულლა ასორმოცდაათი მომხრეებით თავს დაეცა საგითას სოფელ არაკალაში. საგითა ეფენდი გაიქცა. ყაზი მულლამ გაძარცვა თავისი ყოფილი მასწავლებლის სახლი. რაც ღვინო ჰქონდა საგითას, დააღვრევინა იატაკზე ოთახში. „დაღვარეთ, დაღვარეთ, — გაიძახოდა ყაზი მულლა, — ძალიან უყვარდა ღვინო".

1829 წ. ყაზი მულლას ემორჩილებიან: ყაისუბული, გუმბეთი, ანდი, დაღესტნის ყველა პატარ-პატარა თემები, ავარიის სოფლები, ხუნზახის გარდა, განაპირა დაღესტნის და ჩაჩნის თავისუფალი თემები.

ყაზი მულლას ახალმა მოძღვრებამ მიიქცია ყურადღება ტარკის მოხუც შამხალისა — ღენერალ მეხტი ხანისა. მეხტი ხანმა მიიწვია თავისთან ყაზი მულლა.

„ — მე გავიგე, რომ წინასწარმეტყველობ, — სწერდა მეხტი ხანი ყაზი მულლას, — თუ აგრეა, წამოდი ჩემთან, გვასწავლე მე და ჩემ ხალხს წმიდა შარიათი. თუ უარს მეტყვი, გეშინოდეს ღმერთის რისხვისა, საიქიოს შენ დაგაბრალებ ჩემ უმეცრებას, რომ არ გინდოდა დაგვეყენებინე ჭეშმარიტ გზაზე".

ყაზი მულლა აქამდინ კმაყოფილდებოდა მიურიდიზმის გავრცელებით დაღესტნის თავისუფალ თემებში. ჯერ ვერა ჰბედავდა გადაეტანა თავის მოძღვრება სახანოებში, მაგრამ, როდესაც მიიწვია თვით შამხალმა მეხტი ხანმა, მთებში ფრიად პატივცემულმა, რასაკვირველია, მაშინვე ისარგებლა გარემოებით და წავიდა მაშინდელ შამხალების საცხოვრებელ სოფელ ფარაულში. ყაზი მულლამ აუხსნა მეხტი ხანს მიურიდიზმი, მაგრამ ღაზავათი არ უხსენებია. ამის შემდეგ იმამმა სთხოვა შამხალს, ნება მიეცა მისთვის, ექადაგნა ხალხში. მოხუცმა ხანმა ვერ წარმოიდგინა, თუ რა შედეგები ექნებოდა ამ მოძღვრებას, უბრძანა ხალხს, ყური ეგდო ყაზი მულლასათვის და თვითონ წავიდა პეტრეს ქალაქში. პეტერბურგიდან უკან დაღესტანში მომდინარი ტარკის მეხტი ხანი გზაზე გარდაიცვალა.

ხანის სიკვდილის შემდეგ ხელები გაეხსნა ყაზი მულლას. სჭექდა და ჰქუხდა მისი მჭერმეტყველება. ტარკის დიდი და პატარა კაზანიჩში მცხოვრებმა მაშინვე მიიღეს მიურიდიზმი. ზოგიერთმა სოფლებმა არ მიიღეს. ყაზი მულლა დაეცა ამ სოფლებს, გამოართვა ამანათები, წაიყვანა გიმრში და დაატუსაღა.

1830 წ. ყაზი მულლა ძალაუფლებიანი შეიქნა. მას ემორჩილებოდა თითქმის მთელი დაღესტანი პატარა გამონაკლისით. ეხლა მას შეეძლო გამოეყვანა გაუჭირვებლად ბრძოლის ველზე — ათი-თხუთმეტი ათასი მეომარი. გადიდდა ყაზი მულლა. მისი ოცნებები შორს, შორს მიდიოდნენ, იგი ოცნებობს შეაერთოს კავკასიის ყველა მუსლიმანები, გარეკოს კავკასიიდან რუსები, დაეცეს მოსკოვს, წავიდეს სტამბულზე: „როდესაც ავიღებთ მოსკოვს, — ოცნებობდა იმამი, — წავალ სტამბოლზე, თუ ხონთქარი წმიდად ასრულებს შარიათს, ჩვენ ხელს არ ვახლებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაი, მას!... ის ბორკილებაყრილი იქნება და მისი სამეფო კი შეიქნება კუთვნილება ჭუშმარიტი მუსლიმანებისა...“

ყაზი მულლას ემორჩილებოდნენ, ჰქონდა გავლენა, მაგრამ ის ერთი ყველგან ვერ მისწვდებოდა, ამისათვის მას უნდა ჰყოლოდა მახლობელი სანდო პირნი, რომ მათი შემწეობით განევითარებინა, განემტკიცა ხალხში თავის გავლენა, თავის ხელისუფლება, ე.ი. მას უნდა ჰყოლოდა კარგი თანაშემწენი. თანაშემწეების არჩევაში ყაზი მულლამ დიდი ნიჭი გამოიჩინა. ირჩევდა ფრთხილად, წინდახედვით და იშვიათად სტყუვდებოდა. იყო სასტიკი, შეუბრალებელი, თავისთან იღებდა მხოლოდ ნასწავლს. მიურიდს უნდა სცოდნოდა აუცილებლად წერა-კითხვა, ყურანის კითხვა, არ უნდა ესვა ღვინო, არ უნდა ეწია თამბაქო, ყოველთვის მზად უნდა ყოფილიყო საომრად, როდესაც კი მოითხოვდა უფროსი, რომ სხვებისაგან გარჩეულიყო, მიურიდს უნდა ეტარებინა თეთრი ჩალმა.

როგორც ვთქვით, თითქმის მთელი დაღესტანი ემორჩილებოდა ყაზი მულლას, იყო მისი გავლენის ქვეშ, მაგრამ არ ემორჩილებოდა ჰუნზახი — ეს გული დაღესტნისა, სამკვიდრო სოფელი ავარიის ხანებისა, რომელნიც ემორჩილებოდნენ რუსებს და, რასაკვირველია, სანამ ჰუნზახი ფეხზე იდგა და მისი ხანები ცოცხალნი იყვნენ, მიურიდიზმი ვერ დადგებოდა მკვიდრ ნიადაგზე, ვერ დაიწყებდა ღაზავათს რუსების წინააღმდეგ. ჯერ უნდა მოესპო ჰუნზახი — ეს ბატონების ბუდე — მასთან სხვა სახანოებიც და შემდეგ გაერთიანებულ, გათანასწორებულ ხალხს შეეძლო, გაეშალა ღაზავათის დროშა.

აი, ამისათვის პირველი ხმალი პირველი იმამისა ხუნზახზე ამოვიდა.

სანამ გაილაშქრებდა ჰუნზახზე, იმამმა მიჰმართა ხალხს:

„ — ხალხო, — წამოიძახა ყაზი მულლამ, — თქვენ არა ხართ ნამდვილი, ჭეშმარიტი მუსლიმანები, თქვენ არა გწამთ წმიდა შარიათი და არც გინდათ დაჰმორჩილდეთ წინასწარმეტყველების მცნებებს. თქვენ იჭერდით საქმეს გიაურებთან და მით წაბილწეთ თქვენი თავი. გეუბნებით, სანამ რუსები ფეხით სთელავენ დაღესტანს, მანამდინ თქვენ ვერ ნახავთ ბედნიერებას. მზე გადასწვავს თქვენს ცის ნამით მოურწყავ მინდვრებს. თქვენ თვითონ დაიხოცებით, როგორც ბუზები და ვაი თქვენ, როდესაც წარდგებით ღმერთის წინაშე! არა ნეტარება, არა სამოთხეში განცხრომა მოგელით თქვენ, არამედ ცეცხლი ჯოჯოხეთისა! მე გამომგზავნა ღმერთმა, რომ გიხსნათ... ასე ღმერთის და წინასწარმეტყველის სახელით გიწვევთ თქვენ ურწმუნოებთან საბრძოლველად. ღაზავათი რუსებს, ღაზავათი ყველას, ვისაც ავიწყდება რჯული და შარიათი. ნუ გენანებათ ნურც თქვენი თავი, ნურც თქვენი შვილები, ნურც თქვენი სახლ-კარი. თქვენ არ დამარცხდებით, რადგანაც სიმართლე თქვენთან არის. ვინც არ მომყვება, იყოს წყეული, შეჩვენებული და არც იქნება ის ბედნიერი არც სააქაოს და არც საიქიოს. ამის შემდეგ ჩვენ ვიწყებთ ჯიჰათს /ომი სარწმუნოებისათვის/ და მე ვიქნები თქვენი წინამძღოლი. მოემზადენით...!“

1830 წ. თებერვალში ყაზი მულლა მიადგა ჰუნზახს რვა ათასი კაცით. ნუცალ ხანი შეებრძოლა ორი ათასი კაცით. ასტყდა საშინელი ბრძოლა. როგორც ლომები, ისე იბრძოდნენ ოსმან იაზულ ჰაჯი, შვილი მისი იტიპა მაჰამედი, რომელიც იყო ხანების აღმზრდელი და შვილები მისნი — ოსმანი და სულ ახალგაზრდა ჰაჯი მურადი. ოსმანი და ჰაჯი მურადი იყვნენ ძუძუთ ძმები უმახანისა.

ყაზი მულლა დამარცხდა და რამდენიმე ალაგას დაჭრილი გაიქცა. ამ დამარცხებამ უკმაყოფილება გამოიწვია ხალხში, მაგრამ ყაზი მულლა არ დაეცა სულით, შეაგროვა ისევ ჯარი და დაეცა მეორედ ჰუნზახს, მაგრამ მეორედაც დამარცხდა.

ყაზი მულლამ ჯერჯერობით თავი დაანება ჰუნზახს. შეაგროვა ჯარი, შეესია ტარკის შამხლის სამფლობელოში და გამაგრდა მიუვალ სოფელ ჩუმესკენტში. ჩუმესკენტი მდებარეობს ათ კილომეტრზე თემირ-ხან მურის სამხრეთ დასავლეთისაკენ. რუსის პოლკოვნიკი მიკლაშევსკი /ლეკებმა მიკლაშევსკის დაარქვეს „შავი პოლკოვნიკი“/ მიადგა ჩუმესკენტს და დიდი, სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ

აიღო სოფელი, მაგრამ თვითონაც მოკლულ იქნა. ჩუმესკენტიდან ყაზი მულლა დაეცა სოფელ ფარაულს, აიღო და გაანადგურა. ამის შემდეგ გადავარდა კასპიის მხარეს და გარს შემოერტყა რუსების სიმაგრე ბურნუის. აქ უკუქცეულ იქნა. აქედან დაეცა სიმაგრე ვნეზაპნუის და გარს შემოერტყა, თხუთმეტი დღის ბრძოლის შემდეგ ღენერალ ემანუილმა უკან დაახევინა ყაზი მულლას და გამოუდგა, მაგრამ აუხოვის ტყეში ღენერალი საშინლად დამარცხდა, რუსებმა ამ ბრძოლაში დაკარგეს ერთი ზარბაზანი.

აუხოვში გამარჯვების შემდეგ ყაზი მულლა გარს შემოერტყა დარუბანდს. რვა დღე იდგა, ვერა დააკლო რა და იქიდან ეცა თერგის მიდამოებს, გადასწვა და გაანადგურა ყიზლიარი. ამის შემდეგ დაბრუნდა გიმრში.

გათამამებული ყაზი მულლა ემუქრებოდა ქალაქ გროზნოს და კავკავს. მთიელების თვალში ამაღლდა პირველი იმამი. მას მიემხრნენ ჩაჩნელები და რუსების წინააღმდეგ ააფრიალეს დროშა. ეს იყო 1831 წ. სამი ათასი ჩაჩნელი შეიკრიბა გერმენჩუკში. ეს სოფელი უდიდესი სოფელი იყო მთელ საჩაჩნოში. სამი მეჩეთი ჰქონდა; ერთი, ყველაზე უკეთესი, ერმოლოვის ფულით იყო აშენებული.

ჩაჩნელებმა გაამაგრეს სოფელი. ყაზი მულლამ მიაშველა ჩაჩნელებს რვაასი ცხენოსანი ლეკი. რუსის ჯარს უფროსობდა ღენერალი ველიამინოვი, რომელსაც ბარონ როზენმა გადასცა ჯარი გერმენჩუკის ასაღებად და საზოგადოდ ჩაჩნელების წინააღმდეგ საბრძოლველად. ადვილი არ იყო გერმენჩუკზე გალაშქრება. რუსებს უნდა გაეარათ ულრანი, გაუვალი გოიტინის ტყე, რომელზედაც ერთ დროს ერმოლოვმა გასჭრა გზა, მაგრამ ეს გზა ეხლა ისევ აივსო ჯაგნარებით და წვრილი ტყით.

ველიამინოვი მიადგა გერმენჩუკს და შეუტია. ჩაჩნელები მამაცურად დაუხვდნენ რუსებს, მაგრად დადგნენ და თოფის ბოლში გაეხვივნენ. ველიამინოვმა გასცა ბრძანება, ცეცხლი წაეკიდებინათ სახლებისთვის. რუსებმა დაიწყეს ზარბაზნების სროლა. რუსებმა გაიგეს, რომ ორი პირველი ყუმბარა გასკდა, ამის შემდეგ კი ყუმბარები აღარ სკდებოდნენ. ბოლოს გაიგეს რუსებმა, რომ ჩაჩნელები თურმე, როდესაც ყუმბარა დავარდებოდა მიწაზე, დაასხდებოდნენ ზედ და სანამ ცეცხლი მილებში თოფის წამალს ჩასწვდებოდა, აქრობდნენ.

სახლებს ცეცხლი ნელ-ნელა ეკიდებოდა, ველიამინოვმა წინადადება მისცა ჩაჩნელებს, დაეყარათ იარაღი.

„ — შენდობა არ გვინდა, — უპასუხეს ჩაჩნელებმა, — მხოლოდ ერთსა ვთხოვთ რუსებს: შეატყობინონ ჩვენ ოჯახებს, რომ ჩვენ დავიხოცენით, როგორც ვცხოვრობდით, თავისუფალნი, მტერს კი არ დავმორჩილდით!“..

მაშინ ველიამინოვმა ბრძანა, ცეცხლი მიეცათ სოფლისთვის ყოველი მხრიდან. ჩაჩნელებმა გადასწყვიტეს, ყველანი დახოცილიყვნენ. შემოსძახეს სიმღერა. ჯერ მჭეხრად ისმოდა სიმღერა, შემდეგ და შემდეგ ნელ-ნელა სწყდებოდა.

ერთი ცეცხლის ალით შემოვლებული სახლის კარები გაიღო. გამოჩნდა კაცი. იგრიალა თოფმა. ტყვიამ ზუზუნით გაიარა რუსების თავზე, ხმალ-ხანჯალ მომარჯვებული ჩაჩნელი შეიჭრა რუსებში, მაგრამ ტყვიით განგმირული დავარდა მიწაზე. რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვარდა ისევე მეორე, მერე მესამე... ცეცხლი გუგუნებდა. სახლები ინგრეოდნენ. ნანგრევებიდან გამოდიოდნენ დაჭრილ-დამწვარი ჩაჩნელ-ლეკები და იქვე ჰლევდნენ სულს. მხოლოდ ექვსი მძიმედ დაჭრილი ლეკი ჩაუვარდათ რუსებს ხელში, არც ერთი ჩაჩნელი არ ჩაუვარდათ რუსებს ცოცხალი. სამოცდაათმა ჩაჩნელ-ლეკებმა დალია სული ცეცხლში...

1832 წ. ღვინობისთვის 17-ში ბარონი როზენი მიადგა სოფელ გიმრს, სადაც იჯდა ყაზი მულლა ექვსასი მეომრით. ბარონმა გაუგზავნა ყაზი მულლას წერილი, სიტყვითაც დააბარა, რომ იმამი შერიგებოდა რუსებს, ყაზი მულლამ წაიკითხა როზენის წერილი და თავის დაახლოებულ ნაიბის ჰამზად ბეგის რჩევით მისცა შემდეგი პასუხი: „რაც შეეხება იმას, რომ შევწყვიტოთ მტრული მოქმედება და დავამყაროთ მშვიდობა, ჯერ შორია. ჩვენ მხოლოდ გთხოვთ, თქვენ გაუშვათ ათასი ჩვენი ცხენოსანი მექაში, ეს იქნება ჩვენი შერიგება და მშვიდობა“.

რა დაინახა ბარონ როზენმა, რომ ყაზი მულლას არ უნდა შერიგება, დაიწყო მოქმედება. ბრძოლა სასტიკი და მწვავე იყო. მთელი დღე მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდინ დუღდა ბრძოლა. ორივე მხარე მედგრად იბრძოდა. იდგა ზარბაზნების გრიალი. იყო ცივი, სუსხიანი დღე. უბერავდა ძლიერი ქარი. რუსები შევიდნენ სოფელში, სადაც აქა-იქ გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ქარისაგან უფრო და უფრო ძლიერდებოდა. დატრიალდა ვიწრო ქუჩებში, შიგ სახლებში ხმალ-

ხანჯლის ტრიალი. სისხლი რუებად მიდიოდა. ძვირად უსვამდნენ ლეკები რუსებს თითო წინ წადგმულ ნაბიჯს. მუცელში ხიშტგარჭობილი ლეკი დაავლებდა სალდათის თოფს ხელს, მოსწევდა სალდათს თავისკენ, რომ მისწვდომოდა, შემოუქნევდა ხმალს და ორივენი ერთად დაეცემოდნენ მკვდარნი. არც ლეკის მანდილოსნები იყვნენ უბრალო მაყურებელნი. ისინი გვერდში ედგნენ და ღირსეულად მხარს უჭერდნენ თავიანთ ქმრებს, ძმებს და შვილებს.

ყაზი მულლამ გაგზავნა კაცი ჰამზად ბეგთან, რომ მოშველებოდა. ჰამზად ბეგი მოვიდა სოფელ ირგინაიში ათასი მეომრით. მეორე დღეს გავიდა გიმრისაკენ და გიმრიდან ორი კილომეტრის მანძილზე, ნარატის მთაზე დადგა. რა დაინახა ჰამზადმა ცეცხლმოკიდებული გიმრი, რუსის ჯარი, ვერ გაბედა ჩასულიყო გიმრის ხეობაში და დარჩა გულგრილ მაყურებლად, თუ როგორ გმირულად იხოცებოდნენ მისი თანამოძმენი.

ლეკებმა ვერ გაუძლეს რუსებს. სიმრავლემ სძლია მათი თავგანწირული ვაჟკაცობა. სოფლის შესავალში იდგა კოშკი. ამ კოშკში ჩაიკეტა ყაზი მულლა თექვსმეტი მისთვის თავდადებული მიურიდით. იდგა ყაზი მულლა გატვრინული და ერთ სარკმელში იყურებოდა. ჰხედავდა ყაზი მულლა მთლად მის თანამოძმეების სისხლში მოსვრილ რუსის ჯარისკაცებს, რომელნიც კოშკის კარების წინ იდგნენ ჯგუფად. ხედავდა ქუჩებში მიყრილ-მოყრილ დაჩეხილ გვამებს, ესმოდა ცეცხლის გუგუნი და ტკაცა-ტკუცი, ესმოდა ქარის ზუზუნი, ხედავდა თავის მშობლიურ სოფელს ნანგრევებად ქცეულს, გადამწვარს და განადგურებულს. სოფელს, სადაც პირველად გაახილა თვალები, გაატარა ბავშვობა, სიჭაბუკე და გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე.

მიურიდები გაქვავებულნი იდგნენ.

„ — დაჰკრა ჩემმა საათმა, — წარმოსთქვა ყაზი მულლამ ბოლო წუთებში, რა მიუბრუნდა მიურიდებს, — წმიდა შარიათისთვის და სამშობლოსთვის სიკვდილს ვირჩევ სამარცხვინო გაქცევაზე და ტყვეობაზე. ვინც სხვანაირად ფიქრობს, შეუძლიან თავს უშველოს, ვინც გადარჩება, იმას ვაბარებ, გადასცეს ხალხს, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ღირსად ვსთვლი დადგეს დაღესტნელების მოთავედ და უხელმძღვანელოს ღაზავათს სამ პირს: გოცატლელ ჰამზათს, აბდულა აშილტლელს და შამლელ სანდარს“.

ამ სიტყვებით ჩამოსწია წარბებზე ქუდი, იშიშვლა ხმალი, გავარდა კოშკიდან და დაერია მახლობელ რუსის ჯარისკაცების გუნდს. ხიშტებით განგმირული პირველი იმამი დაღესტნისა ყაზი მულლა დავარდა და მორწყო თავისი სისხლით მშობლიური მიწა.

მეორე დღეს ნახეს ყაზი მულლას გვამი. ერთ ხელს წვერი ეჭირა და მეორე ზეციისკენ ჰქონდა აშვერილი. ასე მოკვდა ყაზი მულლა გმირულად, უთანასწორო ბრძოლაში თავისი მშობლიური სოფლის შესავალში, მოკვდა ისე, როგორც უნდა მომკვდარიყო, ლეკების თქმით, ბოლოს გუნიბზე შამილი.

ყაზი მულლა დამარხულია სოფელ ტარკში, პეტროვსკის ახლოს.

ასე მოკვდა პირველი იმამი დაღესტნისა, ეს უაღრესი ფანატიკოსი, რომელიც ლამობდა არამცთუ დაეცვა დაღესტანი, არამედ ბორკილები დაედო ხონთქარისთვისაც.

ჰამზათ ბეგი

მეორე იმამი დაღესტნისა ჰამზათ ბეგი დაიბადა 1789 წ. ავარიაში, სოფელ გოცატლში, რომელიც მდებარეობს ჰუნზახიდან თვრამეტ კილომეტრზე. ჰამზათი იყო შორეული ნათესავი ავარიის ხანებისა. მამა ჰამზათისა ალესკენდერ ბეგი იყო კაცი მამაცობისათვის დიდად პატივცემული ავარიელებისაგან. ავარიის ხანი ალი-სულთან ახმედ ხანი საიმისო მძიმე საქმეებში ეკითხებოდა ალესკენდერს, რომელიც ყოველთვის ბრძნულ დარიგებას აძლევდა ხანს.

1801 წ. მამამ მისცა ჰამზათ ბეგი მოლა მაჰამედ ეფენდის, რომელიც ცხოვრობდა სოფელ ჩოხში, ანდალიალის საზოგადოებაში. ჰამზათ ბეგმა, როგორც დიდი ნიჭით დაჯილდოებულმა, ძალიან ჩქარა შეისწავლა არაბული ენა. იყო ამასთან ერთად დიდი მეცადინე, კითხულობდა წიგნებს; სწავლის შემდეგ, დასვენების დროს, უყვარდა თოფის სროლა და რამდენჯერმე დააზიანა ტყვიით მეჩეთის მინარეთზე ნახევარი მთვარე.

თორმეტი წლის შემდეგ მაჰამედი ეფენდი მოკვდა. ჰამზათ ბეგი წავიდა ჰუნზახში და მიებარა ყადი ნურ-მაჰამედს; ალი-სულთან ახმეტ-ხანის ქვრივმა, პახუ-ბიკემ მიიყვანა ჰამზათი თავისთან და დაასახლა თავის სახლში. პახუ ბიკე ექცეოდა ჰამზათს, როგორც მახლობელ ნათესავს, უყვარდა, როგორც შვილი და არაფერს არ აკლებდა.

ჰამზათ ბეგი იყო შუა ტანისა, წარმოსადეგი, მიმზიდველი, ლამაზი სახისა. დადიოდა ყოველთვის თეთრ ჩოხაში. ფაფახზე ჰქონდა ჩალმა, ლურჯი, თეთრი ან შავი, როგორც მოითხოვდა გარემოება და ჩვეულება. ბუნებით იყო ძალიან ჭკვიანი, ნიჭიერი და სწავლამ, რასაკვირველია, უფრო განავითარა. იყო ჩუმი, გამბედავი, არ შედრკებოდა, არ აირეოდა, რაც უნდა საშიში წუთები დასდგომოდა. იყო მორწმუნე, შეუბრალებელი, თავმოყვარე. თავის ბრძანებას ასრულებდა უყოყმანოდ, სწრაფად. „ღმერთისთვის და არა ჩემთვის“ — იტყოდა ხოლმე ჰამზად ბეგი. სამ წელიწადს მან მიაღწია მიზანს — დაამკვიდრა მიურიდიზმი მთებში თავის მეგობრების მხარდაჭერით და არა მეგობრების გვამებზე. ცოლის შერთვის შემდეგ ჰამზათ ბეგმა მიჰყო ხელი დროს ტარებას და შეეჩვია ღვინის სმას.

1829 წ. ჰამზათ ბეგი წავიდა ყაზი მულლასთან. იმამმა დიდის აღტაცებით და სიხარულით მიიღო ჰამზათი. ჰამზათ ბეგი შეიქნა ყაზი მულლას უერთგულესი მიმდევარი და თანაშემწე. დაანება ღვინის სმას თავი, განუშორებლივ იყო ყაზი მულლასთან ყველა ქადაგებასა და ბრძოლაში. მათ ერთად გაავრცელეს მიურიდიზმი კაისუბუში, გუმბეტში, ანდში და ერთად იბრძოდნენ ჰუნზახზე დაცემაში.

გიმრის აღება და ყაზი მულლას სიკვდილი ჰამზათ ბეგმა გაიგო შუაღამეს. ჯერ არა სჯეროდა, მაგრამ ამოვიდა მზე თუ არა და დაინახა მინგრეულ-მონგრეული სოფელი და რუსის ჯარი, დარწმუნებულმა დაიწყო ტირილი, შემდეგ მიეცა ძილს, მახლობელნი აღვიძებდნენ, მაგრამ ვერ გამოაღვიძეს. სარწმუნოებრივი ფანატიზმით გამსჭვალული მთიელები რაღაც სასწაულს მოელოდნენ. ჰამზათ ბეგმა გამოიღვიძა თუ არა, მიჰმართა ხალხს, ვითომ ზეცისგან შთაგონებული სიტყვებით: „ყაზი მულლა არ მომკვდარა, ის წმინდანია, ის სამოთხეშია და მშვენიერნი ჰურიები /ასულნი/ უტკბობენ მას ახალ ცხოვრებას. ყოველ თქვენგანს, მართლმორწმუნე მუსლიმანებს, შეუძლია იყოს მასთან, თუ მიჰბაძა მის მაგალითს, ის კი წმიდად ასრულებდა შარიათს. პირველმა გამოაცხადა ღაზავათი და მოკვდა მხურვალე ლოცვით, იარაღით ხელში, სამშობლოს დაცვაში, იცით თუ არა, რომ ყაზი მულლა არ დაგვტოვებს ჩვენ და ჩვენთან ერთად იმოქმედებს ურწმუნოების წინააღმდეგ, თუ ჩვენ თავს არ მივანებებთ ღაზავათს და მივყვებით მის წმინდა მოძღვრებას, ჩვენ მას ვერ დავინახავთ, მაგრამ

ის თავზარს დასცემს მტერს ბრძოლის დროს თავის მოჩვენებით თეთრ ცხენზე, მწვანე ტანისამოსში, გარშემორტყმული იმ მიურიდებითა, რომელნიც დაიხოცნენ მასთან ერთად. შევარდება ყაზი მულლა მტრის რაზმებში, მისი ხმალი მუსრს გაავლებს და შიშით ზარდაცემული მტერი გაიფანტ-გამოიფანტება".

ჰამზათ ბეგის სიტყვებმა იმოქმედა მსმენელებზე, აღუძრა ფანატიზმი. ნარატიდან ჰამზათ ბეგი დაბრუნდა თავის სოფელში გოცატლში. რამდენიმე ხანს არაფერს არ მოქმედებდა, მხოლოდ არწმუნებდა ხალხს, რომ ნარატინის მთაზე ზეციდან შთაგონებული მართალი იყო. ამით, რასაკვირველია, ნიადაგს ამზადებდა თავის მომავალი მოქმედებისათვის.

ყაზი მულლას სიკვდილის შემდეგ შეიკრიბნენ ჰამზათ ბეგი, აბდულა ამილტლელი და შამლელი სანდა იმამის ასარჩევად. თანმხდებიან ერთმანეთში, რომ იმამად უნდა იყოს ჰამზათი.

დაახლოებით 1833 წ. ჰამზათ ბეგმა გაუგზავნა ხალხში მოწოდებები დაღესტნის ყველა მოლასა და მამასახლისს, რომ შეგროვილიყვნენ სოფელ ყოროდაღში. დანიშნულ დღეს შეგროვდნენ მოწვეულნი ყოროდაღში. აიკსო მეჩეთის ეზო ხალხით. შუადღისას ჰამზათ ბეგი მოვიდა ცხენით თავის შეიარაღებული ამალით. ამაყად და გაბედულად შევიდა ჰამზათი მეჩეთში, შეასრულა ნამაზი და მიჰმართა ხალხს სიტყვით:

„ — ბრძენო და პატივცემულნო მოლებო, თემების წარმომადგენელნო და გმირო ხალხო დაღესტნისავ! ყაზი მულლა ლოცულობს თქვენთვის ზეცაში, უნდა ვიყვნეთ ჩვენ მისი უმადურნი? განა უნდა დავეცნეთ სულით ყაზი მულლას სიკვდილის შემდეგ, წმინდანის, რომელიც ყოველ საქმეში მოგვეშველება ჩვენ, ჩვენი გულისათვის თავს დაანებებს ჰურიებს და სამოთხეს, რომ მოგვეშველოს ჩვენ ურწმუნო მტერთან ბრძოლის დროს? შარიათი მოითხოვს ბრძოლას მტრებთან, რომ გავათავისუფლოთ ჩვენი თანამოძმეები მათი ბატონობისაგან. ვინც მოკვდება ბრძოლაში, მას მოელის სამოთხე მთელი ჰურიებით და ნეტარებით. წადით თავ-თავიანთ ალაგას, შეკრიბეთ ხალხი, ჩააგონეთ ყაზი მულლას დარიგება. უთხარით, რომ, თუ არ ვემსახურეთ დიდ საქმეს — სამშობლოს გათავისუფლებას, ჩვენი მეჩეთები გარდაიქცევიან ქრისტიანების ეკლესიებად, ჩვენ ყველას დაგვიმონებენ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან დავრჩეთ უიმამოდ. ყაზი მულლამ ამირ-

ჩია მე თავის თანაშემწედ, დამადგინა მემკვიდრედ. მე ვუცხადებ ურწმუნოებს ღაზავათს და ამის შემდეგ მე ვარ თქვენი უფროსი, იმამი!“:

აქ არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ მიურიდიზმი, აღმოცენებული წმიდა სარწმუნოებრივ ნიადაგზე, ღებულობს პოლიტიკურ-ეროვნულ ხასიათს, რაც ნათლად ჩანს ჰამზათ ბეგის სიტყვებიდან. მესამე იმამის, შამილის, დროს ხომ მთლად გადავიდა ეროვნულ ნიადაგზე.

ხალხს მაინცდამაინც არ უყვარდა ჰამზათ ბეგი. ახსოვდა მისი „რაინდობა“ — გიმრში როგორ გულხელდაკრეფილი იდგა ნარატინის მთაზე და, როგორც უბრალო მოწმე, უყურებდა ცეცხლის ალში გახვეულ სოფელ გიმრს, სადაც გაშმაგებულნი, მტრებით გარშემორტყმულნი, გმირულად ლევდნენ სულს მისი თანამოძმენი და იმამი ყაზი მულლა.

ამისათვის ჰამზათ ბეგის მოწოდებამ იმდენად ვერ იმოქმედა ხალხზე. ხალხში ყოყმანი და ჩურჩული შეიქნა. მოისმა საწინააღმდეგო ხმა. თემების წარმომადგენლებსაც უკმაყოფილება დაეტყოთ. უკმაყოფილება რომ არ გავრცელებულიყო მთელ ხალხზე, ჰამზათ ბეგმა ანიშნა ხელით, გაჩუმებულიყვნენ და წამოიძახა ბრძანების კილოთი:

„ — მუსლიმანებო! ვხედავ, რომ რჯული სუსტდება თქვენში. ჩემი მოვალეობაა, როგორც იმამისა, დაგაყენოთ იმ გზაზე, რომელსაც თქვენ გადაუხვიეთ. მე მოვითხოვ მორჩილებას და თუ არა, ჰამზათი დაგიმორჩილებთ იარაღით!“.

მრისხანე სახე ჰამზათისა, რომელსაც ხელი ხმლის ვადაზე ედო, მისი ერთგულების მასთან მიახლოვება, ერთგულებისა, რომელნიც ყველაფერში მზად იყვნენ იმამისათვის თავი შეეწირათ — ყოველივე ეს ხალხს აკრთობდა. აქა-იქ თანხმობის ჩურჩული მოისმა. წინააღმდეგი არც ერთი ხმა არ გაგონილა. ჰამზათ ბეგი გამოვიდა მეჩეთიდან, შეახტა ცხენს და მოკურცხლა სოფლიდან, მიჰყვნენ მიურიდებიც ცხენების ჯირითით და თოფების სროლით.

ჰამზათ ბეგმა გამოაცხადა თავისი თავი იამამად, მაგრამ დაღესტნელები მაინც არ თანაუგრძნობდნენ მის იმამობას; როგორც ზევითა ვთქვით, ჰამზათ ბეგს დიდი დანაშაული მიუძღოდა დაღესტნელების თვალსაზრისით, რადგანაც გიმრში არ მიეშველა ყაზი მულლას, მეორეც ის, რომ, ხალხის აზრით, მართლმორწმუნეების წინამძღოლად

უნდა ყოფილიყო სასულიერო პირი, რომელსაც უფრო მეტი გავლენა ექნებოდა ხალხში, ვიდრე ჰამზათს.

ხალხი ღელავდა. შეიძლებოდა განხეთქილება, არევ-დარევა მომხდარიყო დაღესტანში და მით სამუდამოდ აღმოფხვრილიყო მიურიდიზმი, ეს დაღესტნის სხვადასხვა ხალხის, თემების სარწმუნოებრივი შემაკავშირებელი, სარწმუნოებრივი მოძღვრება. ამასთან, რასაკვირველია, დაღესტანი დაჰკარგავდა თავისუფლებას, პოლიტიკურ თვითარსებობას. ამას ხედავდა შამილი, რომელიც მძიმედ დაჭრილი იწვა სოფელ უნცულკულში. საფრთხე რომ მოეშორებინა, შამილმა მოსწერა წერილი ხალხს: „ღმერთისა მონისაგან, წინასწარმეტყველისა და ყაზი მულლას მსახურისაგან: რუსები დღესასწაულობენ; გიმრი აღებულია, ჩვენი იმამი აღარ არის, ისლამის დაცვისათვის საჭიროა ერთსულოვნება. ვინც უნდა იყოს მიურიდების წინამძღოლი, ჩააგონეთ ხალხს, რომ დაემორჩილოს მას ჯერჯერობით; ნუ გახდებიან ჩვენი მთიელები ძაღლებად. ღმერთო, მაპატიე, ნუ სჭამენ ერთმანეთს დიდების მოყვარეობის ძვლის გულისათვის, რადგანაც ეს ძვალი შეიძლება მოიტაცონ ურწმუნოებმა. შეეერთდეთ ყველანი ახალი ძალით, მოვიხმოთ ღმერთი საშველად, ავირჩიოთ კაცი, რომ წაგვიძღვეს წინ. ასე შვრებოდნენ, ასე იქცეოდნენ ჩვენი მამები, პირველი მუსლიმანები. მშვიდობა თქვენდა“.

ეს წერილი იყო საკმარისი, რომ დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა დაღესტნელებზე. შამილის წერილი გავრცელდა მთელ დაღესტანში და ამის შემდეგ დაღესტნელები სრულიად დაემორჩილნენ ჰამზათ ბეგს და მის ბრძანება-განკარგულებას.

დამკვიდრდა დაღესტანში იმამად თუ არა, ჰამზათ ბეგმა, როგორც ყაზი მულლამ, გასცა სასტიკი ბრძანება, რომ არავის მოეწია თამბაქო, დაელია მაგარი სასმელი, ღვინო და არაყი. მიურიდიზმის მიმდევრებს უნდა შეეკრიჭათ ულვაში ზემო ტუჩის თანასწორად. ვინც ამ ბრძანებას არ შეასრულებდა, ჩასვამდა ორმოში და დასჯიდა ორმოცჯერ ფეხის ქუსლებში ჯოხის დარტყმით.

1833 წ. ჭარ-ბელაქნელებმა მიიწვიეს ჰამზათ ბეგი. ჰამზათი ჩავიდა ჭარ-ბელაქანში, ააღელვა იქაური ლეკები და დაუწყო რუსებს ომი, მაგრამ დამარცხდა. შემოდგომა იყო. მთებზე მოვიდა დიდი თოვლი, დაღესტანში გადასვლა შეუძლებელი შეიქმნა. ჰამზათ ბეგმა გამართა მოლაპარაკება ჭარ-ბელაქანში მდგარი რუსის ჯარის უფროსთან, ღენ-

ერალ სტრეკალოვთან. ჰამზათ ბეგი აძლევდა სტრეკალოვს პირობას, თუ რუსის მთავრობა მისცემდა მას პენსიას, იგი დაითხოვდა მიურიდებს. სტრეკალოვმა გაგზავნა ჰამზათი თბილისში მთავარმართებელთან. მთავარმართებელმა უთხრა ჰამზათ ბეგს, რომ ჯერ უნდა დაიმსახუროს პენსია და მერე მთხოვოსო. ჰამზათი დაიჭირეს და ჰყვანდათ თვალქვეშ, როგორც მეამბოხე. არ გაიარა ბევრმა ხანმა. ყაზიყუმუხის ხანმა ასლანმა სთხოვა რუსის მთავრობას, გაეთავისუფლებინა ჰამზათი, ამასთან ამანათად წარუდგინა ჰამზათის ძმისწული.

ჰამზათ ბეგი დაბრუნდა ავარიაში, თავის სოფელ გოცატლში. დაბრუნებისთანავე შეუდგა საქმეს. უპირველესად ის შეუდგა ჰუნზახის დამხობას. რამდენიმე დიდრონი სოფელი ჩამოაცალა ავარიის ხანებს ზოგი ნებაყოფლობით და ზოგიც ძალით. ავარიელები, საზოგადოდ, უკმაყოფილონი იყვნენ პახუ ბიკესი, რადგანაც ემორჩილებოდა რუსებს. ჰამზათი გარს შემოერტყა ჰუნზახს. მიიტანა რამდენიმე იერიში, მაგრამ ვერ სძლია ჰუნზახელებს. ჰუნზახელები მედგრად იბრძოდნენ. ჰამზათი დაბრუნდა გოცატლში.

ავარიის ხანების მოხუცმა დედამ პახუ ბიკემ გაგზავნა ექვსი გაბუსურბუნებული ქართველი /ეს ქართველები იყვნენ სოფელ კახიდან/ ჰამზათ ბეგის მოსაკლავად. პარასკევი იყო. მკვლელები დადგნენ ჰამზათ ბეგის ბიძაშვილთან — მურთუზ ალისთან. იმამს შეატყობინეს შეთქმულება.

„არაფერია, — სთქვა ცივად ჰამზათმა, — არაფერი არ მოხდება ულმერთოდ, სწერია ყურანში და არავის არ შეუძლიან აიცილოს თავიდან ის, რაც უწერია კაცს ბედის წიგნში. მოვემზადე სალოცავად და წავალ კიდევაც. თქვა ეს ჰამზათ ბეგმა და წავიდა მეჩეთში. ისმოდა სიტყვები „მოდის“! სჩანდა სათოფურებიდან გამოშვერილი თოფების ტუჩები, მაგრამ თოფი არ გავარდნილა. ჰამზათ ბეგმა ილოცა და დაბრუნდა შინ თუ არა, დაუძახა თავის ბიძაშვილს მურთუზ ალის.

— „როგორ, შენ, რომელიც ჩემს ძმად ითვლები, დავარდი იმ სიმდამბლემდინ, რომ შეიფარე სახლში იმისთანა პირნი, რომელნიც მოვიდნენ იმისათვის, რომ მოვეკალ ქურდულად?!“.. — მიუბრუნდა ჰამზათ ბეგი თავის ბიძაშვილს.

— მე არ შემეძლო არ ამესრულებინა ბრძანება მძლავრისა, — სთქვა მურთუზ ალიმ.

— მძლავრები არ არიან ხანები, რომელნიც რყვნიან ხალხსა, შენ

ეხლავე დაინახავ, რომ მძლავრია ის, ვისაც ეშინიან ღმერთისა, აი, შენი სტუმრები, — განაგრძო ჰამზათმა, — აჩვენე მათ შენი სტუმართ-მოყვარეობა, მოაგდებინე თავები, თუ არა, პირველი შენ გაგორდები."

მურთუზ ალიმ ხუთს მოაგდებინა თავი, მეექვსეს, რომელიც იყო თექვსმეტი წლისა, ჰამზათმა აპატია. ამის შემდეგ ჰამზათ ბეგმა ანიშნა მიურიდებს და მურთუზ ალი დავარდა მკვდარი.

ჰამზათ ბეგს აწუხებდა გულზე მუწუკი და სანამ ეს მუწუკი არ გამოირწყებოდა, ის ვერ მოისვენებდა. ეს მუწუკი იყო ჰუნზახი და მისი მფლობელნი ნუცალ ხანები. სანამ ჰუნზახი ფეხზე იდგა, მიურიდიზმი ვერ დამყარდებოდა დაღესტანში და მით ვერ მიაღწევდა მიზანს — რუსების გარეკვას დაღესტნიდან, დაღესტნის გაერთიანებას და გათანასწორებას მისი ხალხისა. ხანები კი ამის წინააღმდეგნი იყვნენ, ემორჩილებოდნენ რუსებს და არ სწამდათ მიურიდიზმი და ღაზავათი. ამისათვის უნდა მოესპოთ ჰუნზახი, ხანების მთელი საგვარეულო. ამ აზრისანი იყვნენ როგორც ყაზი მულლა, ისე ჰამზათ ბეგი და მათ შემდეგ შამილი.

თორმეტი ათასი კაცით ჰამზათ ბეგი მიადგა ჰუნზახს.

„ — ჩვენი შეცდომები იმაშია, — მისწერა ჰამზათმა ხანს, — რომ იმ დროს, როდესაც ჩვენი რჯულის საერთო მტერი — რუსები გვყავს, ჩვენ ერთიერთმანეთს ვმტრობთ. ეს არ უნდა იყოს. ეს რუსებისათვის ხელსაყრელია. ისლამი დასუსტდა დაღესტანში. ჩვენი ხალხი მისდევს ლოთობას და გარყვნილობას, ბევრად არ განირჩევიან ურწმუნოებისაგან. ჩვენი მოვალეობაა, შევიტანოთ შარიათი და გავამაგროთ რჯული. უძველეს დროიდან შენ წინაპრებს ეკუთვნოდათ უფლება ხალხზე და ეს უფლება შენზე გადმოვიდა, ამისათვის სხვებზე მეტად შენთვის უფრო ადვილია წინაპრების რჯულის წმიდად შენახვა და ხელი შეუწყო შარიათის დამყარებას. მეც მაგაზე ვზრუნავ. მე მინდა ჩვენი შეხვედრა, მოლაპარაკება ერთი ერთთან, ამისათვის რომ მიიღო იმამობა და ააზამობა /მართლმორწმუნეების მოთავეობა/. დარჩები იმავე დროს ხანადაც. როგორც მუსლიმანი, შენ ვალდებული ხარ, ეს იკისრო ხალხისთვის და, თუ გინდა, რომ აიღო დიდი ცოდო, იყო მიზეზი დამღუპველი ძმათა შორის სისხლის ღვრისა, თუ ალლაჰს ნებავს, რომ იღვაროს სისხლი, დეე, იღვაროს რჯულისათვის მტერთან ბრძოლაში. მხოლოდ ამისათვის ვიკისრე იმამობა, რომელსაც არასდროს

არ ვეძიებდი. თუ შენ იკისრებ, მე მზადა ვარ, თავი დავანებო იმამობას და, თუ საჭიროა, მოგცე ფიცი, რომ ვიქნები ამსრულებელი შენი ნებისა, თუკი, რასაკვირველია, მიმართული იქნება იგი დაღესტნელების შესაკავშირებლად და წინასწარმეტყველის წმიდა რჯულის დასამყარებლად, მზადა ვარ".

ნუცალ ხანმა გაგზავნა ამანათად ჰამზათ ბეგთან უმცროსი ძმა ბულაჩ ხანი. ჰამზათ ბეგმა ბულაჩი გაგზავნა გოცატლში თავის ბიძა იმამ ალისთან. შემდეგ ავარიის ხანმა გაგზავნა ჰამზათთან მეორე ძმა უმა ხანი.

— რა მოლაპარაკება შეუძლია თექვსმეტი წლის ბალღს, — უთხრა დედამ პახუ ბიკემ უფროს ვაჟს ნუცალ ხანს, — შენ თვითონ უნდა წახვიდე და მოელაპარაკო და თუ გეშინიან, მე თვითონ წავალ.

— კარგი, მე შევასრულებ შენ სურვილს, — თქვა ნუცალმა, — მაგრამ იცოდე, რომ შენ ჰგზავნი შვილს დასაღუპავად. სიკვდილის მე არ მეშინიან. მზათაცა ვარ დავდო თავი მხოლოდ ბრძოლაში სამშობლოს და წინაპრების კერის დასაცავად და არა სამარცხვინო ტყვეობაში ვიღაც გოცატლელ მაწანწალასთან. ამას ვგრძნობ, მაგრამ... ჩანს, ეს არის დაწერილი ბედის წიგნში.

ნუცალ ხანი წავიდა ჰამზათ ბეგთან ბანაკში ასი კაცით. ჰამზათ ბეგი დაუხვდა ხანს აღფრთოვანებით და დიდის პატივით. ჰამზათ ბეგი და ხანები, ძმანი ნუცალი და უმა, შევიდნენ იმამის კარავში. ამ დროს შამილს მოუვიდა პახუ ბიკედან წერილი, სადაც წერდა: „გინდა მიიღო ასი თუმანი? მოშორდი თავის ჯარით და რაც მოუვა შემდეგ ჰამზათს, ეს შენი საქმე არ არის". შამილმა ეს წერილი მაშინვე გადასცა საიდუმლოდ ჰამზათს. ჰამზათმა იკბინა თითზე და მის გულში ჯოჯოხეთი დატრიალდა. ხანების მხლებლებიდან ასი კაცი დასტოვა, დანარჩენები გაისტუმრა. ეხლა ეძებდა რამე საბაბს, რომ ხანები დაეხოცა. საბაბიც ჩქარა მიეცა.

ჰუნზახზე გამოლაშქრების ერთი წლის წინათ ჰამზათ ბეგის ბიძაშვილი ამირ ალი მოკლა სოფელ ცუდახარის მცხოვრებმა ბულამ. მიურიდებმა იცნეს კარავში ბულა, რომელიც ხანების ამალაში ერია და უთხრეს ჰამზათ ბეგს. ჰამზათ ბეგმა მოითხოვა ხანებისაგან ბულა. ამ დროს ერთმა ჰუნზახელმა დაიყვირა:

„ — არ მისცეთ ბულა, ჰუნზახელებო! მიურიდები ეხლა ბულას წაიყვანენ, შემდეგ ყველას ჩვენ. მაგათ ჩვენი დახოცვა უნდათ".

ამ სიტყვებით ჰუნზახელმა დასცა დამბაჩა ერთ მიურიდს და მოჰკლა, ჰამზათ ბეგმა ანიშნა მიურიდებს და თვითონ გავიდა კარავიდან, გადავიდა მახლობელ ხევში და იქ ელოდებოდა ხოცვა-ჟლეტის გათავებას. ამით მოარიდა თავი.

ატყდა კარავში საშინელი ბრძოლა. დადგა ხანჯლების ტრიალი. უმა ხანი მოკლეს, ვინც კარავში იყვნენ, სულ ამოჟლიტეს ერთმანეთი. გადარჩა ერთადერთი ცოცხალი ნუცალ ხანი. მთლად სისხლში მოსვრილი, ხმალამოღებული ნუცალი გავარდა კარავიდან და, როგორც ლომი, ეცა მიურიდებს. ატყდა საშინელი სისხლის ღვრა. მიურიდები გარს შემოერტყნენ ერთ მუჭა ჰუნზახელებს, რომელთაც ისღა დარჩომოდათ, რომ, რაც შეიძლება, ძვირად დაესვათ ვერაგი მიურიდებისათვის თავიანთი სიკვდილი. როგორც კლდე, ისე იდგა ნუცალ ხანი. მის გარშემო გროვა იდგა მის მიერ დახოცილი მიურიდების გვამებისა. ბევრ ხანს იბრძოლა ავარიის ხანმა, ბოლოს განგმირული დაავარდა მკვდარი. არც ერთი ჰუნზახელი არ გადაურჩა ამ ჟლეტას. ყველამ გმირულად დალია სული თავიანთ ხანთან ერთად.

ჰუნზახელებს თავზარი დაეცათ. ჰამზათ ბეგი შევიდა ჰუნზახში უბრძოლველად. იმამმა გასცა ბრძანება, რომ დაერბიათ ეს „საზიზღარი“ სოფელი. თვითონ შევიდა ხანების სახლებში და იქ დადგა საცხოვრებლად, მოაყვანინა პახუ ბიკე.

— მომილოცია შენი გამარჯვება, რომლის მზგავსი ჯერ არ უნახია ქვეყანას, — უთხრა სამოცი წლის პახუ ბიკემ ჰამზათს, — სად მიბრძანებ წავიდე იმ სახლიდან, რომელიც მერგო წინაპრებიდგან.

— წადი შენ მეგობარ კახელებთან და გადაეცი ჩემ მაგივრად სალამი, — ცივად უპასუხა ჰამზათმა.

ამ დროს მივარდა ერთი მიურიდი, სტაცა ხელი პახუ ბიკეს, ჩაიყვანა თავლაში და მოაგდებინა თავი. დარჩა უმა ხანის ქვრივი. იმას ხელი არ ახლეს, რადგანაც ფეხმძიმედ იყო და შარიათის კანონით ფეხმძიმე ქალის მოკვლა სასტიკათ აკრძალულია. ამ ქვრივმა შემდეგ შობა ვაჟი, რომელსაც ბოლო მოუღო შამილმა.

ჰუნზახელები და საზოგადოდ ავარიელები დიდად აღშფოთებულნი იყვნენ ჰამზათ ბეგზე. მოხუცი იაზულ ჰაჯი უსაყვედურებდა შვილისშვილებს ოსმანს და ჰაჯი მურადს, რომ ისინი არ იღებენ სისხლს, რომ ისინი მოვალენი არიან, როგორც ძუძუთა ძმები, დახოცილ ნუცალ და ბულარ ხანებისა.

ოსმანი და ოცი წლის ჰაჯი მურადი რამდენიმე ერთგულ ჰუნზახელებით შეითქვნენ ღამე ოქრომჭედლის თეიმას ხანის სახელოსნოში, შეჰფიცეს ყურანზე, რომ ისინი მოჰკლავდნენ ჰამზათ ბეგს ახლო მომავალ დიდ უქმეს მეჩეთში. შეთქმულები გასცა ოსმანის და ჰაჯი მურადის ბიძაშვილმა ჰაჯი აუმ.

მოვიდა დიდი უქმეც. ჰამზათ ბეგი მოემზადა მეჩეთში შესასვლელად. ერთმა მიურიდმა გააფრთხილა იმამი, რომ მას ლოცვის დროს უეჭველად მოჰკლავენ. ჰამზათმა ჰკითხა მიურიდს:

— „შეგიძლიან გააჩერო ანგელოზი, რომელსაც ალლაჰი გამოგზავნის შენი სულისათვის“?

— რასაკვირველია, არა, — უპასუხა მიურიდმა.

— მაშ, წადი არხეინად შინ და იცოდე, რომ არავის არ შეუძლიან აიცილოს ის, რაც უწერია ზეცით“.

ჰამზათ ბეგმა გასცა ბრძანება, რომ მეჩეთში იარაღით არავინ შესულიყო. სამი დამბაჩით შეიარაღებული ჰამზათი შევიდა მეჩეთში. წინ უძღოდა თორმეტი ხმალამოწვდილი მიურიდი. შევიდა მეჩეთში თუ არა, ჰამზათმა დაინახა რამდენიმე ნაბადში გახვეული კაცი. ნიშანი ცუდი იყო, მაგრამ უკან დახევაც არ შეიძლებოდა. ამ დროს მივარდა ოსმანი და დაჰკრა ჰამზათს გულში ხანჯალი. იმამი დაეცა მკვდარი, მაგრამ ოსმანიც ზედვე აჩეხეს მიურიდებმა. ჰაჯი მურადი მივარდა კარებს და ჩაკეტა, რომ გარედან არ შემოსულიყვნენ მეჩეთში. ჩამწყვდეულ ჰამზათ-ბეგის მიურიდებსა და ჰუნზახელებს შორის ასტყდა საშინელი ხმალ-ხანჯალის ტრიალი. ხელჩართულმა ბრძოლამ ბევრ ხანს არ გასტანა, არც ერთი მიურიდი არ გადარჩა. უცბად გაიღო კარები და მთლად სისხლში მოსვრილი, სისხლიან ხმალამოწვდილი გამოვარდა მეჩეთიდან ოცი წლის ჰაჯი მურადი.

„ — ძაღლი ძაღლურად მოკვდა, დაჰკარით ჰუნზახელებო, არც ერთი მიურიდი არ გაუშვათ ცოცხალი!“ — შეჰყვირა მეჩეთის მოედანზე შეგროვილ ჰუნზახელებს ჰაჯი მურადმა.

დაერივნენ გააფთრებული ჰუნზახელები მიურიდებს და ზოგნი ამოჟლიტეს, ზოგნიც გააქციეს ჰუნზახიდან. ჰამზათ ბეგის გვამი ათრია ხალხმა, დასცინა და მტვერში მოსვრილი, დასახიჩრებული ოთხი დღე ეგდო ჰუნზახის მოედანზე.

ჰაჯი მურადმა მთლად გასწმინდა ჰუნზახი მიურიდებისაგან, ჰამზათ ბეგის მოკვლა მოხდა 1834 წ. 19 ენკენის თვეს.

შამილი

ა

სხვადასხვა აზრი შამილზე, შამილის ვინაობა, შამილი სიჭაბუკეში, შამილის სწავლა, შამილი ყაზი მულლასთან, შამილის მონაწილეობა გიმრის ბრძოლაში და ამაზე სხვადასხვა ვერსია. ალიხან ავარსკი. შამილის იმამად გახდომა.

ჰამზათ ბეგის შემდეგ დაღესტნის იმამი გახდა შამილი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთ იმამზე, არც ყაზი მულლაზე და არც ჰამზათ ბეგზე არ არსებობს ისე სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი მათ ცხოვრებაზე მკვლევართა შორის, როგორც შამილზე. სხვადასხვა აზრისანი არიან მკვლევარნი, მაგალითად, შამილის ვინაობაზე, მის ჩამომავლობაზე, მის იმამად გახდომაზე, როგორ მოიქცა გიმრის ბრძოლის დროს და მის დახასიათებაზე, როგორც პიროვნებისა. ეს, საზოგადოდ, ასეა ხოლმე დიდ ისტორიულ პიროვნებაზე. ყველა ამას თავის ალაგას აღვნიშნავთ.

ერთი წყაროებიდან შამილი დაიბადა 1799 წ. სოფელ გიმრში, ავარიაში, მის სახლსა და ყაზი მულლას სახლს ოთხი თუ სამი სახლი ჰყოფდა. მამა შამილისა იყო ავარიის უზდენი /მოქალაქე/ დენგაუ მაჰამედი, შვილი ალისა. დენგაუ იყო ჩამომავალი ყუმიხელ ამირხანისა, რომელიც ცნობილი იყო მთელ დაღესტანში. დედა შამილისა იყო ავარიის ბეგის /აზნაურის/ პირ-ბუდარის ასული შანუ მესდუ.

ნამდვილი სახელი შამილისა იყო ალი, პაპის სახელი. ბავშვობაში შამილი იყო სუსტი, გამხდარი და ძალიან ხშირად ავადობდა. მეზობლები ურჩევდნენ შამილის დედ-მამას, ბავშვისთვის სახელი გამოეცვალათ. ხალხის რწმენით, სახელის გამოცვლით ბავშვი კარგად გახდებოდა, დაარქვეს შამუილი /სამუილი/ — აქედან შამილი.

მეორე წყაროებიდან შამილი იყო შვილი იმავე დენგაუსი. დენგაუ იყო ვიღაც მაწანწალა მეცხვარე, ლოთი, თანამოძმეებისაგან გარიყული, ღარიბი. შვილი მისი შამილი დადიოდა ფეხშიშველა, დაგლეჯილ-დაფლეთილი სოფლიდან სოფელში და ჰყიდდა უვარგისი ჯიშის ატამს. ხანდახან დადიოდა მოლასთან და სწავლობდა ყურანის კითხვას.

მესამე წყაროებიდან შამილის ვინაობა არ არის გამორკვეული. საკამათოა, ვისი შვილი იყო შამილი, რა ჩამომავლობისა. ზოგიერთი ქართველი მწერალი იმ აზრის არის, რომ შამილი იყო ალექსანდრე ბატონიშვილის /მეფე ერეკლე II-ის შვილი/ უკანონო შვილი, ყაზი მულლა იყო შამილზე ოთხი წლით დიდი და თუ პირველი იმამი დაიბადა 1795 წ., შამილი დაიბადებოდა 1799 წ. ამ წელს ალექსანდრე ბატონიშვილი მართლაც იმყოფებოდა დაღესტანში საქართველოდან გავარდნილი. ალექსანდრე ბატონიშვილი იმყოფებოდა ავარიის ხანთან ჰუნზახში, ჰუნზახი კი გიმრზე საკმაოდ შორს არის და რომ შამილი გიმრელი იყოს — ეს ეჭვს გარეშეა. როგორ მოხვდა ბატონიშვილი გიმრს, ამ მაინცდამაინც უმნიშვნელო სოფელში, ან შამილის დედა ჰუნზახში — ეს ალლაჰმა უწყის.

თქმულება, რომ შამილი ალექსანდრე ბატონიშვილის უკანონო შვილი იყო, მეც გამიგია თუშეთში. ბიძაჩემი ლეო, რომელსაც გამოვლილი ჰქონდა შამილის დროის ბრძოლების ქარ-ცეცხლი და იყო ორი ტყვიით მკერდში დაჭრილი, იტყოდა ხოლმე: „ერთი ცნობილი თუში /სახელი დამავიწყდა/ დაეჭირათ ლეკებს ტყვედ და მიეყვანათ შამილთან ვედენში. თუში ვედენში /შამილის საცხოვრებელი სოფელი/ დარჩენილიყო, სანამ თუშები გამოისყიდნენ. ერთხელ შამილს დილით ადრე, სეირნობის დროს, დაენახა თუში და დაეძახნა. გამოკითხვების შემდეგ შამილს ეთქო თუშისთვის:

— „თუშებო, რა გინდათ ჩემგან, რას მერჩით ან თქვენ და ან საერთოდ ქართველები. მე ვებრძვი რუსებს — ჩვენ საერთო მტერს. მე მინდა გავრეკო რუსები დაღესტნიდან, საქართველოდან და მით აღვადგინო ჩემი წინაპრების ტახტი. მე მეფე ერეკლეს შვილიშვილი ვარ“.

ეს შეიძლება ერთგვარი პოლიტიკა იყო შამილისა, რომ მიემხრო ქართველობა თავისკენ, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია.

შამილი ბავშვობაში გამოკეთდა, რასაკვირველია, არა სახელის გამოცვლის მიზეზით. იყო ცოცხალი ბავშვი, ცქვიტი, გიჟობდა, მხოლოდ ისე, რომ სხვისთვის არა დაეშავებინა რა. გიმრის მოხუცნი ამბობდნენ შამილზე: შამილი იყო ყმაწვილობაში დაღვრემილი სახიანი, შეუპოვარი ხასიათისა, ცნობისმოყვარე, ამაყი. შამილს უყვარდა ვარჯიშობა, რომლითაც ცდილობდა განევითარებინა თავისი ფიზიკური

ძალა, წვრთნიდა თავის თავს სიცივე-სიცხეში. რაც უნდა თოვლი და ყინვა ყოფილიყო, შამილი დადიოდა ფეხშიშველა, გულგადაღეღილი, თავშიშველი. ისეთი თავმოყვარე იყო, რომ როდესაც ვინმე ღაბაღს, ან დოღს აიღებდა, მთლად იცვლებოდა სახეზე და მთელი კვირაობით არ გამოდიოდა ამხანაგებში.

სწავლობდა შამილი აგრეთვე ხმალ-ხანჯლის ხმარებას, თოფის სროლას. ოცი წლისა იყო შამილი, როდესაც ხტოდა თოკზე, რომელიც ეჭირა ორ კაცს აშვერილი ხელებით. სიგრძეზე ხტოდა რვა მეტრზე. იყო ღონიერი, გამბედავი. იყო პირველი გაქცევაში და ჭიდაობაში.

შამილი შეუდგა სწავლას. მიებარა სოფელ უნცუკლში თავის სწავლა-მეცნიერებით განთქმულ ჯემალ ელდინს. ჯემალ ელდინმა შეასწავლა შამილს თორმეტი წლის განმავლობაში ყურანი, არაბული ენა, ლოღიკა, გრამატიკა, რიტორიკა და გააცნო ფილოსოფია და კანონიკური მეტყველება.

დაასრულა სწავლა თუ არა, ახალი მოძღვრებით, მიურიდიზმით გატაცებული შამილი წავიდა 1819 წ. ყაზი მულლასთან, თავის საყვარელ ამხანაგთან. ყაზი მულლა ამ დროს იყო იარაგში მულლა მაჰამედთან. მას შემდეგ შამილი არ განშორებია ყაზი მულლას, რომელსაც დიდად უყვარდა და აფასებდა მას.

„არავისგან იმოდენა არ მისწავლია, რამდენიც ყაზი მულლასაგანაო“, — იტყოდა ხოლმე შემდეგ შამილი.

შამილი შეიქნა თავგადადებული ამხანაგი, თანამოაზრე პირველი იმამისა. მხურვალე მონაწილე იყო ყაზი მულლასი მიურიდიზმის გავრცელებაში დაღესტანში. არც ერთი შეტაკება არა ჰქონია ყაზი მულლას მტერთან უშამილოდ, გიმრში შამილის გვერდით დავარდა ყაზი - მულლა განგმირული. თუ როგორ იბრძოდა და როგორ მოკვდა ყაზი მულლა გიმრში, ჩვენ უკვე ავწერეთ. ამ ბრძოლაში შამილიც იღებდა მხურვალე მონაწილეობას. იყო ერთი იმ თექვსმეტ მიურიდთაგანი, რომლებთანაც ჩაიკეტა პირველი იმამი კოშკში.

თუ როგორ მოიქცა შამილი ამ ბრძოლაში, აქაც სხვადასხვა ვერსიებია. მაგალითად, ალიხან ავარსკი /ცნობილი დასავლეთ საქართველოს გამანადგურებელი ღენერალი/ თავის წერილებში „В горах Дагестана“ /დაღესტნის მთებში/, რომლებიც იბეჭდებოდა ფელე-

ტონებად გაზეთ „Кавказ“-ში 1895-6 წლებში, მოგვითხრობს, რომ ყაზი მულლა გიმრში კოშკიდან გასვლისას, მიუბრუნდა მიურიდებს: „წმიდა შარიათისათვის და სამშობლოსათვის სიკვდილს ვირჩევ სამარცხვინო გაქცევას და ტყვეობას. ვინც სხვანაირად ფიქრობს, შეუძლიან თავს უშველოს“-ო. შამილმა, როგორც ამბობენ, ორჯერ დაიპირა გაქცევა, მაგრამ ამხანაგებმა შეარცხვინეს და დარჩაო.

აქ ალიხან ავარსკი, ხალხის, ეჭვგარეშეა, ავარიელების, გადმოცემაზე ამყარებს შამილის სამარცხვინო ქცევას გიმრში. ყაზი მულლა, ჰამზათ ბეგი და შამილი იყვნენ მტრები ავარიის ხანებისა. მათ დაამხეს ჰუნზახი, ამოწყვიტეს მათი ხანები, დაიმორჩილეს ავარიის ხალხი და, რასაკვირველია, რომ ამ ხალხს არ უყვარდა იმამები და ამისათვის უფრო აუგს იტყოდნენ მათზე, ვიდრე კარგს. ალიხან ავარსკიც ავარიის შვილი იყო, ვგონებ, ნათესავი ხანებისა და ამისათვის არ შეეძლო მას პირუთვნელად, ობიექტურად დაეფასებინა შამილის პიროვნება და მისი მოღვაწეობა — ეს კარგად ჩანს მის ზემო დასახელებული წერილებიდან.

შამილის გიმრში ბრძოლის და დაჭრის შესახებ ორნაირი ვარიანტია. ერთი ვარიანტი მოგვითხრობს, რომ როდესაც ყაზი მულლა გავარდა კოშკიდან და გაშმაგებული ბრძოლის შემდეგ დავარდა განგმირული, შამილმა დაინახა, რომ კარების წინ იდგა ორი რუსის ჯარისკაცი ხიშტებმომარჯვებული, ისკუპა შამილმა, გადაახტა ჯარისკაცებს თავზე და მოექცა უკანიდან. სანამ რუსები მოტრიალდებოდნენ, შამილმა ორივენი აკუწა ხმლით. მესამე ჯარისკაცი გაიქცა, დაეწია მას შამილი და ისიც მოკლა. ამ დროს მეოთხე ჯარისკაცმა ჰკრა შამილს ხიშტი მკერდში. შამილმა სტაცა მარჯვენა ხელი ჯარისკაცის თოფის ლულას /შამილი ცაცია იყო/, მარცხენით შუაზე გააპო მტერი, გამოიძრო მკერდიდან ხიშტი, მოუჭირა ჭრილობას ხელი, რომ სისხლით არ დაცლილიყო და მარჯვნივ და მარცხნივ ხმლის ქნევით გაიკაფა გზა. რუსის ჯარისკაცები ზარდაცემულები გარბოდნენ. სროლითაც ვერ ესროდნენ, რადგანაც ეშინოდათ, არ მოერტყათ თავისიანებისათვის. რუსებმა ქვები დაუშინეს შამილს. ერთი ქვა მოხვდა ფერდში და ერთი ნეკნი მოსტეხა, მეორე ქვამ დასჭრა ბეჭში და კეფაში. ამ გამწარებულ დროს შამილმა დაინახა ჩერქეზი, რომელმაც დაუმიზნა მას თოფი. შამილი მივარდა და შეუტია ხმლით. ჩერქეზი ნაბდით

იგერიებდა ხმალს. „ალლაჰ!“ — მოესმა შამილს კაცის ფეხის ხმა. გაუხარდა შამილს, როს დაინახა ერთადერთი გადარჩენილი თავის თანამოძმე. ეს იყო მიურიდი მაჰამედ ალი. მოიკრიფა შამილმა რაც უკანასკნელი ძალა და ღონე ჰქონდა და გაიქცა მიურიდთან ერთად. გააღწია სოფელს თუ არა, შამილი დავარდა ღონემიხდილი.

— „აჰა, შეინახე ჩემი ხმალი, — უთხრა შამილმა მაჰამედ ალის, რა გადასცა ხმალი, — აღარ მესაჭიროება, მე ვკვდები“.

მიურიდმა გამოართო ხმალი და დაიმალა იქვე ახლო. საღამო ხანს მივიდა მაჰამედი ალი შამილთან, შეუსვია ჭრილობები და წაიყვანა სოფელ უნცუკლში, სადაც ცხოვრობდა შამილის სიმამრი აბდულ აზისი, ცნობილი დაღესტანში, როგორც კარგი ექიმი.

აბდულ აზისმა გაუკეთა შამილს მალამო, რისგანაც ავადმყოფს მოეცა შვება. ორი თვის შემდეგ შამილი სრულებით განიკურნა ჭრილობებისაგან.

მეორე ვარიაციით შამილი იქვე დავარდა ორი ტყვიით დაჭრილი ყაზი მულლას გვერდით, მოიმკვდარუნა თავი და, როდესაც რუსები გავიდნენ სოფლიდან, ადგა და დააყენა პირველი იმამის გვამი მლოცველის მდგომარეობაში. ამით ხალხისთვის უნდა ეჩვენებინა შამილს, რომ ყაზი მულლა წმიდანი იყო და მით გაეღვიძებინა მათ შორის ფანატიზმი.

როდესაც გამოკეთდა, შამილი წავიდა ჰამზათ ბეგთან. ჰამზათ ბეგმა დიდის სიყვარულით მიიღო შამილი. უშამილოდ არაფერს არ აკეთებდა ჰამზათი. ჰამზათი ძლიერ აფასებდა შამილის რჩევა-დარიგებას. ავარიის ხანების დახოცვას შამილს აბრალებდნენ, ვითომ შამილმა შთაგონა ჰამზათ ბეგს, რომ დაეხოცნა ხანები, რომ სანამ ხანები ცოცხლები არიან, მიურიდიზმი ვერ დამყარდება დაღესტანში. ეს ბრალდება უარჰყო შამილმა შემდეგ რუსეთში ტყვეობაში ყოფნის დროს.

როდესაც ჰამზათ ბეგმა ვერაგულად დაახოცინა ავარიის ხანები, აიღო ჰუნზახი, მოაკვლევინა პახუ ბიკე და დასახლდა ხანების სახლში, შამილი ურჩევდა ჰამზათს, გასცლოდა ჰუნზახს, მტრის სოფელს და ეცხოვრნა ისევ თავის სოფელ გოცატლში, სადაც მისი სიცოცხლე უფრო უზრუნველყოფილი იქნებოდა. ჰამზათ ბეგმა შამილის რჩევა არ ისმინა და მიიღო კიდეც, რაც მოსალოდნელი იყო.

როგორც ვთქვით, ჰამზათ ბეგის შემდეგ დაღესტნის იმამად გახდა შამილი. ზოგის თქმით, შამილი იყო უზურპატორი, იგი ხალხს არ ამოურჩევია, თვითონ გამოაცხადა თავისითავი იმმამულ-ააზამად, ე.ი. წინასწარმეტყველის მოადგილედ. ყაზი მულლა და ჰამზათ ბეგი იყვნენ ამორჩეულნი ხალხის მიერ, შამილი კი არა. ზოგის თქმით კი ჰამზათ ბეგის მოკვლის შემდეგ იმავე წელს და იმავე თვეს შამილმა მოიწვია კრება სოფელ გოტლოკალში. კრებას უნდა აერჩია წინამძღოლი იმამი. კრებამ ერთხმად აირჩია შამილი. შამილი უარზე დადგა და მიუთითა საგითა იგალელზე, ცნობილ სწავლულზე, ჰამზათ ბეგის ყოფილ მასწავლებელზე.

საგითა იგალელმა განუცხადა კრებას, რომ მას არ შეუძლიან გაუძღვეს ხალხს, იყოს იმამად, რადგანაც არ შესწევს იმოდენა ძალა და გამოცდილება, დაარიგა კრება, ყოველი ღონისძიება მიიღოს, დაითანხმოს შამილი. კრებამ სთხოვა შამილს, მაგრამ შამილმა არ მიიღო და ურჩია, აერჩიათ ჰაზიო კარატლელი, თვითონ კი იქნებოდა მისი თანაშემწე. ჰაზიო კარატლელი არ დასთანხმდა და უსაყვედურა შამილს ჯიუტობა. შამილი ბოლოს და ბოლოს დასთანხმდა. ერთ დღეს ყადი და ხალხი შეგროვდნენ აშილთის მეჩეთში და დაიბარეს შამილი. შამილი მოვიდა ხუთი ნაიბით, ფეხით და დაჯდა მოხრაბზე /ალაგი, სადაც მოლა კითხულობს ლოცვებს/.

— თანახმა ხარ, რომ იყო ჩვენი იმამი? — მიუბრუნდა შამილს ყადი.

— თანახმა ვარ, — უპასუხა შამილმა.

ამის შემდეგ ყადიმ დაიწყო ლოცვა. სთხოვა ღმერთს შამილის დღეგრძელობა, სთხოვდა ხალხის ბედნიერებას შამილის მზრუნველობის ქვეშ.

— ფათიხ! /აუსრულდეს/ — წარმოთქვა ყადიმ და ჩვეულებრისამებრ ჩამოისვა ორივე ხელი წვერზე.

— ამინ, ამინ! — უპასუხებდა ხალხი და ისვამდა წვერზე ხელს. ამ წესების შემდეგ ყადი, სწავლულნი, ხალხი მიდიოდა შამილთან, ეამბორებოდნენ ხელზე, ულოცავლნენ და ეუბნებოდნენ: — „კეთილი იყოს შენი იმამობა“.

ბ

შამილს გადააქვს გოცატლიდან აშილთაში პანუ ბიკეს ქონება. რუსების დამარცხება გიმრთან, ბულაჩ ხანის სიკვდილი. შამილის სამჯერ დაცემა ჰუნზახზე. ბარონ ფეზი იჭერს ჰუნზახს. სოფელი ტილიტლი, კიბიტ მაჰამა და ბრძოლა რუსებთან. რუსეთის ხელმწიფის ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლა კავკასიაში. კლიუკი-ფონ კლიუგენაუს და შამილის შეხვედრა. ახულგო.

იმამად არჩევის ორი კვირის შემდეგ შამილი აშილთიდან წავიდა სოფ. ატლადაში. იქიდან გაგზავნა ორმოცდაათი კაცი სოფელ გოცატლში; უბრძანა, რომ მოეტანათ ხაზინა და მთელი სიმდიდრე პახუ ბიკესი. უნდა მოეყვანათ აგრეთვე ბულაჩ ხანი. გაგზავნილმა კაცებმა აასრულეს ბრძანება იმამისა. შამილმა ავარიის ხანების სიმდიდრე გაგზავნა აშილთაში, ბულაჩ ხანი კი დასტოვა სოფელ ხარაჩში, უნცუკლის მახლობლად. უბრძანა მცხოვრებლებს, შეენახათ ხანი, კარგად ესმიათ და ეჭმიათ.

ამ დროს გაიგო შამილმა, რომ რუსები უახლოვდებიან გიმრსაო. დაუხვდა მათ შამილი და ცხარე ბრძოლის შემდეგ რუსები გაბრუნდნენ ერპელიეში. შამილი დაბრუნდა აშილთაში. აშილთაში დაბრუნებისას, შამილმა მოაყვანინა ბულაჩ ხანი და უბრძანა, გადაეგდოთ იგი ხიდიდან მდინარე ყორსუში. ასე მოისპნენ ავარიის ნუცალ ხანები.

რუსეთში ტყვედ ყოფნის დროს შამილი ეუბნებოდა პოლკოვნიკ ბოგუსლავსკის, რომ მას არ უნდოდა ბულაჩ ხანის მოკვლა, რომ ხალხმა აიძულა ის, მოეკლა ხანი.

„თუ არ მოჰკლავ ეხლავე ხანს, — უთხრა ხალხმა შამილს, — გაიზრდება და რუსების შემწეობით ჩვენზე იყრის ძმების ჯავრსო“.

იმავე წელს შამილმა შეკრიბა ექვსი ათასი მეგობარი და დაეცა ჰუნზახს — ჰუნზახელებმა პირი აბრუნებინეს შამილს. შამილმა მოიშველია ჯარი და პირველი დაცემის რამდენიმე დღის შემდეგ მიადგა ჰუნზახს. ჰუნზახელები მედგრად იბრძოდნენ. ჰაჯი მურადი და შამილი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს ბრძოლაში. ჰაჯი მურადმა შეუტია, მაგრამ შამილი გაერიდა, მეორედაც დამარცხდა შამილი. ვერ მოისვენა შამილმა. ორი წლის შემდეგ 1836 წ. კიდევ სცადა ბედი, მაგრამ

მესამედაც საშინლად დამარცხდა. ამის შემდეგ შამილი თავს ანებებს ჰუნზახს, რასაკვირველია, დროებით.

შამილთან ყველა ამ ბრძოლებში ჰუნზახელების მოთავედ იყო ჰაჯი მურადი. ჰაჯი მურადი წერს წერილებს ავარიის ხანების ნათესავებს, რომ უპატრონონ მხარეს. წერს კავკასიის მთავარმართველთან ბარონ როზენთან, რომ დანიშნოს ავარიაში მმართველი და გამოგზავნოს ჯარი.

1837 წ. ბარონ როზენი გზავნის ბარონ ფეზის ჰუნზახში ჯარით. ფეზიმ დაიჭირა ჰუნზახი. ააგო ათ სხვადასხვა სოფელში სიმაგრე, რომ დაეცვა შამილისაგან ტარკის შამხალი, რომელიც რუსეთის მფარველობის ქვეშ იყო; ააგო სიმაგრე თემირ-ხან-შურა. გაიყვანა გზა ჰუნზახიდან თემირ-ხან-შურამდინ, ჩააყენა ყველა ამ სიმაგრეებში რაზმები. ავარიის მმართველად დანიშნეს მეხტულის ახმედ ხანი, მახლობელი ნათესავი ავარიის ხანებისა.

ამავე წელს სოფელ ტილიტლში არეულობა მოხდა. ამ სოფელში მმართველად იყო თავის სიმამაცით განთქმული მთელ დაღესტანში კიბიტ მაჰომა. კიბიტ მაჰომამ ცეცხლში დასწვა ოცდაცამეტი მეამბოხე თავიანთი ცოლებით და შვილებით, ვითომ შარიათის მოთხოვნილებით.

— ღმერთისთვის და არა ჩემთვის, — ამბობდა კიბიტ მაჰომა.

გენერალ ფეზიმ, გაიგო თუ არა ტილიტლელების და კიბიტ მაჰომას ამბავი, გაილაშქრა ჰუნზახიდან და გარს შემოერტყა ტილიტლს. კიბიტ მაჰომას მიეშველა შამილი. კიბიტ მაჰომა და შამილი ჩაიკეტნენ თავიანთი მომხრეებით მეჩეთში და ოც სახლში. დაიწყო ბრძოლა. ბევრი ეცადა ფეზი, მაგრამ ვერა გააწყო რა. ვერ აიღო მეჩეთი და სახლები. სურსათიც გაუთავდა და იძულებული გახდა, თავი მიენებებინა და დაბრუნებულიყო ჰუნზახში.

უმთავრესი ყურადღება შამილმა მიაქცია კაისაბუს. აქედან შეეძლო შამილს ეთარეშნა სახანოებში, რომელნიც იყვნენ რუსების მფარველობის ქვეშ, როგორც შამხალის, ტარკის და ასევე ავარიისა. მარჯვედ იყო ახლად გაყვანილი ჰუნზახ-თემირ-ხან-შურის გზაც. ამ კაისუბუში ორ აშვერილ კლდის წვერზე ააშენა შამილმა მაგარი ციხე ახულგო.

ამ დროს ამიერკავკასიაში ჩამოვიდა რუსეთის ხელმწიფე ნიკოლოზ პირველი. გენერალ კლიუკი-ფონ-კლიუგანაუს, რომელიც იყო მმართველად

ჩრდილოეთ და შუა დაღესტანში, შეატყობინეს თბილისიდან, რომ დაეყოლიებინა როგორმე შამილი ხელმწიფესთან წამოსასვლელად თბილისში. კლიუგენაუმ მისწერა წერილი შამილს, რომ დაენიშნა ალაგი და დრო მოსალაპარაკებლად. შამილი დასთანხმდა. დანიშნულ დროს და ალაგზე მოვიდა შამილი ორასი კაცით. გენერალმა აუწყა შამილს ხელმწიფის ჩამოსვლა თბილისში, ურჩევდა ესარგებლნა შემთხვევით, ჩასულიყო თბილისში და წარსდგომოდა ხელმწიფეს. შამილმა უპასუხა, რომ იგი მზად არის წავიდეს თბილისში, მაგრამ არ შეუძლიან, რადგანაც მან, კიბიტმაჰომამ, ყადი აბდურხანმა და ტაშავ ჰაჯიმ შეჰფიცეს, უერთიერთმანეთად არ გარდაეწყვიტათ ამნაირი მნიშვნელოვანი საკითხი.

გამომშვიდობების დროს გენერალმა კლიუგენაუმ მიაწოდა შამილს ხელი ჩამოსართმევად. შამილმა გაუწოდა, მაგრამ ამ დროს მოვარდა თავისი მამაცობით განთქმული მიურიდი სურხაი და დაუჭირა შამილს ხელი სიტყვებით:

„ — სამარცხვინოა მართლმორწმუნეთა იმამისათვის, ჩამოართოს ხელი გიაურს“.

გენერალი აინთო, მოუქნია მიურიდს ყავარჯენი. სურხაიმ იკრა ხანჯალს ხელი. წუთი და განგმირული, წინდაუხედავი ღენერალი უნდა დავარდნილიყო ფანატიკოს მიურიდის წინ. სხვა მიურიდებიც მოსცვივდნენ იარაღ მომარჯვებულნი. შამილმა ერთი ხელით შეაჩერა ყავარჯენი ჰაერში, მეორეთი დაუჭირა ხელი სურხაის, შეაჩერა მიურიდებიც და სთხოვა კლიუგენაუს განშორებოდა. ფიცხი გენერალი არ წყნარდებოდა. დაუწყო ლანძღვა სურხაის, რომელიც სისხლმორეული თვალებით, აფთარივით უყურებდა გენერალს და, თუ არა შამილი, ჩქარა გამოასალმებდა წუთისოფელს. პარუჩიკი ევდოკიმოვი, შემდეგ სახელგანთქმული კავკასიის ომების გმირი, მივარდა კლიუგენაუს, დაუჭირა სერთუქის კალთა და გაიყვანა გარეთ.

რასაკვირველია, ვერ მოატყუეს შამილი, გაუუქმდათ ანკესი. შინ დაბრუნებისას შამილმა მისწერა გენერალს: „მოგახსენებთ, რომ მე გარდავწყვიტე არ წამოვიდე თბილისში, თუ გინდ ნაკუწნაკუწებად დამჭრან. ამისათვის, რომ ბევრჯერ მინახავს თქვენი ღალატი და უპირობა“.

ახულგოს აშენების შემდეგ შამილი ორ წელიწადს ცხოვრობდა

ჩირკატში. ამ სოფლიდან თარეშობდა კაისუბუს სოფლებზე. დაეცა სოფელ უნცუკლს და თუმცა მცხოვრებლებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, ბოლოს მაინც დაამარცხა შამილმა. იგი დაბრუნდა ჩირკატში. შემდეგ შამილი გავიდა მდინარე ავარიის ყოისუში, მოულოდნელად დაეცა სოფელ ირგინაის, მაგრამ ცხარე ბრძოლის შემდეგ დამარცხდა. რუსეთის დიდი რაზმი გავიდა სიმაგრე ვნეზაპნუიდან სოფელ ბურტუნაიზე დასაცემად. ბურტუნაიელებმა მოიხმეს შამილი, რომელმაც შეკრიბა 3-4 ათასი მეომარი და დაუხვდა რუსებს, ცხარე იყო ბრძოლა. შამილი დამარცხდა. რუსები შევიდნენ სოფელში და დაიმორჩილეს.

შამილი ჩირკატიდან გადასახლდა ახლად აგებულ ახულგოში.

ახულგო! რომელ დაღესტნელს არ აუტოკდება გული, არ აუჩქროლდება სისხლი ამ სახელის გაგონებაზე. ყოველი ლეკი ამაყობს ახულგოთი. რომ ჰკითხო ლეკს: ლეკი მამაცია, თუ მხდალი, გიპასუხებს: წადი და ჰკითხე ახულგოსაო. ახულგოზე ლოცულობს ლეკი. იგი წმიდა ალაგია მისთვის. ალაგია, სადაც გმირულად დალიეს სული უთანასწორო ბრძოლაში მისმა წინაპრებმა, მორწყეს კლდე-ღრეები სისხლით, და მოკენჭეს ძვლებით. სიმღერებში სევდიანად გაისმის ახულგო და სახელები მის დაცვაში დახოცილი ლეკების გმირებისა. ამ გმირებმა უანდერძეს შვილებს, შვილიშვილებს მამულისათვის და მის თავისუფლებისათვის თავის შეწირვა. ეს სიმღერები, გადმოცემანი გადადიან თაობიდან თაობაზე და არ მოისპობიან, სანამ არ დაილევა დაღესტანში ლეკის სახელი...

გენერალი გრაბბე მიადგა დიდი ჯარით ახულგოს. შამილი ორი ათასი თავდადებულ მიურიდით ჩაიკეტა ციხეში. ამ ორი ათასი მიურიდებიდან ასი თავზე ხელაღებული მიურიდი ალიბეგის წინამძღოლობით ჩაიკეტა სურხაის კოშკში. ეს მიუდგომელი კოშკი აშენებული იყო ზედ კლდის წვერზე.

16 ივნისს 1839 წ. გრაბბემ მიიტანა იერიში ახულგოზე, მაგრამ უკუგდებულ იქნა დიდი ზარალით. სცადა მეორედ, მესამედ, მაგრამ ციხეს ვერა დააკლო რა; რუსები გარს შემოერტყნენ ციხეს, როგორც რკალი. ამით გრაბბეს უნდოდა მოესპო ციხიდან მახლობელ სოფლებთან მისვლა-მოსვლა და მით ჩამოეგდო ციხეში შიმშილი. იდგნენ ციხეს გარშემორტყმული რუსები და ელოდებოდნენ შიმშილისაგან

შეწუხებული შამილის და მისი ჯარის გამოსვლას. მაგრამ შამილი არა სჩანდა. ცისკენ აშვერილი ახულგო ამაყად, ქედმოუხრელად გადმოჰყურებდა მტერს, გადიოდა დრო, ბოლო არ სჩანდა. სურსათიც აკლდებოდათ რუსებს. გავიდა თვე, მეორე. ბოლოს გრაბბე იძულებული გახდა, განეახლებინა იერიშები. მიიტანეს რუსებმა მკაცრი იერიში, ურას ძახილით, შეამტვრიეს პირველი რიგი ციხის სიმაგრეებისა. ლეკები შეკრთნენ, აირივნენ. შენიშნეს ეს ქალებმა. ბავშვებით ხელში შევარდნენ ქალები ბრძოლაში, შეარცხვინეს და უსაყვედურეს მამაკაცებს მხდალობა. ასტყდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა. ახულგო თოფის წამლის ბოლისაგან დაბნელდა, თითქო ნისლი ჩამოწვაო. მუშაობდა ხიშტი, ხმალი და ხანჯალი. ღრიალებდნენ რუსები, შეტევა შეტევაზე მიჰქონდათ. ჩუმად იყვნენ ლეკები გამარჯვებაზე იმედდაკარგულნი. მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, რომ რაც შეიძლება ძვირად დაესვათ რუსებისათვის გამარჯვება; გაჭრიდა საქმე. შამილმა დაურიგა ქალებს ხანჯლები და გასცა ბრძანება, რომ არც ერთი არ ჩავარდნილიყო ტყვედ. თუ ვერ მოასწრებდნენ თავის მოკვლას, გადამხტარიყვნენ მდინარეში და დამხრჩვალიყვნენ. ქალებმა გადაიცვეს მამაკაცების ტანისამოსი, შეცვივდნენ ბრძოლის ცეცხლში, ზედ მდინარე ყოისუზე გადაკიდული კლდის გამოქვაბულში ჩასაფრებული იყო რამდენიმე ლეკი. ადვილი არ იყო რუსებისათვის ამ თავდადებული ლეკების გამოქვაბულიდან გამორეკვა. გამოქვაბულის წინ რუსების გვამების გროვა გროვაზე იდგა. ათას გვამზე მეტი მიჰქონდა მდინარეს, სასოწარკვეთილი ზოგი ციხის დამცველი თვითონ ვარდებოდა რუსის ხიშტზე, რომ ტყვედ არ ჩავარდნილიყო.

არც ერთი მეომარი ლეკი არ ჩავარდა ტყვედ, ყველამ ვაჟკაცურად დალია სული. რუსებს დარჩათ ხელში მხოლოდ ფრიად მოხუცნი — ქალი და კაცი და ბავშვები, ამ საშინელი ბრძოლის დროს მოიკლა შამილის ცოლი ჯაგარათი თავის ძუძუმწოვარი ვაჟი საგიდით. დედა ძუძუს აწოვებდა შვილს, რომელიც კალთაში ეჯდა. დედა და შვილს ორივეს მოჰხვდა ერთი ტყვია და გამოასალმა წუთისოფელს. მოიკლა შამილის ორი დისწული, დაიხოცნენ მისი სხვა ნათესავები. შამილის და ფატიმატი, რუსებს ტყვედ რომ არ ჩავარდნოდა, გადავარდა ყოისუში და დაიხრჩო. შამილმა დაჰკარგა ცოლი, შვილი, და, დისწულები, ნათესავები და ბევრი სხვა მისთვის თავგადადებული ვაჟკაცი. გული აღენთო შამილს რუსებისადმი სიძულვილით, აღივსო შურისძიების

ფიალა. ერთ ღამეს მიეპარა შამილი რუსების სადარაჯო რაზმს და სულ ერთიანად მუსრი გაავლო.

ახულგო დაეცა 19 მარიამობის თვეს. ახულგოს ბრძოლაში რუსებმა დაჰკარგეს სამი ათასი კაცი, ორი გენერალი და ორმოცამდე ოფიცერი. ორმა ათასმა ლეკმა ინაცვლა სამი ათასი რუსი. ორ თვეზე მეტი მოუნდა რუსებს ახულგოს აღებისათვის.

შამილი თავის დანარჩენი ორი ცოლით, ორი ვაჟით და 150 გადარჩენილი მიურიდით დაეშვა თოკებზე მდინარე ყოისუს ხევში. ხევში იდგა რუსის სადარაჯო რაზმი. ეკვეთნენ ლეკები და გაარღვიეს რკალი. ამ შეტაკებაში მოიკლა 15 მიურიდი. შამილმა თავს უშველა. უფროსი ვაჟი მილირა ჯემალ ედდინი რუსებმა ამანათად წაიყვანეს.

8

გენერალი პულლო და მისი მოქმედება საჩაჩნოში. ჩაჩნელების აჯანყება რუსების წინააღმდეგ. საჩაჩნოს გადასვლა შამილისაკენ. კიბიტ მაჰამას მოქმედება. შამილი ხდება ისევ მბრძანებელი დაღესტნის უმეტესი ნაწილისა. შამილის ახალი საცხოვრებელი სოფელი დარგო. ვალერიკი, გერგებილი, ჩოხი. რუსების დარგოზე გალაშქრება. შამილის შეტევაზე გადასვლა. ავარიის გაწმენდა რუსებისაგან.

ახულგოდან შამილი წავიდა სოფელ ბანაიაში. ეს სოფელი გაუვალ უღრანი ტყით იყო გარშემორტყმული. ეჭირა მაგარი ალაგი. მცხოვრებნი არავის არ ემორჩილებოდნენ. შამილი სიხარულით მიიღეს ბანაიელებმა. ცხოვრობდა შამილი იქ და აქედან თვალყურს ადევნებდა რუსებს.

ბედმა გაუღიმა შამილს, ახლად დამშვიდებულ საჩაჩნოში რუსებმა დანიშნეს გენერალი პულლო. ეს გენერალი ძალიან ცუდად ექცეოდა ჩაჩნელებს, თვითნებობდა. დასცინოდა, ლანძღავდა უშვერი სიტყვებით. ჩაჩნელები ითმენდნენ, მაგრამ როდესაც პულლომ გასცა ბრძანება, რომ ჩაჩნელებს გადასახადი ფულის მაგივრად, იარაღი უნდა შეეტანათ, მთელი საჩაჩნო ფეხზე წამოდგა. ჩაჩნელებმა გარდასწყვიტეს ერთიანათ დახოცილიყვნენ და იარაღს კი არ მისცემდნენ.

„როგორ, — სთქვეს ჩაჩნელებმა, — გინდათ იარაღი ჩამოგვართოთ და მერე ყელები დაგვჭრათ?...“

აბა, როგორ მისცემდა ჩაჩნელი იარაღს, რომელიც თავის თავს ურჩევნია და ურომლისოდაც, ნამეტნავად იმ დროს, მთაში ცხოვრება შეუძლებელი იყო. ჩაჩნელებმა არ მისცეს იარაღი. რუსები შევიდნენ საჩაჩნოში ცეცხლით და მახვილით. ცეცხლის კვერი დატრიალდა ჩაჩნელების თავზე. სწვავდნენ და ჰბუგავდნენ სოფლებს. გამხეცებულმა რუსებმა ჭირნახული ფეხქვეშ გათელეს, შეაჭამეს საქონელს. ზარდაცემული ხალხი გარბოდა ტყეში, მთებში, სუნჟის მარცხენა ნაპირებზე მცხოვრებნი ჩაჩნელები აიყარნენ თავიანთ მამა-პაპეულ ალაგებიდან და გადმოვიდნენ მდინარის მარჯვენა ნაპირზე.

შეწუხებულმა ჩაჩნელებმა 1840 წ. აირჩიეს რწმუნებულები და გაგზავნეს შამილთან, რომ საჩაჩნო მიეღო თავის მფარველობის ქვეშ. შამილსაც, რასაკვირველია, ეს უნდოდა. აჯანყებული ჩაჩნელები შამილმა გადმოასახლა შავი მთების ტყეებში. შამილმა მიიმხრო მთელი დიდი და პატარა საჩაჩნო, ამათ მიემხვრენ აუხელები, იჩქერიელები და ყარაბულაყელები, ერთი სიტყვით, მთელი საჩაჩნო შამილის შეიქმნა. ამავე დროს რვა ავარიის სოფელი, რამდენიმე კაისუბუელების თემი გადავიდა შამილის მხარეს. ტილიტლელმა კიბიტ მაჰამამ ააჯანყა რუსების წინააღმდეგ რამდენიმე თანამოსაზღვრე თემი. შამილმა დანიშნა კიბიტ მაჰამა მათ ნაიბად. ასე რომ, ახულგოს დაკარგვის ერთი წლის შემდეგ შამილი შეიქნა ისევ მრისხანე ბრძანებელი მთიელი მამაცი ხალხისა.

ოავის საცხოვრებლად შამილმა აირჩია სოფელი დარგო იჩქერიაში. ამ სოფელს ერტყა გაუვალი, უგზო-უკელო ტყე, რომელსაც სიგრძე ჰქონდა ხუთმეტი-ოცი კილომეტრი. დაბურული ბნელი ტყეები, უგზოობა და თუ იყო რამე საცალფეხო ბილიკები, წვიმების დროს ისე ატალახდებოდა, რომ არამც თუ ურმებისათვის, არამედ ქვეითა კაცისთვისაც კი გაუვალი ხდებოდა — ეს ყველა დიდად დამაბრკოლებელი მიზეზები მიუვალად ჰხდიდა შამილის სამკვიდრო სოფელს.

რუსების მთავრობის უაზრო განკარგულებით და გენერალ პულლოს მხეცური ქცევით ჩაჩნელები მიემხვრნენ შამილს და გააფთრებულნი ეცნენ რუსებს. ზაფხულს გენერალი გალიფეევი შეესია პატარა საჩაჩნოს. ცეცხლით და მახვილით სწვავდა და ჰბუგავდა სოფლებს, ანადგურებდა მინდვრებს. ჩაჩნელები დაუხვდნენ მას მდინარე ვალერიკზე. ასტყდა საშინელი ბრძოლა. ჩაჩნელებმა მთლად გაანად-

გურეს რუსის რაზმი. გადარჩენილებმა ძლივს უშველეს თავს, ეს ბრძოლა მშვენივრად აქვს აღწერილი დიდებულ რუსის მგოსანს მ. ლერმონტოვს ლექსში: „ვალერიკ“. ამ ბრძოლაში თვით პოეტიც იღებდა მონაწილეობას და დიდი სიმამაცეც გამოიჩინა.

1842 წ. თებერვალში შამილმა გადალახა თავისი საზღვარი, დაეცა სოფელ გერგებილს და დაიკავა. შამილისაგან გერგებილის დაკავება ელვის სისწრაფით მოედო მთელ დაღესტანს. აქა-იქ თემებში ხალხი ღელავდა. გენერალ ფეზიმ სასწრაფოდ შეჰკრა რამდენიმე რაზმი თემირ-ხან-შურაში და გაექანა გერგებილისაკენ. იდგა დიდი სიცივე, ქარბუქი. რუსები არღვევდნენ თოვლს და ვაი-ვაგლახით გადალახეს კუტიშის ქედი. მისვლისთანავე ფეზი დაეცა გერგებილს და აიღო. მცხოვრებნი გაიქცნენ, მაგრამ რუსები დაედევნენ და წაართვეს, რაც რამ ებადებოდათ.

გერგებილიდან ფეზი გადავიდა მამარტს, ანდალიალის თემში და დაიკავა უმთავრესი სოფელი ჩოხი. ფეზის უნდოდა განეგრძო თავის წინსვლა, დაეპყრო სხვა სოფლებიც, მაგრამ ქარბუქმა და სიცივეებმა შეაჩერეს. ფეზი დაბრუნდა შურაში.

გავიდა ფეზი ჩოხიდან თუ არა, შამილი გადავიდა ყაზი-ყუმუხის სახანოში. ეს ამბავი ფეზიმ შურაში გაიგო. გაიგო, რომ რუსის რაზმი, რომელიც იდგა ხანების სასახლეში, საშინელ მდგომარეობაშია. ფეზი გაეშურა ყუმუხისაკენ, მაგრამ გზაში შეატყობინეს, რომ სასახლე უკვე აღებულია და რაზმი ან ამოწყვეტილია, ან ტყვეთაა ჩავარდნილი. ფეზი დაბრუნდა შურაში.

ამავე წელს რუსებმა გაილაშქრეს დარგოზე. იყო გაზაფხული. აქ ვალაპარაკოთ გენერალი პოტტო, დიდი მცოდნე საზოგადოდ კავკასიის მთებისა და კერძოდ დაღესტნისა.

„გერზელ აულში“, — მოგვითხრობს პოტტო, — მზადდებოდა იჩქერიის დიდი ექსპედიცია /ლაშქრობა/, რომელიც უმთავრესი სისხლის ეპიზოდია მთელი კავკასიის ომებში, საშინელი გარდმოსაცემათაც კი; ჩვენი ჯარისათვის ამოცანა ადვილი არ იყო: მას უნდა გაეარა საშიშარი იჩქერიის ტყე, რომ მისულიყო დარგოში, შამილის ახალ საცხოვრებელში; უნდა გაენადგურებინა ბუდე მიურიდიზმისა და დაეცა როგორც ქონებრივი შეძლება, ისევე ზნეობრივი გავლენა იმამისა. ეს იყო განმეორება ახულგოს ექსპედიციისა. მიდიოდა იგივე ჯარი, იგივე უფროსი და მხოლოდ გარშემორტყმული ბუნება სხვანაირად

გამოიყურებოდა. იქ, ახულგოში, ჩვენ ვიბრძოდით ღრუბლების სფეროში, კლდე-ღრეებში, აქ კი გაჭიმული იყო ჩვენ წინ ბნელი, უღრანი ტყე. ტყუილად კი არ იყო განთქმული იჩქერიის ტყეები მთელ კავკასიაში თავის საშიშარი სახელით.

დარგომდე ითვლებოდა ორმოც კილომეტრზე მეტი. თითქო, რატომ არ უნდა გაიაროთ ეს მანძილი, როდესაც შირვანელები, ბევრი ხანი კი არ არის, გადიოდნენ ორმოც კილომეტრიან მანძილს ზამთარში და ისეთ ალაგებში, სადაც თვით მთიელები შესდგებოდნენ ხოლმე. „ეცადენით, ძმებო!“ — ეუბნებოდნენ აფიცრები ოდნავ მბჟუტავ ცეცხლთან ჯარისკაცებს, — და თუ ხვალ საღამოს არა, ხვალზეით უეჭველად ვიქნებით იმ დაწყევლილ დარგოში“. არავინ იცოდა, რა დაბრკოლებანი გველოდებოდნენ ჩვენ ამ გზაზე და როგორი მწარე სისხლის ფიალა უნდა დაგვეცალა. აი, დადგა ეს სახიფათო „ხვალ“, ჯარი დაიძრა გერზელ აულიდან 30 მაისს. ორი შირვანის ბატალიონი გზის ორივე მხრივ გაიჭიმა ძაფივით, რომ დაეფარა ტრანსპორტი. ბევრსა ვცდილობდით, მაგრამ საღამომდინ ძლივს გავიარეთ შვიდი კილომეტრი, თუმცა აქ გზას კიდევ არა უშავდა რა. აქა-იქ ჩნდებოდნენ მტრის ჯგუფები, აქა-იქ გაისმოდა თოფის სროლა. მეორე დღეს, 31 მაისს, როგორც კი ჯარი შევიდა ტყეში და მწვანე ტყის უღრანმა დაჰფარა იგი, ასტყდა თოფების ხშირი გრიალი. ასწლოვან ხეებს ამოფარებული ჩაჩნელები არ სჩანდნენ, მაგრამ ტყვიები კი სეტყვასავით მოდიოდა ყოველი მხრიდან — ზემოდანაც, წიფლის და მუხის წვერებიდან. ჩვენც ვუპასუხებდით თოფებით, ზარბაზნები აყრიდნენ კარტეჩს /საფანტს/, მაგრამ უხილავ მტერს ვერ აზიანებდა; შეიტყობდა მტერი ჩვენ დასუსტებას, არევ-დარევას თუ არა, თითქო მიწიდან ამოძვრნენო, უცბად გამოჩნდებოდნენ და საშინელი ყიჟინით ხმალ-ხანჯალ ამოწვდილები ეკვეთებოდნენ ჩვენ ჯარს. ჩვენ ვუხვდებოდით ხიშტებით. მტერი უცბად გაჰქრებოდა, რომ წუთის შემდეგ ისევ გაჩენილიყო. ასე დადგა ბნელი ღამე. წინსვლა არ შეიძლებოდა, ჯარი დადგა. მაგრამ რა საშიშარი, უიმედო იყო ეს ღამე. დაღლილ-დაქანცული ჯარისკაცებს არც კი შეეძლოთ ეფიქრათ დასვენებაზე, რადგანაც ცოტა რამ შრიალიც აიძულებდა მათ წამომხტარიყვნენ და დასახვედრად მომზადებულიყვნენ. მათ იცოდნენ, რომ ჩაჩნელებმა მიპარვა იცოდნენ, როგორც ვეფხვებმა და როგორც ვეფხვები, ისე იყვნენ

სწრაფნი და სისხლისმსმელნი. ძლივს გათენდა პირველი თიბათვე. ჯარმა განაგრძო გზა, მაგრამ რაც წინდაწინ მივდიოდით, ტყე უფრო და უფრო ხშირი ხდებოდა და მიუვალი, ველები ძვირადღა გვხვდებოდნენ. ზარალი ხალხისა იმ ციფრამდინ ავიდა, რომ დაჭრილების ზიდვისათვის საღებიდან ორიათასზე მეტი კაცი უნდა გამოგვეყო! მესამე ღამემაც ტყეში მოასწრო ჯარს და ისევე მოგვიხდა გაგვეტარებინა იგი უძილოდ, უწყლოდ, უსაჭმლოდ, ფეხზე დგომით ზედ გზაზე, რომელსაც ორივე მხრივ მისდევდნენ ღრე-ნაპრალები და დაბალ-დუბლები. ყველანი საშინლად იყვნენ დაქანცულნი. ამ სამ მძიმე დღეს ჯარმა გაიარა მხოლოდ ოცდაორი კილომეტრი. დარგომდინ აკლდა კიდევ ამდენივე. ყველანი გრძნობდნენ, რომ წინსვლა ამოდენა დაჭრილებით შეუძლებელი იყო, რომ ადრე თუ გვიან უნდა მიანებონ თავი დაჭრილებს და ხელში ჩაუგდონ მტერს, რადგანაც ბოლოს და ბოლოს ხალხი არ ეყოფოდათ მათი ზიდვისათვის, ან მტერთან ბრძოლისათვის. კეთილგონიერება უკარნახებდათ, უარეყოთ დარგოზე წასვლა და გრაბბემაც გარდასწყვიტა უკან დახევა.

დადგა მეორე თიბათვე — ლაშქრობის მეოთხე დღე. ეს დღე იყო უმძიმესი და უსაშინელესი მთელ ლაშქრობაში. დაბრუნდა ჯარი თუ არა, დაიწყო ხელჩართული ბრძოლა და არ შეწყვეტილა არც წინა და არც გვერდების რაზმებში. ქუდებუკანგადაწეული, დამკლავებული და შეკალთავებული, გააფთრებული ჩაჩნელები ხტოდენ, როგორც ვეფხვები და ნაჩვევი მაგარი მკლავებით სიცოცხლეს უსპობდნენ მტერს თავიანთი საკვირლად გალესილი ხმლებით. იდგა სიცხის ბული. ბრძოლით და წყურვილით დაქანცული სალდათები ძლივსღა იგერიებდნენ მტერს. ერთ ალაგას, როდესაც ჯარი გადიოდა ღრეზე და მარჯვენა წრე უკან დარჩა, ჩაჩნელები დაეცნენ მთელი თავისი ძალით, ამოჟლიტეს ორი ნავაგინის პოლკი, დაეცნენ ტრანსპორტს. ეს იყო საშინელი წუთები! მთელი გზა მოიკენჭა ხალხის გვამებით, დახოცილი ცხენებით, დამტვრეული პოვოზკებით, გადაყრილი პატრონის და ყუმბარების ყუთებით. ჯარი მთლად დამარცხდა, საბედნიეროდ ღამემ შეაჩერა ბრძოლა და ჩაჩნელებმა, ჩვენზე არა ნაკლებად დაღლილებმა, გადასწყვიტეს დაემთავრებინათ ჩვენი გაჟლეტა დილით. ჩაჩნელები წავიდნენ დასასვენებლად თუ არა, გადავყარეთ უფსკრულში ყველა, რაც დაგვამძიმებდა, ჩავაყენეთ შუაში დაჭრილნი და ზარბაზნები და გავ.წიეთ წინ.

გათენებისას გამოვედით ულრანი ტყიდან. შიშველ ალაგებში ჩაჩნელები სუსტად გვსდევნიდნენ და ოთხ თიბათვეს ჯარი დაბრუნდა გერზელ-აულში: მტერს დარჩა ერთი ზარბაზანი და თითქმის მთელი აბოზი.

დარგოზე გალაშქრებაში ჩვენ დავკარგეთ სამოცდა ექვსი ოფიცერი და ათას შვიდას ოცი ჯარისკაცი".

თუ როგორი თავზარი დაეცათ რუსებს ამ ბრძოლაში, ამტკიცებს ის, რომ ერთი თანამედროვის სიტყვით „ იყო ბატალიონები, რომელნიც გარბოდნენ მარტო ძაღლების ყეფაზე"...

გერზელ აულიდან გრაბბე დაბრუნდა შურაში. რამდენიმე დღის შემდეგ წაიყვანა რაზმი იგალში, რომ აეშენებინა სიმაგრე. სოფელი აიღო იერიშით, მაგრამ აქ სიმაგრის აშენება შეუძლებელი გახდა, ოცდა ცხრა თიბათვეს გრაბბე დაბრუნდა უკან, მაგრამ ძვირად დაუჯდათ რუსებს ეს დაბრუნება, დახევის დროს დაჰკარგეს თერთმეტი ოფიცერი და ორას ორმოცდაათზე მეტი ჯარისკაცი.

დადგა 1843 წ. შამილი თუ აქამდინ იგერიებდა მტერს, ეხლა თვითონ გადავიდა იერიშებზე. უპირველესად შამილმა მიაქცია ყურადღება ავარიაზე, სადაც დაფანტული იყო ფეზის მიერ გამაგრებული პატარ-პატარა სოფლები. აგვისტოში შამილმა დილიმში შეაგროვა საკმარისად ძლიერი ლაშქარი, გაიარა ერთ დღე-ღამეში სამოცდაათი კილომეტრი და მიადგა სოფელ უნცუკლს, სადაც იდგა რუსის ერთი როტა ერთი ზარბაზნით. პოლკოვნიკი ვერელიცკი სამას ორმოცდაათი ჯარისკაცით და ორი ზარბაზნით გაეშურა უნცუკლისაკენ საშველად. შამილი დაუხვდა მას გზაში, თვით ვერელიცკი და ათი ოფიცერი ტყვედ დაიჭირა და დანარჩენები გაჟლიტა.

ოფიცერთა შორის იყო პრაპორშჩიკი პატიომკინი. პატიომკინს სთხოვეს მიურიდებმა, რომ რუსებზე დაემიზნა ზარბაზნები. პატიომკინმა უარი უთხრა. გაბრაზებულმა მიურიდებმა დაიწყეს მისი წამება. ჯერ ერთი ყური მოსჭრეს, მერე მეორე, მერე ცხვირი და შემდეგ დაუწყეს წვა გახურებულ ნაკვერჩხლებზე.

„ — მე რუსი ვარ და არ ვუღალატებ ჩემ მოვალეობას", — იძახდა გმირი პატიომკინი და ისე დალია სული. მიურიდებმა ოფიცრის გვამი გადააგდეს მდინარე სულაქში.

უნცუკლის აღებას ლეკებმა ოთხი დღე მოანდომეს, მოიტანეს

ცეცხლის სანგარი, რომელიც ლეკებმა მოიგონეს: რუსები თავგანწირვით იცავდნენ სოფელს და სიმაგრეს და შამილმა აიღო ეს სოფელი მხოლოდ მაშინ, როდესაც დამცველებს გამოელიათ წყალი, საჭმელი და სასროლი მასალა. ას ორმოც დამცველთაგან გადარჩა მხოლოდ სამოცი დაჭრილი. სიმაგრის უფროსს პორუჩიკ ანოსოვს შამილმა მამაცობისათვის დაუბრუნა ხმალი.

უნცუკლიდან შამილი წავიდა ცატანანზე. ამ სიმაგრეში იდგა ორი ბატალიონი, უფროსობდა შტაბს კაპიტანი დემენტიევი. მაგრად დაუხვდნენ რუსები შამილს. შამილმა რამდენჯერმე მიიტანა იერიში. შამილმა შეუთვალა დემენტიევს, რომ დანებებოდა. რუსის აფიცერმა ცივი უარი შეუთვალა. დემენტიევმა თავის დახოცილ ჯარისკაცების გვამებისაგან ააგო სანგარი და იქიდან უშენდა ლეკებს თოფს. როდესაც ორი როტადან ოცი კაცილა დარჩა, დემენტიევი ჩაიკეტა ერთ სახლში და დაიწვა ყველა თავის ჯარისკაცებთან ერთად.

ცატანანის შემდეგ შამილმა გაანადგურა სიმაგრე მოკსოხი, რომელსაც იცავდა ორმოცდაათი რუსი.

იმავე წელს ღვინობის თვეს შამილი დაეცა გერგებილს, სადაც იდგა რუსების ორნახევარი როტა. მედგრად დაუხვდნენ რუსები შამილს და მკაცრი ბრძოლის შემდეგ ციხე დანებდა მხოლოდ მაშინ, როდესაც ოთხასი დამცველიდან გადარჩა ორმოცდაათი. გერგებილის უფროსი მაიორი შაგანოვი მოიკლა.

გერგებილი აიღო შამილმა გენერლების კლიუგენაუსა და გურკოს თვალწინ. ორივე გენერალი ამ დროს იდგა მახლობელ ქუშიტის მთებზე და ვერ მიეშველნენ შაგანოვს გერგებილის დაცვაში. სამხრეთ-დაღესტნიდან მოვიდა მოსაშველებლად არღუტინსკი-დოლგორუკოვი, მაგრამ გვიანღა იყო. დაკარგულ საქმეს ვეღარ გაასწორებდა, კლიუგენაუ დაბრუნდა თემირ-ხან-შურაში, არღუტინსკი — ყაზი ყუმუხში.

გერგებილის აღების შემდეგ შამილი გაემართა მეხტულის სახანოში. მთელი სახანო მიემხრო შამილს და შამხალიელებიც აიყოლიეს. აქედან შამილი გადავიდა და გარს შემოერტყა ტემირ-ხანშურას და ხიზოვიას. აქ შამილი კაზანჩიბთან დამარცხდა გენერალ ფრეიგატისაგან.

ორის კვირის განმავლობაში შამილმა გასწმინდა მთელი ავარია და შუა დაღესტანი რუსებისაგან. ფეზისაგან აშენებული არც ერთი სიმაგრე აღარ დარჩა. მთელი დაღესტანი ღელავდა. რუსებისაგან გათავისუ-

ფლების იმედი მიეცათ. ხალხის თვალში შამილი ამაღლდა. იმამის გავლენა დაღესტნელებზე დიდად გაიზარდა. შამილის სახელი სათაყვანებელი გახდა. ავარიაში რუსებს ჰუნზახიღა დარჩათ. ამ ავარიის სამკვიდრო სოფელში იდგა რუსების გამოჩენილი გენერალი პარსექი. პარსექი ხედავდა, რომ ჰუნზახის შენარჩუნება აღარ შეიძლებოდა, როცა გარშემო მთელი ავარია შამილის ხელში იყო, ამისათვის გაცლა არჩია, პარსექი თავის ჯარებით გავიდა ჰუნზახიდან. შამილმა ფეხდაფეხ გაადევნა რუსებს ჰაჯი მურადი. ჰაჯი მურადი მოსვენებას არ აძლევდა პარსექს არც დღე და არც ღამე თავის თავდასხმებით. რუსები შეწუხდნენ, სიცივე, თოვლი, ყინვა, შიშველ-სიტიტვლე და შიმშილი. როგორც არწივი, ზედ დასტრიალებდა ჰაჯი მურადი პარსექს, მაგრამ პარსექიც გმირულად უხვდებოდა ჰაჯის. როგორც იყო რუსებმა მიატანეს სოფელ ზირიანს და ჩაიკეტნენ. ჰაჯი მურადი გარს შემოერტყა სოფელს და მთელი თვე დამწყვდეული ჰყავდა. სურსათი გამოელიათ რუსებს, ცხენებსა ჰხოცავდნენ და სჭამდნენ, პარსექი არ სტყდებოდა, არ დაეცა სულით, თუმცა ჯარისკაცები დავარდნილები ჰყვანდა, მაგრამ მაინც ვაჟკაცურად იგერიებდა გათამამებულ მტერს. მთელ თვეს გასტანა ამ ჯოჯოხეთურმა მდგომარეობამ. არსაიდან შველა, არსაიდან ამბავი. ბოლოს ტემირ-ხან-შურიდან მოვიდა გენერალი გურკო და გაათავისუფლა პარსექი.

რუსის ჯარისკაცები სიმღერაში ასე მოგვითხრობენ თავიანთ გასაჭირს ზირიანში:

„დავიწყეთ ჭამა ცხენის ხორცისა,
ვხარშავდით, ან და ვწვავდით ცეცხლზედა
და მარილისა უქონლობითა
ვამარილებდით თოფის წამლითა.
თამბაქოს მოერჩით, შოვნაც არ იყო,
თივასა ვწევდით ყალიონითა,
არცა-ღა გვქონდა ტანისამოსი,
ზედ ტანზე დალპა, ჩამოიგლიჯა.
ფარაჯისა და ნაბდის მაგივრად
ვიმოსებოდით ცხენის ტყავითა.
ქალამნებსაცა ვიცვამდით ფეხზე
ჩვენივე შეჭმულ ცხენის ტყავისა“.

შამილი შეევიდა ჰუნზახში. ორ კვირას ნება მისცა შამილმა მიურიდებს ენგრიათ და ეძარცვათ ჰუნზახი. მიუხედავად ჰაჯი მურადის თხოვნისა, შამილმა ქვა ქვაზე არ დაანარჩუნა ჰუნზახში. მიწასთან გაასწორა. დაარჩინა მხოლოდ მეჩეთი.

შამილმა, რა აიღო ჰუნზახი, დააყენა ჰაჯი მურადი ავარიის ნაიბად, როგორც ავარიელი, ხალხზე გავლენიანი და ამასთან უსაზღვროდ მამაცი და თავად კი წავიდა გიმრში.

ასე 1843 წ. ჰუნზახის დაჭერის შემდეგ შამილი შეიქნა მთელი დაღესტნის და საჩაჩნოს მპყრობელი, გარდა რამდენიმე კუთხისა: შურისა, ხიზოვიასი და სამხრეთ დაღესტნის პატარა ნაწილისა.

დ

კავკასიის მთავრობის დანაშაულობა. მიხეილ სვიმონის ძე ვორონცოვი. ანდი. ვორონცოვის დარგოზე გალაშქრება. არღუთინსკის გალაშქრება სოფელ ტილიტლზე.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ საჩაჩნოს და დაღესტნის დაკარგვაში და შამილის გამარჯვებაში დამნაშავე იყო თვით კავკასიის მთავრობა და მისი გენერლები. მეფის მთავრობა და მისი გენერლები, რომელნიც მოქმედებდნენ დაღესტანში, უყურებდნენ დაღესტანს, როგორც ყაჩაღების ბუდეს. მათი შეხედულებით შამილი იყო არც ეს, არც ის, იყო ჩვეულებრივი ყაჩაღი, დაღესტნელები და ჩაჩნელები იყვნენ მხოლოდ მტაცებელნი, სისხლისმსმელნი მხეცები, რომელთა სიცოცხლე, მთელი არსება დამყარებული იყო დაცემაზე, ძარცვაზე, ქურდობაზე, სისხლის ღვრაზე და სხვაზე; ჩაჩან-დაღესტნელები კი იბრძოდნენ თავგანწირულად, თითქმის ცარიელი ხელებით, მშიერნი, შიშველ-ტიტველნი. ზედ ეგებოდნენ რუსის ხიშტებზე, იხოცებოდნენ ხმაამოუღებლივ, ჩუმად, უსინანულოდ. იხოცებოდნენ ბრძოლის ველზე, იხოცებოდნენ თავიანთ ღარიბი ქოხების ნანგრევების ქვეშ. იწოდნენ ცეცხლში, იფლითებოდნენ რუსის ყუმბარებისაგან. რათა, რისთვის?! ლეკს და ჩაჩანს ჰქონდა თავისი სახლი, თავისი კერა, თავისი დედა, თავისი აკვანი. ჰქონდა თავისი რჯული, თავისი მრწამსი, ზნე-ჩვეულება, ადათი, ჰქონდა თავის ღარიბი, მწირი, მთიანი, მაგრამ საყვარელი სამშობლო, სადაც ეგულებოდა მამა-პაპა, მათი „კუბოს ფიცარი“. აი რისთვის

იბრძოდნენ ისინი. მეფის მთავრობა ამას ანგარიშს არ უწევდა. ის ექცეოდა დაღესტნელებს ზერელედ, არ უნდოდა ჩაეხედნა მათ გულში, თუ რა პატიოსანი გრძნობებით იყვნენ აღჭურვილნი, თუ რა ცეცხლი უღვივოდათ და სწვავდა მათ გულებს.

მეფის ჯარები შედიოდნენ მათ სოფლებში, სწვავდნენ, ბუგავდნენ, ერეკებოდნენ საქონელს, ანადგურებდნენ ისედაც მწირ ჭირნახულს. ხალხი შიმშილით იხოცებოდა, იკვებებოდა ცარიელი ბალახით. აბუჩათ იგდებდნენ მათ რჯულს, ადათებს, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ცხოვრებაში. მთავრობას კი ძალად შეჰქონდათ თავიანთი წესწყობილება, თავიანთი კანონები, რომელნიც არ ეგუებოდნენ მათ ზნეჩვეულებას, ხასიათს, ფსიქიკას. ამისთვისაც ლეკებს და ჩაჩნელებს ეზიზღებოდათ დამპყრობლები. გულის ფანცქალით თვალყურს ადევნებდნენ რუსეთის მიერ დაპყრობილი დაღესტნის და საჩაჩნოს ერები შამილის მოქმედებას. გაიმარჯვებდა შამილი თუ არა, იმედმოცემული, დამონავებული ხალხი ფეხზე დგებოდა და მზად იყო გულით და სულით მიეღოთ შამილი, როგორც გამათავისუფლებელი.

შამილმა იცოდა, რასაკვირველია, ეს. ჯარები დაიკავებდნენ რომელიმე მხარეს, დაიმორჩილებდნენ, გაამაგრებდნენ რომელიმე სოფელს, ჩააყენებდნენ რაზმს და დამშვიდებულნი გასწევდნენ სხვა რომელიმე დაღესტნის მხარეს იმავე მიზნით. შამილი უცბად, მოულოდნელად, შეიჭრებოდა დაპყრობილ მხარეში და ააჯანყებდა ხალხს რუსების წინააღმდეგ. ჯარს უნდა ისევ აეღო ეს მხარე. იღვრებოდა სისხლი, იხოცებოდა აუარებელი ხალხი. ერთი და იგივე პატარა სიმაგრე, ან რომელიმე სოფელი გადადიოდა ხელიდან ხელში რამდენჯერმე და ჰთქავდა ასობით და ათასობით მსხვერპლს. ბოლოს და ბოლოს კი შედეგები — არაფერი. ამასთან გენერლებს არ ჰქონდათ ერთიანი ომის წარმოების გეგმა. ყოველი გენერალი მოქმედებდა თავისთვის, თავის შეხედულებით. მათი ომის წარმოება იყო უფრო ავანტიურა, ვიდრე ნამდვილი, დალაგებული სტრატეგიის კანონებზე დამყარებული სისტემატური ომი.

სცდებოდა მეფის მთავრობა, სცდებოდნენ მისი გენერლები, რომ შამილი იყო უბრალო ყაჩაღი, დაღესტნელები და ჩაჩნელები იყვნენ მძარცველები, სისხლისმსმელები. მეფეს საქმე ჰქონდა ერთი აზრით, ერთი მიზნით გამსჭვალულ შედუღებულ ხალხთან, რომელიც ეს-

წრაფოდა თავისუფლებას და მზად იყო უკანასკნელ კაცამდის ებრძოლა მისთვის და თავიც შეეწირა. ეს ხალხი წარმოადგენდა თავისებურ სახელმწიფოს, რომლის სათავეში იდგა დიდებული ნიჭით დაჯილდოებული შამილი. სცდებოდნენ რუსების მმართველები და ამისთვისაც მთლად განსწმიდა რუსებისგან შამილმა დაღესტანი და საჩაჩნო ერთი წლის განმავლობაში.

სწორედ ეს შეცდომები იყო მიზეზი, რომ უმაღლესი ბრძანებით გადაყენებულ იქნა 1844 წ. კავკასიის მთავარმართებელი ნეიდგარდი და მის ალაგას დაინიშნა განთქმული კრაონის გმირი მიხეილ სვიმონის ძე ვორონცოვი.

ჯარები შევიდნენ ანდში. შამილმა გაანადგურა ანდის ყველა მდიდარი სოფელი და ათი ნაიბით გაეცალა დარგოში. ჯარები დადგნენ სოფელ ანდში. ანდის ბრძოლაში დაიჭრა პოლკოვნიკი თავადი ბარიატინსკი — ვორონცოვის შემდეგი კავკასიის მთავარმართებელი. 1845 წ. მკათათვეში თვითონ ვორონცოვი გაუძღვა ჯარსა და გაილაშქრა დარგოზე. შამილმა გაიგო ეს თუ არა, დაახოცინა სოფელი უნცუკულთან ტყვედ დაჭერილი ვერელიცკი და ათი ოფიცერი ფარული მიწერ-მოწერისათვის. მეფის ჯარი მიდიოდა იჩქერიის ტყეზე საცალფეხო ბილიკით, რომელიც ჩახერგილი იყო დიდრონი ხეებით. შვიდი კილომეტრი უნდა გაეარა ჯარს ტყვიის სეტყვის ქვეშ. ვორონცოვი თვითონ აძლევდა განკარგულებას. ორმა ტყვიამ გაუარა ვორონცოვს ტანისამოსში. შამილმა გაიგო რა, რომ ვორონცოვი უახლოვდება დარგოსაო, გავიდა სოფელ აალმანში მთელი თავის ჯარითა და ნაიბებით. შამილმა უთხრა ნაიბებს:

„მთავარმართებელი მოდის ჩვენზე მთელი კავკასიის ჯარით. მისი მიზანია: ან მოგვსპოს, ან შეგვირიგდეს. იცოდეთ, რომ თუ ვინმე თქვენგანმა მთხოვა მასთან შერიგება, უმალვე თავს გავაგდებინებ“. ამ სიტყვებთან შეჰფიცა შამილმა. ნაიბებმაც შეჰფიცეს, რომ იბრძოლებდნენ თავგანწირვით. მცხოვრებლებს უბრძანა შამილმა, რომ გადასახლებულიყვნენ საჩაჩნოში.

ვორონცოვი მოადგა დარგოს. ასტყდა საშინელი ბრძოლა, რომელმაც ოთხ დღეს გასტანა. მიურიდები თავს არ ზოგავდნენ, იბრძოდნენ როგორც ლომები თავიანთი საფრებიდან და მტრის მკვდრების გროვას-გროვაზე აყენებდნენ. მეფის ჯარები სიმრავლით გათამებულნი წინ

და წინ იწეოდნენ და იღებდნენ საფრებს. რა დაინახა შამილმა, როგორ უთმობდნენ მისი ნაიბები მტერს საფრებს, რომლებიც მიუვალად ითვლებოდნენ, დაანგრია თავის საცხოვრებელი, მისცა ცეცხლი სოფელს, გავიდა დარგოდან და დაიჭირა ანდის გზები. ჯარი შეეიდა გადამწვარ დარგოში.

მეექვსე ჯარს დარგოში შემოაკლდა სურსათი. ვორონცოვს წინათვე ჰქონდა მიცემული განკარგულება, რომ ანდიდან პოლკოვნიკ იულიანეს უნდა მოეტანა სურსათი დანიშნულ ალაგზე და ეცადნა, სანამ დარგოდან არ მივიდოდნენ მოსატანად. იულინეს დანიშნულ ალაგზე მოსვლისთანავე უნდა მიეცა ნიშანი. ნიშანი იყო ზარბაზნის სროლა და შუშხუნა. 10 მკათათვეს გაისმა ზარბაზნის ქუხილი, ავარდა ცაში შუშხუნა. დარგოდან დაიძრა ჯარის ნაწილი დანიშნულ ალაგისაკენ სურსათის მოსატანად. ლაშქრის მოთავედ იყო გენერალი კლიუგენაუ, წინ მიუძღოდა გენერალი პასსექი, უკან — გენერალი ვიქტოროვი.

გზა მთის კალთებზე მიდიოდა უღრანი, გაუვალი ტყით დაფარული. გზა იყო საშინლად ცუდი. ამასთან რუსების საუბედუროდ მოვიდა წვიმა, ატალახდა გზა. აღმართ-დაღმართებში გაჩნდა სასხლეტები, ამისათვის ჯარისკაცებს მწყობრად არ შეეძლოთ სვლა. დაჰკარგეს რიგი, გაიჭიმნენ და აირივნენ. მტერმა ისარგებლა ამ გარემოებით და თავს დაესხა. მილიციონერები, რომელნიც გზის მარცხნივ მიდიოდნენ, თითქმის ყველანი დაიღუპნენ, მარჯვნივ ჯარი აირივ-დაირია და დაჰკარგეს ერთმანეთი. სურსათით დატვირთული პოვოზკები გზის შუაზე მიდიოდა. ჩაჩნელები გააფთრებულნი ვარდებოდნენ შიგ რუსების თავზარდაცემულ, არეულ რაზმებში, ხოცავდნენ, სცემდნენ, სძარცვავდნენ, ლეწავდნენ და ამტვრევდნენ, რაც ხელში მოჰხვდებოდათ. ხმლით და ხანჯლით გაჭრილი ტომრებიდან სცვიოდა გზადაგზა ოქროს და ვერცხლის ფული. ტყვიებით დაცხრილული ტიკებიდან იღვრებოდა სპირტი. გზა მოფენილი იყო მარკიტანების მიერ მოტანილი აუარი ღვინის ბოთლებით და სხვადასხვა საჭმელებით. მშიერ-მწყურვალი რუსის სალდათები ხარბად ეწაფებოდნენ ღვინოს /უნდა ვიგულისხმოთ არაყი/, სჭამდნენ საჭმელს და იქვე იჟლიტებოდნენ ჩაჩნელების ტყვიისაგან. გზა აივსო რუსების გვამებით. უკანა რაზმი მამაცურად იბრძოდა, მოიგერია პირველი ლეკ-ჩაჩნელების გაშმაგებული თავდასხმა, მაგრამ შემდეგ შეკრთა და აირია. ლეკ-ჩაჩნელებს დარჩათ ხელში ორი ზარბაზანი და გენერალ ფოკის

კუბო. კუბო გაძარცვეს, გვამი კი გადაისროლეს ხევში მხეცების შესაჭმელად. მოწინავე რაზმი აიტაცა შიშმა, შეჩერდა და უარი განაცხადა ჩახერგილებზე იერიშის მიტანაზე. მამაცმა პასრევმა ვერ შესძლო დაეყოლიებინა რუსის ლაშქარი და აღენთო მათ გულში ჩამქრალი ვაჟკაცური სული. სასოწარკვეთილმა პასრევმა აკუწა ხმლით ურჩობისათვის მებაირახტრე, გავარდა წინ და ტყვიით განგმირული დავარდა მკვდარი. „მშვიდობით, ჩემო მამაცო ბრიგადავ", — წარმოსთქვა ამ სახელოვანმა გენერალმა სიკვდილის წინ.

„იგი გარდაიცვალა, — ამბობს ერთი ამ ხოცვა-ჟლეტის მოწმეთაგანი პასრევზე, — და მისი უკანასკნელი სიტყვებით კავკასიის ჯარებმა დაჰკარგეს საუკეთესო და უმამაცთაგანი გენერალი. იყო ხომ დრო, რომ ჩვენ დაეფრინავდით მისი წინამძღოლობით, როგორც არწივნი დაღესტნის მთებში, იჩქერიის ტყეებში და ყველგან ვამარცხებდით მტერს. ყველგან და ყოველთვის მამაცი მოხერხებული მტრის წინაშე, ალერსიანი და სამართლიანი; იგი ყველას იზიდავდა, ყველას უყვარდა, როგორც ძვირფასი ამხანაგი ბრძოლის ცეცხლისა, არც ერთ ჩვენგანს არ დაავიწყდება იგი, როგორც კეთილშობილი და სიკეთიანი უფროსთაგანი. მტერს მისი ეშინოდა, ჩვენ კი გვიყვარდა. მშვიდობა მას"...

თავიანთი მამაცი ოფიცრების დაკარგვის შემდეგ, ჯარისკაცები არავის აღარ ემორჩილებოდნენ. გარბოდნენ გზაკვალდაკარგულნი, თითო-თითოდ, ჯგუფებად, რომ როგორმე თავს ეშველნათ. ჩაჩნელ-დაღესტნელები კი უფრო და უფრო გამხნევებულნი, შურისძიებით გააფთრებულნი უხვდებოდნენ წინ, შეიჭრებოდნენ შუაში, ჰკუწავდნენ, ხოცავდნენ, ჰყრიდნენ ხევში, რამე წესიერების ნატამალიც აღარ დარჩა, რუსის ჯარი შიშისაგან საქონელივით დაბორიალებდა, საქონელივით ბღაოდა შესაზარად. ისეთი ძლიერი იყო შიშის ზარი, რომ გაშვერილ ხიშტს ველარ ხმარობდა ჯარისკაცი. მთელი ტანით კანკალებდა, დატრიალდა საცოდაობა, ჯოჯოხეთი. ამ ჯოჯოხეთში მოემწყვდია რამდენიმე თუში. „სიკვდილი სიკვდილია და რუსებს რაღა აღრიალებს", — წამოიძახა ხვთისავარ ციხკარიშვილმა და ხმალამოწყვდილი გადავარდა მტრის გუნდში, აკუწა რამდენიმე ჩაჩან-ლეკი და თვითონაც დავარდა მკვდარი გმირულად. მეორე თუში იჩო ციხელიშვილი ჩაწვა მკვდრებში, მოიმკვდარუნა თავი და ისე გადაირჩინა თავი. თუშებიდან ორი გადარჩა ცოცხალი, დანარჩენები დაიხოცნენ /თუშებისაგან გაგონილი/.

მოვიდა მაშველი ჯარი და გაათავისუფლა თავიანთი გადარჩენილი ამხანაგები, მიატოვეს დახოცილები და დაჭრილები მტრის ამარას. დაბრუნდა ჯარი, მაგრამ ეს ჯარი ჯარი კი არ იყო, იყო არეულ-დარეული, დაგლეჯილ-დაფხრეწილი ბრბო. წასვლა და დაბრუნება რვა კილომეტრს არ აღემატებოდა. ამ რვა კილომეტრის გაელა-გამოვლას მოუნდა ორი დღე-ღამე, დღე-ღამე საშინელი, ჯოჯოხეთური.

დიაღ, დარგოთი იდღესასწაულა მიხეილ სვიმონის ძე ვორონცოვმა თავის ხელმწიფის მოადგილედ დანიშვნა კავკასიაში და, ორი გენერლისა და ოცდათექვსმეტი ოფიცრის გარდა, შვიდი ათასი ჯარისკაცი შესწირა თავის დღესასწაულს...

სამხედრო თათბირზე გადასწყვიტეს რუსებმა უკან დახევა. უნდა დაეხიათ გერზეულ აულში. ეს დახევა ცამეტი დღე გრძელდებოდა. ჩაჩან-ლეკები აქაც მოსვენებას არ აძლევენ რუსებს. გზები ჩახერგილი უხვდებოდათ. უნდა გაეკაფათ გზა ხიშტებით. საჭმელი გაუთავდათ. ჯარისკაცები და მილიციონერები დათარეშობდნენ ღამ-ღამობით, ჰგლეჯდნენ ყანებში თავთავებს და დილისთვის ბრუნდებოდნენ. როგორც იყო რუსის ჯარი მივიდა სოფელ შაუხალბერდში. ამ სოფელში ორი-სამი დღე მოუხდათ რუსებს გაჩერება, რადგანაც ჯარისკაცებში გავრცელდა სატკივრები და მტერიც გარს შემოერტყა.

დარგოდანვე ვორონცოვმა გაგზავნა შიკრიკები გენერალ ფრეიგატთან, რომ მოშველებოდა. მოუთმენლად ელოდა მეფის მოადგილე გენერალს. „ფანჩატურის ქვეშ იდგა ვორონცოვი მარტოკა, გამხდარი, დაღრეძილი, — მოგვითხრობს ამ ლაშქრობის მონაწილე რუსის აფიცერი, — და აკანკალებული ხელებით იყურებოდა დურბინდით იქითკენ, საიდანაც მოელოდა ფრეიგატს“.

საიდუმლოდ გადაწყვეტილი იყო, რომ თუ ფრეიგატი ვერ მოეშველებოდა, მიენებებინათ თავი დაჭრილებ-ავადმყოფებისათვის, ყველაფრისათვის, რაც კი დაამძიმებდა წინსვლას და გასულიყვნენ გერზელ აულისაკენ, რაც არ უნდა დაჯდომოდათ.

აჰა, გამოჩნდა ფრეიგატიც. მისი ზარბაზნების ხმა მეხის გრგვინვით მოედო მთებს. ჩაჩან-ლეკები აირივნენ და დაიხიეს. ვორონცოვს და მის სასოწარკვეთილ დამშეულ-დაავადებულ ჯარს გაუთენდათ ნეტარების დღე. თავისუფლად ამოისუნთქეს, ულოცავდნენ, ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ ერთმანეთს სიცილ-ტირილით ჯარისკაცები.

დარგოზე გალაშქრებას რუსები უწოდებენ „Сухарная экспедиция“-ს.

ვორონცოვი რომ დარგოში მოქმედებდა, მეორე მხარეს არღუტინსკი-დოლგორუკოვმა ტურჩი-დაღიდან შემოუარა მუკარტლს, გადავიდა ყარაყოისუზე და მოულოდნელად, უკანიდან მოექცა ლეკების გამაგრებულ ალაგებს. ტილიტლელი ნაიბი კიბიტ მაჰამა კარახის, მუკარტლის და ტლესსკრუხის ნაიბებთან ერთად გაექანა ტილიტლის დასაცავად. დანიელ ბეგი კლუისელი კი წავიდა თავის სოფლის გარადის მისაშველებლად. ძლივს მოასწრო სულთანმა თავისი ცოლ-შვილის გამოყვანა სოფლიდან, რადგანაც მისი გასვლის ორი საათის შემდეგ, რუსებმა დაიჭირეს სოფელი. სოფელ გაჩალის მცხოვრებლებმა სთხოვეს რუსების გერენალს პატიება. „ — თქვენ იფარავდით მოღალატეს, — მრისხანედ უთხრა თავადმა, — არ უნდა ელოდეთ პატიებას!“ ამ სიტყვებით ბრძანა მოესპოთ ძირიანად სოფელი. ამის შემდეგ არღუტინსკი გავიდა და ოცდაოთხ თიბათვეს დადგა ტილიტლის სიმაღლეებზე.

ტილიტლი იყო კიბიტ მაჰამის საცხოვრებელი სოფელი. ეს სოფელი განთქმული იყო თავის სიმაგრეებით მთებში. სოფელს გარს ევლო მსხვილი, მაგარი ქვის კედელი კოშკებით და სათოფურეებით. გაავნის შიგნით თითო სახლი სიმაგრეს წარმოადგენდა. ამისთანა სოფელზე იერიშის მიტანა, ნამეტნავად უზარბაზნოდ, სახიფათო იყო; ამისათვის არღუთინსკიმ ვერ გაბედა იერიშის მიტანა. იმან გაუსია ჯარი სოფლის მიდამოების ასაკლებად. ორ დღეს თარეშობდნენ რუსები ტილიტლის მიდამოებში და ცეცხლსა და მახვილს აძლევდნენ ყველაფერს, რაც წინ უხვდებოდათ. გაანადგურეს მინდვრები, საქონელი, ხალხი. ორი დღის შემდეგ რუსებმა დაიხიეს რუდჟისაკენ, რომ დაჰხვედროდნენ ტრანსპორტს, რომელიც უნდა მოსულიყო ყუმუხიდან. ტრანსპორტი მშვიდობიანად მოვიდა დანიშნულ ალაგას, არღუტინსკი ისევ მიადგა ტილიტლს, მაგრამ წინანდელზე უფრო გამაგრებული დაუხვდა სოფელი. როდესაც არღუთინსკიმ დაიხია რუდჟისაკენ, კიბიტ მაჰამასთან მოვიდა მოსაშველებლად ჰაჯი მურადი; ისე რომ, ტილიტლის დამცველების რიცხვმა ერთი ორად იმატა. დადგა ცუდი ამინდი, წვიმა, ქარიშხალი, ელვა და ჭექა. მთელი კვირა იდგა არღუთინსკი და შეჰყურებდა ტილიტლს. ორივე მხარე თითქო ზვერავდნენ ერთმანეთს, ელოდებოდნენ, თუ რა იქნებოდა.

ერთი კვირის შემდეგ არღუთინსკიმ გასცა ბრძანება ჯარი უკან დახეულიყო. დაიძრნენ რუსები თუ არა, ლეკები გამოვიდნენ თავიანთი სიმაგრეებიდან და მთელი თავისი ძალებით დაეცნენ რუსების უკანა რაზმს. ატყდა საშინელი ბრძოლა. რუსებმა დააყარეს კარტეჩი; მოვარდა რუსების ცხენოსანი რაზმი და შეიჭრა ლეკებში. ეს ისე უცბად მოხდა, რომ კიბიტ მაჰამა მოემწყვდა რუსების ცხენოსანთა შუაში. მამაცი ნაიბი არ დაიბნა. როგორც ლომი ეცა გარშემორტყმულ რუსებს, გააპო, ჰკრა მათრახი ცხენს და გადავარდა ერთ საშინელ უფსკრულში. რუსის მხედრები შეგროვდნენ უფსკრულთან და განცვიფრებულნი დაჰყურებდნენ უფსკრულს, სადაც დაიკარგა თავზეხელაღებული ნაიბი. რასაკვირველია, ვერც ერთმა რუსის მხედარმა ვერ გაბედა წადევნებოდა კიბიტ მაჰამას. კიბიტ მაჰამა გადარჩა, მხოლოდ მისი მირიდები, რომელნიც მას გარს ერტყნენ, ყველანი დაიხოცნენ.

ლეკის ჯარი ორად გაიყო. კიბიტ მაჰამა შევიდა თავის ჯარით ტილიტლში, ჰაჯი მურადი კი გავარდა კუიადინის ხევში და გამაგრდა. რუსები დაეცნენ ჰაჯის. კაპიტანმა ლევინმა მიაგდო ცხენი ზედ საფრებზე და იქვე ჩამოვარდა ცხენიდან მკვდარი. ლეკები გამოსცვივდნენ საფრებიდან აფიცრის გვამის წასაღებად. ხელჩართული ბრძოლიდან გამოიტანა ლევინის გვამი პოდპორუჩიკ კეგამოვთან ერთად ივანე ლაზარევმა — შემდეგში ცნობილი ყარსის გმირი. ლეკები განდევნეს რუსებმა საფრების პირველი რიგიდან. ლეკები გადავიდნენ მეორე რიგ საფრებში. რუსებმა მიიტანეს იერიში, მაგრამ ლეკებმა ისე დააყარეს სეტყვასავით ტყვია რუსებს, რომ უკანასკნელნი იძულებულნი გახდნენ დაეხიათ უკან. კარგა ხანი სდიეს მიურიდებმა რუსებს ხოცვა-ჟლეტით. ლაზარევმა შესწყვიტა ბრძოლა და თავის ჯარით გაბრუნდა უკან.

ე

ვედენი. შამილის ცხოვრება ვედენში. დაღესტან-საჩაჩნოს დაყოფა ოლქებად და მაზრებად. მათი გამგენი, ჯარი, მურთოზიგატები. ქარხნები. ფული.

შამილი დარღოდან გადავიდა არღუნის ხევში. არღუნის ხევიდან გადავიდა იჩქერიაში, სოფელ ვედენში და დამკვიდრდა იქ. ვედენი იქცა შამილის საცხოვრებელ სოფლად.

„დარგო“ და „ვედენი“ ერთსა და იმავეს ნიშნავს — სწორ ადგილს. „დარგო-ვედენი“.

სოფლის მახლობლად შამილმა ააშენა ორი სახლი: ერთი დიდი ცოლ-შვილისათვის და მეორე პატარა თავისთვის. გარშემოავლო კედელი ზარბაზნებით და არხით.

შამილის ცოლებს ჰქონდათ თავ-თავიანთი განყოფილება, რომელიც შედგებოდა თითო სამი ოთახისაგან: ერთი საძილე, მეორე საავეჯო და მესამე სასტუმრო. დღისით თითქმის არასდროს არ იყვნენ ხოლმე შამილის ცოლები თავიანთ ოთახებში. დროს ატარებდნენ უფრო თავიანთი შვილების აღმზრდელებთან.

შამილის ოთახში შეეძლოთ შესვლა მხოლოდ მის ვაჟებს, ხაზინადარს, მდივანს, მის სიძე აბდურახმანს და იმამთან მახლობელ პირებს. დანარჩენებს შამილი ღებულობდა ცალკე ოთახში — სასტუმროში.

პურს შამილი სჭამდა ცალკე, იატაკზე მჯდომარე. წინ ედგა პატარა მაგიდა, მაგრამ არც ისე მარტოკა სჭამდა შამილი პურს. მასთან იყო განუყრელი მისი ჭრელი კატა, რომელიც მოუყვანა იმამს ტყვედ ჩავარდნილმა რუსის ჯარისკაცმა, სხვისი ხელიდან კატა არ ღებულობდა საჭმელს, უეჭველად თვითონ შამილს უნდა მოემზადებინა თეფშზე და მიერთმია.

შამილის შინაური მოსამსახურენი შედგებოდნენ ტყვე თათრებისაგან, რუსებისაგან, ყუმიყელებისაგან, ქართველებისაგან და სხვებისაგან. ყველას თავთავიანთი საქმე ჰქონდათ ჩაბარებული. მოსამსახურენი ცხოვრობდნენ იმამის სახლის მახლობლად, ცალკე უბანში თავიანთი ცოლ-შვილით. იმამი მათ ასმევდა, აჩუქებდა ფულს და გაჭირვების დროს აძლევდა ცხენებს და ხარებს. ექცეოდა მათ სიყვარულით, ლმობიერად, თანაგრძნობით. მოსამსახურენი ემსახურებოდნენ სიმართლით და ერთგულად.

მოსამსახურეთა შორის ნამეტნავად ორმა მოიგო შამილის გული. ერთი იყო ყაზიყუმუხელი ბეი-მურზა, მეორე ტარკიელი ლაბაზანი. ბეი-მურზა მუდმივ ვედენში იყო. სხვა არა იყო რა იმის საქმე, გარდა დღესასწაულებში საკლავების ხოცვისა. დანარჩენ დროს თავისუფალი იყო. მაგრამ, როცა მიიღებდა მონაწილეობას რომელიმე ლაშქრობაში, იჩენდა საკვირველ მამაცობას. ამასთან იყო იმამისთვის მზარეულიც, ლაქიაც, ერთი სიტყვით, ყველაფერი.

ლაბაზანი ერთი და იმავე დროს იყო ოფიციანტიც, ბუფეტჩიკიც, ჩაის დამსხმელიც, კომერდინერიც და ხანდახან შამილის ცოლებსაც ემსახურებოდა. ლაბაზანმა მიიქცია ყურადღება შამილის ცოლებისა თავისი მოსწრებული სიტყვა-პასუხით, თავის მოძრაობით, მხიარულობით. ყველაზე უფრო ემსახურებოდა ლაბაზანი დანიელ-ბეგს, სცდილობდა მოეგო მისი გული. გაიგებდა ლაბაზანი დანიელ-ბეგი მოდისო თუ არა, ციბრუტივით დატრიალდებოდა. მოიყვანდა თავის ცოლს და კარგად გააწმენდ-გაასუფთავებინებდა ოთახს, სადაც უნდა დამდგარიყო ბეგი, აარჩევდა ხმელ-ხმელ შეშას, დასჭრიდა და აანთებდა ღუმელს. გადავიდოდა ქალების განყოფილებაში და მოითხოვდა ქურას, რომელიც დანიშნული იყო დანიელ-ბეგისათვის, დააგებდა ლოგინს მოწიწებით, ბეგის გემოვნებით. დანიელ-ბეგიც, რასაკვირველია, უყურადღებოდ არ სტოვებდა ლაბაზანს, უხვად აჯილდოებდა ხოლმე.

ლაბაზანი ძალიან დაუახლოვდა იმამს და მის ოჯახს, შეიქნა საჭირო კაცად სახლში. მხოლოდ ლაბაზანი მოახსენებდა ხოლმე შამილს ნაიბების, ან სხვა ვისმეს მოსვლას, რომელთაც ჰქონდათ რაიმე საქმე იმამთან. არც ერთ ქაღალდს არ იღებდა შამილი, რომ ლაბაზანს არ სჭეროდა ხელში. ყველა კაცებში, რომელნიც ეკუთვნოდნენ იმამის სახლს, შამილი ელაპარაკებოდა მხოლოდ ლაბაზანს და ბეი-მურზას.

შამილი დგებოდა ძალიან ადრე, წვებოდა ცხრა-ათ საათზე ლოცვის შემდეგ. ნაშუაღამის ორ საათზე დგებოდა ისევ და ლოცულობდა გათენებამდინ. შამილს გატაცებით უყვარდა თავის ოჯახი, შვილებს პირდაპირ აღმერთებდა, პატივს სცემდა ყოველ პატიოსან კაცს, ეჯავრებოდა ტყუილი, ცუღლუტობა. შამილი იყო დინჯი, დარბაისელი. გული იშვიათად მოსდიოდა, მაგრამ თუ დაარღვევდა ვინმე რჯულის, ან შარიათის წესებს, ულმობელი იყო, შამილს ეჯავრებოდა ტყუილუბრალოდ დროს გატარება. თვითონ ან ლოცულობდა, ან აკეთებდა რასმეს, და ან კითხულობდა წიგნებს. უყვარდა საუბარი სამხედრო საქმეებზე, ისტორიულ დიდ გმირებზე. ისტორიულ ცნობებს შამილი იღებდა წიგნიდან „მაგაზი", რომელშიაც აღწერილი იყო მუჰამედის და მისი ახლო მიმდევარი ხალიფების ლაშქრობა. ხანდახან შამილი აგროვებდა ხალხს მოედანზე და უქადაგებდა შარიათს.

შამილის სახლს ყოველთვის ეხვეოდნენ მთხოვნელები, მოჩივრები,

მოდიოდნენ ღარიბ-ღატაკნი, მათხოვრები, დასახიჩრებულები; სთხოვდნენ შველას, მოწყალებას. შამილი უბრძანებდა თავის ხაზინადარს, რომ დაეკმაყოფილებინა ყველანი. არც ერთი არ წავიდოდა ცარიელი, ღებულობდნენ ზოგი ფულს, ზოგი პურს, ზოგი ხარს, ცხენს ან ცხვარს. ზოგს, ვისაც შეეძლო იარაღის ტარება, აძლევდა იარაღს. ამის გარდა ყოველ პარასკეობით მოდიოდნენ ღარიბ-ღატაკნი ვედენში მახლობელი და შორი სოფლებიდანაც სათხოვნელად. შამილი ყველას აკმაყოფილებდა და ხშირად უხვადაც.

იმამი დარწმუნებული იყო, რომ ღარიბ-საწყლების ლოცვა ეამებოდა ღმერთს და ამისათვის, როდესაც სალაშქროდ მიდიოდა, შეაგროვებდა ვინც კი ბედისაგან დაჩაგრული იყო, ასაჩუქრებდა ფულით, ფარჩით, სხვა საჭირო საგნებით და სთხოვდა მათ ელოცნათ, რომ იმამს გაემარჯვნა მტერზე.

დაღესტნის საქმეებს განაგებდა უმაღლესი საბჭო, რომელიც შედგებოდა ექვსი წევრისაგან. საბჭო იკრიბებოდა იმამის სახლში. მუშაობა განაწილებული იყო შემდეგნაირად: ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და ხუთშაბათს იხილებოდა საქმეები, რომელნიც ეხებოდა მმართველობის ყველა დარგს. ორშაბათობით და სამშაბათობით იხილებოდა საქმეები, რომელნიც ეხებოდა ვედენის მახლობელ თემებს, როგორც საჩაჩნოს, იჩქერის, ანდის და სხვებს. ორშაბათობით და ხუთშაბათობით კი ირჩეოდა საქმეები სხვა უფრო მოშორებული დაღესტნის კუთხეებისა, რომლებსაც განაგებდნენ შამილის ვაჟი ყაზი-მაჰამა, დანიელ-ბეგი და სხვა ნაიბები. ამ დღეებში იმამი უსმენდა მოხსენებებს, როგორც წერილობით, ისე პირადად, შაბათობით და კვირაობით არჩევდნენ თხოვნებს და საჩივრებს. პარასკეობით ლოცულობდნენ და ისვენებდნენ. საბჭოს მუშაობის დანაწილება შეტყობილი იყო მთელ დაღესტანში. საბჭოს თათბირზე, როდესაც საქმე შეეხებოდა რომელიმე ნაიბის მიერ ხალხის შეწუხებას, უსამართლობას, წევრებს არა ეთქმოდათ რა. აქ იმამი თვითონ სწყვეტდა სამართალს. სხვა კერძო პირების საქმეებს სწყვეტდა შარიათით ერთ-ერთი საბჭოს წევრთაგანი, რომელიც ყადის თანამდებობას ასრულებდა. ამ გადაწყვეტილებას ამტკიცებდნენ სხვა წევრები და იმამი.

და რაც შეეხება, საზოგადოდ, ქვეყნის მართვის საქმეებს, იქ ყველა დამსწრე წევრი იღებდა მონაწილეობას. ყველას შეეძლო თავისუ-

ფლად, მოურიდებლად გამოეთქვა თავისი აზრი. იმამის ხმას აქ არა ჰქონდა მაგდენი მნიშვნელობა. იმამი მხოლოდ აუწყებდა საქმის ვითარებას და წარმოსთქვამდა თავის აზრს, შეხედულებას, რომელიც საბჭოს წევრებს შეეძლოთ მიეღოთ. საბჭოს გადაწყვეტილებანი იწერებოდა ქაღალდის პატარა ნაჭრებზე და ეგზავნებოდა ნაიბებს.

საბჭოს სხდომა იწყებოდა დილით ადრე და გრძელდებოდა სადილამდინ, ხანდახან საღამომდინაც. სხდომა იმართებოდა ცალკე ოთახში, რომელსაც ეძახოდნენ „დივან ხანეს“ და ოთახის იატაკი დაფენილი იყო ნაალებით და ხალიჩებით, არ იყო არც მაგიდები, არც სკამები და არც სხვა რამე ავეჯი. უმაღლესი საბჭოს წევრები ისხდნენ მუთაქებზე. მხოლოდ იმამისათვის მუთაქის გარდა ბალიშიც იყო; საბჭოს დადგენილებას მდივანი სწერდა იატაკზე დაწოლილი, საბჭოს წევრების გარდა იყვნენ მოენე /თარჯიმანი/ ჩაჩნურის და სხვა ენებისა, რომლებიც შამილმა არ იცოდა, იქვე მოენის ახლოს იჯდა გუშაგების უფროსი, ათისთავი, დანარჩენი ნაწილი ოთახისა ეჭირათ მთხოვნელებს, მაჩივრებს და სხვებს.

იმამის დამცველები და ასისთავები ცხოვრობდნენ მუდმივ ვედენში. ესენი ასრულებდნენ სხვადასხვა დავალებებს და ახლდნენ იმამს ყველა მის სადმე გამგზავრებაში. დარაჯობდნენ იმამის სახლს. დარაჯი იცვლებოდა ყოველ ხუთშაბათს. გამოდიოდა ათი კაცი თავის ათისთავით. ყოველ პარასკევს შამილი დადიოდა სალოცავად მეჩეთში, სადაც მოდიოდნენ თავისუფალი მამაკაცები და ქალები იმამის სახლისა. მეჩეთში არ უშვებდნენ ქალებს, გარდა ძლიერ მოხუცებულებისა. სოფლის მცხოვრებნი და აგრეთვე მიურიდები უნდა შეგროვილიყვნენ მეჩეთში მუგდზინების სამ დაძახებაზე. პირველ დაძახებაზე მიურიდები იცვამდნენ ახალ ტანისამოსს და ისხავდნენ იარაღს, მეორეზე იკრიფებოდნენ თავიანთ ათისთავებთან და მაშინვე მიდიოდნენ იმამის სახლთან, რომ მესამე ძახილზე თავიანთ ალაგზე ყოფილიყვნენ, იმამის სახლიდან დაწყებული მიურიდები დადგებოდნენ მწკრივად მეჩეთის მხრისაკენ და როდესაც იმამი გამოვიდოდა სახლიდან და გაემართებოდა მეჩეთისაკენ, იმავე რიგით, მწკრივად მიჰყვებოდნენ მიურიდებიც სიმღერით:

„ლია — ილლი — ლიაგა — ილლ- ალლა“.

წინ მიდიოდა იმამი მწვანე მაუდის ხალათით, ან ჩვეულებრივ

ჩოხაში. თუ წვიმა იყო, ხელში ეჭირა გაშლილი ქოლგა. იმამს მიჰყვებოდა საბჭოს მდივანი. მის შემდეგ შამილის ვაჟები, თუ იმ დროს ვედენში იყვნენ, შემდეგ ხაზინადარი, მერმე იმამის საბჭოს წევრები. იმამის გვერდით, ცოტა უკან მიდიოდა დარაჯების უფროსი თავის მიურიდებით, მეჩეთის კარებთან იდგა დარაჯი-მიურიდი. ვინც ადრე მისულები იყვნენ მეჩეთში, იმამის შესვლისას ყველანი დგებოდნენ თავიანთი ალაგებიდან და მოწიწებით გზას აძლევდნენ.

ლოცვის წინ იმამი მიჰმართავდა ხოლმე ხალხს სიტყვით, არიგებდა ხალხს, რომ წმინდად აესრულებინათ ყურანის წესები, ეცხოვრათ ტკბილად, სიყვარულით და სათნოებით. ამასთან უხსნიდა ხალხს ღაზავათის მნიშვნელობას, ამბობდა, თუ რა მოელის საიქიოს მას, ვინც იღებს მონაწილეობას სახვთო ომში. ლოცვის შემდეგ მიურიდები დგებოდნენ, ისხავდნენ იარაღს და ბრუნდებოდნენ სახლში იმავე წესით და რიგით.

/„Выдержки из записок Абдурахмана“/.

შამილმა თავის საბრძანებლო დაჰყო ოლქებად, მაზრებად; განაგებდნენ შამილის ვაჟი ყაზი მაჰამა და ალისუის სულთანი დანიელბეგი. მაზრები ებარათ ნაიბებს. ნაიბი იყო აღჭურვილი როგორც სასულიერო, ისე სამოქალაქო უფლებებით. ნაიბი არჩევდა ყველა საქმეებს, თვალყურს ადევნებდა, რომ შარიათი მტკიცედ ყოფილიყო დაცული, ჰკრეფდა ხარჯს და ჯარს. ჰყავდა ნაიბს მუდმივ სამასი შეიარაღებული მიურიდი. შამილი დიდ ნიჭს იჩენდა ხალხის არჩევაში. ამაში ის თითქმის არ სცდებოდა. იმის ნაიბები, როგორც ახვერდი მაჰამა, შუაიბ-მულლა, ულუ-ბეი, ჰაჯი მურადი და კიბიტ მაჰამა ტილიტლელი თავიანთი სამხედრო ნიჭით, მართვა-გამგეობით, სიმამაცით აკვირვებდენ არამცთუ დაღესტნელებს, არამედ მთელ რუსეთსაც.

შამილმა დააარსა მუდმივი ჯარი — ნიზამი. ჯარი დაჰყო ათასეულად, ასეულად და ათეულად თავთავიანთი დროშებით. ჯარში სასტიკი დისციპლინა არსებობდა. თუ უფროსი შეატყობდა ჯარისკაცის უმორჩილობას, მაშინვე თავს მოაგდებინებდა უსიტყვოდ. ჯარი იკრიბებოდა საჭირო დროს, დანარჩენ დროს კი მეომრები თავისუფალნი იყვნენ, აკეთებდნენ თავიანთ შინაურ საქმეს. როცა შამილი ბრძანებას გასცემდა, რომ შეკრებილიყვნენ სალაშქროდ, ყოველი დაღესტნელი თექვსმეტი წლიდან დაწყებული სამოც წლამდინ უნდა გამოცხადებულიყო.

ყოველ ჯარისკაცს უნდა ჰქონოდა თოფი, დამბაჩა და ვისაც შეძლება ჰქონდა — ხმალიც.

გამოცხადება ხდებოდა სწრაფად. ვინც არ გამოცხადდებოდა, საპატიო მიზეზების გარდა, სამ თვეს ორმოში აგდებდნენ; ღღე-ღამეში თითო აბაზიც უნდა გადაეხადა, ვინც ბრძოლაში სიმხდალეს გამოიჩენდა, მარჯვენა მკლავს ნაალით უხვევდნენ და უნდა ეტარებინა, სანამ შემდეგ ბრძოლებში არ მოირეცხდა ჩირქს, მკლავ-ნაალიანი კაცი დაცინვის და ზიზღის საგნად ხდებოდა. მას ყველა ერიდებოდა, როგორც ცოფიანს და, რასაკვირველია, ამნაირად დასჯილი კაცი ცდილობდა რაც შეიძლება მალე გაეთავისუფლებინა თავისი შერცხვენილი მარჯვენა უახლოეს ბრძოლებში. გააფთრებული ვარდებოდა ბრძოლის ცეცხლში და ან კვდებოდა, ან გათავისუფლდებოდა სირცხვილისაგან.

შამილმა შეადგინა თავისებური რაზმი მურტოზიგატებისა, რომელიც შესდგებოდა ექვსასი კაცისაგან. მურტოზიგატებს ირჩევდა მიურიდებიდან თვითონ იმამი. მურტოზიგატი უნდა ყოფილიყო მამაცი, თავდაჭერილი, წყნარი, მიურიდიზმის გამავრცელებელი და მისთვის თავგადადებული; შარიათის მკაცრი ამსრულებელი. მურტოზიგატელს თავის თავი არ ეკუთვნოდა. ის მთელი არსებით იმამს ეკუთვნოდა, იყო მისი მორჩილი უსიტყვოდ. იმამის ერთი წარბით ნიშნის მიცემა საკმარისი იყო, რომ მურტოზიგატელი ცეცხლში და წყალში გადავარდნილიყო; იმამისათვის არ დაინდობდა სასიკვდილოდ თავის ცოლ-შვილს, იმამიც არაფერს არ ზოგავდა მათთვის, უხვად აჯილდოებდა მათ ერთგულებისათვის. ხალხშიაც დიდი პატივი ჰქონდათ. მურტოზიგატელს სამსახურის ვადა ჰქონდა. ამ ვადის შემდეგ მას შეეძლო გათავისუფლებულიყო, მაგრამ საზოგადოდ არ თავისუფლდებოდნენ.

მურტოზიგატელებიც დაყოფილნი იყვნენ ათეულებად და ასეულებად თავთავიანთი ათი და ასისთავებით. მურტოზიგატელები იყვნენ საოცრად მამაცნი. მათ არ იცოდნენ, რა იყო შიში, გაქცევა. არც ერთი მათგანი არ ჩავარდნილა ტყვედ. არც ერთს არ დაუტოვებია ბრძოლის ველი.

სწორეთ ეს მურტოზიგატელები შეადგენდნენ ფუძეს შამილის ძალაუფლებისა, ბრძოლაში იყვნენ მისი მარჯვენა და ფარი, მშვიდობიანობის დროს — მიურიდიზმის და ღაზავათის გამავრცელებელნი.

1841 წ. შამილმა შემოიღო სამხედრო ნიშნები — ვერცხლის მედლები, მსგავსი ნახევარი მთვარისა. მეორე წელს იგივე ვერცხლის ვარსკვლავი, მსგავსი რუსების ვარსკვლავისა. ვარსკვლავები იმავე წელს მიიღეს შუაიბ მულლამ, ახვერდი მაჰამამ და ულუ ბეიმ იჩქერის ტყეში რუსების საშინლად დამარცხებისათვის.

შამილმა გახსნა ქარხნები ვედენში, გუნიბში და უნცუკულში. გუნიბის ქარხანაში ამზადებდნენ გვარჯილას, გოგირდს იღებდნენ დაღესტნის მადნებიდან. ვედენში აკეთებდნენ სპილენძის ზარბაზნებს, ისე რომ, შამილს რუსებისაგან წართმეულ ზარბაზნების გარდა, ჰქონდა თავის საკუთარი ზარბაზნებიც. შამილის სახლის ახლო ტყვეების უბანში იყო სახელოსნო, სადაც აკეთებდნენ ყუმბარებს და შუშხუნებს. ზარბაზნებს დარტყმული ჰქონდათ ბეჭედი წარწერით: „შამუილ", ყუმბარებს ერთის მხრით იგივე „შამუილ", მეორე მხრით ყურანიდან „და აღამაღლებს, აღადიდებს მას ღმერთი უფრო მეტად". ხმალ-ხანჯალს აკეთებდნენ თვითონ ლეკები, რომლებსაც ვერავინ ვერ შეედრება ამ ხელობაში. თოფებს ღებულობდნენ ოსმალეთიდან. ტყვია გადმოჰქონდათ ფარულად რუსეთიდან, თხრიდენ ბრძოლის შემდეგ მიწიდან.

თუ რა ღირსებისა იყო ვედენში გაკეთებული ზარბაზნები, შამილის სიძე აბდურახმანი მოგვითხრობს: „ვედენის დამცველთა შორის იყო ყაზი მაჰამას ქვისლი ტილიტლის ნაიბი აბდურახიმი, რომელსაც ცოლად ჰყვანდა დანიელ-ბეგის ქალი. აბდურახიმს ჰქონდა ვედენის ქარხნის ზარბაზანი, რომლის სიგრძე ერთი არშინი იყო. ამ ზარბაზნის ყუმბარები ისეთი პატარები იყო, რომ ერთ კაცს შეეძლო ოცამდის წაღება, მუშტის ოდენები იყო. ერთხელ აბდურახიმს მოუნდა გასინჯვა. მიაღწევს ყუმბარა სოფლის იქით მდებარე მთას, თუ ვერა, მით უმეტეს, რომ იმ მთაზე იდგნენ რუსები. ყუმბარას უნდა გაევლო ზედ სოფელზე. ტილიტლის ნაიბს სურვილი აუსრულდა. მისმა ზარბაზანმა დაილაპარაკა... ყველანი რუსებისაკენ იყურებოდნენ, თუ რას იზამდა ყუმბარა. მაგრამ ყუმბარამ ვერ აიტანა ასეთი შორი გზა, ნახევარ მანძილზე დაეშო სოფელში და დავარდა ერთი სახლის ჭერზე. ამ დროს სახლში უხარშავდა ხინკალს მართლმორწმუნე თავის ამხანაგებს. ყუმბარამ გააპო ჭერი, ჩავარდა ქვაბში, მილეწ-მოლეწა ქვაბი და გაჰფანტა ოთახში ხინკალი. მზარეულს ისე შეეშინდა, რომ გავარდა

ოთახიდან და შიშისაგან თავზარდაცემულმა არ იცოდა, რა ექნა და სად წასულიყო".

შამილი ძალიან ცდილობდა, რომ დაღესტნისთვის მიეცა სახელმწიფოს სახე. საუბედუროდ, ამისათვის მას არა ჰყვანდა მომზადებული მცოდნე პირები. ვისაც ჩაიგდებდა ტყვედ, გამოჰკითხავდა ხელობას და მის მიხედვით ამუშავებდა. ამნაირ მცოდნე პირებს დიდად აფასებდა შამილი, უხვად აჯილდოებდა, სცდილობდა მოეგო მათი გული. მაგრამ ბევრი ცულლუტი, ჰარამზადა ატყუილებდა ადმინისტრატორ იმამს.

შამილს ჰყვანდა ლეკი მჭედელი სოფელ უნცუკლიდან — ჯებრაილი, რომელმაც ისწავლა ზარბაზნის ჩამოსხმა ეგვიპტეში ხალიფთან სამსახურში ყოფნის დროს. ჯებრაილი ასხავდა ზარბაზნებს და მასალის უქონლობის გამო ხმარობდა სპილენძის ჭურჭელს.

ჰყვანდა კიდევ შამილს ჩაჩნელი უსუფ-ჰაჯი, ინჟინერი, რომელიც ბევრ ხანს ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში. უსუფ-ჰაჯიმ გააცნო შამილს ოსმალეთის სახელმწიფოებრივი წესწყობილება, რომლიდანაც ბევრი შემოიღო დაღესტანში. უსუფ-ჰაჯის ხელმძღვანელობით ვედენში გააკეთეს თოფის და რკინის სადნობი ქარხანა. მაგრამ ამ ქარხანამ ბევრ ხანს ვერ გასტანა, რადგანაც უსუფი არ იყო იმდენად დახელოვნებული და არცა ჰყვანდა მცოდნე მუშები. ამ ინჟინერმა უშველა შამილს რეგულარული ჯარის შექმნაში. ააგო ბევრი სიმაგრე, გაიყვანა ბევრი მშვენიერი გზა, ხიდები. მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ უსუფს დამოკიდებულება ჰქონდა რუსებთან. შამილს უნდოდა მოეკლა მოღალატე ინჟინერი, მაგრამ ჯემალ ედდინის — შამილის აღმზრდელის შუამდგომლობით გადარჩა სიკვდილს. საქმე მით გათავდა, რომ უსუფ-ჰაჯი, ქონების ჩამორთმევის შემდეგ, გაგზავნეს სოფელ აკონდაში — შამილის ციმბირში, საიდანაც მოახერხა გაქცევა ქალაქ გროზნოში.

იმამს უნდოდა დაღესტანს თავის საკუთარი ფული ჰქონოდა. დაღესტანში ტრიალებდა რუსის ფული და ქართული თეთრი, რომელსაც მაგდენი გასავალი არ ჰქონდა. უპირატესობა ჰქონდა რუსის ფულს. ოსტატს ვერ პოულობდა შამილი, რომ გამოეჭრევინებინა ფული.

„ერთმა ყარაბაღელმა, — ამბობს იგივე აბდურახმანი, — განუცხადა იმამს, რომ მან იცის ვერცხლის ფულის გამოჭრა, რომ ეს

ხელობა ისწავლა რუსებისაგან შიდა რუსეთის გუბერნიებში ყოფნის დროს, სადაც მუდამ მუშაობდა ქარხნებში და ზარაფხანებში. ამისათვის წინადადება მისცა შამილს, გაეკეთებინა ვედენში ზარაფხანა. იმამს ძალიან მოეწონა ყარაბაღელის წინადადება. უალერსა და აღუთქვა, რომ ღირსეულად გადუხდიდა პატივს პირველივე საქმის მორიგების შემდეგ. იმამმა ბრძანა აეშენებინათ ვედენში სახლი ზარაფხანისათვის და მოემზადებინათ ყველა საჭირო იარაღი და მასალა ხელოსნის — ყარაბაღელის მოთხოვნაზე. ბევრ ხანს იმუშავა ყარაბაღელმა, მაგრამ არაფერი არ გამოდიოდა, მუშაობაზე ეტყობოდა, რომ არც შემდეგ როდისმე გამოვიდოდა რამე. მართლაც, ბოლოს გამოირკვა, რომ არაფერი არ გამოვიდოდა ოსტატის რეგვენობის, უვიცობის მიზეზის გამო. იმამს უნდა მოტყუებისათვის მოეკლა ყარაბაღელი, მაგრამ ყარაბაღელმა გამოითხოვა იმამისაგან კიდევ ვადა და, თუ ამ ვადამდის ვერ შეასრულებდა დავალებას, იმამს ნება ჰქონდა ეწამნა და მოეკლა ყარაბაღელი. თავის საქმის სისრულეში ვერ მოყვანის მიზეზად ყარაბაღელი ჰხსნიდა მით, რომ მას დაავიწყდა ჩაეტანებინა ქურაში ვერცხლის მადანთან ერთად თეთრი ჯორის ტვინი, რომელსაც ამ შემთხვევაში ხმარობენ რუსები და ყველა განათლებული ხალხიც.

იმამი დაეთანხმა ვადაზე და ბრძანა მიეცათ ყარაბაღელისათვის თეთრი ჯორი და დაეკმაყოფილებინათ ყველა სხვა მოთხოვნილებანი. ყარაბაღელმა ამასთანავე განაცხადა, რომ მან საიდუმლოდ უნდა აწარმოოს საქმე, ხანდახან გაიაროს ტყეში, რომელიც გარს ერტყა ვედენს. იმამმა ამაზედაც დართო ნება, მხოლოდ მიუჩინა ყარაბაღელს კაცები, რომელთაც თვალყური უნდა ედევნებინათ მისთვის. ვადა ახლოვდებოდა. ყარაბაღელი ადგა, ჩაიცვა ტანისამოსი, შეიარაღდა და უთხრა თავის თვალყურის მდევნელებს, რომ იგი უნდა წავიდეს ტყეში. წავიდნენ, ყარაბაღელი გაჰქრა, ბევრი ეძებეს, მაგრამ ამაოდ".

შემდეგ რუსეთში ტყვეობაში ყოფნის დროს შამილმა ნახა პეტერბურგში ზარაფხანა, ნახა, როგორ სჭრიდენ ფულს და მწარედ თავის ქნევით მოიგონა თავის ყარაბაღელი და მისი თეთრი ჯორი...

3

შამილის კოდექსი

შამილმა შეიტანა დაღესტნის მმართველობაში კანონები, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ ყველა ნაიბებს, მოლებს და დაღესტნის მცხოვრებლებს. შამილის კანონები დამყარებულია შარიათზე, მაგრამ შეფერებული დაღესტნის და საჩაჩნოს ხალხის ზნე-ჩვეულების, ადათის და ფსიქიკის მოთხოვნილებასთან. შამილს თავის კოდექსი ნიზამებად აქვს დალაგებული. ნიზამი არის რომელიმე მმართველობის დარგში შემოღებული რეფორმა. აქ მოვიყვანთ რამდენიმე ნიზამს.

ნიზამი 1 — ფულის ჯარიმა.

ფულის ჯარიმისაგან ქალები გათავისუფლებულები იყვნენ. ფულის ჯარიმას იხდიდნენ სამი დანაშაულობისათვის: ა) ქურდობა, ბ) სამხედრო სამსახურისაგან გარიდება და გ) ქალის გაუპატიურება.

ა) შარიათით, ვინც პირველად იქურდებს, მარჯვენა ხელი უნდა მოეჭრათ, მეორედ — მარცხენა ფეხი, მესამედ — მარცხენა ხელი, მეოთხედ — დანარჩენი ფეხი და მეხუთედ — თავს მოაგდებინებდნენ.

შამილი კარგად იცნობდა დაღესტნელებს და ჩაჩნელებს. შარიათის დადგენილება რომ შემოეღო შამილს, მის სამფლობელოში ნახევარი ხალხი აღარ დარჩებოდა. ამისათვის დაღესტნის იმამმა გადაუხვია შარიათს, მით უმეტეს, რომ შარიათი ამის ნებას აძლევს იმამს. შამილმა დააწესა: პირველ და მეორე ქურდობისათვის სამი თვე ორმოში დამწყვდევა თითო ღამეში თითო აბაზის გადახდით. მესამე ქურდობისათვის — სიკვდილით დასჯა.

ბ) ვინც გაერიდებოდა სამხედრო სამსახურს, შამილმა დააწესა: სამი თვით დაპატიმრება თითო ღამეში თითო აბაზის გადახდით.

ამ სასჯელს ეკუთვნის აგრეთვე „ეგზეკუცია". ეგზეკუციებს აყენებდნენ მთელ თემში, სოფელში და კერძო სახლებშიაც. ეგზეკუციას აყენებდნენ იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე საზოგადოება, თემი, ან სოფელი არ დაემორჩილებოდა მთავრობას. ჩადგებოდნენ სახლებში ჯარისკაცები და ცხოვრობდნენ, როგორც თავიანთ სახლებში. თუ რომელიმე სოფელი, ან თემი აჯანყდებოდა, ასახლებდნენ მის მცხოვრებლებს დაღესტნის აქა-იქ კუთხეებში. მოთავეებს სჯიდნენ სიკვდილით.

ეგზეკუციები დაღესტანში თითქმის არ ხდებოდა, რადგანაც მორჩილნი იყვნენ დაღესტნელები შამილისა და მისი მართვა-გამგეობისა. სულ სხვა იყო საჩაჩნოში. ჩაჩნელები, საზოგადოდ, დაუდევარი ხალხია, სულ უბრალო მიზეზი საკმარისია ჩაჩნელისათვის, რომ დღევანდელი შენი მეგობარი, ხვალ მტერი გახდეს. არ მოეწონებოდათ ჩაჩნელებს შამილის მიერ დაყენებული ნაიბი, ავჯანყდებოდნენ. ხან რუსებისაკენ გადავიდოდნენ, ხან შამილისაკენ, ეს იყო მიზეზი, რომ ეგზეკუცია თითქმის სულ ჩაჩნელებს ხვდებოდა. ეგზეკუცია შემოაღებინა შამილს შვილმა ყაზი მაჰამამ. ეგზეკუციის ჩაყენება შეეძლოთ ნაიბებსაც, თუ დაინახავდნენ ამისათვის საჭიროებას.

გ) ქალის გაუპატიურებისათვის — იგივე სამი თვე ციხე თითო ღამე თითო აბაზით. ამ კანონმა ბევრად დაიცვა ქალის ნამუსი გარყვნილი კაცებისაგან.

ნიზამი 2 — ჩხუბი.

საზოგადოდ, ჩხუბი ხელით, ჯოხით, ქვით, თოფით, თუ რომელიმე მჭრელი იარაღით, ხშირი, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივი, ბუნებრივი მოვლენაა გაუნათლებელ, დაბალ კულტურაზე მდგარ ხალხში. მოჩხუბარი კაცი, მასთან ფიზიკურად ღონიერი, რომელიც თავის უხეში ძალით წიხლისქვეშ იდებს, ცხვირპირს ულეწავს კაცს, სათქმოთ არის გასული თავის სოფელში, თავის თემში, მაგისთანა ყოჩაღი ამ სოფელში არავინ არიო, იტყვიან ხოლმე. დაღესტანში და საჩაჩნოში ჩვეულებრივი მოვლენა იყო ჩხუბში კაცის მოკვლა, ცხვირპირის დალეწვა, დასახიჩრება.

შარიათი ჩხუბზე ორ აზრს გამოსთქვამს. ერთი ამბობს: „კაცი, რომელიც მივიდა სხვის სახლში, სხვის ბაღში, ან მინდორში პატრონთან, ან მის ოჯახის წევრებთან საჩხუბრად, შეიძლება მოიკლას, როგორც ძაღლი“.

მეორე აზრი მოითხოვს სისხლის აღებას /კალიმი/

დიდად სარგებლობდნენ ამ ორი კანონით მდიდრები და საზოგადოდ ძლიერნი ამა ქვეყნისანი. მდიდრები, როდესაც თავიანთ სახლში, ან მამულში სულ უბრალოდ ვისმეს ღარიბს, საწყალს მოჰკლავდნენ, იმართლებდნენ თავს პირველი აზრით და თუ ღარიბ-საწყალი მოჰკლავდა ვისმეს მდიდარს, შემძლებელს, მდიდრები უყენებდნენ წინ მეორე აზრს — სისხლის აღებას.

შამილმა მიიღო ეს მხედველობაში და თუმცა დასტოვა სისხლის აღება, დაადგინა: „თუ სახლის პატრონმა მოჰკლა მის ოჯაში, ან მამულში საჩხუბრად მისული კაცი, იგი — სახლის პატრონი გათავისუფლებულია ყოველ ვალდებულებისაგან და თუ მოკლულის ნათესავებმა დაიწყეს სისხლის ძიება, მაშინ თვითონ ისინი იქნებიან კანონის მიერ დევნილნი. აგრეთვე, თუ ჩხუბში იქნება მოკლული სახლის პატრონი, ან მისი შინაური, მაშინ მკვდრის სისხლი უნდა ეძიონ მკვდრის ნათესავებმა და თუ საჭირო იქნება, მთავრობაც უნდა მიეშველოს.

ამ კანონმა გაათანასწორა მდიდარი და ღარიბი, მძლავრი და სუსტი. ამით დიდად ამაღლდა შამილი ხალხის თვალში. ეს დაედო საძირკვლად მის სახელს, მის სიმძლავრეს, როგორც იტყოდა ხოლმე თვითონ შამილი.

თუ რამე ჩხუბის ნიშანი დარჩებოდა ტანზე, ან სახეზე, თავზე რომელიმე მოჩხუბარს, ვინც დაადო ნიშანი, აპატიმრებდნენ და ნაცემის სასარგებლოდ ახდევინებდნენ ფულს.

თუ ჩხუბი ხდებოდა უმოწმოდ, პასუხისმგებელს ფიცს მოსთხოვდნენ, თუ ფიცს მიიღებდა, საქმეს ალლაჰის ნებაზე სტოვებდნენ. წინაალმდეგ შემთხვევაში მას დასჯიდნენ, როგორც დამნაშავეს.

ნიზამი 3 — ქონების მემკვიდრეობა.

შამილმა დაადგინა: მემკვიდრეობაზე თანასწორი უფლება აქვთ ყველა შვილებს მამაკაცთა სქესისას განურჩევლად, მიუხედავად დაბადების პირობებისა და უარსჰყოფდა ანდერძის კანონს. სხვა დადგენილებით შამილმა სასტიკად მიუთითა შარიათზე, რომელშიაც მემკვიდრეების უფლებანი ვრცლად არის მოთხრობილი.

ნიზამი 4 — ქორწინება.

როდესაც საჩაჩნო შემოიერთა, შამილმა დაინახა, რომ ბევრი უცოლო ვაჟი და უქმრო ქალი დადიოდა თმაში თეთრი გარეული. მიზეზი იყო დიდი ქრთამი, რომლის მიცემა არ შეეძლოთ ვაჟებს ქალის დედმამისათვის უსახსრობის გამო. ქრთამი აღწევდა 80-200 მანეთამდინ. როგორც საზოგადოდ მთიელები, ჩაჩნელები ღარიბები იყვნენ, ნამეტნავად იმ დროს, როდესაც მუდმივ ომიანობა იყო. ამისათვის 80-200 მანეთის გადახდა ბევრი ვაჟისთვის შეუძლებელი ხდებოდა. ქრთამის

სიდიდე და ვაჟების უსახსრობა აიძულებდა ვაჟს და ქალს გაქცეულიყვნენ და სადმე სხვა სოფელში შეუღლებულიყვნენ რომელიმე მოლის, ან უბრალო მწიგნობარის ლოცვა-კურთხევით, აქედან ატყდებოდა ჩხუბი ქალისა და ვაჟის ნათესავებს შორის. ბევრჯერ სისხლამდინ მიდიოდა საქმე. შამილმა ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება. დიდი საზარალო იყო ხალხისთვის ჯერ ერთი, რომ ხალხი იხოცებოდა სისხლის აღებისაგან, მეორე — უცოლქმრობისაგან ხალხი არ მრავლდებოდა. მესამე — ხალხში გარყვნილობა და მრუშობა ვრცელდებოდა. შამილმა შეკრიბა ჩაჩნელების ყველა თემებიდან მამასახლისები, აუხსნა ჩვეულების უვარგისობა, მისი მავნე შედეგები და წინადადება მისცა, შეემცირებინათ ქრთამის რაოდენობა, დააწერა ერთიორი თუმანი, როგორც დააწესა თვით წინასწარმეტყველმა მუჰამედმა; მამასახლისები დასთანხმდნენ, მხოლოდ სთხოვეს იმამს ამ რიცხვისთვის მიემატებინათ 6-8 მანეთი ქორწილისათვის სახარჯოდ. შამილი დასთანხმდა.

შამილმა დაადგინა: აეკრძალათ მოლებს გაქცეული ქალ-ვაჟის დაქორწინება. ვინც არ დამორჩილდებოდა, პირს შეუკრავდნენ. დაჭრილი გაქცეულები უნდა განეშორებინათ ერთი ერთმანეთისაგან და დაებრუნებიათ თავთავიანთი დედ-მამის სახლში, სადაც უნდა დაერტყათ ზურგში რამდენიმე ჯოხი და შემდეგ განედევნათ ერთის წლის ვადით სოფლიდან.

შამილის დადგენილებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. რამდენიმე პირშეკერილმა მოლამ თავზარი დასცა სხვა მოლებს. ქალ-ვაჟი აღარ გარბოდნენ სოფლიდან.

ეს ნიზამი დაღესტანში არ ვრცელდებოდა, იმისათვის რომ იქ წინათაც ქრთამი ძალიან ცოტა იყო. მაგალითად, ბაგულიალში იყო ოცი გირვანქა ხორბალი, ან ქერი, უნცუკულში ერთი მანეთი და სხვა.

ამის შემდეგ შამილმა დაადგინა: აიძულოს მშობლები, რომ მოსწრებული ქალი უეჭველად გაათხოვონ. აძლევდნენ ვადას. თუ არ შეასრულებდნენ, მამას აგდებდნენ ორმოში და არ ამოუშვებდნენ, სანამ არ გაათხოვებდნენ.

ნიზამი 5 — განქორწინება.

მთაში საზოგადოდ, და დაღესტან-საჩაჩნოში კერძოდ, ქალი ძალიან დაჩაგრული იყო, ქალი მთაში უპირო არსება იყო. მას არაფერი არ

ეკითხებოდა. ქალი იყო მამაკაცის ჟინის დამაკმაყოფილებელი საგანი. მამაკაცი არაფერს არ აკეთებდა, მთელი მუშაობა ქალს აწვა. მუშაობდა, როგორც საქონელი. ცოლის გაგდება არაფრად მიაჩნდათ ლეკჩაჩნელებს. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო მათთვის. მთვრალი მთიელი სულ უმიზეზოდ ეტყოდა თავის ცოლს: „მე შენ გიშვებ", და ეს საკმარისი იყო, ცოლი უნდა განშორებოდა ქმარს. მეზობლებში მითქმა-მოთქმასაც კი არ იწვევდა ეს გაყრა.

შამილმა ქრთამი — თუმანი და ორი თუმანი რომ დაადგინა, ისიც მიუმატა, რომ ამ ფასში, თუ გინდ ნაკლებად, მთიელს შეეძლო შეერთო რამდენიც უნდა ცოლი, მხოლოდ მეტის მიცემა არ შეიძლებოდა. ვინც მეტს მისცემდა, იმას აჯარიმებდნენ. შამილის ეს დადგენილება მთიელებმა დაიხვიეს ხელზე და დასცეს ქალის ფასი. მისცემდნენ ერთ-ორ თუმანს და, როდესაც მოუნდებოდათ, გააგდებდნენ, ახლა სხვას შეირთავდა, ისიც რომ მობეზრდებოდა, სხვას შეირთავდა და ა.შ.

ამაზე შამილმა დაადგინა: ქმარი თუ გააგდებს ცოლს, ვალდებულია მისცეს ცოლს ქრთამი და მასთან ისიც, რაც ცოლმა მოიტანა თავის დედ-მამის ოჯახიდან ქმრის ოჯახში. და თუ ცოლთან ერთად ქმარი გაჰყრის შვილებსაც, ან ცოლი ფეხმძიმედ იქნება, მაშინ ქმარმა უნდა აძლიოს შვილების შესანახი, სანამ შვილები სრულწლოვანები გახდებიან. ცოლსაც უნდა ეძლეოდეს შესანახი, სანამ გათხოვდება.

შამილის ამ დადგენილების წინააღმდეგ, როგორც მდიდრები, ისე ღარიბები მიმართავდნენ ხოლმე ერთ საშუალებას. ცოლს არაფერს არ მისცემდნენ, რაც ერგებოდა კანონით. დაიჭერდნენ და მოამზადებდნენ მოწმეებს, რომელნიც ადასტურებდნენ სასამართლოს წინაშე ქმრების ჩვენებას, რომ „ყველაფერი, რაც კი რამ ჰქონდათ სახლში, საზოგადოდ მთელი მათი ქონება, მათ არ ეკუთვნოდათ, რომ გაყიდულია, ან არის მოტანილი დროებით". ამით ქალი ჰკარგავდა უფლებას თავის საკუთრებაზე.

ამაზე, ცოლების დასაცავად, შამილმა დაადგინა: „მთელი ქონება რომელიც არის მთიელის სახლში, ან მის ხელში, შეადგენს უდაოდ მის კუთვნილებას მანამდინ, სანამ ის არ დააკმაყოფილებს გასტუმრებულ ცოლს მთლად, რაც რამ ერგება, მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მთიელს გასცეს ქონება, ვისაც ეკუთვნის მოწმეების ჩვენების

მიხედვით. თუ გაგდებული ცოლი დარჩა შეუღლების ღამეს ხელუხლებელი, უნდა მიიღოს ქრთამის ნახევარი“.

ლეკები და ჩაჩნელები ემყარებოდნენ შარიათის ამ კანონს და ცოლისაგან გაყრის დროს ინარჩუნებდნენ ქრთამის ნახევარს — სარგებლობდა ქალის მორცხვობით. ერთმა მთიელმა არ დაუბრუნა ქრთამის ნახევარი ცოლს, რომელთანაც ცხოვრობდა რვა წელიწადი და შვილები კი არა ჰყვანდა. ქმრის ურცხვობისაგან მოთმინებიდან გამოსულმა ცოლმა მიმართა საჩივარით თვითონ შამილს, რომელმაც გადასწყვიტა საქმე ცოლის სასარგებლოდ. ამ შემთხვევამ გამოიწვია ნიზამი: „ქმარი, რომელიც დარჩა ცოლთან მარტოკა რამდენიმე წუთი, ვალდებულია მისცეს მას გაყრის დროს მთელი ქრთამი.

შამილმა თვითონ აჩვენა მაგალითი ხალხს, თუ როგორ უნდა აესრულებინათ მის მიერ გამოცემული კანონი. იმ დროს, როდესაც შამილი სცემდა ამ კანონს /1840 ან 1841 წ/ ჩაჩნელების წარმომადგენლები თავის ხალხის სახელით დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ჩაჩნელ ხალხთან დაახლოებისათვის შამილს შეერთო რომელიმე ჩაჩნელი გვარის ქალი. შამილს საფუძვლიანად მიაჩნდა ჩაჩნელების მოთხოვნა, თუმცა სურვილი არ ჰქონდა შეერთო ჩაჩნის ქალი. რომ დაემშვიდებინა ხალხი, შამილმა შეირთო მშვენიერი ზეინაბი, ასული გაჩაჩნებულ ყაზიყუმუხელ აბდულასი, მაგრამ მაშინვე, ქორწინების წესის ასრულების შემდეგ, გაეყარა ცოლს, მისცა სრულად ქრთამი და უმოწმოდ ერთ წუთსაც არ დარჩა ქალთან.

ნიზამი — მართვა-გამგეობის დაწესებულებანი

შამილამდინ საჩაჩნო-დაღესტნის თემებს, სოფლებს მართავდნენ მამასახლისები, ყადები, ან დებირები. ყადის, დებირს და მოლას ჰქონდათ ერთი და იგივე მნიშვნელობა. მათ შუა დაღესტანში ეძახდნენ დებირს, ყუმიყელების მხარეში — ყადის, საჩაჩნოში — მოლას. ესენი იყვნენ საერო და სასულიერო მმართველნი. ამ მმართველებს ძალიან სუსტი ძალაუფლება და გავლენა ჰქონდათ ხალხზე. საჩაჩნოში ხომ არაფრად მიაჩნდათ.

შამილმა, რა დაინახა ამ მმართველების ძალაუფლების და გავლენის სისუსტე, დაჰყო მხარე სანაიბოდ. ნაიბებს მიანიჭა დიდი უფლებები. მთელი მართვა-გამგეობა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო — ნაიბების ხელში იყო. მხოლოდ ნაიბს არ შეეძლო მათ მიერ რწმუნებულ მხარეში

ახალი კანონის შემოღება. ახალი კანონის შემოღება შეეძლო მხოლოდ შამილს. ნაიბებს შეეძლოთ მიენიჭათ სიკვდილი, მხოლოდ მისი სისრულეში მოყვანის ნება უნდა დაერთო შამილს. დანარჩენი ნაიბების ხელში იყო. სამოქალაქო საჩივრებს არჩევდნენ ყურანით დებირები, ან მოლები, ყადები და მუფთიები. ყოველ სოფელში იყო რამდენიმე მოლა, მაგრამ მხოლოდ ერთს ენიჭებოდა მართვა-გამგეობის ძალაუფლება; მუფთი ინიშნებოდა ყოველ სანაიბოში და დიდ სოფლებში. თუ ამ პირთა დადგენილებას არ შეასრულებდა რომელიმე მხარე, მაშინ გადასცემდნენ ნაიბს, რომელიც დაიბარებდა მოჩივრებს და ერთ წუთში სწყვეტდა მსაჯულთა დადგენილებას. მოჩივრებს შეეძლოთ დადგენილების გასაჩივრება შამილთან, რომელიც აძლევდა განკარგულებას დაუყოვნებლად აესრულებინათ მისი დადგენილება. უუმახლობელესი თანაშემწენი ნაიბებისა იყვნენ იგივე დებირები, ყადები და მოლები: ამათ ჰყვანდათ ხუთასის, ასის და ათასისთავები. ყველა ესენი ეკუთვნოდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს და თანამდებობაში ამტკიცებდა ნაიბი. ხუთასის, ასის და ათისთავების გარდა, დებირებს ჰყვანდათ კიდევ ტატლები, რომელთა მოვალეობას შეადგენდა თვალყურის დევნა, რომ მთიელებს აესრულებინათ წმიდად სარწმუნოების მოთხოვნილებანი.

ნაიბი იყო მთავარსარდალი ჯარებისა მისდამი რწმუნებულ მხარეში. ეს იყო უფროსი ყველა იარაღის მატარებლებისა. ნაიბს უნდა დაეცვა მშვიდობა, დახვედროდა შემოსეულ მტერს, შეედგინა რაზმები მტრის მხარეზე დაცემისათვის. მხოლოდ არ შეეძლო ეწარმოებინა დიდი გალაშქრება.

ნაიბის თანაშემწენი გალაშქრების დროს იყვნენ იგივე ხუთასის, ასის და ათისთავები. როდესაც ნაიბი, ან მისი თანაშემწენი წასულები იყვნენ სადმე, მათ მოვალეობას ასრულებდნენ მათ მიერვე არჩეულნი პირნი. მომეტებულად ეს პირნი იყვნენ ან მათი მახლობელი ნათესავები, ან კარგი სანდო ნაცნობნი.

ნაიბები ექვემდებარებოდნენ მუდირს. მუდირების მოვალეობა იყო ნაიბებზე თვალყურის დევნა.

ყველა ამათ: მუდირებს, ნაიბებს და სხვ. ადევნებდნენ თვალყურს ჯაშუშები — მუხთასიბები. მუხთასიბებს მუდმივი საცხოვრებელი ალაგი არა ჰქონდათ. ისინი დაძვრებოდნენ დაღესტანში, საჩაჩნოში და, თუ რამე საჭიროება მოითხოვდა, საიდუმლოდ ატყობინებდნენ იმამს.

მიურიდები იყვნენ ორგვარი: „მიურიდები ტარიკატით“ და „მიურიდები ნაიბებისა“.

ტარიკატით მიურიდობა შეეძლო ყველას განურჩევლად წლოვანების, შეძლებისა, განათლებისა და ნიჭისა. ტარიკატით მიურიდობის მაძიებელი მაშინვე მიიღებდა დარიგებას, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ ჯარმა იაროს წინასწარმეტყველის კვალზე და ეღირსოს ნეტარება საიქიოს. უნდა უარეყო ამა სოფელში განცხრომა და ფუფუნება. ამის გარდა უსახელებდნენ წიგნებს, რომლებიც უნდა წაეკითხა და უჩვენებდნენ ალაგებს წიგნებში, რომლებზედაც უნდა მიექცია განსაკუთრებული ყურადღება.

ამის შემდეგ მიურიდობის მაძიებელი ღებულობდა მიურიდის სახელს. მიურიდი ტარიკატით მთელ თავის სიცოცხლეს სწირავდა ტარიკატის შესწავლას. სწყვეტდა ხალხთან დამოკიდებულებას, განზე იდგა ცხოვრების ჭირ-ვარამთან. ხანდახან მოვიდოდა თავის მასწავლებელთან სასაუბროდ ზოგიერთი კითხვის გამოსარკვევად.

დაღესტანში ტარიკატით მიურიდები არ უყვარდათ. მათ სრულებით გავლენა არა ჰქონდათ. მათ ეძახდნენ ზარმაცებს, მუქთახორებს და უფრო მხდალებს. ამნაირი შეხედულება ხალხისა ტარიკატით მიურიდებზე საკვირველი არ არის, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ დროს, როდესაც ქვეყანას გარშემოერტყა მტრის ალყა და მამულს დამცველი სჭირდებოდა.

სულ სხვა იყო ნაიბის მიურიდი; ნაიბის მიურიდს უნდა სცოდნოდა მხოლოდ ყურანის კითხვა და უნდა ჰქონოდა შეგნება ღაზავათის საჭიროებისა. მას არ უნდა ჰქონოდა ფიზიკური ნაკლი, რომელიც ხელს შეუშლიდა მას იარაღის ხმარებაში. მიურიდი ბრმა მორჩილი უნდა ყოფილიყო თავის ნაიბისა, როგორიც უნდა ყოფილიყო მისი ბრძანებანი. უნდა ყოფილიყო უებრო მამაცი, თავშეწირული. ნაიბის მიურიდები თავიანთი სამსახურისათვის იღებდნენ ყველაფერს ნაიბიდან; საჭმელ-სასმელს, ტანისამოსს, ცხენს და იარაღს. ხანდახან ნაიბები ჰკვებავდნენ მიურიდების ოჯახებსაც.

ნიზამი — საზოგადო ხაზინა და მართვა-გამგეობის მოსამსახურე პირთა შენახვა

შამილს თავის მოჭრილი ფული არა ჰქონდა. ამისათვის ხაზინაში ძალიან ცოტა შემოდიოდა, ამიტომ დაადგინა, არ შეეწუხებინათ ხალხი

ნამეტანი გადასახადით. მცხოვრებლებს შეეძლოთ შეეტანათ, მიწის ყოველნაირი ნაყოფის გარდა, ვისაც რა შეეძლო. საზოგადო ხაზინას ჰყვანდა ცხენის ჯოგები, ცხვრის ფარები, ძროხები და სხვა. შამილმა ხაზინას გამოუჩინა კიდევ სამი წყარო: გაქცეულებისაგან ჩამორთმეული ქონება, ჯარიმები და დავლა.

სასულიერო პირებს: დებირებს, ყადებს, მოლებს ჰქონდათ სხვადასხვანაირი შემოსავალი. ზოგან აძლევდნენ მარტო მიწას, ზოგან მიწას და ამუშავებდნენ კიდეც — როგორც, მაგალითად, გუმბეტში. ანდში ღებულობდნენ ფულს მკვდრების დამარხვაში, ქორწინებაში; ფასი არ იყო გარდაწყვეტილი. საჩაჩნოში აძლევდნენ კომლეურად პურს. დაღესტანში იღებდნენ ზოგან პურს, ზოგან ფულს. ერთი სიტყვით, გადასახადებს სწყვეტდა ხალხი თავთავიანთი ადათების მიხედვით.

შამილმა მიაქცია ამას ყურადღება. დაღესტანში არ შეეხო გადასახადებს. საჩაჩნოში კი, რაც მანამდინ გადასახადები იყო, გაანახევრა. ამის გარდა ამ ნახევრის ნახევარი დებირებს უნდა მიეცათ მუფთებისათვის. საჩაჩნოში დებირების შემოსავალი შეამცირა შამილმა იმისათვის, რომ საჩაჩნო ძალიან დაქვეითებული იყო ქონებრივად მუდმივი ომების წყალობით.

ნაიბებს შემოსავლის წყარო ჰქონდათ ორი: ერთი — კერძო პირების მიერ ნაბოძი, შეწირული და მეორე — ნაწილი ნადავლისა, რომელიც უნდა შესულიყო საზოგადო ხაზინაში. ბევრ ნაიბს, რომელიც ღარიბი იყო და ამასთან ღირსიც თავისი ნიჭით, შამილი აძლევდა დახმარებას ან თავისი ჯიბიდან, ან საზოგადო ხაზინიდან. მუდირებს შემოსავლის წყარო ჰქონდათ იგივე, რაც ნაიბებს. მხოლოდ, ვისაც რამდენიმე სანაიბო ებარა, ისინი ყველა სანაიბოდან იღებდნენ. მუდირებს ჰქონდათ კიდევ შემოსავალი ხელქვეითი ნაიბებისაგან, საჩუქრის სახით. მთაში ეს სათაკილო არ იყო. ამას უყურებდნენ, როგორც ნაიბების მხრივ პატივისცემას.

ტატლებს, მთიელებზე თვალყურის დევნის გარდა, რომ მართლმორწმუნეებს წმიდად აესრულებინათ სარწმუნოების მოთხოვნილება — ევალებოდათ ნაიბების მიერ დადგენილი სასჯელის სისრულეში მოყვანა — როზგის დარტყმა. 39 როზგის დარტყმაში ტატელი იღებდა ერთ გარნეც ფქვილს; ამაზე ნაკლებ დარტყმაში იღებდა ნახევარს. ამასთან

თითო მეტ დარტყმაზე ტატელი იღებდა ათ დარტყმას დასჯილის ხელით. ტატელი ფიცს იღებდა, რომ არავისგან ქრთამს არ აიღებდა.

ყოველ ნაიბს ჰყვანდა ჯალათი, რომელიც სცხოვრობდა ნაიბის ხარჯზე. ამის გარდა, მას ეკუთვნოდა სიკვდილით დასჯილი კაცის ტანისამოსი. ხანდახან სიკვდილით დასჯა სისრულეში მოჰყვანდა თვით მიურიდებს, მთელ სოფელს, მაგალითად, მრუშობისთვის და სხვა.

მურტოზიგატები ღებულობდნენ თითო მანეთს და ათ-ათ მერა პურს თითო ათ კომლზე, შემდეგ შამილმა შეამცირა ეს გადასახადი საჩაჩნოში, ხალხის სიღარიბის გამო. მურტოზიგატები იღებდნენ თითო მანეთს და რვა-რვა მერს თითო ოც კომლზე.

შამილს, როგორც თვით ხალხის მიერ არჩეულს, შარიათით შეეძლო სახელმწიფოს შემოსვლის თავის ნებით ხარჯვა. მას სრული უფლება ენიჭებოდა; იმამს კონტროლიორი არ ჰყვანდა.

1843 წ. შამილმა, თავის გაძლიერების ხანაში, დაადო თუშების რამდენიმე მოსაზღვრე სოფელს ხარკი — სამი მანეთი კომლზე წელიწადში. ეს შემოსავალი ეკუთვნოდა მთლიანად შამილს. თუშები აძლევდნენ შამილს ხარჯს და ამასთან მოითხოვდნენ შამილისაგან, რომ აეკრძალა მოსაზღვრე ლეკებისათვის თუშეთზე თავდასხმა, აწიოკება და საქონლის დატაცება. შამილი უმწიკლოდ ასულებდა თუშების მოთხოვნილებას. ნაიბისთვის ნაბრძანები ჰქონდა შამილს, რომ სასტიკად ედევნებინა თვალყური, რომ ერთი ცხენიც არ დაკარგულიყო თუშეთში. თუ დაიკარგებოდა, სწრაფად მოაძებნინებდა ნაიბი და ჩააბარებდა პატრონს, დამნაშავეს კი ერთიორად აჯარიმებდა.

ლაშქრობის დროს დარბეული ქვეყნებიდან წამოღებულ დოვლათს ჰყოფდნენ ხუთ სწორ ნაწილად. ოთხ ნაწილს ჰყოფდნენ ერთმანეთში ლაშქრობის მონაწილენი. მეხუთე ნაწილს ჰყოფდნენ კიდევ ხუთ სწორ ნაწილებად: 1 — ზავილ-ქურბა; 2 — მასაალები, 3 — იბნ-საბილი, 4- მანაკინი და 5 — ფუკარა.

1. ზავილ-ქურმა /მახლობელნი წინასწარმეტყველისა/. ამ ნაწილს ღებულობდნენ კარეების ტომის ჩამომავალნი, რომელსაც ეკუთვნოდა წინასწარმეტყველი მუჰამედი, ამ ტომის წარმომადგენელი დაღესტანში იყო ცამეტი კომლი.

2. მასაალენი /ღირსეულს ღირსეული/. ამ ნაწილს ღებულობდნენ დერვიშები /ბერები/ და სწავლული მეცნიერნი. ამ ნაწილს აძლევდნენ

შამილის არჩევით და რადგანაც ეს „ღირსეულები“, საზოგადოდ, ცოტანი იყვნენ დაღესტანში, შამილი ამ ნაწილს აძლევდა სხვა დანიშნულებას. ამის ნებას შარიათიც აძლევდა შამილს, როგორც იმამს. ამ ფულით შამილი აგებდა, ანახლებდა მეჩეთებს, გაჰყვანდა გზები. აკეთებდა ხიდებს და სხვა.

3. იბნ-საბილი /შვილი ღმერთის კვალისა/. ეს წილი ეძლეოდათ მათ, ვინც მიდიოდნენ მექაში სალოცავად და მეომრებს, რომელნიც იბრძოდნენ ქრისტიანების წინააღმდეგ. მეომრებს უნდა შეეძინათ ყველაფერი, რაც ესაჭიროებოდა. ომის გათავების შემდეგ ამ ფულით ნაყიდი, იარაღი იყო, ცხენი, თუ ტანისამოსი, ხელუხლებლად უნდა შეენახა შემდეგ ომამდინ.

ეს არის შარიათით. შამილმა შარიათის დადგენილებას ცოტათ თუ ბევრად გადუხვია. შამილის დადგენილებით მექაში წასვლა შეეძლო მხოლოდ ფრიად მოხუცებულებს და ვინც თავის აზრით, მიმართულებით ღირსნი იყვნენ. ამათაც შეძლება უნდა ჰქონოდათ იმდენად, რომ შეეძლოთ თავიანთი ხარჯით წასვლა მექაში. რაც შეეხება მეომრებს, მათ თვითონ შამილი აკმაყოფილებდა: აძლევდა ცხვარს, ცხენს და თავის თოფხანიდან იარაღს. მათ ხვედრ ფულს კი ხარჯავდა ომის სხვა საჭიროებაზე, ან შეჰქონდა საზოგადო ხაზინაში. აძლევდა ფულს ტანისამოსის შესაძენად, ისიც მხოლოდ ღარიბ მეომერს.

4. მანაკინი /ღარიბი ხალხის/. ღარიბი ხალხი იმოდენა იყო დაღესტანში, რომ მათი დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო იმ შემოსავლით, რა შემოსავალიც ჰქონდა შამილს დავლიდან. შამილმა ეს ფული შეაერთა ფუკარის ფულს.

5. ფუკარა /თხოვარა/. მთხოვრებად შამილი სთვლიდა სრულ ობლებს, მახინჯებს, ომისაგან დაზარალებულებს, ყველა მათ, ვისაც არ შეეძლო თავის შრომით ცხოვრება. ყველა ესენი ღებულობდნენ საკმაო დახმარებას. ხვედრ წილს სრულად ღებულობდნენ.

ნიზამი-აკრძალვა:

თავის საბრძანებელში შამილმა სასტიკად აკრძალა ღვინის სმა. არამც თუ ღვინის სმა, არამედ აკრძალა ყურძნის გაყიდვა იმ პირებისათვის, ვინც იცოდა ღვინის დაყენება. იქამდინ სასტიკად სდევნიდა შამილი ღვინის მსმელებს, რომ სიკვდილითაც კი სჯიდა, ნამეტნავად თუ სხვა მხრივადაც არაკეთილსაიმედონი იყვნენ.

შამილმა აკრძალა აგრეთვე მუსიკა, ცეკვა, თამბაქოს წევა და ბურნუთი. ვინც თამბაქოს მოსწევდა, მას ჩამოუკიდებდნენ ცხვირის ნესტოებში თასმით გაყრილ ან ჩიბუხს, ან თამბაქოს ფოთოლს. ვინც ბურნუთს მოსწევდა, ჩამოუკიდებდნენ ან საბურნუთე კოლოფს, ან რამე რქას. ამ სამკაულით ატარებდნენ დამნაშავეებს სოფელში და აგებინებდნენ ხალხს, თუ რამ გამოიწვია ასეთი სასჯელი. ამ დასჯის გარდა აპატიმრებდნენ.

აპატიმრებდნენ აგრეთვე დამკვრელებსაც, ან სცემდნენ როზგებით ნაიბის დანიშვნით. ცეკვაში დამნაშავენი ორად განიყოფებოდნენ. ვინც სოფელში ცნობილნი იყვნენ, როგორც კეთილ-სინდისიერნი, მათ როზგს არტყამდნენ და ვინც არა, მათ წაუსვამდნენ სახეზე ჭვარტლს, ან ტალახს, შესვამდნენ უკუღმა ვირზე და ისე ატარებდნენ სოფელში. მოზრდილები დასცინოდნენ, ბალღები კი ესროდნენ ტალახს.

შამილმა მოსპო ხანების ბატონობა სოფელ კახში, კუანიბში, ხინიბში და ტლიავილიუკში, სადაც ავარიის ხანები ძველადვე ბატონობდნენ. ერთი სიტყვით, შამილმა გაათანასწორა ხალხი კანონის წინაშე.

თავის კანონებში შამილი სასტიკია. ევროპიელს, რასაკვირველია, ეხამუშება, მაგრამ აქ უნდა მივიღოთ მხედველობაში ხალხი, ვისთანაც ჰქონდა შამილს საქმე. შამილი ძალიან ღრმად იცნობდა თავის თანამოძმეებს, იცოდა მათი ხასიათი, ზნე-ჩვეულება, მიდრეკილება, ფსიქიკა; ნახევრად ველური ლეკ-ჩაჩნელები და სხვა თემები, ნამეტნავად ჩაჩნელები იყვნენ დაუდეგარნი, მძარცველნი, ყაჩაღები, მკვლელნი და სხვა. ეს ყველაფერი კარგად იცოდა შამილმა. აქ, ამ ხალხთან ლმობიერება, დათმობა არ გამოდგებოდა. აქ საჭირო იყო სისასტიკე მათ ასალაგმავად. შამილი თავის დადგენილებებში ხელმძღვანელობდა შარიათით, მაგრამ სადაც საჭირო იყო, შამილი სცვლიდა შარიათის დადგენილებებს, რომელნიც არ გამოადგებოდა, არ შეეფერებოდა ლეკ-ჩაჩნელს და სხვა მთიელებს; მუჰამედი აძლევდა დადგენილებებს არაბებს, შამილს კი უნდა მიეცა ლეკ-ჩაჩნელებისათვის. არაბები და ლეკ-ჩაჩნელები, რასაკვირველია, დიდად განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან ისე, როგორც განირჩევა არაბეთის და დაღესტან-საჩაჩნოს ბუნება.

სასტიკი იყო შამილის დადგენილებანი, სასტიკი, შეუბრალებელი იყო შამილი. აი, სწორედ ეს იყო მიზეზი შამილის განდიდებისა, სახელისა. ამით შეაერთა შამილმა სხვადასხვა ჯურის, სხვადასხვა

ენის, სხვადასხვა ზნე-ჩვეულების, ფსიქიკის თემნი დაღესტან-საჩაჩნოსი, გათქვიფა ერთად, ჩამოაყალიბა ერთ სხეულად, მისცა ერთი ცეცხლმოკიდებული სული და გული. მისცა ერთი მიმართულება, მისცა ხელში დროშა და დაუყენა წინ გარშემორტყმულ უძლიერეს მტერს მამულის თავისუფლების დასაცავად. ისეთი ძლიერი იყო ეს შედუღება, შეკავშირება, უაღრესად აღფრთოვანება მამულის და რჯულის დასაცველად ხალხისა, რომ შამილმა ოცდახუთ წელიწადს გაუძლო მძლავრი მეფის რუსეთს მშიერი, მწყურვალი, შეიძლება თამამად ითქვას, პირდაპირ ცარიელ ხელებით.

სასტიკი იყო შამილი. შამილი გრძნობდა თავის სიმკაცრეს და შემდეგ რუსეთში ტყვედ ყოფნის დროს ამბობდა: „მართალია, მე ვღებულობდი სასტიკ ზომებს მთიელების წინააღმდეგ. ბევრი ხალხი დაიხოცა ჩემის ბრძანებით, ვცემე შატოელებს, ანდიელებს, ტატბურთულებს, იჩქერიელებს, მაგრამ მე ვცემდი არა იმისთვის, რომ ისინი იყვნენ რუსებისკენ, არამედ მე ვცემდი მათი საძაგელი ბუნებისთვის, ძარცვისთვის, ქურდობისთვის და ყაჩაღობისთვის. ამას მართალს ვამბობ თუ არა, თქვენ თვითონ დარწმუნდებით ეხლა, იმისთვის რომ თქვენც დაიწყებთ მათ ცემას იმ მიზეზითვე — ამისათვის მე არ მრცხვენია ჩემი საქციელისა და არც მეშინიან ვაგო პასუხი ღმერთის წინაშე“.

ᲖᲘ

ვორონცოვის ახალი ტაქტიკა. ჯარის აჯანყება. გერგებილი. სალთი. ახტი. ჩოხი. შამილის დამარცხება გამაშში და ტურჩი-დაღზე. შამილის ნაიბების დამარცხება ბარიატინსკის მიერ საჩაჩნოში. ქართველი მილიციის დამარცხება ჭარში. შამილის გალაშქრება ჭარზე.

დარგოში დამარცხების შემდეგ ვორონცოვი დაადგა სხვა ტაქტიკას. მან თავის თვალით დაინახა ძველი გზა არ ვარგოდა. ახალი ტაქტიკა ასეთი იყო: მიზნისთვის რომ მიეღწია, ნელ-ნელა აუჩქარებლივ და სწორედ უნდა ემოქმედა. ამისათვის საჩაჩნო-დაღესტანს შემოავლეს რკალი. ეს რკალი თანდათან ვიწროვდებოდა და ღღეს თუ ხვალ მომწყვდეული შამილი უნდა დამარცხებულიყო.

საჩაჩნოს, დაღესტანს მიადგა რუსის ჯარი სამი მხრიდან: ერთი მოქმედებდა საჩაჩნოს მხრიდან, მეორე კასპიის ზღვიდან და მესამე კახეთის მხრიდან.

რადგანაც საჩაჩნოში ძლიერ აზარალებდნენ რუსებს გაუვალი ტყეები, ვორონცოვმა გასცა განკარგულება გაეჩეხათ ტყეები და გაეყვანათ გზები, რუსები სჩეხავდნენ ტყეს და ნელ-ნელა იწევდნენ წინ. დაპყრობილი ალაგებიდან ჩაჩნელებს ასახლებდნენ სხვა ალაგას და მათ ალაგას კი გადმოჰყვანდათ ყაზახები.

დაღესტანს შემოევლო ცეცხლის რგოლი. შამილი, როგორც გააფთრებული ლომი, გადადიოდა დაღესტნის ერთი კუთხიდან მეორეში და ასე იგერიებდა მტერს. 1847 წ. გაზაფხულზე ვორონცოვი მოვიდა თემირ-ხან-ბურაში და დაიწყო მოქმედება. პირველ რიგში იყო სოფელი გერგებილი, რომელიც რუსებმა დაჰკარგეს 1843 წ. ისედაც მაგარი გერგებილი შამილმა უფრო გაამაგრა ხელოვნურად. გაიგო შამილმა თუ არა, რომ ვორონცოვი აპირებს გერგებილზე გალაშქრებასო, რუსების ყურადღება რომ სხვა მხრისკენ მიექცია, გაგზავნა დანიელ სულთანი ხუთასი კაცით ჭარში, რომ აეჯანყებინა ისინი — როგორც ჭარი, ისე მიდამო თემები. დანიელ სულთანმა მართლაც ააჯანყა კახეთის საზღვარზე მცხოვრები მთელი ლეკების თემები და ჭარის მიდამოები აჯანყების ცეცხლში გაეხვია. სულთანი დაეცა ჭარს, აიღო, ბოქაული და მისი მოსამსახურენი ამოხოცა, გაძარცვა სოფელი და მცხოვრებლებისაგან აიღო კონტრიბუცია. რუსები ეცნენ კახეთის საზღვრებს, რომ იქამდინ არ მოდებულიყო აჯანყების ცეცხლი. დანიელ სულანი დამარცხდა და დაბრუნდა ტლერერუსში.

რუსები მიადგნენ გერგებილს. ბრძოლა დიდი იყო. შეცვიედებოდნენ რუსები ციხეში და აწყდებოდნენ ისეთ საფრებს, ორმოებს, ხაფანგებს, რომლებზედაც აქამდისინ წარმოდგენაც კი არა ჰქონდათ რუსებს. ხან უჩინარ ცეცხლში ვარდებოდნენ რუსები, ხან ისეთ ორმოებში, რომ იკარგებოდნენ უკვალოდ. ავიდოდნენ სახლის სახურავზე და ცარიელ ფიჩხისაგან გაკეთებული სახურავი ჩაენგრეოდათ. რუსები სცვივოდნენ ძირს და კვდებოდნენ მიურიდების აშვერილ ხანჯლებზე. ორჯერ მიიტანეს რუსებმა იერიში, მაგრამ ორჯერვე ლეკებმა დაახევინეს უკან. დახევის დროს რუსები ჰფენდნენ გზას თავისი გვამებით.

რუსები დამარცხდნენ. თუ როგორი სასტიკი იყო ბრძოლა გარგე-

ბილთან, ჩანს იქიდან, რომ ამ ბრძოლაში რუსებმა დაჰკარგეს ათას კაციდან ექვსასი თადარიგი ჯარისკაცი და თექვსმეტი ოფიცერი, გერგებილიდან რუსებმა დაიხიეს ტურჩიდაღზე, რომ განეგრძოთ სამხედრო მოქმედება სამხრეთ დაღესტანში.

სამხრეთ დაღესტანში, სხვა ლეკების სოფელთა შორის, რომელნიც დარაჯობდნენ მთის ხევების დარგოსკენ გასასვლელებს, იყო დიდი, მრავალრიცხოვანი მცხოვრებლებით სოფელი სალთი. სოფელ სალთს ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთ დაღესტნისათვის, როგორც გერგებილს ჩრდილო დაღესტნისათვის. სალთი გერგებილზე მეტად თუ არა, ნაკლებად არ იყო გამაგრებული. ქვის მსხვილი კედლებით, სათოფურეებით და მრგვალი კოშკებით სალთი მრისხანედ გადაყურებდა წუდახარს, რომელიც იყო კარი დარგოს ოლქებისა. ეს კარი შეამტვრია შამილმა აკუშის აღების დროს, ზამთარს 1844 წ. შამილმა იცოდა, რომ რუსები დაეცემოდნენ სალთს. სალთის დაცვა შამილმა მიანდო თავის ერთ საუკეთესო ნაიბს ომარ დებირს. აქ შექუჩდნენ საუკეთესო ნაიბები დაღესტნისა თავიანთი ჯარით. რუსებმაც გერგებილის გაკვეთილის შემდეგ მოაქუჩეს რაც კი რამ ძალა ჰქონდათ. მიიტანეს მძიმე ზარბაზნები, რომ დაენგრიათ სალთის მაგარი კედლები.

დაჰკრა საათმა. ტურჩიდაღიდან თვითონ ვორონცოვი დაეშვა ჯარით და დადგა სალთთან. ასტყდა ზარბაზნების გრიალი. რუსები წინ და წინ იწევიან და უახლოვდებიან სოფლის გალავანს. გაჰყავთ თხრილები. ლეკები გამოდიან და თავს ესხმიან რუსებს. საშინელი სისხლის ღვრაა. აქა-იქ ჩნდებიან მოსაშველებლად მოსული ნაიბები. ნაიბები დგებიან გარეშემო მთებზე და იქიდან ესხმიან თავს რუსებს, უშლიან თხრილების ამოთხრას. ეცემიან ტრანსპორტს, ანადგურებენ, ჰგზავნიან სალთაში მაშველ რაზმებს.

ვორონცოვმა დაინახა, რომ ამ პირობებში სოფლის აღება შეუძლებელი იყო, სანამ გარს მაშველი ლეკები ერტყნენ. ნახევარი ჯარი ვორონცოვმა გაუშვა პოზიციების შესანახად და დანარჩენი ჯარით მიუბრუნდა მაშველ ლეკის ჯარს. მაშველი შამილის ჯარი იდგა კეგერის და კუპპის მაღლობებზე. ამ ჯარს მოთავეობდნენ ჰაჯი მურადი, კიბიტ მაჰამა და აბაქარ-ჰაჯი. ნაიბები საშინელი წინააღმდეგობის შემდეგ დამარცხდნენ.

კეგერის და კუპპის მაღლობებზე, მართალია, დაამარცხეს რუსებ-

მა ლეკები, მაგრამ მიუხედავად ამისა, ალყა შემორტყმული სალთი ისევ ისე იდგა ქედმოუხრელად. ისე მაგრად იდგნენ სალთელები, რომ აუწერელ განცვიფრებაში მოდიოდნენ როგორც თვით ვორონცოვი, ისე მთელი მისი ჯარი.

რუსებმა მოუხშირეს ზარბაზნების სროლას. სეტყვასავით აყრიდნენ ყუმბარებს. კოშკები იქცეოდნენ, სალილები და კედლები ინგრეოდნენ. სოფელი მოიცვა თოფლის წამლის ბოლით. გაჩნდა აქა-იქ ცეცხლი. რუსებმა მისცეს რამდენიმე ნაღმი და რამდენიმე სახლი და კოშკი ნანგრევებად აქციეს. არც ლეკები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი, სეტყვასავით აყრიდნენ რუსებს ტყვიას, მათაც მისცეს ნაღმი რუსების საფრებს და ააფეთქეს. მიუხედავად ამ ჯოჯოხეთისა, ომარ-დებირს ფიქრადაც არ მოსდიოდა სოფლიდან გაცლა.

ვორონცოვმა გადაწყვიტა ალყა უფრო და უფრო შეევიწროებინა, შემოერტყა რკინის რკალი. ამისათვის საჭირო იყო ჯერ ბაღები აეღო, რომელნიც ეკვროდნენ ციხეს. ბაღები დაიჭირა ორმა რუსის ბატალიონმა. დაღამდა და სიბნელემ მოიცვა ბაღები და მისი არემარე თუ არა, ლეკები გამოვიდნენ ციხიდან და დაეცნენ რუსებს. ატყდა საშინელი ხელჩართული ბრძოლა, რომელმაც გათენებამდინ გასტანა. რვა იერიში მიიტანეს ლეკებმა ზედიზედ რუსებზე. რუსებმა ყველა იერიში მოიგერიეს, მაგრამ ძვირად კი დაუჯდათ. ჯარის ნახევარი აღარ დარჩა. რაც დარჩა, მას ბრძოლა აღარ შეეძლო. ამ ბრძოლაში მოიკლა ბატალიონის უფროსი. დაჭრილ-დაქანცული რუსები გავიდნენ მეორე დღეს ბაღებიდან. ვორონცოვმა გამოგზავნა ახალი ჯარი.

ბაღების დაჭერის შემდეგ გაუჭირდათ ციხის დამცველებს. გაუთავდათ წყალი, საჭმელი. რაც ახლო-მახლო წყალი იყო, რუსებმა მოწამლეს. ღამ-ღამობით გამოდიოდნენ ლეკები ციხიდან და ასტეხავდნენ თოფის სროლას. რუსები მოემზადებოდნენ დასახვედრად. ამით სარგებლობდნენ ლეკები და რუსებისათვის შეუმჩნევლად მოჰქონდათ წყალი. რუსებმა მოსვენება არ იცოდნენ. დღე და ღამ ფეხზე იდგნენ მტრის იერიშის მოლოდინში. უცბათ ელვასავით მოეელინებოდნენ რუსებს ლეკები, დაერეოდნენ, ხოცავდნენ და, როდესაც რუსები გონს მოვიდოდნენ, ისევ შეაფარებდნენ თავს ციხეში.

ზარბაზნები თავისას არ იშლიდნენ, უფრო და უფრო გაახშირეს სროლა. თხრილების და სანგრების რკალს წინ და წინ სწევდნენ

რუსები. ზარბაზნების გრგვინვისაგან ინგრეოდა დედამიწა. ამ დროს უცბად იგრიალა რაღაცამ საშინლად, მისი გრიალი მოედო შორს მთებს, ხშირი შავი ბოლი მოედო არე-მარეს. რუსების ნაღმისაგან აფეთქდა სოფლის შუა მდგარი კოშკი და მის ახლო-მახლო მდგარი შენობები.

რუსებმა მაინც ვერ გაბედეს სოფელში შესვლა. აყრიდნენ და აყრიდნენ რუსები ყუმბარებს, ტყვიას. არც ერთი კუთხე არ დარჩა სოფელში დაუნგრეველი. ისეთი ალაგი აღარ იყო, რომ თავი შეეფერებინა კაცს. ამასთან აუტანელი სიცხე, სრული უწყლობა, შიმშილი, ამ ნიადაგზე ქოლერა, გახრწნილი გვამების სუნი, გმინვა და კვნესა ჭრილობა შეუხვეველი ლეკებისა — აი, მდგომარეობა სალთის დამცველებისა, მაგრამ ამ ჯოჯოხეთმა ვერ შეარყია გმირობა ლეკებისა. თითქოს ლეკების მოთმინება დაულეველი იყო. ლეკები კიდევ მზად იყვნენ ახალი მოქმედებისათვის. ერთ დღეს, უცბად, მოულოდნელად, იმ მხრიდან, საიდანაც არ მოელოდნენ, თავს დაეცნენ ლეკები რუსებს, რომ გაერღვიათ რკალი და შესულიყვნენ სალთაში თანამოძმეების მისაშველებლად. რუსები ყოველი მხრიდან თავს ესხმოდნენ ამ თავგანწირულ ლეკებს, მაგრამ ლეკები წარშეუხრელად მტრის კაფვით მიიწევდნენ წინ და თუმცა ბევრნი დაიხოცნენ, მაგრამ მაინც შევიდნენ ციხეში.

ვორონცოვმა გადაწყვიტა იერიშის მიტანა, ჯერ ზარბაზნები დაუშინა. ორ დღეს არ შეწყვეტილა გრიალი. გათენებისას 14 ენკენის თვეს რუსებმა მიიტანეს იერიში. ასტყდა ბრძოლა ვიწრო ქუჩებში, სახლების ნანგრევებზე. რუსებს მიჰქონდათ იერიში თითქმის ყოველ გადარჩენილ სახლზე. შედიოდნენ და გამხეცებულნი ჰხოცავდნენ დიდს თუ პატარას, ქუდოსანს თუ მანდილოსანს, ანგრევდნენ და ანიავებდნენ ყველაფერს, რაც კი წინ დაუხვდებოდათ. დაღამდა. მთელი დღის ბრძოლით რუსებმა დაიკავეს მხოლოდ ნახევარი სოფელი. არღუთინსკი დაიჭრა.

რუსებს ნახევარი სოფელი ჰქონდათ აღებული, მაგრამ არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ხვალ იქნება თუ ზეგ უეჭველად აიღებდნენ მთელ სოფელს. ომარ დებირი თავის მიურიდებით არხეინად აშენებდა შიგ შუა სოფელში სიმაგრეს და შეჰფიცა, რომ სანამ ის ცოცხალია, ერთ ნაბიჯს არ გადასდგავდნენ უკან რუსების წინ. დანარჩენმა ნაიბებმა

მოილაპარაკეს და გარდასწყვიტეს, რომ რაც შესაძლებელი იყო, შესძლეს, რომ ამის შემდეგ ბრძოლა უაზრობა იქნებოდა, ტყუილ-უბრალოდ დაიღუპებოდნენ გადარჩენილი მამაცი დამცველები. ომარ-დებირმა უარჰყო ნაიბების აზრი და ბრძანა — უკანასკნელ სისხლის წვეთამდინ ებრძოლნათ. მაგრამ ნაიბები მას აღარ უსმენდნენ. დადგა შუაღამე თუ არა, მთვარის შუქზე ციხის დამცველებმა დაიწყეს სოფლიდან გასვლა. გაიგეს ბაღებში დაბანაკებულმა რუსებმა და ხიშტებით ეცნენ სოფლის დამცველებს. ასტყდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ცოტანიღა გადარჩნენ ლეკები. რუსებმა ჩაიგდეს ომარ-დებირის დროშა და ერთი ზარბაზანი.

ასე დაეცა სალთი. თვენახევრიანი ბრძოლის შემდეგ რუსებმა დაიჭირეს სოფელი და ამ გამარჯვებას შეეწირა ასი ოფიცერი და ორი ათასზე მეტი ჯარისკაცი.

მეორე წელიწადს, 1848 წ. შამილი ენკენის თვეში გადავიდა სამურის ოლქში, მიიმხრო სამურელები და გარს შემოერტყა სოფელ ახტის. არღუთინსკი გავიდა კუმუხიდან და დადგა სოფელ კურახში, რომელიც მდებარეობს კუმუხ-ახტის გზაზე. კურახში არღუთინსკი მოელოდებოდა მაშველ ჯარებს, რომელიც უნდა მოსულიყო შურიდან და შუა დაღესტნიდან, მაგრამ ამ დროს მივარდა კაპიტანი ბუჩყიაშვილი და შეატყობინა გენერალს, რომ ახტის მცველები საშინელ მდგომარეობაში არიანო.

— „მთელი ოლქი, სთქვა ბუჩყიაშვილმა, აჯანყებულია. შამილი გარს შემოერტყა ახტის, თოფის წამლის სარდაფის აფეთქების შემდეგ მიიტანა იერიში, უკუგდებულ იქნა, მაგრამ ჩვენი ზარალი იმოდენაა, რომ თოფის ქვეშ დარჩა მხოლოდ სამასი კაცი. თუმცა სიმაგრე კიდევ ჩვენ ხელშია, მაგრამ ხსნაზე ყოველი იმედი დაკარგულია“.

ამ გარემოებამ აიძულა არღუთინსკი არ მოეცადნა მაშველი ჯარისათვის და მიშველებოდა ახტის იმ ჯარით, რა ჯარიც ხელში ჰყვანდა. კურახიდან ახტამდინ იყო ოცდაოთხი ვერსი. მეორე დღეს რუსის ჯარი ავიდა მაღალ ქედზე, რომელიც გადაჰყურებდა სამურის ხეობას. მთიდან არღუთინსკიმ დაინახა, რომ მდინარე სამურზე ხიდი იწვოდა და ამ ალაგას მდინარეზე გასვლა შეუძლებელი იყო, ამისათვის ამ გზისთვის თავი უნდა დაენებებინათ რუსებს, უყურებდნენ რუსები ერთი მთიდან, საიდანაც გარკვევით სჩანდა ახტის ციხე მთის ცხვირ-

ზე. ციხე მოცული იყო თოფის წამლის ბოლით. სოფლის ცოტა მოშორებით, ერთ მაღლობზე ფრიალებდა მწვანე დროშა შამილისა. გარშემო მოსჩანდნენ ჯგუფ-ჯგუფად ლეკები. ხედავდა არღუთინსკი, რომ სიმაგრე უკანასკნელ დღეშია და მიშველება კი არ შეეძლო. მან იცოდა, რომ ახტის დაცემის შემდეგ რუსების წინააღმდეგ ამბოხების ცეცხლი მოედებოდა მთელ სამურის მხარეს. აქედან მოედებოდა სამხრეთ დაღესტანს და გადავიდოდა ყუბის მაზრაში. მთელი დაღესტანი გულის ფანცქალით უყურებდა, თუ რით გათავდებოდა დაღესტნის იმამის მრისხანე შეტევა სამურის ოლქში.

გულზე ცეცხლმოკიდებული უყურებდა არღუთინსკი ციხეს.

„ზაქარია სვიმონის ძევ, — მიუბრუნდა არღუთინსკი პოლკოვნიკ მანიუკინს, — აქ შეიძლება დავკარგოთ ყველა ის, რისთვისაც მე ვშრომობდი ექვსი წელიწადი“.

ამ სიტყვებით არღუთინსკი გაბრუნდა; შეჯდა ცხენზე და უბრძანა ჯარს უკან დაეხია.

რადგანაც მდინარე სამურზე ხიდი დასწვეს ლეკებმა და გასასვლელი ფონიც ახლო-მახლო არ იყო, არღუთინსკის მოუხდა შორს მოვლა სულ მახლობელ ფონიდან, სადაც შეიძლებოდა მდინარეზე გასვლა, ახტიმდე ორმოც ვერსამდინ იქნებოდა. ამ მანძილის გასავლელად რუსებს უნდა გადაელახათ ორი მთის ქედი, სადაც საცხენო გზაც კი არ მოიპოვებოდა. მთაში ამინდი საძაგელი იდგა, ჯანღი, წვიმა, ხანდახან თოვლ-ჭყაპი. მიდიოდა ჯარი. გადალახეს ერთი ქედი, ავიდნენ მეორეზე, გადაჰხედეს, მათ თვალწინ გაიშალა მშვენიერი სამურის ხეობა, სადაც მიაქანებდა შუილით თავის აქაფებულ ტალღებს სამური. მაღლა მთაზე ჯანღი, თოვლი და ჭყაპი, ძირს ხეობაში მწვანედ აბიბინებული მდელო, რომელზედაც აფრქვევდა მადლიან სხივებს მოკაშკაშე მზე. რუსები ჩავიდნენ ხევში და მიადგნენ მდინარე სამურს. სამური ჩქარი და ძალოვანი მდინარეა. ჯარი შევიდა წყალში. წყალი ჯარისკაცებს წელს ზემოთ სწვდებოდა, ახლიდა კაცებს და ცხენებს ერთმანეთს; ჯარი მაინც გავიდა მეორე ნაპირას.

მეორე ნაპირზე ჯარს შეხვდა ახტიდან გამოქცეული ორი ჯარისკაცი. ჯარისკაცებმა აუწყეს არღუთინსკის, რომ თუმცა სიმაგრე ჯერ არ აუღიათ ლეკებს, მაგრამ ახალ შეტევას ვეღარ გაუძლებენ დამცველები. ციხემდინ ერთი გადასავალიღა იყო. ჯერ არ გათენებულიყო.

არღუთინსკიმ დასძრა ჯარი. გზაზე დახვდათ რუსებს პატარა „ტფილისის სიმაგრე“, რომლის ცეცხლის ალისაგან გაშავებული, მინგრეულ-მონგრეული კედლები და ეზოში გადამწვარი რუსის ჯარისკაცების გვამები შემზარავ სურათს წარმოადგენდა. ეტყობოდა, რომ დამცველთ-აგანი არც ერთი არ გადარჩენილა.

„ტფილისის სიმაგრიდან“ იწყებოდა მისკინჯინის ველი, რომელიც უნდა გაეარათ რუსებს, რომ მისულიყვნენ ახტში. ველის შესავალი დაკეტილი ჰქონდათ ლეკებს. გამაგრებული იყო როგორც შესავალი, ისე მიდამო მაღლობები და მთის კალთები. ამ მაღლობებზე დაფრიალებდნენ შამილის საუკეთესო ნაიბების დროშები. შემოვლა შეუძლებელი იყო. პოლკოვნიკ მანიუკთან ხანმოკლე თათბირის შემდეგ არღუთინსკიმ ბრძანა სიმაგრეებზე მისვლა.

რუსები შეტევაზე მიდიოდნენ სიმაგრეებზე. ლეკები არას მოქმედებდნენ. დროს ელოდნენ. მივიდნენ თოფის ტყვიის მანძილზე თუ არა, იგრიალეს ლეკების თოფებმა საფრებიდან. რუსები შედრკნენ. ოფიცრები ჩამოხტნენ ცხენებიდან. ისე დააყარეს ლეკებმა რუსებს ტყვია, რომ უკანასკნელნი ამოეფარნენ კლდეღორეს. ბოლოს რუსებმა მიიტანეს ერთიანი იერიში ლეკების საფრებზე. ატყდა საშინელი ხელ-ჩართული ბრძოლა. თითო წინ წადგმული ნაბიჯი ირწყვებოდა სისხლით, ლეკებმა უკან დაიხიეს და მისცეს თავისუფალი გზა რუსებს ახტისაკენ. არღუთინსკის დახვდა ახტის სიმაგრის მაგივრად ნანგრევები. შამილი დაბრუნდა ვედენში.

დადგა 1849 წელიწადი. იყო თიბათვე. რუსის ჯარი დაბანაკდა ისევ ტურჩი-დაღში. დაღიდან ძირს, როგორც ხელის გულს, დაჰყურებდნენ რუსები სოფელ ჩოხს, რომელიც მდებარეობდა მთის კალთაზე. გერგებილის და სალთის შემდეგ ჩოხი იყო ალაგი, სადაც იკრიბებოდა შამილის ძალა და საიდანაც ლეკები იწყებდნენ სამხედრო მოქმედებას. შამილმა იცოდა, რომ რუსებს ეხლა მიზანში ჩოხი ჰქონდათ აღებული, ამისათვის მან ეს სოფელი ნანგრევებიდან პირველ ხარისხოვან ციხედ აქცია. რუსები ტურჩი-დაღიდან უყურებდნენ, როგორ იკრიბებოდნენ ჩოხში ლეკები, როგორ მოვიდა შამილი დიდძალი დამცველებით და როგორ შეუდგნენ ლეკები ზოგიერთი მაღლობის გამაგრებას, რომლებსაც წინათ ყურადღებასაც არ აქცევდნენ.

რუსებმა მოიკრიბეს ძალა და მკათათვის ხუთში ჩავიდნენ ძირს და

დადგნენ ჩოხის წინ, თითქმის ორი თვე დღე და ღამე მუშაობდნენ რუსები, რომ რაც შეიძლება მკვიდრი საფრები და სიმაგრეები აეშენებინათ ჩოხის გარშემო. ამ მუშაობის ჩასაშლელად ლეკები გამოდიოდნენ ციხიდან და თავს ესხმებოდნენ რუსებს. ასტყდებოდა გაშმაგებული ბრძოლა. ოცდახუთ მკათათვეს, ღამე გაორკეცებული ძალით გამოვიდნენ ლეკები და ეცნენ რუსებს. მთელი ღამე არ შეწყვეტილა ბრძოლა. რუსები ხიშტებით, ლეკები ხმალ-ხანჯლით. გათენებისას ლეკები შევიდნენ ციხეში. ამ ღამის ბრძოლაში დიდად დაზარალდნენ რუსები. ამ ბრძოლაში მოიკლა კავკასიის კორპუსის შტაბის საუკეთესო ოფიცერი პოლკოვნიკი ლევიცკი. გადიოდა მარიამობის თვე. ციხე თითქმის დანგრეული იყო, მაგრამ რუსები კიდევ ვერ ბედავდნენ იერიშის მიტანას. არღუთინსკის კარგად ახსოვდა სალთი და გერგებილი.

„ჩვენ შეგვიძლიან ავიღოთ ალაგი, სადაც იდგა ჩოხი, — სწერდა არღუთინსკი ვორონცოვს, — მაგრამ შენარჩუნება მისი ფიქრადაც კი არ უნდა ვიქონიოთ.“ ამისათვის არღუთინსკი დაკმაყოფილდა ჩოხის სიმაგრეების დანგრევით, მოხსნა ალყა და დაბრუნდა ტურჩი-დაღში.

1850 წ. მაისის რვაში შვიდასამდინ ლეკი დაეცა ჭარის ოლქს. ლეკებმა დაარბიეს და გაანადგურეს ბელაქნის რამდენიმე სოფელი. რამდენიმე სოფელში გაჩნდა ცეცხლი. ჭარის ოცი კილომეტრის მოშორებით ერთ პატარა სიმაგრეში /форт/ იდგა თავადი ქობულაშვილი პარტიზანებით და ერთი ასეული მილიციონერით. ეს ასეული შედგებოდა ბარის და მთის ქართველებისაგან. დაინახა სოფლებში ცეცხლი თუ არა, ქობულაშვილი სწრაფად გაექანა სოფლებისაკენ თავის რაზმით, მაგრამ ლეკები უკვე წასულიყვნენ ნადავლით დატვირთულნი. ქართველები გამოუდგნენ ლეკებს. შევიდნენ ხევში. მთის ხევი თანდათან ვიწროვდებოდა. საცალფეხო ბილიკი წყლის მარჯვნივ მიდიოდა ფერდობზე. ბილიკიდან წყლამდის ორასი მეტრი იქნებოდა. გარშემო დაბურული, უღრანი ტყე. ქობულაშვილი რაზმს წინ მიუძღოდა. უცბად ყოველი მხრიდან ასტყდა ჩასაფრებულ ლეკების თოფის სროლა, დადგა ჯოჯოხეთი, თითქოს გარშემორტყმულ ტყეს ცეცხლი მოეკიდაო. პირველი ჩამოვარდა ცხენიდან ქობულაშვილი და იქვე დალია სული. ზარდაცემული ქართველები აირივნენ. ყოველი მათგანი მხოლოდ თავის დაღწევაზე ფიქრობდა. იჟლიტებოდნენ უწყალოდ, ხევში დაგორე-

ბულნი ვარდებოდნენ წყალში და იხრჩობოდნენ. ხევი აიესო დაჭრილ-დახოცილებით, ამ ჯოჯოხეთის მომზერალ ივანე ელიზბარიძემ ალაპყრო ხელები ცისაკენ და დაიძახა:

— „ღმერთო, ეს რა უბედურებაა!“ და ორი ტყვიით განგმირული ჩავარდა წყალში. ორმოცდაათ მეტრზე ათრია წყალმა ელიზბარიძე, ბოლოს ერთ ალაგას ძლივ-ძლივობით, ფოფხვით გამოვიდა ნაპირზე, რომ სისხლისაგან არ დაცლილიყო, ფოთლებით და ბალახით იცავდა ნატყვიარებს. გადარჩენილმა ქართველმა მეომრებმა ნახეს წყლის ნაპირზე გონებადაკარგული, ცოცხალ-მკვდარი თუშების გმირი ელიზბარიძე. აიყვანეს და ჩაიყვანეს სიმაგრეში, სადაც ექიმმა შეუხვია ჭრილობები. მოსულიერებისთანავე

„ — ღმერთო, ნუთუ ისე მოკვდები, რომ ვერ გადვუხდი სისხლს ლეკებს“, — წარმოეთქვა დაჭრილ ელიზბარიძეს. ელიზბარიძე გამოჯანსაღდა.

თითქმის ნახევარი რაზმი ქობულაშვილისა დარჩა ხევში. მარტო ორმოცი თუშის მკვდარი ამოიტანეს ალვანში. დანარჩენმა დაქსაქსულმა რაზმელებმა ძლივ-ძლიობით მოაღწიეს სიმაგრეს.

ლეკებს მხოლოდ რამდენიმე კაცი დააკლდათ... ამავე 1850 და 1851 წლებში შამილი დამარცხდა გამაშში და ტურჩი-დაღზე. ბარიატინსკი აწვებოდა საჩაჩნოდან. შამილის ნაიბები აქაც დამარცხდნენ ავტურზე და მიჩიზე.

1852 წელს შამილმა გაილაშქრა ჭარზე. მასთან იყვნენ შვილი მისი ყაზი მაჰამა და დანიელ-სულთანი. მთელი ჭარი და მისი ოლქი მიემხრო შამილს. შამილი უბრძოლველად შევიდა ჭარში. ჭარიდან შამილმა გაგზავნა დანიელ-სულთანი ალაზანზე. გრიგოლ ორბელიანმა /პოეტი/ მოუჭრა გზა სულთანს. ასტყდა ბრძოლა. ორბელიანს მიეშველა თავის ჯარით არღუთინსკი, რის შემდეგ ლეკები გაბრუნდნენ ჭარში. შამილი ვერ გამაგრდა ჭარში და გადავიდა ისევ დაღესტანში.

თ

რუს-ოსმალოს ომი. დაღესტნის ხალხის ღელვა. დარგოს მთავარი ყადი ნურ-ბაგანდა. სოფელ ურკარახის განადგურება. ოსმალებთან ომი ვერ მიდის რუსებისათვის სასარგებლოდ. შიში, მითქმა-მოთქმა. რეადსა და ორბელიანს შორის მიწერ-მოწერა. ორბელიანის წერილი ბარიატინსკთან. ორბელიანის თათბირი ლაზარევთან. სამხედრო მინისტრის მოწერილობა რეადზე. შამილის კახეთზე დაცემა და დავით ჭავჭავაძის ცოლ-შვილის დატყვევება. ტყვეების ცხოვრება ვედენში. ტყვეების გაცვლა.

1853 წელს ასტყდა ომი რუსეთს და ოსმალეთს შორის. ომის ხმაზე მთელი დაღესტანი ამოძრავდა. შამილის კაცები მოედვნენ მთელ დაღესტანს რუსების წინააღმდეგ ხალხის ასავჯანყებლად. დაჰკრა საათმა, ამბობდნენ ისინი, გიაურებისაგან გათავისუფლებისა. ხალხი ღელავდა, ბობოქრობდა. სასულიერო პირნი ქადაგებდნენ ომს რუსების წინააღმდეგ. დიდი მღელვარება დაიწყო კაიტაგ-ტაბასარანის ოლქში, რომელიც რუსებს ეჭირათ. ტაბასარანში, სოფელ ურკარახში, გამოჩნდა ვიღაც მქადაგებელი ყადი ჰაჯი-მაჰამედი. ჰაჯის ქადაგებას ავრცელებდნენ მისნი მოწაფენი დაღესტნის თავისუფალ თემებში.

დარგოს მთავარი ყადი ნურ-ბაგანდა, რომელიც იყო ერთგული და მორჩილი რუსებისა, სწერდა გრიგორ ორბელიანს. გრიგორ ორბელიანი ახლად დანიშნული იყო არღუთინსკის შემდეგ სამხრეთ დაღესტნის მმართველად და ჯარების უფროსად. ნურ-ბაგანდა სწერდა: — „შამილი აგროვებს დიდ ძალებს, რომ ხელი შეუწყოს კაიტაგ-ტაბასარანში ამტყდარ ამბოხებას. შამილი ფიქრობს, სამხრეთ დაღესტანზე გავლით შევიდეს ყუბის მაზრაში, რომ აამხედროს მთელი მუსლიმანი ხალხი ხონთქრის საშველად სპარსეთის და ოსმალეთის საზღვრებამდინ. შამილი გაივლის დარგოს მხარეზე და მცხოვრებნი დიდად ღელავენ“.

თუმცა დიდი თოვლი, ყინვა და ქარ-ბუქი იდგა, ორბელიანმა მაინც შეკრიბა ჯარი და გენერალ მანიუკინის წინამძღოლობით გაგზავნა კაიტაგ-ტაბასარანში ურკარახის გასანადგურებლად. რუსებმა გადალახეს ქედი. გამოჩნდა მთის კალთაზე მდებარე სოფელი ურკარახი —

ეს ბუდე ამბოხებისა. ჯარს ხვდებოდნენ გზადაგზა გამოქცეული მცხოვრებნი. გამოქცეულნი აუწყებდნენ რუსებს, რომ მეამბოხე კაცი გაიქცა, რომ სოფელში ხალხი ორად გაიყო. ერთ მხარეს სურს დამორჩილება, მეორე უმეტესი ნაწილი თხოულობს ომს რუსებთან.

სოფელ ურკარახს ერტყა ქვის გალავანი კოშკებით, მანიუკინი მიადგა სოფელს. წამოაყენა წინ ზარბაზნები და დაუმიზნა სოფელს. სოფლიდან გამოვიდა დესპანი და განუცხადა მანიუკინს ურკარახელების სრული დამორჩილება. მანიუკინმა მოსთხოვა, რომ იმ ღამესვე ის სახლები, სადაც ცხოვრობდნენ ყადი და მისი მიმდევრები, მოსპობილი ყოფილიყო თვით ხალხის მიერვე, მეორე დილას შეიკრიბნონ და აირჩიონ ახალი ყადი. დესპანი დაბრუნდა სოფელში.

იმედი ჰქონდა მანიუკინს, რომ შიშის ზარდაცემული ურკარახელები აასრულებდნენ მის სასტიკ ბრძანებას, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. გათენდა მეორე დილა და რუსის გენერალმა დაინახა, რომ სოფელს ყადის და მისი მომხრეების სახლების დანგრევა, აფორიაქება არა ეტყობოდა რა. დილით მანიუკინს მოუვიდნენ ურკარახელების მიერ გამოგზავნილი სოფლის საპატიო მოხუცნი. მოხუცებმა განუცხადეს გენერალს, რომ ხალხი ვერ გაჰბედავს ცოდვილი ხელი ახლოს წმიდანის საცხოვრებელს.

— კარგი, — სთქვა, მანიუკინმა, — ჩვენ თვითონ ვუშველით მათ, შეიკრიბოს ხალხი.

— კრება იყო, მაგრამ სულ რამდენიმე კაცი დაესწრო და მათაც ვერაფერი ვერ გადასწყვიტეს უხალხოდ, — უთხრეს გამოგზავნილებმა.

გენერალმა მოითხოვა ურკარახელებისაგან ამანათები. ამანათების მოსაყვანად გაგზავნილი მოხუცნი დაბრუნდნენ და განაცხადეს, რომ ხალხი უარზეა ამანათების მიცემაზეო.

— თუ ეგრეა, — დინჯად მიუგო გენერალმა, — ჩვენ თვითონ წამოვიყვანთ მათ და მათთან ერთად ყადითურთ წავლეკავთ თქვენ ურკარახსაც.

გაათავა ეს სიტყვები მანიუკინმა თუ არა, გავარდა თოფი სოფლიდან, მეორე, მესამე. ასტყდა განაპირა სახლის კედლებიდან თოფის სროლა. სეტყვასავით მოდიოდა ტყვია. მანიუკინმა დაატუსაღა საპატიო მოხუცნი. ჯარი მიუსია სოფელს. ლაზარევმა ოთხასი ადგილობრივი მილიციონერით შემოუარა სოფელს. მილიციონერები დაქვეითდ-

ნენ, ავიდნენ კედლებზე და გადაეშვნენ შიგ სოფელში; ასტყდა ხმალ-ხანჯლის ტრიალი. ურკარახელები შეავიდნენ სარდაფებში, ფეხდაფეხ მიჰყვნენ მათ მილიციონერები და აივსო სარდაფები ურკარახელების გვამებით. ამ დროს შემოიჭრა სოფელში რუსის ქვეითთა ჯარიც და დასრულდა ურკარახელების დამარცხება. შუა დღეს სოფელი რუსების ხელში იყო, მაგრამ ბრძოლა კიდევ წარმოებდა ერთ უბანში, სადაც ერთ მაგარ კოშკში ჩაკეტილიყვნენ მიურიდები. რუსებმა დაუშინეს კოშკს ზარბაზნები, მაგრამ ყუმბარები ვერას აკლებდნენ მის მაგარ, დიდრონი ქვის კედლებს.

იდგნენ რუსები და არ იცოდნენ, როგორ აეღოთ კოშკი, რომლის სათოფურებიდან სეტყვასავით აყრიდნენ ტყვიას მიურიდები. მილიციონერები ფოფხით მივიდნენ კედლის ძირთან და თოფის ტუჩებით აიშვირეს თავიანთი ფაფახები, მიურიდებმა დააყარეს თოფები და ჩამოყარეს ფაფხები. მისცვივდნენ მილიციონერები და შეავსეს სათოფურები ქვებით. რუსებმა ამით ისარგებლეს, მიიტანეს ზარბაზნები კოშკის კედლების ახლო და დაუშინეს ყუმბარა. რამდენიმე სროლის შემდეგ კოშკი გრიალით ჩამოინგრა და ქვეშ დაიტანა დამცველები.

საღამოს რუსები გამოვიდნენ ცეცხლმოკიდებულ სოფლიდან, შემოარტყეს სოფელს ალყა და ვინც გამოვიდოდა სოფლიდან მთებში გასაქცევად, რუსები იჭერდნენ და მუსრს ავლებდნენ. მანიუკინმა აასრულა თავის სიტყვა — სოფელი ურკარახი მიწასთან გაასწორა.

სანამ ქვეითთა ჯარი რუსებისა სძარცვავდა სოფელს, ცხენოსანი ჯარი შევიდა კარაკაიდაღის ხეობაში, სადაც დამალული ჰქონდათ ურკარახელებს ცოლ-შვილი და ავლადიდება, წინ მიდიოდა შამხალალელების ასეული. შამხალალელები მიადგნენ დამალულ ურკარახელებს, ურკარახელებმა დაუშინეს თოფები. შამხალალელები შედრკნენ და აირივნენ. შამხალალელებს ჩქარავე მიეშველა ახალგაზრდა იბრაგიმხანი თავისი მერტულელებით და უკუაგდო ურკარახელები. მოვიდა რუსის ცხენოსანი ჯარით ლაზარევი, დაატყვევა ურკარახელების ცოლ-შვილი თავის საქონლით და ავლადიდებით, აუარებელი პური სოფლიდან გადმოტანილი ლაზარევმა მისცა ცეცხლს. რუსების მიერ ურაკარახის მიწასთან გასწორებამ თავზარი დასცა სამხრეთ დაღესტნის თემებს. ყოველი იმედდაკარგული ხალხი დამშვიდდა.

„ — ტარიკიელები და მეხტულები დააყენე მოწინავედ, მიუსიე

ურკარახელებს, მათ შორის ჩამოვარდება სისხლი და ერთი ერთმანეთის დაუძინებელი მტრები გახდებიან“, — უბრძანა გრიგორ ორბელიანმა გენერალ მანიუკინს, — დიაღ, ძმა ძმას გადაჰკიდე, შენ კი ხელი მოითბეო.

უმწიკვლოდ ასრულებდნენ რუსები ხალხის დაპყრობაში მონღოლების და შემდეგ სპარსელების ნაანდერძევს. არაფერს არ ზოგავდნენ, რომ შური და მტრობა ჩამოეგდოთ ხალხში. ჰფანტავდნენ ოქროს, აძლევდნენ ჩინ-მედლებს მაღალი წოდების წარმომადგენლებს, იბირებდნენ თავიანთკენ და შემდეგ ერთის დაკვრით ამონავებდნენ მხარეს. ასე დაღუპეს რუსებმა საქართველო, ასევე დაღუპეს დაღესტანიც, რუსებისაგან განთავისუფლება უნდოდათ ურკარახელებს და მასთან მთელ სამხრეთ დაღესტანს. რუსებმა მათ წინააღმდეგ გაგზავნეს მათი თანამოძმენი ტარკიელები და მეხტუელები. დაიღვარა ძმათა შორის სისხლი, სისხლს მოჰყვა სისხლი, შური, დაუძინებელი მტრობა — ეს უნდოდათ რუსებს კიდეც და ბოლოს ისარგებლეს კიდეც, თანამოძმეების სისხლის დაღვრისათვის და დაღუპვისათვის დაჯილდოეს მეხტულის ახალგაზრდა იბრაგიმი კარნეტის ხარისხით და ჩარიცხეს ლეიბ გვარდიაში...

ოსმალებთან ომი ვერ მიდიოდა რუსებისათვის სასარგებლოდ. ოსმალებს მიეშველნენ ინგლისი და საფრანგეთი, რომელნიც მოადგნენ ხომალდებით ყირიმის ნახევარკუნძულის ნაპირებს და გადმოსხეს ჯარი ხმელეთზე და გარს შემოერტყნენ ქალაქ სევასტოპოლს. ოსმალები მოაწვნენ ყარსიდან და ბათუმიდან. მთელი რუსეთი შიშმა აიტანა. კავკასიის მთავრობა აირია. კავკასიაში მცხოვრებ ერებს ზოგს შიშის ზარი დაატყდათ, ზოგი მოელოდა რუსებისაგან გათავისუფლებას. თბილისში იყო მითქმა-მოთქმა, რომ დღეს თუ ხვალ ოსმალები ინგლისელებით და ფრანგებით მოადგებიან თბილისს.

გენერალმა რეადმა, რომელიც დროებით ასრულებდა კავკასიაში ვორონცოვის თანამდებობას, მისწერა დაღესტანში გრიგოლ ორბელიანს, რომ კავკას-ოსმალეთის საზღვარზე მდგარი ჯარის გასაძლიერებლად გამოეგზავნა ოთხი ბატალიონი. ეს მოწერილობა მოუვიდა ორბელიანს მაშინ, როდესაც მან გაგზავნა ჯარი ურკარახის წინააღმდეგ. ორბელიანმა მოსწერა რეადს, რომ მისი ბრძანების შესრულება შეუძლებელია, რადგანაც თვრამეტი ბატალიონიდან, რომელიც დგას დაღესტანში, ცამეტს უჭირავს წინა სიმაგრეები, მხოლოდ

ოთხი ბატალიონია თავისუფალი ბრძოლის ველისათვის. ორბელიანის პასუხზე რეადმა მისწერა, რომ გამოეყვანა ციხე-სიმაგრეებიდან რაზმები, შეედგინა ოთხი ბატალიონი და გამოეგზავნა. ორბელიანი უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, რადგანაც ბრძანების აღსრულებაზე უარი უნდა განეცხადებინა რეადისათვის. ამ საკითხის შესახებ ორბელიანმა მისწერა კავკასიის კორპუსის უფროსს ბარიატინსკის:

„ — პირველ ხმაზე, რომელიც გაისმება მთებში: რუსები სტოვებენ სიმაგრეებს, რუსები გარბიან... რომელი მთიელი არ აწევს თავს და არ აიღებს იარაღს ხელში? როგორ შეიძლება ავასრულო რეადის ბრძანება; ლუჩევსკის, ახტის, კურახის, ჩირანის და ყაზიყუმუხის რაზმებს თავისთავად არ შეუძლიათ მიაღწიონ შურამდინ. გზადაგზა ყველას ამოსწყვეტენ. ამისათვის მე უნდა მივანებო ყველაფერს თავი, ვიხეტიალო მთებში, ღრე-ხევებში, შევაქუჩო დაფანტული რაზმები და დაბრუნებისას გამოვარღვიო მთელი დაღესტანი, რომელიც აუცილებლად აჯანყდება. ვთქვათ, ჩვენი ჯარი გაარღვევს გზას იარაღით, მაგრამ, როგორ უნდა დავიცვათ მაშინ შურა, პეტროვსკი, დარუბანდი და ყუბა? ან იქნება გვიბრძანოს ამასაც მივანებოთ თავი და დავიხიოთ. არა, თავადო, — ათავებდა წერილს ორბელიანი, — მომკალით და ნუ მაჩვენებთ ჩვენი ჯარის სახელის დაკარგვას და მტრის გახარებას“.

რეადი არა სცხრებოდა. მას სულ ოსმალები ელანდებოდა. რეადმა შეადგინა გეგმა დაღესტნის დაცლის შესახებ. პირი გაუგზავნა ხელმწიფეს, ასლი შურაში გრიგორ ორბელიანს. ამ გეგმით ორბელიანი ყოველ წუთს მზად უნდა ყოფილიყო, რომ გამოეყვანა ჯარი დაღესტნიდან, რადგანაც თბილისში უკვე გადაწყვეტილი იყო მიანებონ შამილს მთელი კასპიის ზღვის მხარე, შურა, პეტროვსკი. მხოლოდ უნდა დარჩენილიყო ორი ბატალიონი; ერთი მდინარე სულაქზე ყუმიყელების მხარის დასაცავად, მეორე მდინარე სამურზე ამიერკავკასიის დასაცავად. რომ აჯანყება არ მომხდარიყო დაღესტანში, უნდა დაესაჩუქრებინათ კიურის და ყაზიყუმუხის ხანები. ორბელიანმა არ იცოდა, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. დაიბარა ლაზარევი, რომელიც, როგორც ვიცით, გაგზავნილი იყო მანიუკინთან ერთად ურკარახის გასანადგურებლად. ლაზარევი მივიდა შურაში.

— მე მოგიხმეთ, ივანე დავითის ძევ, — უთხრა ორბელიანმა ლაზარევს, — რომ გავიგო თქვენი აზრი დიდმნიშვნელოვან საგანზე. აი წაიკითხეთ და მითხარით, რასა ფიქრობთ?

ლაზარევმა წაიკითხა.

— როგორ! — წამოიძახა ლაზარევმა, — მივაგდოთ დაღესტანი, როდესაც ჩვენ არ მოგველის საიმისო ხიფათი, როდესაც მე ჩემი ორი ბატალიონით პასუხს ვაგებ ჩემი თავით დარგოს და მეხტულის სიმშვიდისათვის. ნებაყოფლობით დავუთმოთ შამილს მხარე, რომელიც მორწყულია ჩვენი სისხლით, დავყაროთ ყველაფერი, ველრიჯოთ ხანებს, რომელნიც გვექვემდებარებიან? — ეს ისეთი დანაშაულია, რომელიც არასდროს არ გვეპატიება. ჩვენ არ გვესწავლება, თავადო, სიკვდილი, ჩვენც დავიხოცებით ჩვენ სახელის ნანგრევებზე და სახელს კი შევინარჩუნებთ ჩირქმოუცხობელად.

— თქვენ მართალი ხართ, — უთხრა ლაზარევს ორბელიანმა, — მეც მაგ აზრისა ვარ და აგრეც ვუპასუხებ რეადს.

ლაზარევთან კარგა ხნის თათბირის შემდეგ ორბელიანმა უპასუხა რეადს:

„ — თქვენი უმთავრესი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ საგარეო ომის დროს მივანებოთ შამილს შუა და სამხრეთი დაღესტანი, დავიჭიროთ მხოლოდ სულაქი და სამური. მაგრამ შეიძლება განა გამაგრება ამ ხაზზე? პირველი შედეგი ჩვენი დახევისა იქნება საერთო აჯანყება მთელი კასპიის მხარისა. მაშინ შამილი, როგორც მპყრობელი მთელი დაღესტნისა, მოიკრიფს დიდ ძალას და რა მოხდება, თუ ამ ძალით მოვა სამურზე? მთელი სამხრეთი დაღესტანი, ნუხის და შემახის მაზრები და ჭარ-ბელაქნის ოლქი უდაოდ დაიჭურენ მის მხარეს, აგრეთვე გადავა შამილის მხარეს ყუმიყი, შემდეგ აჯანყება მოედება კავკავის ოლქს, ყაბარდოს, რომელი ერთი დაიცვან სულაქზე და სამურზე მდგარმა ბატალიონებმა? სულაქზე — უხალხო ხმელეთი, სამურზე კი — ჩვენ წინააღმდეგ აჯანყებული მუსულმანი ხალხი. ვთქვათ, რომ გაჭირვების დროს სულაქიდან ჯარმა დაიხია თერგამდინ, საით დაიხიოს სამურის რაზმმა? რაზმი ჩავარდება საშინელ პირობებში. გარშემორტყმული აბობოქრებული ხალხით, უნდა გაჰკაფოს გზა საქართველოსკენ, სუსტი ლეკეთის ხაზი ვერ შეაჩერებს მტერს, ნამეტნავად, როდესაც მის უკან წამოიშლება მთელი ჭარ-ბელაქანი. კახეთი გაისრისება და აქედან თბილისამდინ ორი ნაბიჯია. როგორ უნდა მოვიქცეთ, როდესაც ერთი მხრიდან გამოგვიჩნდებიან საფრანგეთ-ოსმალეთი, სხვა მხრიდან შამილი და შეიძლება სპარსეთიც? ამ მდგო-

მარეობაში ჩვენ ერთიღა დაგვრჩება — მივანებოთ საქართველოს თავი და დავიხიოთ საქართველოს სამხედრო გზით. ამ გზით დახევაც გაგვიჭირდება ამისათვის, რომ მთის ხევებს დაიჭერენ ოსები, ზევიდან გასვლისას დაგვიხვდება აჯანყებული საჩაჩნო და ყაბარდო, და ყველა ეს რისთვის? რაღაც ოთხი ბატალიონისთვის, რომელსაც არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება უმთავრეს ომის ასპარეზზე. ჩემის ფიქრით, საფრანგეთი და ინგლისი არ მოუტანს ოსმალეთს იმოდენა სარგებლობას, როგორც ჩვენ, თუ დავტოვეთ დაღესტანი.

ნურავის ნუ ჰგონია, რომ, თუ ჩვენ შევინარჩუნებთ კავკასიაში უმთავრესი პუნქტები, ადვილი იქნება წინანდელი ჩვენი ფარგლების აღდგენა, საკმარისია, მოვიგონოთ, რა დაუჯდა რუსებს მარტო დაღესტნის ზღვის მხარის დაპყრობა. მისი მეორედ დაპყრობა შეიძლება ვერც კი შევძლოთ. მიურიდიზმი შეაერთებს ყველა თემებს, ყოველ ნაბიჯზე გაჩნდებიან ახალი სალტები და გერგებილები. უნდა ვღვაროთ ზღვა სისხლი ყოველ კუთხის დაკავებაში, სანამ მივაღწევთ ისევ ეხლანდელ ჩვენ საზღვრამდინ და მივაღწევთ კი? შეგვიშვებს იქიდან ევროპა?“...

აი, რით ამთავრებდა ორბელიანი თავის წერილს,

„ — მე ვთვლი ჩემს მოვალეობად, აღვიარო გულახდილად და დარწმუნებით, რომ შამილისათვის დაღესტნის დათმობა იქნება დათმობა მთელი ამიერკავკასიისა და თუ გავედით საქართველოდან, ჩვენ იქ ვერასოდეს ვეღარ დავბრუნდებით“.

სამხედრო მინისტრმა მოსწერა რეადს, რომ ხელმწიფე იმპერატორი არ ეთანხმება მის აზრს დაღესტნიდან ჯარის გამოყვანის შესახებ და მთელ პასუხისმგებლობას ადებს იმაზე, ვინც თვითნებობით დაუთმობს მტერს გაუჭირვებლად, თუნდაც პატარა ნაწილს, ჩვენ მიერ დაჭერილი მხარისა.

დაღესტნის საკითხი ამით დამთავრდა და მოიხსნა.

ეს რუსების მთავრობის შიში და მიწერ-მოწერა გაუგებრად არ რჩებოდა შამილისათვის. შამილმა უბრძანა ნაიბებს, სასტიკად ედევნებინათ თვალყური რუსებისათვის და ყოველ წუთისათვის მზად ჰყოლოდათ ჯარი.

1854 წელს მკათათვეში შამილი მოვიდა შვილით ყაზიმაჰამით და დანიელ სულთნით სოფელ კარატში. აქედან დაიბარა დიდოები და

ანწუხელები. კარატში შამილმა გაიგო, რომ ანწუხის ნაიბი ხარა-იბრაგიმი მას ღალატობს. მართლაც, რუსებმა დიდძალი ოქროთი შეისყიდეს ანწუხის ნაიბი და ხარა-იბრაგიმი აწვდიდა რუსებს უტყუარ ცნობებს შამილზე და მის მოქმედებაზე. გზაზე თვითონ შამილი შემოეყარა ანწუხელებს და დიდოებს. შამილმა ანწუხელები და დიდოები დააბრუნა უკან, თვითონ კი მოვიდა ანწუხში. მისვლისთანავე შამილმა გადააყენა ნაიბი ხარა-იბრაგიმი და ორ დიდოს მამასახლისს მაჰამაკოჭლს და ტორე-ნებოცს, რომელნიც რუსების ჯაშუშები იყვნენ, თავები დააყრევინა.

ანწუხიდან შამილი გავიდა დიდოეთში და დაბანაკდა ფახალის მთაზე. აქ იდგა ძველი, ჯერ კიდევ კახეთის მეფეების მიერ აშენებული ციხე ყადორისა. საზოგადოდ კახეთის მეფეები აშენებდნენ ციხე-სიმაგრეებს მთის ქედებზე და მის კალთებზე, აყენებდნენ შიგ სადარაჯო რაზმებს, რომ თვალყური ედევნებინათ ლეკების მოძრაობისათვის და, თუ გამოილაშქრებდნენ ლეკები კახეთისაკენ, უმალვე უნდა შეეტყობინებინათ. შემდეგ თუმცა ეს ციხე-სიმაგრეები მიინგრ-მოინგრა, მაგრამ შამილთან ბრძოლის დროს დიდ ზიანს აყენებდნენ რუსებს, რადგანაც ამ სიმაგრეებში იფარავდნენ თავს ლეკების მოთარეშე მეკობრეები.

ყადორის ციხეში იდგა რუსის რაზმი. შამილი, რასაკვირველია, ბევრ ხანს არ მოუნდა ციხის აღებას.

ფახალის მთიდან შამილმა გაგზავნა ყაზი მაჰამა და დანიელ სულთანი ათიათასი კაცით კახეთში. ფახაწის მთიდან გზა პირდაპირ ეშვება სოფელ შილდაში. ლეკებმა აიღეს სოფლები ხანდო. ხანდოში იდგა მილიცია. ბევრი ეცადა მილიციის უფროსი ჭავჭავაძე, რომ თავი დაეჭირა მილიციონერებისათვის, მაგრამ თავზარდაცემული მილიციონერები გამოიქცნენ შილდისაკენ, რომ თავი შეეფარებინათ სიმაგრეებში. ლეკები მოადგნენ შილდას. ბრძოლაზე აღარავინ ფიქრობდა. ხანდოდან გამოქცეული მილიციონერები იდგნენ ციხის კარებთან, ყვიროდნენ და ილანძღებოდნენ. შევიდნენ ციხეში და ჩაიკეტნენ. შილდელები სოფლის გარეთ იყვნენ გასულები მინდორში სამუშაოდ. ლეკებმა ისარგებლეს ამ არევ-დარევით და ჩრდილოეთიდან შევიდნენ სოფელში, მთელი ღამე, საღამოს შვიდი საათიდან დილის თერთმეტ საათამდინ, ლეკები სძარცვავდნენ შილდას. თერმეტ საათზე ლეკები გაიყვნენ

სამად: ერთი ნაწილი დაბრუნდა ხანდოში ტყვეებით და ნადავლით, მეორე ნაწილი გავიდა სოფლიდან სამხრეთის მხარეს, დაატყვევეს ყველა მინდორში მომუშავე შილდელები, დაეცნენ სოფლებს: ჭინ-ჭრიხს, ტურის ციხეს, ფაშაანს, მისცეს ცეცხლი და მცხოვრებნი წაიყვანეს ტყვედ. მესამე ნაწილმა გაიარა სოფლები: გრემი, ენისელი, ნაქალაქევი და შაქრიანი.

თელავში გაიგეს შილდაზე ლეკების დაცემა თუ არა, თელავის მაზრის უფროსმა ანდრონიკაშვილმა და თავადაზნაურობის წინამძღოლმა ქობულაშვილმა შეაგროვეს თავად-აზნაურები და მოუწოდეს გაღმა მხარს მიშველება. მოწოდება ყველამ მიიღო, საღამო ხანს თელავიდან გავიდა საკმაო ხალხი ალაზნისაკენ. აქ იყვნენ თავად-აზნაურნი, მო-სამსახურენი და თელავის მოქალაქენი. გავიდნენ თელაველები ალა-ზანს თუ არა, შეხვდნენ ლეკებს სოფელ ჭინჭარიანის მახლობლად. ლეკებმა ერთის დაკვრით გაფანტეს თელაველები და დიდი ზარალით გამოაქციეს. ისე თავზარდაცემულები გამორბოდნენ თელაველები, რომ თვითონ მაზრის უფროსმა და მასთან ბევრმა სხვებმა ვერ მიაგნეს ფონს და ისეთ ღრმა ალაგას შეცვივდნენ ალაზანში, რომ ბევრი დაიხრჩო, მათ შორის დაიხრჩო კოტე ჭავჭავაძე. ანდრონიკაშვილი ძლივს გადაარჩინა ერთმა მილიციონერმა რუსის ყაზახმა.

ლეკებმა გაიგეს, რომ ნაფარეულიდან მოდის მილიციით გიორგი ჭავჭავაძე, დაბრუნდნენ უკან ხანდოში. როდესაც ლეკები გავიდნენ შილდიდან, სოფელში დიდძალი მკვდარი აღმოჩნდა. სოფელი გადამწ-ვარი, მინგრეულ-მონგრეული იყო. დახოცილთა შორის ნახეს ოთხი გვამი გაშიშვლებული და თავმოპარსული. ამით ჩანდა, რომ ლეკებმა დაჰკარგეს მხოლოდ ოთხი კაცი. თბილისში კი მოსწერეს, რომ მტერ-მა შილდის ბრძოლაში დაკარგა ოთხას ორმოციო.

საღამოზე, ლეკების სოფლიდან გასვლის შემდეგ შილდაში მოვი-და სოფელ ყვარლიდან პოდპოლკოვნიკი ქობულაშვილი ორი როტით და ერთი ზარბაზნით; მოვიდა კიდევ ტბილისის პოლკის სამი როტა თუმანოვის უფროსობით.

შილდაში მოგროვდა ექვსი როტა სამი ზარბაზნით და ხუთასი მილიციონერი. ჯარი იდგა ციხის წინ მოედანზე. გათამამებული ლეკე-ბი მთელი ღამე მოსვენებას არ აძლევდნენ შილდაში მდგომ ჯარს. მიეპარებოდნენ ვენახებზე, ასტეხავდნენ თოფის სროლას და ისევ

დაიმალებოდნენ. ყაზი მაჰამამ და დანიელ სულთანმა სრულიად არაფრად ჩააგდეს შილდაში მდგარი რუსების ჯარი და ოთხ მკათათვეს დილის ექვს საათზე დაიძრნენ ხანდოდან, აუხვიეს შილდას და მთელი თავიანთი ცხენოსანი ჯარით გავიდნენ ალაზანზე. მიდიოდნენ ლეკები და მათ მიჰყვებოდა ცეცხლის ალი. იწოდა ტოლნიანი, კონდოლი, კისისხევი, წინანდალი, ნასომხარი და შალაური. დავით ჭავჭავაძე დაედევნა ლეკებს, მაგრამ ვერ გავიდა ადიდებულ ალაზანში. არც ჰყვანდა ცხენოსანი ჯარი. ამისათვის ჭავჭავაძე დადგა ალაზანზე ლეკებისთვის გზის მოსაჭრელად. დაბრუნებისას ლეკები გაიყვნენ რამდენიმე ჯგუფად და უგზო-უკვლოდ გამოვიდნენ ალაზანში და უვნებლივად მოვიდნენ ხანდოში. ხანდოდან ავიდნენ ფინალის მთაზე შამილთან და იქიდან სამი-ოთხი დღის შემდეგ ტყვეებით და მდიდარი ნადავლით დატვირთულნი დაბრუნდნენ ისევ დიდოეთზე დაღესტანში.

ლეკებმა წინანდალში დაატყვევეს დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის ცოლი ანნა შვილებითურთ, ანნას და ბაბალე — ცოლი ილიკო ორბელიანისა, რომელიც 1842 წელს ტყვედ ჩაუვარდა შამილს ყამიყუმუხზე გალაშქრების დროს და შემდეგ 1877 წ. ოსმალებთან ბრძოლებში — ბაშკალიკლარის ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან გარდაიცვალა. მათთან იყვნენ ჭავჭავაძის აღმზრდელი ფრანგის ქალი და მოახლე.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ლეკებს წინანდლის გზა ასწავლა და ჭავჭავაძის სახლი აჩვენა ვინმე სომეხმა მუსმამ. ჭავჭავაძის ოჯახობის ტყვედ წაყვანაში ერია ორი თუში. თუშები იცნეს ჩითებზე/თუშური მატყლისაგან მოქსოვილი თუშური ფეხსაცმელი/. თუ როგორ მოხვდა ეს ორი თუში ლეკებთან კახეთის აკლებაში, ვიტყვით ერთზე, მეორეზე ცნობა არა გვაქვს. ერთი ამ თუშთაგანი იყო გიტული სოფელ ჩიღოდან, რომელიც მდებარეობს პირიქით თუშეთში.

ერთ ზაფხულს თუშეთში, მირგველის ღელეში იდგა ქართული მილიცია. აქ იყვნენ, როგორც ბარის, ისე მთის ქართველობა, იყვნენ ოსებიც. მილიციის უფროსი იყო ჩოლოყაშვილი, რომელსაც ეძახდნენ „გაბერილ ნაჩალნიკს“. მირგველის ღელეში წყალი არ მოიპოვება. მილიცია ეზიდებოდა წყალს პირიქით თუშეთის ალაზნიდან. ერთ დილას ოსები ჩავიდნენ ხევში წყლის მოსატანად. დაინახეს ოსებმა ხევში ერთი ახალგაზრდა ლამაზი თუშის მანდილოსანი, რომელიც

შეშას აგროვებდა /ჩვეულებრივი მოვლენაა მთაში/. ოსები ეცნენ ქალს დასაჭერად. ქალი გაიქცა და, რა დაინახა, რომ თავს ვერ გააღწევდა გაუპატიურებისაგან, გადავარდა ალაზანში. ეს ქალი იყო სოფელ ჩიღოდან. გაიგეს ეს გულშემზარავი ამბავი ჩიღოში. ხალხი აღელდა, ქალები არცხვენდნენ ვაჟკაცებს, რომ რისთვის გხურავთ ქუდები, თუ ვერ დაიცავთ ნამუსს თქვენი დედებისა, ცოლებისა და დებისაო. გიტული, ნათესავი დაღუპული ქალისა, წავიდა მირგველის ღელეში ჯარის უფროსთან საჩივნელად. ჩოლოყაშვილი ამ დროს პირს იბანდა. მხარზე პირსახოცგადაგდებული ოსი უსხამდა თავადს წყალს. გიტულიმ შეჩივლა ჯარის უფროსს. უფროსს სიცილადაც არ ეყო ეს ამბავი.

„ — მეც არ გაუშვებდი, რომ შემხვედროდაო,“ — ეობუნჯნა ჩოლოყაშვილს.

„ — როგორ?! — წამოეძახნა გაბრაზებულ გიტულის, — თქვენ ძმებად მიგვაჩნიხართ, გღებულობთ, როგორც ძმებს, თქვენთან ვუხდებით მტერს, თქვენთან ვღვრით სისხლს და თქვენ კი არ ინდობთ ჩვენი ქალების ნამუსს?! სად არის თქვენი ნამუსი, თქვენი პატიოსნება?!...“

ამ სიტყვებზე ჩოლოყაშვილმა სილა შემოჰკრა გიტულის. ესღა უნდოდა ამაყ თუშს. იელვა გიტულის ხანჯალმა და მუცელგამოფაშული ჩოლოყაშვილი დაეცა მკვდარი.

მისცვივდნენ დასაჭერად, მაგრამ გიტულიმ თავს უშველა. ამის შემდეგ, რასაკვირველია, გიტულის არ ედგომებოდა თუშეთში. მას სასტიკად დეევნიდნენ. კარგა ხანს იმალებოდა გიტული თუშეთში და ბოლოს და ბოლოს უნდა გასცლოდა თუშეთს. გიტული გადავიდა დაღესტანში და მივიდა შამილთან. შამილმა მიიღო გიტული და კახეთზე გალაშქრებაში თან წაიყვანა.

აი, როგორ აგვიწერს ჭავჭავაძის ოჯახობის ტყვედ წაყვანას ვენდეროვსკი თავის წიგნში: „Кавказские пленницы“.

„როდესაც ლეკები გადიოდნენ კისისხევზე, ანნა ილიას ასული ჭავჭავაძისა მიდიოდა ფეხით, ხელში ეჭირა ოთხი წლის ქალიშვილი. წყალი გულის მკერდამდინ ავიდა. წყალმა წააქცია ანნა და წაიღო: ჩაჩნელებმა გამოსტაცეს დედას ხელებიდან ბავშვი და თვითონ ანნა გულმიხდილი, სველი და ნახევრად გატიტვლებული გამოიყვანეს ნაპირზე. ერთმა მიურიდმა შემოისო ანნა ცხენის გავაზე, მარჯვენა ხელი გაატარა თავის ქამრის ქვეშ და მაგრად მოუჭირა, რომ ხელი არ

მოშვებოდა და არ ჩამოვარდნილიყო ცხენიდან. ანნას მარცხენა ხელით ეჭირა ბალღი. ხელი თანდათან უდუნდებოდა. ჩაჩნელები კი მიაჭენებდნენ ცხენებს რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. უბედურ დედას ერთი ხელით უჭირავს ბავშვი. ბალღი თავჩაკიდებულია, ქანაობს და თავი ხან უზანგს მოჰხვდება, ხან ცხენის ფეხს. ჩაჩნელს არ ესმის ბავშვის დედის ხვეწნა-მუდარა — „აჰა, ბავშვი ვარდება მიწაზე" — გაისმა კივილი. მის გვამზე აჭენებენ ცხენებს ჩაჩან-ლეკები. ანნა გულმოხდილი იყო, როცა ლეკები ღამის გასათენებლად დადგნენ, როდესაც გონს მოვიდა, ძალიან გაუხარდა ანნას, რა დაინახა თავისი და და შვილები: სალომე ექვსი წლისა, მარიამი ხუთისა და თამარ სამისა. ძუძუთ მწოვარე ალექსანდრე განაშორეს ძიძისაგან. დამ ბაბალემ გაიხადა თავის ტანისამოსი რაც შეეძლო, რომ დაეფარა საწყალი და. ერთ ლეკს შეეცოდა ტყვე ქალი და მოითხოვდა, რომ დაებრუნებინათ ქალისთვის ტანისამოსი, მაგრამ მას ყურს არ უგდებდნენ. აღმზრდელმა დრანსემაც მიიღო ერთი-ორი მათრახი. ძიძა ხმლით აკუწეს".

ტყვეები მოიყვანეს ვედენში. შამილმა მიუჩინა მათ ოთახი და უბრძანა მოსამსახურეებს, რომ კარგად შეენახათ ტყვეები. ერთხელ შამილმა ბრძანა, შეეკეთებინათ ტყვეების ოთახში ბუხარი. როდესაც გაათავეს ბუხრის შეკეთება, შამილი წავიდა სანახავად. სანამ იმამი მივიდოდა, ტყვე ქალები გაიყვანეს სხვა ოთახში, რომ არ შეხვედროდნენ იმამს. ბუხრის ნახვის დროს, შამილმა დაინახა ცეცხლზე პატარა ქვაბი წყლით, რომელშიაც ცურავდა რამდენიმე დამჭკნარი ხახვის ნაჭერი. შამილი საშინლად განრისხდა, დაუძახა ცოლს ზაიდათს და სასტიკი შენიშვნა მისცა:

„ — განა ასე უნდა შეინახო ტყვეები?" — უსაყვედურა შამილმა ცოლს.

ნახევარი საათის შემდეგ მეორე ცოლის შუანათის ხელით შამილმა გაუგზავნა ტყვეებს ჩაი, ერბო, ბრინჯი და ყველაფერი, რაც შეიძლებოდა იმხელად მიცემა.

შამილი თვითონ არ ნახულობდა ხოლმე ტყვეებს, ისე რომ ტყვეებს არ უნახიათ შამილი. შამილმა შეუთვალა ტყვეებს, რომ მან ისინი დაატყვევა, რათა გასცვალოს შვილზე, რომელიც ტყვედა ჰყავთ რუსებს. აღუთქვა მშობლიური ზრუნვა, მხოლოდ პირობით, რომ არავითარი მიწერ-მოწერა თავიანთებთან არ ჰქონოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოქცეოდა ისევე, როგორც მოექცა ათ ოფიცერს დარგოში.

შამილს უნდოდა გამოეხსნა ტყვეობიდან თავისი უფროსი ვაჟი ჯემალ-ედდინი, რომელიც იქნა ამანათად წაყვანილი ახულგოდან. ჯემალ-ედდინმა დაასრულა სამხედრო სწავლა პეტერბურგში პაჟის კორპუსში და ეხლა იყო პორუჩიკი დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის ულანის პოლკისა. რუსის მთავრობა უბრუნებდა შამილს შვილს, რამდენიმე მიურიდს და აძლევდა ოთხი ათას თუმანს. შამილს უნდა დაებრუნებინა ჭავჭავაძის ოჯახობა. ჭავჭავაძის ოჯახის დატყვევების ლაშქრობაში მონაწილენი, რომელთაც ერგებოდათ შარიათით ოთხი მეხუთედი ნადავლისა, არ თანხმდებოდნენ. ისინი მოითხოვდნენ ერთ მილიონ მანეთს. შამილი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ერთის მხრით მას უნდოდა გამოეხსნა შვილი, მეორე მხრით წინ ვერ აღუდგებოდა დავლის მონაწილეების მოთხოვნილებას. აქ შამილის და ხალხის შუამავლად გამოვიდა ფრიად პატივცემული შამილის ყოფილი მასწავლებელი და დამრიგებელი ჯემალ-ედდინი. ხალხი შეიკრიბა ტყვეების საკითხის გადასაწყვეტად. ჯემალ-ედდინი მოვიდა ყრილობაზე და მიჰმართა ხალხს:

— „მიურიდებო! თქვენ სუ რო მილიონს გაიძახით, შეგიძლიანთ კი დასთვალოთ მაგოდენა ფული? მთელ დაღესტანში ერთ კაცს ვერ იპოვნით, რომ შეეძლოს ერთი მილიონის დათვლა. ან სად შეუძლიან ჭავჭავაძეს ამოდენა ფულის გაღება. თქვენ თვითონ გაანადგურეთ მთელი მისი ქონება და გაუშვით შიშველ-ტიტველი, უცოლშვილოდ, უქონებოდ და თუ თქვენ გაძლევენ ოთხი ათას თუმანს და იმამის შვილს, ეს იმისათვის, რომ ხელმწიფეს შეეცოდა თავადი და თავის ჯიბიდან გაძლევთ. თქვენ კი არ გინდათ. თქვენ არ გინდათ დააშოშმინოთ იმამი, არ გინდათ დაუბრუნოთ მას შვილი, რომელიც თქვენთვისვე გასწირა ამანათად ახულგოში. ათჯერ და ასჯერ არ ეპატიება პატიოსან დაღესტნელს დააგდოს მიურიდი გიაურების ხელში! და ეს სულ რამდენიმე მეტი გროშების გულისათვის. დათვალეთ კარგად. თითოს რამდენი გერგებათ: ბევრი-ბევრი ხუთი თუმანი, რადგანაც „ლომი“-ს წილი ერგება შამილს და ჩვენ სეიდებს. მე თუმცა არ ვიღებდი მონაწილეობას დატყვევებაში, მაგრამ როგორც სეიდი, მივიღებ ჩემ ოჯახთან ერთად არა ნაკლებ ხუთი თუმნისა. მე ერთ წუთსაც არ შევეფერხდები, უარვყო, რაც მერგება. თქვენ კი გენანებათ შესწიროთ რამდენიმე კაპეიკი თქვენი იმამის შვილის გამოსახსნელად. კიდევ გიმეორებთ: სირცხვილია მიურიდებო!“

ჯემალ-ედდინის სიტყვებმა ააღელვეს დაღესტნელები და ერთი ხმით დაიძახეს: „ჩვენ არაფერი არ გვინდა, მოგვეცით მხოლოდ შვილი იმამისა! ჩვენ მზათა ვართ, შევსწიროთ ჩვენი ოჯახები, ოღონდ დაგვიბრუნონ შვილი იმამისა გიაურებისაგან!“

დავით ჭავჭავაძის ოჯახობა იყო ტყვედ რვა თვე.

10 მარტს 1954 წელს, წინათვე შეთანხმებით, შამილი ყაზი-მაჰამათი და დანიელ სულთანით ხუთი ათასი მეომრით, ზარბაზნით და ტყვეებით წავიდა მდინარე მიჩითზე და დადგა მდინარის მარცხენა ნაპირზე. რუსების მხრივ მოვიდნენ გენერალი ნიკოლაი, დავით ჭავჭავაძე და შამილის ვაჟი ჯემალ-ედდინი ჯარის ნაწილით. რუსებიდან გამოეყვნენ ჯემალ-ედდინი, ორი ოფიცერი ოცდაათი კაცით. მათ მისდევდა „პოვოზკა“ ფულით. ლეკებიდან გამოვიდა ყაზი-მაჰამა ოცდაათი მიურიდით და ურმებით, რომლებზედაც ისხდნენ ტყვეები. ლეკები გავიდნენ მიჩიყზე. ტყვეები ჩასხდნენ ეტლებში და წავიდნენ.

სანამ ჯემალ-ედდინი მივიდოდა მამასთან, ერთმა შამილის მახლობელთაგანმა, რომელმაც იცოდა რუსული ენა, მიაგდო ცხენი ჯემალ-ედდინთან, დაიჭირა მისი ცხენი სადავეში და უთხრა:

„ — ჯემალ-ედდინ, თქვენმა მამამ მიბრძანა, მიგიყვანოთ მასთან, მხოლოდ თქვენ უნდა გამოეწყოთ ჩვენებურ ტანისამოსში და გარდაბრძანდეთ ამ თქვენთვის მოყვანილ ცხენზე“.

ჯემალ-ელდინმა მაშინვე აასრულა მამის ბრძანება, ჩამოხტა ცხენიდან, გაიხადა ყამასური ეპოლეტებიანი ჩოხა, კაკარდიანი ქუდი, ჩაიცვა აბრეშუმის ახალუხი, ზედ შავი მაუდის ბუზმენტით შემოვლებული ჩოხა, თეთრი ხელსახოცით შემოკრული, ჩალმის მსგავსად, ფაფახი, შემოირტყა მდიდრად მოკაზმული ხმალი, გაირჭო წელში დამბაჩა, შემოირტყა ხანჯალი, შეახტა მშვენიერ შავ ცხენს და გასწია შამილისაკენ.

რა ნახეს ჯემალ-ედდინის მოახლოება, აუარებელი ხალხი მოგროვდა, რომ ენახა თავიანთი იმამის შვილი და, თუმცა ჯემალი მოითხოვდა თარჯიმანის პირით, რომ ხალხს არ ეყვირა და არ მოგროვილიყო, ხალხი მაინც ყურადღებას არ აქცევდა და უფრო და უფრო ჯგუფდებოდა, ისე რომ, ჯემალ-ედდინმა ძლივს-ძლივობით მიაღწია თავის რუს თანამხლებლებით შამილის სადგურს.

მიუახლოვდა სადგურს თუ არა, ჯემალ-ედდინი ჩამოხტა ცხე-

ნიდან და მივიდა მამასთან, თვალებში ცრემლი მოერია დაღესტნის არწივს, დაკარგულ შვილს გადაეხვია და გულში ჩაიკრა...

ამ მამა და შვილის ტკბილი წუთების შემდეგ, შამილს წარუდგა პრაპორშჩიკი ბელიკი, რომელიც თან ახლდა ჯემალ-ედდინს და უთხრა:

„ჩვენმა გენერალმა ბარონ ნიკოლაიმ დამავალა წარუდგინო ჯემალ-ედდინი მის მამას და ჩემ ამ საქმის კარგად ასრულება გარდავცემას, როცა დავბრუნდები“.

შამილმა მადლობა განაცხადა და დაავალა ბელიკს, გადასცეს გენერალ ნიკოლაის და თავად ჭავჭავაძეს, რომ იმათთან ხანგრძლივი მოლაპარაკების დროს ის დარწმუნდა მათ ნამდვილ კეთილშობილურ მოქმედებაში და ამისათვის კარგად ეპყრობოდა ტყვეებს, ზრუნავდა მათზე, როგორც თავის შვილებზე, რასაც ისინი თვითონაც დაადასტურებენ, თუმცა ეხლა არავითარი დამოკიდებულება აღარა აქვთ მათ მასთან.

სანამ შამილი ლაპარაკობდა, ბელიკი უყურებდა შამილს და აი როგორ აგვიწერს დაღესტნის არწივს:

„შამილი ეჩვენებოდა კაცს არა უმეტეს ორმოცი წლისა. მისი დიდად სასიამოვნო, დარბაისელ და სასტიკ სახეს ამშვენებდა დიდი შეღებილი წვერები. ეცვა მწვანე ჩოხა, წითელი აბრეშუმის ახალუხი, თავზე ეხურა უშველებელი თეთრი ჩალმა, ფეხებზე რუსულ ყაიდაზე ჩექმები. მის მარჯვნივ იჯდა მისი დამრიგებელი და ხელმძღვანელი მოხუცი ჯემალ-ედდინი, მარცხნივ — დანიელ-ბეგი, ელისუის სულთანი. უკან იდგნენ ნაიბები“. გაათავა ლაპარაკი თუ არა, შამილმა უბრძანა ყაზი მაჰამას, მისცეს მოსულ სტუმრებს დამცველები და გააცილოს მიჩიყზე. ყაზი-მაჰამის პასუხზე, რომ მიჩიყზე სდგას რუსების მსროლელი რაზმი და რომ იქ თვით ბარონია, აქ კი გავლა მშვიდობიანია, შამილმა კიდევ უბრძანა, მიეცა დამცველები. და ერთი თვალის დახამხამებაზე სამოც მიურიდამდინ გავიდენ რუსების გასაცილებლად.

წასვლისას პარუჩიკ ბელიკმა ჰკითხა ჯემალ-ედდინს: უშვებთ თუ არა მთიელების ჩვეულება, რომ იმამის წინ რუსი გამოემშვიდობოს ბუსურბანს? ჯემალ-ედდინმა, რომელმაც თვითონაც კარგად არ იცოდა თანამოძმეების ჩვეულებანი, უპასუხა, რომ ვგონებ შეიძლებაო. დაიწყეს გამომშვიდობება. გულამომჯდარი ჯემალ-ედდინი მაგრად

ეხვეოდა მასთან მოსულ თანამგზავრებს, რომელთა შორის ერთი იუნკერთა-განი იყო მისი ამხანაგი კორპუსით. შამილი ძალიან მოხარული იყო, რომ ნახა თავის შვილის ამხანაგი და ღრმა გრძნობით უყურებდა მეგობრულ გამომშვიდობებას. ამის შემდეგ ბელიკმა მადლობა გა-ნუცხადა შამილს ყურადღებისათვის და სხვებთან ერთად ყაზი მაჰამა, იუნუსით და სამოცი მიურიდის თანხლებით წავიდა მიჩიყზე. ლეკებმა გააცილეს რუსები თითქმის რუსების მსროლელ რაზმამდინ.

ჯემალ-ედდინი დაბრუნდა თავის სამშობლო დაღესტანში. შამილს დაუბრუნდა შვილი. ეხლა იმამის მთელი ყურადღება იყო მიქცეული ჯემალ-ედდინზე. რუსის სკოლაში აღზრდილი შვილი უნდა მთლად გარდაექმნა, ამისათვის შამილმა მიუჩინა შვილს მოლები, მეცნიერნი, რომელთაც უნდა ჩაეხედებიათ, იმათი აზრით, გადაგვარებული, სწორ გზას გადახვეული, იმამის შვილი ყურანის საიდუმლოებაში, დაესწავ-ლებინათ აგრეთვე არაბული და ავარიული ენები.

მაგრამ პატარაობიდანვე პეტერბურგში აღზრდილი ჯემალ-ედდინი ვერ ეგუებოდა თანამოძმეებს, მათ ფსიქიკას, ვერ ეგუებოდა თავის სამშობლოს ადათებს, ზნე-ჩვეულებებს და შარიათის სასტიკ მოთხოვნი-ლებებს. ამასთან, ჯემალ-ედდინმა კარგად იცოდა, რომ ერთი მუჭა, მწირი დაღესტანი რაც უნდა მამაცი ყოფილიყო, რაც უნდა გენიოსი ჰყოლოდათ მოთავედ, ვერ აიტანდა რუსებთან ბრძოლას და დღეს თუ ხვალ დამარცხდებოდა. ყველა ამას ეუბნებოდა შვილი მამას, მაგრამ შამილი არამც თუ ყურს უგდებდა შვილს, არამედ სწყრებოდა და უკრძალავდა რუსებზე ლაპარაკს. დარჩა ჯემალ-ედდინი მარტოდ-მარტოკა, განშორებული. მამა და ძმები ერიდებოდნენ მას, ლეკები უყურებდნენ უნდობლად. შამილმა აუკრძალა შვილს რუსული წიგნებ-ის კითხვა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სულ სამი წელიწადი-ღა იცოცხლა ჯემალ-ედდინმა. 1857 წ. მიწურულში ჭლექისაგან სული დალია სოფელ კარატაში თავისი ძმის ყამი მაჰამას ხელში.

0

1857, 1858 წლები. გრიგოლ ორბელიანი სალათავიაში. არღუნის ხეობის დაჭერა რუსების მიერ. საჩაჩნოს დამორჩილება და ჩაჩნელების გადასახლება. გუმბეთი. კახეთის მხრიდან ბარონ ვრევსკის მძვინვარება დიდოეთში. დიდოეთის განადგურება. ლეკების შესევა თუშეთში. თუშეთის მოურავი ალექსანდრე ნათიშვილი. მისი გალაშქრება ქისტეთზე. ტყვეები და მათი დასახლება თუშეთში.

კახეთზე გალაშქრების შემდეგ შამილის ვარსკვლავი თანდათან კრთება. რუსები ცეცხლის რგოლს უფრო და უფრო უჭერდნენ საჩაჩნო-დაღესტანს. 1857 წ. გრიგოლ ორბელიანი შეესია სალათავიაში, აიღო იერიშით სოფელი ახალი ბურნუთაი და დაიჭირა აუხის სიმაგრე. შამილის შვილს ჯემალ-ედდინს უნდოდა ჩამოეგდო მშვიდობა მამას და რუსებს შორის. სთხოვდა მამას, რომ გაემართა მოლაპარაკება ორბელიანთან. შამილი არამც თუ დასთანხმდა, არამედ ნებაც არ მისცა შვილს ელაპარაკნა ორბელიანის მიერ გამოგზავნილ კაცთან რუსულად. შამილი სამი ვაჟიშვილით დაბრუნდა ვედენში.

ნამეტანი მარცხი და ზარალი მოსდიოდათ რუსებს შავ მთებში, საჩაჩნოში. საკმარისია გავიხსენოთ დარგოზე და იჩქერიაზე გალაშქრება. 1858 წელს, იანვრის ნახევარში გენერალ ევდოკიმოვმა აჩვენა თავი შამილს, ვითომ დიდ საჩაჩნოზე აპირებს გალაშქრებასაო. შამილი მოსტყუვდა. ეცა საჩაჩნოში, ევდოკიმოვმა ისარგებლა შამილის მოტყუებით, შევიდა არღუნის ხეობაში და დაიჭირა თითქმის უბრძოლველად. ევდოკიმოვის მიერ არღუნის ხეობის დაჭერის შემდეგ, დიდმა და პატარა საჩაჩნომ მორჩილება გამოუცხადა რუსს. ევდოკიმოვმა გადაასახლა ჩაჩნელები ბარში. ამავე წელს ორ თვეში, მკათათვეში და მარიამობის თვეში, გენერალმა, ბარონ ვრანგელმა გუმბეთში მიწასთან გაასწორა ორმოცი სოფელი და აიღო სამი მაგარი სიმაგრე.

კახეთის მხრიდან გენერალი ბარონ ვრევსკი მძვინვარებდა. რუსების გარდა ვრევსკის ჰყვანდა ქართველი მილიცია და თუშ-ფშავ-ხევსურების ასეულები. ორ ზაფხულს 1857-1858 წლებში ვრევსკიმ მიწასთან გაასწორა დიდოეთი. ერთ ზაფხულს თერთმეტი დიდი აშენებული სოფელი, როგორც ხუფრა, ხოტრახო, ციცმახო, ხალახო, ჩილიახო,

კომაკი და სხვა აღმოფხვრა ძირიან-ფესვიანათ. შებრალება არ იყო, გენერალი მოქმედებდა ცეცხლით და მახვილით. ზარბაზნები ანგრევდნენ სახლებს, ციხე-სიმაგრეებს, ხიშტი ხოცავდა განურჩევლად ყველას დიდს თუ პატარას, ქუდოსანს თუ მანდილოსანს, ცეცხლი ნთქავდა ყველა მას, რასაც მოეკიდებოდა, რაც ნათესი ჰქონდათ დიდოებს ცეცხლს უკიდებდნენ, ან აჭმევდნენ და ფეხქვეშ ათელინებდნენ ცხენებს. საქონელი აღარ სჩანდა, როგორც იტყვიან ბღავანი არ გაუშვეს რუსებმა.

ბარონ ვრევსკი 1858 წ., აგვისტოს, მიადგა სოფელ ქიდიროს. ეს სოფელი მდებარეობს მთის კალთაზე. გარს კლდეები არტყია და მხოლოდ ზევიდან შეიძლება სოფელში შესვლა ერთი გზით, რომელიც ჰყოფს სოფელს ორად. წინ იმ დროს ამ სოფელს უდარაჯებდა კოშკები, რომელნიც მრისხანედ იყურებოდნენ თავიანთ სათოფურებით ერთადერთი გზისაკენ. რუსებმა მიიტანეს იერიში, მაგრამ ისე დააყარეს დიდოებმა ტყვია, რომ იძულებულნი იყვნენ რუსები უკან გამოქცეულიყვნენ. მეორედ მიიტანეს იერიში, აქაც დამარცხდნენ რუსები.

— ურა! — დაიძახა თვითონ გენერალმა და ხმალამოწვდილი გავარდა წინ. ციხის გალავანში პირველნი შევიდნენ თუშები, „უშიშარი ასეული", როგორც უწოდებდნენ თუშების ასეულს რუსები. გარშემო სათოფურებიდან დიდოებმა დააყარეს თუშებს სეტყვასავით ტყვია. ამ ტყვიის სეტყვასთან გამოსცვივდნენ დიდოები თავიანთი სიმაგრეებიდან და ხმალ-ხანჯალ ამოწვდილნი ეკვეთნენ თუშებს. კარგად იცნობდნენ ერთმანეთს თუშები და დიდოები. ტყვიით განგმირული მედროშე თუში დავარდა. მივარდა დიდო და გამოგლიჯა მკვდრის ხელიდან დროშა. ჰკრა თუშმა დიდოს ხმალი და გამოგლიჯა დროშა. დავარდა ეს თუშიც, დროშა გადადიოდა ერთი ხელიდან მეორეში. შვიდი თუში მოიკლა დროშის დაცვაში. ბოლოს ერთმა თუშმა გაიტაცა დროშა და გავარდა გალავნიდან. დროშას გაჰყვნენ დანარჩენი თუშებიც.

„ — იქნება მთელ თავის სიცოცხლეში პირველად გაიქცნენ თუშები ბრძოლის ველიდან", — ამბობს გენერალი პოტტო თავის ამ საშინელი ბრძოლის აღწერაში.

ამ ბრძოლაში მოიკლა გამოჩენილი თუშების გმირი ნიკო გორგაიძე, რომელიც ვრევსკის „ურა"-ს დაძახილზე პირველი გავარდა წინ და პირველი შევარდა გალავანში ხმალამოწვდილი. გალავანში

შესელისთანავე ციხის სათოფურიდან გამოსროლილმა ტყვიამ განგმირა უშიშარი ვაჟკაცი. ამ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა ჯარის უფროსი გენერალი ბარონ ვრევსკი, ეს საუკეთესო, მამაცი გენერალი კავკასიის ჯარისა. ვრევსკი გარდაიცვალა თელავში და მარხია მეფე ერეკლეს გალავანში.

დიდოებმა დასცალეს ქიდირო ცეცხლმოკიდებული და რუსების გვამებით ავსილი.

დიდო წელში მოიტეხა. მას ბრძოლის უნარი აღარა ჰქონდა, დიდოს არა ჰქონდა არც სახლი, არც კარი, არც საჭმელი. გადარჩენილი დიდოები იფარავდნენ თავს ხევების და ტყეების ჯურღმულებში, ხის შტოების ფანჩატურებში, შიშველ-ტიტველნი, მშიერნი, ნადირებივით დაძრწოდნენ და სჭამდნენ, რაც შეხვდებოდათ. გაიფანტნენ დაღესტანში მათხოვრებად. ვისაც კი შერჩა გული და მკლავი რუსების და ქართველისადმი შურისძიებით აღჭურვილნი დადიოდნენ მეკობრეებად თუშეთში, კახეთში და, რასაც ჩაიხელთავდნენ, სტაცებდნენ და ჟლეტავდნენ.

თუშეთში თუშებს ჰქონდათ გამართული ორი საყარაულო, რომ თვალ-ყური ედევნებინათ დიდო-ლეკებისათვის. ერთი საყარაულო იყო აღმოსავლეთით დაღესტნის მოსაზღვრე სოფელ დიკლოში, მეორე — სამხრეთით ლააში. დიკლოს საყარაულოში ამ დროს იყო თავის სიმამაცით სახელგანთქმული შეთე გულუხაიძე, სოფელ ქუმელაურთიდან. ეს ის შეთეა, რომლის სახელით „შეთე მოდის“ მტირალა ბავშვებს აშინებდნენ დედები თუშეთის მოსაზღვრე დიდო-ლეკეთში.

21 ღვინობის თვეს იდგა სუსხიანი საღამო. ყარაულები შეთესთან ერთად შეგროვილიყვნენ საყარაულოს ერთ ფართო, მაგრამ ჭვარტლიან სახლში და ცეცხლის გარშემო მოკეცილნი ელოდებოდნენ ცხვრის ხორცით ქვაბს, რომელიც ჩუხჩუხებდა გაღვიებულ ცეცხლზე. მოისმა ძაღლების ყეფა. ერთმა ყარაულმა თუშმა გადაიგდო მხარზე თოფი და გავიდა ამბის შესატყობლად. არ გაიარა ბევრმა ხანმა. ოთხი კაცი შემოვიდა სახლში. ერთი მათგანი იყო თითქმის შიშველ-ტიტველი, უნაბდო, ყაბალახის ამარა და უიარაღო, სიცივისაგან მთლად ძაგძაგებდა. შეთემ შეჰხედა ამ კაცს თუ არა, მაშინვე იცნო. ეს იყო დიდო ბულათიშვილი.

„ — საპყრობილიდან გამოვიქეცი, — აუწყა შეთეს ბულათიშვილმა,

— მოველი, რათა შეგატყობინოთ, რომ დიდოების მოწინავე ჯარი მოვიდა სოფელ ხუშეთის არე-მარეში და მზად არის დაეცეს თუშეთს".

— ბევრნი არიან? — ცოტა დაფიქრების შემდეგ ჰკითხა შეთემ დიდოს.

— სამი ნაიბია, — მოკლედ უპასუხა დიდომ."

მეორე დღეს გათენებისას შეთემ გაგზავნა ერთი მილიციონერი კახეთში ოლქის გამგე, სამხედრო მამასახლის ერისთავთან ამბის შესატყობინებლად. ერისთავმა მაშინვე გასცა განკარგულება: მეორე მილიციის უფროსს ზაქარია ჩოლოყაშვილს უნდა შეეკრიბა ორი ასეული მილიცია კახეთ-ერწო-თიანეთის სოფლებიდან და გადასულიყო ნაქერლის მთაზე თუშეთში თავის, რაც ჰქონდა, სურსათით. ასეთივე განკარგულება გაგზავნა სოფელ ალვანში, რომ მამასახლისებს შეეგროვებინათ თუშები და ჩოლოყაშვილთან ერთად გადასულიყვნენ თუშეთში. მთელ ამ შეერთებულ მილიციას ხელმძღვანელობდა პორუჩიკი ალექსანდრე ნათიშვილი.

ადვილი არ იყო მილიციონერებისათვის თოვლით დაფარული დიდი მთის გადალახვა. ამ მთის სიმაღლე აღწევს სამიათას მეტრს და წელიწადში მხოლოდ ორი-სამი თვით არის განთავისუფლებული თოვლისაგან. იდგა ბურუსი, საშინელი სიცივე, ღრმა თოვლი, რომელზედაც ცხენები იკვლევდნენ გზას.

26 ღვინობის თვეს ნათიშვილმა გადალახა, როგორც იყო, თოვლიანი ქედი, შევიდა თუშეთში და დადგა სოფელ ომალოში. თავის სადგურად ნათიშვილმა აირჩია ეს სოფელი, როგორც თუშეთის შუა გულს მდებარე, საიდანაც უფრო შესაძლებელი იყო მიეშველნა და თვალყური ედევნებინა მოშორებით მდებარე თუშეთის სოფლებისათვის; მოურავმა ნათიშვილმა, როგორც ეძახდნენ მას თუშები, თავისთან ომალოში დასტოვა ოცდათხუთმეტი თუში, დააარსა კიდევ სოფელ შენაქოში მესამე საყარაულო და გასცა განკარგულება, რომ დიკლოსა და შენაქოში გაემართნათ სამცნო მაშხალები შესატყობინებლად, ვინიცობაა, მტერი დაეცემოდა რომელიმე მხრიდან თუშეთს.

28 ღვინობის თვეს, სანამ მზე ამოვიდოდა, შენაქოელები მამადედაკაცნი ბალღებით გავიდნენ მინდორში სამუშაოდ. იყო მთის ძირი, მთის კალთა შეფენილი იყო ხშირი ტყით. შენაქოელებმა დაალაგეს ერთ ალაგას ნაბად-ყაბალახები, იარაღი, სურსათი და შეუდგნენ

მუშაობას. ისეთი სქელი ჯანღი იდგა, რომ ორმოც-ორმოცდაათ ნაბიჯზე ვერაფერს დაინახავდა კაცი. მზე ის იყო ამოდიოდა. ამ დროს ტყიდან მოისმა რაღაც ხმაურობა და ფეხის ხმა. ამნაირ შემთხვევებში გამოცდილი თუშები მიხვდნენ მაშინვე, რაც იყო და მივარდნენ იარაღს. მაგრამ გვიანღა იყო. ამ მომუშავე თუშებს გარს შემოერტყა ასამდინ ლეკი. ერთი ჯგუფი ლეკებისა ეცა ქალებს და ბალღებს. დანარჩენებმა შეუტიეს მამაკაცებს. ექვსი ქალი და ორი ბალღი აიყვანეს ლეკებმა და შევარდნენ ტყეში. ერთი მეშვიდე ქალი არ ნებდებოდა ლეკებს და რაც შეეძლო, იბრძოდა. ქალს მოეშველნენ ქმარი და ორი სხვა თუში, ცოლ-ქმარნი დაიხოცნენ, სამი თუში დაიჭრა. ლეკები გაიქცნენ. თოფის ხმაზე მოსცვივდნენ შენაქოლები და გაიგეს რა დაჭრილებისაგან, თუ საით გაიქცნენ ლეკები, სწრაფად გამოუდგნენ. გაიგო ეს ნათიშვილმა ომალოში. ნათიშვილმა მახლობელ სოფლებიდან მოაგროვა მეომრები, გაგზავნა პირდაპირ მომუშავე ხალხის საშველად და თვითონ კი თავის მილიციონერებით წავიდა დიდოებისათვის გზის მოსაჭრელად, დიდოებმა ტყვეები გაისტუმრეს წინ რამდენიმე კაცით, თვითონ კი მიუბრუნდნენ მდევარ თუშებს. ნათიშვილმა ვერ მოუჭრა გზა დიდოებს. ტყვეები უკვე შორს წაეყვანათ. თუშები და ლეკები შეხვდნენ ერთმანეთს, ასტყდა ბრძოლა. რა დასცალეს თოფები, ეცნენ ერთმანეთს მოსისხლე მტერნი ხმალ-ხანჯლით. ბრძოლამ ბევრხანს არ გასტანა. ლეკები გაიქცნენ. ბრძოლის ველზე ლეკებმა დასტოვეს ერთი მკვდარი, ბევრი დაიჭრა და ექვსიც ტყვედ ჩაუვარდათ თუშებს. თუშებში ერთი აღმოჩნდა დაჭრილი. ტყვე ლეკები წაიყვანეს ომალოში და ჩასხეს ერთ კოშკში. ტყვეები გამოდგნენ ხუშეთელები.

თუშებმა დაიწყეს მოლაპარაკება ხუშეთელებთან ტყვეების გაცვლის შესახებ. თუშები მისცემდნენ ხუშეთელებს ექვს ხუშეთელ ტყვეს, სამაგიეროდ ხუშეთელებს უნდა გამოერთმიათ დიდოებისათვის ექვსი თუშის ქალი და ბალღი. ხუშეთელები და დიდოები სიხარულით დასთანხმდნენ ტყვეების გაცვლაზე, მაგრამ ამისთვის უნდა აეღოთ შამილისაგან ნებართვა.

დიდო-ხუშეთელებმა გაგზავნეს არჩეულნი პირნი შამილთან სათხოვნელად. დაღესტნის იმამმა არამც თუ ნება დართო გაეცვალათ ტყვეები, არამედ წიხლ-პანღურით გამოყარა დიდო-ხუშეთელები.

ნოემბრის თვის დასაწყისში ხუშეთის საზოგადოებამ გამოგზავნა

ნათიშვილთან საპატიო პირნი, ამ პირთ განუცხადეს თუშეთის მოურავს, რომ, „მათ, ხუშეთელებს, სურთ შევიდნენ რუსების ქვეშერდომობაში. ისინი ხედავენ, რომ სულ ტყუილად იღვრება სისხლი და ბოლოს და ბოლოს შამილი ვერ გაუმაგრდება მძლავრ რუსეთს. ეხლავე წარმოუდგენენ ნათიშვილს საპატიო ოჯახებიდან რვა პირს ამანათად, იმ პირობით, რომ დაუბრუნონ მათ ექვსი ტყვე. ვალდებულად ჩასთვლიან თავიანთვის მონახონ საშუალება, იქნება იგი ძალა, თუ გამოსყიდვა, დაუბრუნონ თუშებს ტყვეები, რომელნიც ჩამწყვდეულნი არიან დიდოების სოფელ ახოველში და ჩიჩოელში. შეატყობინებდნენ აგრეთვე თუშეთისაკენ გადადგმულ მტრის ყოველ ნაბიჯს. თვითონ ხუშეთელებიც ვალდებულნი იქნებიან არ შეუშვან მტერი თუშეთში და იბრძოლონ, თუ მტრის სიმძლავრე ათასზე მეტი არ იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში კი ისინი ვერ შესძლებენ ბრძოლას მრავალრიცხოვან მტერთან, თუ ნათიშვილი, ან სხვა მისი მოადგილე არ მიეშველება“.

ხუშეთელების რუსებისაკენ გადასვლის სურვილი რომ გაიგო შამილმა და გაიგო ისიც, რომ რუსებს თუშეთში ჯარის მცირე ნაწილი უდგა, უბრძანა დიდოების ნაიბს საგათლო მუხამას, რომელიც იმ დროს შამილთან იმყოფებოდა დიდ საჩაჩნოში და აუხში, დაუყოვნებლად წასულიყო დიდოეთში, დაესაჯა ხუშეთელები და გაენადგურებინა თუშეთი.

საგათლო მუხამა მოვიდა დიდოეთში დეკემბრის დასაწყისში, შემოიერთა ორი სხვა ნაიბი და რამდენიმე დღის განმავლობაში მოაგროვა სამი ათასი კაცი. ამ ჯარით საგათლოს უნდა გაენადგურებინა თუშეთი. დიდოების ნაიბმა ჯერ, როგორც უბრძანა შამილმა, ხუშეთელებს დაუწყო მოლაპარაკება, რომ მიემხრო თავისაკენ. ამისათვის მან გაგზავნა საპატიო პირნი ხუშეთში. ხუშეთელებმა ცივი უარი უთხრეს საგათლოს დესპანს და არამც თუ მიიღეს, არამედ გამოყარეს გარეთ, გზაზე კარგათაც მიტყეპეს და ისე გაისტუმრეს დიდოეთში ნაიბთან.

ნაიბი საგათლო მუხამა იდგა თავის დიდოებით სოფელ მათრუხაში და არხეინად მოელოდებოდა თავის დესპანს, ამ დროს ხუშეთელების შიკრიკებმა შეატყობინეს ნათიშვილს, რომ დიდოების სოფელ ასახოს მახლობლად, სადუცის მთაში დგას დიდოების ხუთი სოფლის დიდძალი საქონელი. ნათიშვილმა ისარგებლა იმით და, რომ ეჩვენებინა მტრისათვის თავის ძალა, მოიწვია მოხალისენი. გამოცხადდა ოთხ-

მოცი თუში. ეს ოთხმოცი თუში ბაკური ჭვრიტიშვილის წინამძღოლობით ნათიშვილმა გაგზავნა დიდოეთში საქონლის მოსატაცებლად და თვითონაც გავიდა ასამდინ მილიციონერით და დაიკავა გზები, რომლებზედაც უნდა დაბრუნებულიყვნენ საქონლით მოხალისენი.

იყო ღამე, როდესაც მეკობრეებმა მიაღწიეს სოფელ არახოს. დადგნენ დასასვენებლად სოფლის ერთ მიდამო ღრეში, დააყენეს გუშაგნი და რამდენიმე კაცი გაგზავნეს სადუცეში საქონლის დასაზვერავად. მზვერავებმა ნახეს, რომ აუარებელი საქონელი იდგა ერთ ალაგს და ამ საქონელს უდგა ორი მწყემსი. ერთი იქნებოდა თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა, მეორე მოზრდილი დაგლეჯილ-დაფლეთილ ტანისამოსში, თუმცა შეიარაღებული იყო თოფით.

ეტყობოდათ, რომ სოფელში დიდოები არხეინად იყვნენ. რას წარმოიდგენენ დიდოები, რომ თუშები საქონლის მოსატაცებლად წამოვიდნენ, გადმოლახავდნენ თოვლით დაპენტილ მთებს იმ დროს, როდესაც მათი სამი ათასი კაცი სამი ნაიბის წინამძღოლობით მზად იდგა საზღვარზე თუშეთის გასანადგურებლად.

გათენებისას თუშების მეკობრეები დიდოებისათვის სრულებით მოულოდნელად დაეცნენ საქონელს. წინააღმდეგობისათვის მოკლეს შეიარაღებული მწყემსი, ბალღი კი შეაგდეს საქონელში, მოუსვეს ხელი საქონელს და სწრაფად გაუდგნენ გზას. კარგა მანძილი ჰქონდათ გავლილი თუშებს, როდესაც სოფელში ასტყდა ალიაქოთი. არახო და მიდამო სოფლებიდან გამოვიდა ორასამდინ კაცი და დაედევნენ თუშებს. გვიანღა იყო. დიდოები დაეწივნენ თუშებს მხოლოდ მეორე დღეს, როდესაც თუშები უკვე სამშვიდობოზე იყვნენ გასულები. ნათიშვილმა გაუშვა საქონელი და თვითონ კი თავის მილიციით და მეკობრეებით დაუხვდა დიდოებს. ასტყდა თოფის სროლა. დიდოებმა ნახეს, რომ საქონლის დაბრუნება ვეღარას გზით ვეღარ შეიძლებოდა, მიანებეს თავი და ხელცარიელნი დაბრუნდნენ შინ.

მეკობრეებმა საქონელი მორეკეს თუშეთში. მოიყვანეს ბალღიც. საქონელი აღმოჩნდა სულ 780 სული. 759 ცხვარი, 16 თხა, 3 ძროხა და ორი ცხენი. ეს დავლა მეკობრეებმა გაჰყვეს ერთმანეთში თანასწორად, ბალღი კი ნათიშვილმა დასტოვა თავისთან.

ამ მისთვის მოულოდნელ ამბავზე თავბრუ დაესხა ნაიბ საგათლომუხამას, ხუშეთელებთან ვერა გააწყო რა. ეს რვაასამდის საქონელიც

გაატანინა მტერს. დიდოების ნაიბი დაბრუნდა თავის ჯარით სოფელ შაპიხოში, გაავრცელა ხმა, რომ კახეთზე აპირებს გალაშქრებას, მაგრამ გაიგო რა, რომ არც კახელებს სძინავთ, რომ კახელები ფრთხილად უდარაჯებენ თავიანთ საზღვრებს, ამასთან თოვლიც დიდი მოვიდა მთაში, ჩაიქნია ხელი და დაითხოვა თავისი ჯარი.

შამილი ვერ აპატიებდა საგათლო-მუხამის თავის დაუდევრობას და უმოქმედობას. ნაიბი ამას კარგად ხედავდა და გრძნობდა, ამისათვის გადასწყვიტა შესულიყო რუსეთის ქვეშევრდომობაში. გაგზავნა ნათიშვილთან საპატიო პირნი, მასთან გაგზავნა დესპანი აგრეთვე თუშეთის მოსაზღვრე ხუთმა დიდოების სოფელმა: არახომ, აკვეტერიმ, კემიშიმ, რეტლომ და ჩილიახომ. ეს კუთხე ხუშეთელებთან ერთად ჩამოეჭრა შამილს. აქედან დაიწყო შამილის ტახტმა რყევა.

ნათიშვილმა ეხლა პირი იბრუნა ქისტებისაკენ. ქისტების სოფლებს შორის ყველაზე დაუდეგარი იყო სოფელი თებულო, რომელიც ეკუთვნოდა ხილდიჰარის საზოგადოებას. თებულოელები მოსვენებას არ აძლევდნენ თუშ-ფშავ-ხევსურებს თავიანთი თარეშობით. თარეშობდნენ მთებში, ხოცავდნენ მეცხვარეებს და მიუდიოდათ საქონელი. მათ ბელადობდა ცნობილი ქისტი ცოხორკა მოჩიშვილი, კაცი ჭკვიანი, გამბედავი, დახელოვნებული წინამძღოლი თარეშის და ბრძოლისა. დიდი გავლენა ჰქონდა ცოხორკას ქისტებზე. უცოხორკოდ არა კეთდებოდა რა, ყოველთვის უვნებლად უსხლტებოდა მდევრებს ხელიდან. სწორედ ამ ცოხორკაზე მიაქცია თუშების მოურავმა ყურადღება და გადასწყვიტა ხელში ჩაეგდო იგი.

ნათიშვილმა დარაზმა სამასი მოხალისე. უფროსად დანიშნა იუნკერი ნათიშვილი, მიუჩინა იუნკრები: იაკობ ლეკაიძე, დანიელ გესლაიძე, გოი დოგოშვილი და გაგზავნა ათ იანვარს ქისტეთში. ადვილი არ იყო ქისტეთში გალაშქრება ამ დროს. თოვლით შემოსილი ქერიგოს მაღალი ქედი, რომელიც საზღვრავს თუშეთს და ქისტეთს, მთლად გაყინული იყო, მაგრამ ეს არ შეაჩერებდა მთის შვილებს. ისინი შეჩვეულნი არიან ბუნებასთან ბრძოლას. სიცივისაგან ხელ-ფეხ დამძრალი თუშები მიდიოდნენ წინ, ნელ-ნელა ბილიკზე თითო-თითოდ, ფრთხილად, რომ სადმე უფსკრულში არ გადაცვივნულიყვნენ. დღე და ღამე მოუნდნენ თუშები მაღალ ქერიგოს გადალახვას. გათენდა. დაბლა გამოჩნდა სოფელი თებულო. მისი ცოტა მოშორებით მოსჩანდა ბელად ცოხ-

ორკის საცხოვრებელი უბანი, რომელიც შედგებოდა რამდენიმე სახლისაგან.

იუნკერმა ნათიშვილმა მოხალისენი გაჰყო სამ რაზმად. ერთი რაზმი დასტოვა ადგილზე, რომ იქიდან ემოქმედნა გარემოების მიხედვით, მეორე რაზმი გაგზავნა სოფელ თებულოს და ცოხორკის უბნის შუა მდებარე ალაგის დასაჭერად. ამათ უნდა მოეგერებინათ თებულოელები, თუ ისინი გამოვიდოდნენ ცოხორკის საშველად. თვითონ ნათიშვილი კი დაეშვა პირდაპირ ცოხორკის უბნისაკენ.

თებულოში და ცოხორკის უბანში სრული სიჩუმე იდგა, თუშები მისცვივდნენ და შეუმჩნევლად, სწრაფად გარშემოერტყნენ ბელადის სახლს. მამაცი ცოხორკა თავისი ორი ვაჟით გამოვარდა სახლიდან და ხმლით შეიჭრა თუშების რაზმში. ცოხორკამ მოასწრო მხოლოდ ერთი რაზმელის დაჭრა. თუშებმა განაიარაღეს ქისტების ბელადი, ორი მისი ვაჟი და გააქანეს თუშეთისაკენ. დანარჩენი რაზმელები შევარდნენ სახლში, აიღეს გამოსადეგი რაც რამ იყო. გამოიყვანეს სახლის ერთ კუთხეში მიმალული ცოხორკას ვაჟის ცოლი, გარეკეს წინ საქონელი და გაუდგენ გზას. ასტყდა აურზაური სოფელ თებულოში. ქალების ტირილი, წივილ-კივილი. ვაჟებმა აისხეს იარაღი, მაგრამ თუშებს ვეღარ მოეწეოდნენ, თუშებმა მაღლა მთიდან გადმოჰხედეს და დაინახეს, რომ ცოხორკას სახლს ცეცხლი ეკიდა.

თუშები მშვიდობიანად დაბრუნდნენ თუშეთში. საერთო სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. „ცოხორკა დაიჭირეს, ცოხორკა ტყვედ არის", — გაისმოდა ყველგან თუშეთში.

თუშების მიერ ცოხორკას დატყვევებამ ფეხზე დააყენა მთელი ქისტეთი. ქისტების ნაიბმა შეკრიბა რამდენიმე ათასი კაცი და გაგზავნა ანდაქზე ფშავის გასანადგურებლად. ხუშეთელებმა ეს თუშებს შეატყობინეს, თუშებმა კი ფშავლებს.

ფშავლების ყარაულების ასისთავმა ზანდუკელმა დაუყოვნებლივ დაიჭირა ანდაქის სტრატეგიული მაღლობები და მოსულ ქისტებს დაუხვდა თოფის სროლით. ქისტებმა ვერ გადალახეს ანდაქის მთები და ვერ შევიდნენ ფშავში, ამისათვის იძედგაცრუებულნი დაბრუნდნენ შინ.

პირველ თებერვალს მოვიდა ომალოში თებულოელების დესპანი. მოიყვანა წარჩინებული ოჯახებიდან სამი ბიჭი ამანათად. ქისტების დესპანი მიიღო ნათიშვილმა თავის სახლში, მოიწვია ტყვე ცოხორკა

თავის ორი ვაჟით. თებულოელების დესპანმა გამოუცხადა ნათიშვილს, რომ თებულოელ წარჩინებულ შვიდ ოჯახს, რომელიც შედგება ოცდაჩვიდმეტი სულისაგან, სურს არამც თუ დაემორჩილონ რუსებს, არამედ გადმოსახლდნენ კიდეც თუშეთში. ამასთან სთხოვა ნათიშვილს, შეეკრათ პირობა და გაენთავისუფლებინათ ტყვეები. ნათიშვილი დასთანხმდა პირობის შეკრაზე, ცოხორკას და მისი რძლის განთავისუფლებაზე, მხოლოდ ცოხორკას ვაჟები უნდა დარჩენილიყვნენ ამანათად და ამასთან ცოხორკას თავის მაგივრად უნდა გამოეგზავნა კიდევ ერთი თავისი მახლობელი ნათესავი ამანათად. ქისტებს შორის ასტყდა აურზაური, მიხლა-მოხლა. ცოხორკას ვაჟები დასთანხმდნენ დარჩენილიყვნენ ამანათად, ოღონდ გაეთავისუფლებინათ მათი მამა.

„ — მე თანახმა ვარ, — ყრუდ წარმოსთქვა ქისტების ბელადმა, — მხოლოდ ჩემ მაგივრად საზოგადოებამ აირჩიოს ჩემი მახლობელი ნათესავი.“

არჩეულ იქნა ცოხორკას უფროსი ძმის ვაჟი ახბულადი.

დასწერეს პირობის ქაღალდი, მოაწერეს ხელი. ქისტების დესპანი გამოემშვიდობა ამანათებს და ცოხორკას და მის რძალთან ერთად გასწია შინისაკენ ქისტეთში.

შამილი იტანჯებოდა, რა ხედავდა, როგორ ხელიდან ეცლებოდა მთელი საზოგადოებანი და მათი საუკეთესო წარმომადგენლები, რომელზედაც ის ამყარებდა თავის იმედებს. იმამი მოელოდა გაზაფხულის დღეებს, რომ დაესაჯა დამნაშავენი და ნებისყოფით თუ არა, იარაღით დაემორჩილებინა. მარტის ნახევარში შამილმა გადასწყვიტა თებულოელების დასჯა და უბრძანა ჭენთიელ ნაიბს ჰამზათს სისრულეში მოეყვანა იმამის გადაწყვეტილება.

ჰამზათი იყო შამილის მიურიდთაგანი. შეუბრალებელი, სასტიკი. მუდამ მრისხანე, მუდამ დაღვრემილი, სწორედ ამისთანა კაცი ესაჭიროებოდა იმამს ამნაირ შემთხვევაში. ნაბდის და იარაღის მეტი არა ებადა რა ჰამზათს. დაინიშნა ჭენთიელების ნაიბად თუ არა, უპირველეს ყოვლისა, ჰამზათი შეუდგა თავის ძმისწულის ხელით ხალხის ძარცვა-გლეჯას. ურჩებისათვის მზად ჰქონდა: საპყრობილეში შიმშილისაგან სიკვდილი, ნაიბის მაღალ კოშკში კი კუთხიდან ხანჯალი. მისი გული ლბებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც დაინახავდა სისხლს. ჰამზათს გარს ერტყა დამცველებად შამილისაგან

გამოგზავნილი მიურიდები, რომელნიც სცხოვრობდნენ ხალხის ხარჯზე. ამისთანა სისხლისმსმელ ვერაგ ნაიბს დაავალა შამილმა თებულოელების დასჯა.

22 მარტს ომალოში მოვიდნენ შიკრიკები, რომელთაც ყოველთვის გზავნიდა მოურავი სხვადასხვა მხარეს ცნობების შესაკრებად. შიკრიკებმა დაწვრილებით, ზედმიწევნით განუცხადეს ნათიშვილს, რაც ბედი მოელოდათ ჰამზათისაგან თებულოელებს. ნათიშვილმა ნახა, რომ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, რომ ორმოცამდე თებულოელი გახდებოდა ჰამზათის შურისძიების მსხვერპლი, რადგანაც ამ თებულოელებმა განაცხადეს სრული სურვილი გადმოსახლებულიყვნენ თუშეთში.

კარგად, საფუძვლიანად გამოჰკითხა და ყური დაუგდო ნათიშვილმა თავის შიკრიკებს. მაშინვე ბრძანა აენთოთ სამცნო მაშხალები. საღამო ხანს თუშეთის ყველა კუთხიდან მოსცვივდნენ ომალოში უძლეველი დროშებით თუშების მეომრები თავიანთ საყვარელ მოურავთან.

ნათიშვილმა მიმართა თუშებს შემდეგი სიტყვებით:

„ — თებულოელები, რომელნიც შემოვიდნენ ჩვენი მფარველობის ქვეშ, უნდა გაწყდენ მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენები შეიქნენ“.

თუშებმა არც კი დააცალეს ნათიშვილს დაემთავრებინა სიტყვა და მოითხოვეს დაუყოვნებლივ მიშველებოდნენ თებულოელებს. ერთი თუში წადგა წინ და სთქვა:

„ — თუშებო, ჩვენი მოურავის მოწოდება ჩვენთვის სასიქადულოა. წავიდეთ, დაუხვდეთ მტერს იმისავე ადგილზე, გადავარჩინოთ ხალხი, რომელიც ჩვენ შევიძინეთ იარაღით. ამით ჩვენ შევასრულებთ იმ პირობას, რომელიც ჩვენ დავიდეთ მათთან, არ დავიშუროთ სისხლის უკანასკნელი წვეთი. ამნაირ საქმეებში სუსხიანი ზამთარი ჩვენთვის არაფერია, მტერი და მაღალი მთები, რომელნიც ჩვენ უნდა გადავლახოთ, ჩვენ არ გვაშინებს“.

დილით სამასი თუშ-ფშაველებით თვითონ ნათიშვილი გაუდგა გზას. უნდა გადაელახათ ისევ ის ქერიგო, რომელიც 3355 მეტრს აღემატება. იგივე აუტანელი ყინვა, მუხლამდინ თოვლი, ქარბუქი. ქერიგოს ძირს ნათიშვილმა თავის პატარა ჯარი გაჰყო ორ ნაწილად. ორასი კაცი შიო ბუქურაულის უფროსობით წავიდა ჩრდილო-დასავლეთისაკენ. მათ უნდა გადაელახათ თებულოს ქედი და ჩასულიყვნენ სოფელ თებულოში ქისტების გამოსატაცებლად. თვით ნათიშვილი დანარჩენი

ასი კაცით ავიდა ქერიგოს ქედზე, დაიჭირა მაღლობები და გზები, რომლებსაც მტერი არ ასცდებოდა, თუ მოინდომებდა თუშეთში შემოსევას.

გადალახა რა ქედი, შიო ბუქურაულმა ნაწილი თავისი რაზმისა დასტოვა უკან მტრისათვის უფრო დაფარულ ალაგებში, დანარჩენებით ჩავიდა სოფელ თებულოში.

თებულოელებმა იცოდნენ, თუ რა განკარგულება გასცა შამილმა მათ შესახებ და ელოდებოდნენ თავიანთ ხვედრს, მწარე ბედს სისხლისმსმელ ნაიბ ჰამზათისაგან. გაქცევა ამ დროს თუშეთში მათთვის შეუძლებელი იყო და აი სწორედ ამ დროს მოულოდნელად გამოჩნდნენ თვითონ თუშ-ფშავლები მათ დასახსნელად. თებულოელების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

მთელი ღამე მოანდომეს თუშ-ფშავლებმა ქისტების აყრას. არაფერი არ დაავიწყდათ. მეკობრეებმა დატვირთეს თავიანთი ცხენები ქისტების ბარგი-ბარხანით. უფრო მოზრდილი ბავშვები შესხეს ცხენებზე, პატარები კი ჩასხეს ხურჯინებში. სიფრთხილის გამო, სხვადასხვა მოსაზრებით ბუქურაული უნდა დარჩენილიყო კიდევ ერთი ღამე. 27-ს გათენებისას სოფელი გაიწმინდა სრულებით საქონლითურთ. შეუდგნენ თუშ-ფშავლები თებულოელებთან ერთად ქერიგოს აღმართს თუ არა, მოისმა თოფის სროლა. ესენი იყვნენ ქისტები. ამ ქისტებს დაუხვდა ბუქურაულის მიერ საფრებში დატოვებული რაზმი. ასტყდა ორივე მხრიდან სროლა. თუშებმა ველარ მოითმინეს, იძრეს ხმლები, დაეცნენ ქისტებს. ბრძოლამ ბევრ ხანს არ გასტანა. ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ქისტებმა დასტოვეს ბრძოლის ველი და გაიქცნენ — გამარჯვებულებს ხელში დარჩათ ორი ტყვე ქისტი სოფელ ჩამეიდან. ეს ტყვეები დაიჭირეს ლეკაიძემ და გესლაიძემ.

თუშებმა განაგრძეს გზა, მაგრამ აქ, თუმცა ქისტების სახით მტერი აღარ გამოჩენილა, აღმოჩნდა სხვა მტერი, უფრო საშიშარი. ეს მტერი იყო ქარბუქი, რომელიც გაჰყვა მეომრებს სახლამდინ. ქარი ღრიალებდა და ბობოქრობდა. ქარისაგან დახვეტილი თოვლი გორაკებს აყენებდა, გარშემო ბურუსი, არაფერი არ სჩანდა. ხალხი რამდენიმე ნაბიჯზე ერთმანეთს ვერა ხედავდა. პირდაპირ მდგომარენი ძლივს სცნობდნენ ერთმანეთს, ეს ხალხი დიდ მანძილზე გაიჭიმა. ბევრი დაღლილობისაგან და სიცივისაგან ვარდებოდა გზაზე, იმათ, ვინც ფეხზე იყო და ვისაც

კიდეე შესწევდა ძალღონე, აწვენდნენ ნაბდებზე და ათრევდნენ გზადაგზა თოვლზე. მოლაშქრეები ყურადღებას აქცევდნენ უფრო ბავშვებს, უსრესავდნენ მათ სიცივისაგან დაბუჟებულ ხელებს, ცხვირ-პირს, ამოაფარებდნენ ნაბდის ქვეშ და ათბობდნენ თავიანთ გულ-მკერდით. ყველაზე უფრო უვლიდა დამზვრალებს მღვდელი კოკედაძე, რომელიც ყველგან ესწრებოდა, ამხნევებდა, აშოშმინებდა და იმედს აძლევდა.

ამ ჯოჯოხეთმა მთელი დღე გასტანა, როგორც იყო გადალახეს მოლაშქრეებმა ქედი და დილით მოწინავენი მოვიდნენ პირიქით თუშეთის სოფელ ჭონთიოში. მეორე დღემდინ მოდიოდნენ ჩამორჩენილნი, დასახიჩრებულნი, ღონემიხდილნი, ზოგნი თითო-თითოდ და ზოგნიც ჯგუფ-ჯგუფად. გაიგებდნენ წინწამოსული თუშები, რომ გზადაგზა ხალხი დარჩაო, ბრუნდებოდნენ ისევ უკან დავარდნილების საშველად ქედის სერამდის და მოჰყვანდათ თავიანთი ამხანაგები ჭონთიოში.

როგორც იყო მოლაშქრენი მოგროვდენ თებულოელებთან ერთად ჭონთიოში. ბევრი აღმოჩნდა ხელ-ფეხ დამზვრალი. დაიღუპა სამოცდაცხრამეტი ცხვარი, რვა მსხვილი საქონელი და რამოდენიმე ბარგიბარხანა. თებულოელების შვიდი ოჯახი, რომელიც თუშებმა გადმოიყვანეს თუშეთში დასასახლებლად, შედგებოდა ცხრამეტი მამაკაცის და თვრამეტი დედაკაცისაგან.

ჭონთიოში ერთი დღის დასვენების შემდეგ მოლაშქრენი, ქისტებთან ერთად ჩავიდენ ომალოში. ამ ლაშქრობაში არც ერთი კაცი არ დაკლებულა. 21 მარტს ნათიშვილმა გადაუხადა თუშ-ფშავლებს მადლობა და გაისტუმრა თავ-თავიანთ სახლებში.

თებულოელი ქისტები დაასახლეს დაცარიელებულ წოვათაში /წოვა-თუშები ადრე ჩამოსახლდენ კახეთში, ალვანში/, მისცეს სათესლე, მოხნეს, მოთესეს წოვათის ბევრი ხნის დასვენებული, ნოყიერი მიწა და შეუდგნენ მშვიდობიან ცხოვრებას, მეც, ამ სტრიქონების დამწერი, მოვესწარ ამ გადმოსახლებულ ქისტებს. ორი თუ სამი კომლიღა იყო. დანარჩენები, შამილის დატყვევების შემდეგ გადასახლდნენ სამშობლოში. ეს დარჩენილი ქისტებიც მალევე გადასახლდენ, ისე რომ ეხლა წოვათაში ქისტის ხსენებაც არ არის.

ჰამზათმა გაიგო თებულოელების გადასახლება თუშეთში თუ არა, ცოფი მოერია, კბილების ღრაჭუნი დაიწყო. გამოუცხადა მახლობელ სოფლების საპატიო პირებს, რომ თავის თავით და ქონებით პასუხს

აგებენ შამილის წინაშე, რომ არ შეატყობინეს მას, ჰამზათს, თუშების განზრახვა თებულოელების გადასახლების შესახებ; ისე დიდათ იმოქმედა ქისტებზე ჰამზათის ამ მუქარამ, რომ ბევრი ქისტი გადასახლდა შიგნით დაღესტანში, რომ აეშორებინა ჰამზათის შურისძიება.

შამილი უპასუხოდ არ დასტოვებდა თუშების ნამეტან თავგასულობას. ელოდა მხოლოდ მთებში გზების გახსნას. ერთი თვის შემდეგ გაიხსნა გზები თუ არა, ისე სწრაფად მოადგა ათას ხუთასი ლეკი ხუშეთს, რომ ნათიშვილმა ვერც კი მოასწრო მიეღო რამე ცნობები. ლეკებმა წინადადება მისცეს ხუშეთელებს, რომ ან ებრძოლნათ თუშების წინააღმდეგ მათთან ერთად, ან არადა გაეშვათ ისინი თუშეთში. ხუშეთელებმა აირჩიეს უკანასკნელი: ნათიშვილი ამ დროს იყო ომალოში. მასთან იყო მხოლოდ ოცდაათი მილიციონერი თუში. მის სახლში იყვნენ დაბინავებულები ამანათები.

იდგა ბნელი ღამე. თუშებს მშვიდად ეძინათ. ლეკებმა უმთავრესი ძალა დააყენეს სოფელ შენაქოში და ქუმელაურთაში. დანარჩენი ერთი ნაწილი ღამის წყვდიადში მიეპარა სოფელ ომალოს. ლეკებმა კარგად იცოდნენ, სადაც იყო თუშების სადარაჯო და სადაც იდგა მხოლოდ ოთხი კაცი. რამდენიმე ათეული ლეკი, ფეხაკრეფით მივიდნენ სადარაჯოსთან, სწრაფად შეცვივდნენ და ოთხივე მძინარე დარაჯს გამოსჭრეს ყელი.

ამის შემდეგ ლეკებმა გასწიეს პირდაპირ ნათიშვილისაკენ. თუშების მოურავს ტკბილად ეძინა. ძილში მას მოესმა კარებზე კაკუნი. ნათიშვილმა ხმა გასცა და ჰკითხა, ვინ იყო და რა უნდოდა. ლეკებმა პასუხის მაგივრად დაიწყეს კარების შემტვრევა. ნათიშვილი მიხვდა, თუ ვინ იყვნენ დაუპატიჟებელი სტუმრები, წამოვარდა ზეზე და სახლის სარკმლიდან ზედიზედ სამჯერ დასცალა თოფი; გავარდა უკანასკნელი თოფი და კარებიც რახუნით დაეცა. კარებში გამოჩნდნენ ლეკები. სოფელში უკვე ასტყდა ყიჟინა თუშებისა და თოფების ჭახაჭუხი. ნათიშვილი ამოეფარა კარების ერთ კუთხეს და ხმალამოწვდილი იცავდა შესავალს. თუშების ყიჟინი ახლო და ახლო მოდიოდა. ეტყობოდა, რომ შეჯგუფებული თუშები იწევდნენ თავიანთი მოურავისაკენ საშველად. ისმის ხმლების ჩახა-ჩუხი. თუშები ახლო არიან. ნათიშვილი სცნობს თუშებს ხმაზე. კიდევ ორი-სამი წუთი და თუშები ამოუდგენ გვერდში მოურავს. ამ დროს გავარდა თოფი. ნათიშვილი

გაეხვია თოფის ალში. დავარდა კარებთან ტყვიით დაჭრილი. დავარდნისთანავე მაინც დაიძახა: „აანთეთ მაშხალები!“.

ლეკები შევიდნენ სახლში, გამოიყვანეს დამწყვდეული ამანათები და გასწიეს თავიანთი მთავარი ბანაკისაკენ. მათ უკან მისდევდათ ბრძოლით თუშები. გათენებისას თუშებმა აკრიფეს ომალოში გზადაგზა შვიდი ლეკის გვამი. ლეკებმა გაიტაცეს ტყვედ ერთი ქალი.

მაშხალებმა აცნობეს თუშებს ლეკების თავდასხმა და მთელი თუშეთი ფეხზე წამოდგა. ლეკებს ბევრხანს არ უბოგინიათ თუშეთში. მალევე აიკრიფნენ და ხუშეთზე გავლით დაბრუნდნენ დაღესტანში დარწმუნებულნი, რომ იმათი სულთამხუთავი თუშეთის მოურავი ნათიშვილი მკვდარია. მაგრამ, მათ საუბედუროდ, ნათიშვილი არ მოკვდა, მისმა რკინის აგებულებამ ძალიან ადვილად აიტანა ჭრილობა და რამდენიმე დღის შემდეგ უკვე აძლევდა განკარგულებებს თავის სამოურაოში.

შურისძიებით აღევსოთ გული ლეკებისადმი, როგორც ნათიშვილს, ისე თუშებს საერთოდ. თერთმეტ მაისს მოურავმა შეკრიბა ასი კაცი მილიციონერი, წაუმძღვარა წინ უკვე ცნობილი ბაკური ჭვრიტიშვილი /იგივე კუჭოშვილი/ და უბრძანა, დაესაჯათ მოღალატე ასახოელები და ხუშეთელები, რომელნიც ღებულობდნენ მონაწილეობას თუშეთში ლეკების შესევაში; მთაში გზები უკვე გახსნილი იყო. თუშების მეკობრეებმა ერთ დღეს გადალახეს მთები და დაეცნენ პატარა სოფელ კიონს. მცხოვრებლებს მოესწროთ სოფლიდან გასვლა და მთებში მიმალვა. თუშებმა მისცეს ცეცხლი სოფელს, რომელშიაც ცხოვრობდა თოთხმეტი კომლი. მტვრად აქციეს ერთი კოშკი და ერთი წისქვილი, გამორეკეს დარჩენილი ოცდახუთი ცხვარი, რვა მსხვილი საქონელი და გაუდგნენ გზას თავის სამშობლოსაკენ. ისე მივიდნენ შინ თუშები, რომ არც ერთი თოფი არ გავარდნილა.

სოფელ კიონის განადგურებით გათავდა 1857 წ. ზამთრის სამხედრო მოქმედებანი თუშეთში.

ეს ბრძოლა თუშებისა ლეკებ-ქისტებთან ამოღებულია ნიკოლოზ ვოლკონსკის „Эпилог“-იდან. აფიცერი ვოლკონსკი, როგორც მონაწილე ლეკეთის ხაზზე ყველა ბრძოლებში, კარგად იცნობდა თუშებს. თავის ნახულ და გაგონილის გარდა, დაწვრილებით ცნობებს ვოლკონსკი იღებდა თუშეთის მოურავ ალექსანდრე ნათიშვილისაგან და მისი ქაღალდებიდან. ვოლკონსკი თვით კარგად იცნობდა ნათიშვილს. იყო პირადი მისი მეგობარი, დიდათ აფასებდა და პატივსაც სცემდა მას.

კ

რუსების მიერ ვედენოს აღება. შამილის მოწოდება ჩაჩნელებისადმი. ბარიატინსკის შესვლა დაღესტანში. ნაიბების ღალატი. მთელი თემების და სოფლების გადასვლა რუსებისაკენ. შამილი მარტოკა რჩება. შამილის ქონება. გზაზე დაღესტნელების მიერ შამილის გაძარცვა. ჰუნიბი. შამილის დატყვევება.

დაღესტნის გარშემო ცეცხლი აენთო. შამილი, როგორც დამწყვდეული ლომი, ეფეთებოდა დაღესტნის კარ-მიდამოებს, რომ დაეცვა თავის დაღესტანი, მაგრამ მისი და მასთან მისი დაღესტნის ბედის ვარსკვლავი უკვე ჰქრებოდა!...

საჩაჩნოში შამილს ისევ ეჭირა იჩქერიის ტყეები, სადაც იმყოფებოდა მისი საცხოვრებელი სოფელი ვედენო. საჩაჩნოში მოქმედ რუსის ჯარის უმთავრესი ყურადღება იყო მიქცეული ამ სოფელზე, რომ მის მიწასთან გასწორებით დაეჭირათ მთელი საჩაჩნო და გაეგდოთ შამილი დაღესტანში. რუსები დაადგნენ ბარის ხეობას და, თუმცა შამილმა გაამაგრა ამ ხეობაში შესავალი, მაინც რუსებმა შემოვლით, უბრძოლველად დაახევინეს ლეკებს, ამ დროს ვრანგელი შევიდა აუხიდან იჩქერიაში და გაანადგურა იჩქერიის დიდი სოფლები: საიხანი, ოლლესოი და შაშხალ-ბერდი.

შამილი დაბრუნდა და შეუდგა ვედენის გამაგრებას. სოფელს შემოავლო თხრილები, მიწის კედლები. გაამაგრა მთა, რომელიც, უდარაჯებდა ვედენს აღმოსავლეთით. ვედენში შეიკრიბა თორმეტი ნაიბი თავიანთი ჯარებით, რომელიც შეადგენდა ხუთი ათას მეომარს; მთელი სოფელი გაიხიზნა. შამილის ოჯახობა წინათვე გადაასახლეს სოფელ იჩაჩალაში.

ვედენის საპატიო მოხუცებმა, ყადებმა და ნაიბებმა სთხოვეს შამილს, რომ გაერიდებინა თავი, გასულიყო ვედენიდან. შამილი არ სთანხმდებოდა, მაგრამ ბოლოს ხალხმა თავისი არ დაიშალა.

„ — კარგი, — სთქვა შამილმა, — მე წავალ, მაგრამ ჩემი შვილი ყაზი მაჰამა ნაიბებში პირველი უნდა მოკვდეს“.

ვედენის დაცვა შამილმა მიანდო ყაზი მაჰამას და თვითონ თავის მიურიდებით: დანიელ-ბეგით და დოგონოგოლ-მაჰამედით გადავიდა მახ-

ლობელ ტყეში, ბაიანისკენ, ვედენიდან სამ ნახევარ კილომეტრზე და დადგა სიმაგრე ერსენოიში. ამ ერსენოიდან შამილი ადევნებდა თვალყურს მტრის მოქმედებას.

ყაზი მაჰამა დასახლდა მამის სახლში თავის მიურიდებით. ვედენში დასტოვა ხუთი ნაიბი თავიანთი ჯარით, დანარჩენი ჯარი დააყენა მთაზე, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. ზარბაზნები ყველა ნაიბს არა ჰქონდა. რაც იყო, ისიც ვედენში გაკეთებული იყო და ბევრს არას არგებდა დამცველებს.

რუსებმა ალყა შეამოარტყეს ვედენს და შეუდგნენ იერიშისათვის მზადებას. მუშაობას ხელს უშლიდა რუსებს ცუდი ამინდი, მაგრამ ორ კვირაში მაინც მოემზადნენ და პირველ აპრილს 1859 წ. მიიტანეს იერიში. ხუთი ათასი ბოლოხრის ზედიზედ დამარცხებით გულგატეხილი ჩაჩან-დაღესტნელები უვარგისი ზარბაზნებით ვერას გახდებოდნენ გათამამებულ რუსებთან. ბრძოლამ ბევრ ხანს არ გასტანა, იმავე დღეს — პირველ აპრილს, ვედენი დაეცა და საღამოს ათი საათისთვის შამილის საცხოვრებელ სოფელში არც ერთი კაცი აღარ დარჩა.

ვედენის აღებამ რუსების მიერ დიდი გავლენა იქონია საჩაჩნოს ჯერ ისევ დაუპყრობელ თემებზე, რომლებიც სცხოვრობდნენ შავ მთებში და ამ მთებიდან ანდიის ქედამდინ. შამილი თავის შვილით ყაზი მაჰამათი წავიდა დარგოში, შეკრიბა ჩაჩნელები და მოუწოდა ებრძოლათ რუსების წინააღმდეგ, მაგრამ დაინახა, რომ უშედეგო იყო მისი მოწოდება და დარიგება. ზაფხულიდან ეს თემები გადავიდნენ რუსებისაკენ და მორჩილება გამოუცხადეს.

შამილი გადავიდა იჩიჩალში მიურიდებით. გადაიტანა ხაზინა, ზარბაზნები და სურსათი. შემდეგ უბრძანა ყაზი მაჰამას გაემაგრებინა ანდიის ყოისუს ნაპირი.

თოთხმეტ მკათათვეს საჩაჩნოს მოქმედ ჯარში მოვიდა მთავარსარდალი ბარიატინსკი; გასცა ბრძანება ტყეების გაჩეხვაზე, გზების და ხიდების გაკეთების შესახებ. ამის შემდეგ ბარიატინსკი გაუძღვა ჯარს შამილის წინააღმდეგ დაღესტნისაკენ.

შამილმა გაიგო, რომ თვითონ ბარიატინსკი მოუძღვება ჯარსაო, შეკრიბა ჰუნზახში ნაიბები, სწავლულნი, გავლენიანი საერო და სასულიერო პირნი და დაიფიცა, რომ იბრძოლებდნენ რუსების წინააღმდეგ.

რუსები შეიჭრნენ შიგ დაღესტნის გულში. ბარიატინსკიმ აამოძრავა შამილის წინააღმდეგ თოფ-ზარბაზანი, ხიშტი და ოქრო; შესყიდული ნაიბები მოდიოდნენ რუსების მთავარსარდალთან და მორჩილებას უცხადებდნენ. შამილი ხედავდა თავის ერთგულ თანამშრომლებს ბარიატინსკის დამცველთა შორის. შამილი ხედავდა, რომ თემი თემზე გადადისო რუსებისაკენ, შამილი ხედავდა რუსების ხელში ისეთ მიუდგომელ ციხეებს, როგორც ირიბი, ჩოხი, ულლუკალე. ციხე-სიმაგრეები დანიელ-სულთანისა გადავიდნენ რუსების ხელში უბრძოლველად. თვითონ ელისუის სულთანი გამოცხადდა ბარიატინსკისთან და დაყარა იარაღი და სთხოვა დანაშაულების პატიება. მთავარსარდალმა აპატია. გადავიდნენ რუსებისაკენ მდინარე ანდიის ყოისუზე მცხოვრებნი აშილთელები და ავარიელები. ღალატი, ყველგან დაწყეულილი ღალატი. ღალატი სტეხავს შიგნიდან ციხეს, ღალატი ღუპავს ქვეყანას. შამილს უღალატეს. შამილი დარჩა მარტოკა თანამოძმეებისაგან, თანამშრომლებისაგან მივიწყებული და განწირული. გასაჭირში ყველა გაერიდა, ყველამ პირი იბრუნა, ყველამ ზურგი უჩვენა, ასეთია გმირის ბედი!..

მტრით გარსშემორტყმული შამილი უნდა გასულიყო ჩიჩალიდან და ეძებნა თავშესაფარი სამხრეთ დაღესტნის თემებში. შამილი გამოვიდა ჩიჩალიდან თავის ცოლ-შვილით, მიურიდებით და ქონებით. ექვს ცხენზე იყო დატვირთული ოქრო და ვერცხლი, ერთზე ძვირფასი სამკაული, ჩვიდმეტზე — წიგნები, სამზე — თოფები, სამზე — ხმლები, ხანჯლები და დამბაჩები. ორმოც ცხენზე ცოლების ტანსაცმელი და მაუდ-ფარჩა-ფართლეული.

შამილი დადგა გუნიბზე — შამილს შერჩა ხელში მხოლოდ ის, რაც ზედ ჰქონდა — იარაღი და ცხენი, რომელზედაც იჯდა. დანარჩენი ქონება გზადაგზა გაიტაცეს...

გუნიბი! რომელ ლეკს არ აღმოუხდება გულიდან მწარე ოხვრა და გმინვა ამ სახელის გაგონებაზე. ამ მთაზე ჩაუქრა ბედის ვარსკვლავი მის სამშობლო დაღესტანს, აქ დარეკა გლოვის ზარმა, აქ გადაეფარა მის სამშობლოს ცას „მწუხრის ზეწარი", აქ ჩაიმარხა მისი თავისუფლება.

გუნიბი არის მთა, რომელიც ამართულია მდინარე ყარა ყოისუს მარცხენა ნაპირზე და აქვს სიმაღლე ორ კილომეტრამდე. მთა ძლიერ

დაკიდული, კლდოვანკალთებიანი, მხოლოდ აღმოსავლეთის მხარეს ადიოდა ამ მთაზე ერთადერთი ვიწრო მიხვეულ-მოხვეული ბილიკი. მაღლა, წვერში მთა ვაკდება. ამ საკმაოდ ფართო ვაკეზე არის ტყეველები, წყალი, სახნავი მინდვრები და სოფელი.

გუნიბზე მოვიდა შამილი თავისი ოჯახით და ოთხასი მიურიდით. შამილმა გაამაგრა ყველა ადგილები, საიდანაც მოსალოდნელი იყო საფრთხე. დააქუჩა ბლომად ქვები რუსების იერიშის მიტანის დროს დასაგორებლად. ქვების დაგროვებაში იღებდნენ მონაწილეობას სოფლის სხვა მანდილოსნებთან ერთად აგრეთვე შამილის ცოლები და რძლები. ზარბაზნები შამილს არა ჰქონდა, გარდა ოთხისა, რომლებშიაც მხოლოდ ერთი ვარგოდა და ისიც უბორბლო იყო. ზემო ნახსენებ ბილიკის თავზე შამილმა ააშენა ქვის კედელი სათოფურებით. მთას ამაგრებდა შამილი, მაგრამ არ დასცალდა და არც შეეძლო მას საკმაო სურსათ-სანოვაგის შოვნა და დამზადება. შამილი მოვიდა გუნიბში 26 მკათათვეს 1859 წ. რუსები მოადგნენ გუნიბს აგვისტოს ნახევარში. ამისათვის გუნიბში დიდი შიმშილი ჩამოვარდა. ხალხი იკვებებოდა ბალახით, მარწყვით და დახალული პურის თავთავებით. გაჩნდა სატკივრები, ბევრი ქოლერით გახდა ავად.

რომ უბრალოდ სისხლი არ დაღვრილიყო, ბარიატინსკიმ გაგზავნა შამილთან მოსალაპარაკებლად პოლკოვნიკი ლაზარევი, რომელსაც კარგად იცნობდენ ლეკები. შამილმა მოითხოვა ლაზარევთან ერთად დანიელ-სულთანი — შამილის მოღალატე. ვერაგი ელისუის დანიელ-სულთანი არ თანხმდებოდა.

„ — რატომ არ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა მოლაპარაკებაში?“ — ჰკითხა მთავარსარდალმა სულთანს.

„მეშინიან შამილის შურისძიების და ღალატის“.

„ — ნუ გეშინია, — უთხრა ბარიატინსკიმ სულთანს, — მე ჩაგაბარებთ ლაზარევს, რომელიც შესძლებს თქვენ დაცვას“.

ბარიატინსკის დესპანი შესდგებოდა ლაზარევისაგან, დანიელ ბეგისაგან, ალიხან ავარიელისაგან და რეიდისაგან, რომელიც იყო ერთი გიმრელი შამილის ნათესავთაგანი. დესპანს ახლდა ათი მილიციონერი. შამილმა გამოგზავნა შვილი ყაზი მაჰამა რამდენიმე დამცველით.

დესპანები შეიყარნენ გუნიბის ბაღებში, ჩამოსხდნენ ცხენებიდან და დასხდნენ გაშლილ ნაბდებზე. ლაზარევმა დაიწყო პირველმა.

— თუ იმამი თავის ნებით დამორჩილდება, — უთხრა ლაზარევმა, — მთავარსარდალი ნებას აძლევს, წავიდეს მექქაში თავის ცოლ-შვილით და საგზაო ხარჯსაც თვითონ კისრულობს.

— იმამი სიამოვნებით მიიღებდა მაგ პირობებს, მიუგო ყაზი მაჰამამ, მაგრამ ოსმალეთში გადასახლებისათვის საჭიროა ხონთქრის ნებართვა. მთავარსარდალმა შეიძლება მოგვცეს ნება გავგზავნოთ კაცი სტამბულში, მის დაბრუნებამდინ კი რუსებმა არ უნდა იმოქმედონ გუნიბის წინააღმდეგ.

— მაგ პირობების მიღება შეუძლებელია, — სთქვა ლაზარევმა, — მთავარსარდალი ეჭვს გარეშეა, გაუშვებს თქვენ კაცს სტამბულში, მხოლოდ, რასაკვირველია, იმ პირობით, რომ შამილმა უნდა უცადოს პასუხს თემირ-ხან-შურაში, დარუბანდში ან დეშლაგარაში. გუნიბთან ჯარის დგომა კი შეუძლებელია.

მოლაპარაკება ამაზე შეწყდა. ამნაირ დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა უშამილოდ ყაზი მაჰამას არ შეეძლო. შამილი არ ენდობოდა რუსებს. ამისათვის მან ამანათად ლაზარევი მოითხოვა. ბარიატინსკიმ ამაზე, რასაკვირველია, უარი უთხრა. მაშინ შამილმა შეუთვალა რუსებს:

„გუნიბი მაღალი მთაა, მასზეა მართლმორწმუნე მუსლიმანები და მათ ხელშია სამხვთო ღაზავათისთვის ხმლები. მე ვდგევარ მთაზე, ჩემზე მაღლა არს ღმერთი, რუსები არიან ძირს, მოიტანონ იერიში“.

აბდურახიმი, რომელიც ამ დროს გუნიბზე იყო, მოგვითხრობს:

„შამილმა უბრძანა აბდურახმანს, მისცეს რუსებს ამისთანა პასუხი: „ხელი დასველებულია, ხმალი ამოღებული, შველა — კი მხოლოდ ღმერთისაგან“.

ღამის პირველ საათზე რუსებმა მიიტანეს იერიში. შამილმა ამ იერიშს არ მიაქცია ყურადღება. ტყუილი განგაშია, ამბობდა შამილი, დადიოდა ჯარში, ხალხში და ამშვიდებდა. დილის რვა საათზე, 25 აგვისტოს, განახლდა იერიში. რუსები აცოცდნენ კლდე-ღრეებზე საბლებით, კოპიანი ჯოხებით, სადაც საჭირო იყო. გამართეს ცოცხალი კიბეები და ავიდნენ გუნიბზე იქ, სადაც ლეკები სრულიად არ ელოდნენ და მხოლოდ სულ ასი მიურიდი იდგა. ასტყდა საშინელი ხელჩართული უთანასწორო ბრძოლა. ოთხასი თავდადებული, გააფთრებული მიურიდი დაუდგა პირისპირ თოთხმეტ ბატალიონ გათამამებულ

რუსს. ქალები გვერდში ედგნენ კაცებს და მხარდამხარ იბრძოდნენ. გუნიბის პატარა ხევი შეიღება მთლად სისხლით, წყლის ნაპირები მოფენილი იყო ორასი რუსისა და ლეკების გვამებით. დღის ორ საათამდის გაგრძელდა ეს ხოცვა-ჟლეტა. ოთხას მიურიდთაგან გადარჩა მხოლოდ სამოცდაათი. შამილმა დაიხია სოფელში და გამაგრდა. რუსებმა ალყა შემოარტყეს სოფელს. დღის ორ საათზე ბარონ ვრანგელმა გაგზავნა პარლამენტარი შამილთან, რომ დამორჩილებოდა რუსებს. შამილმა მოითხოვა ისევ ლაზარევი.

„გადაეცი შამილს, — დააბარა ვრანგელმა ლაზარევს, — რომ, რადგანაც მან არ მიიღო მთავარსარდლის წინადადება, ეხლა დაუყოვნებლივ უნდა დამორჩილდეს“.

ლაზარევი წავიდა შამილთან მარტოკა, მხოლოდ გაიყოლა თარჯიმანი ვექილოვი. სოფელში შესვლისას ლაზარევმა დაინახა პატარა მოედანზე შეიარაღებული მიურიდები. მიურიდების ცოტა მოშორებით იდგა შეკაზმულ ცხენთან მაღალი ტანის, ჩაფიქრებული და სასტიკი სახის კაცი. მას ეცვა მწვანე ახალუხი და გრძელი ჩოხა მოვლებული უბრალო ზონრით. თავზე თეთრი ჩალმა, რომლის გრძელი ტოტები ზურგზე ჰქონდა გადაშვებული. ფეხზე ეცვა წითელი მესტები. მის იარაღს შეადგენდა უბრალო შავტყავგადაკრული ხანჯალი, ისევე ტყავგადაკრული ხმალი და ორი დამბაჩა, ერთი ბუდეში, მეორე ჰქონდა წელში გარჭობილი. ძნელი არ იყო ამ კაცის გამოცნობა. ეს იყო მთების ბრძანებელი, იყო ის, ვინც ებრძოდა მთელი ოცდაოთხი წელიწადი დიდ რუსეთს და მისი ძვლებით ააავსო დაღესტნის ხევ-ხუვები და ტყე-ველები, შიშის ზარსა სცემდა დაღესტნის მოსაზღვრე ხალხებს, აღტაცებაში მოჰყავდა მთელი სამუსლიმანო და გაკვირვებაში, რუსეთთან ერთად, მთელი განათლებული ევროპა. ეს კაცი იყო შამილი.

ლაზარევმა ჰკითხა მიურიდებს. მიურიდებმა ანიშნეს. მოწიწებით, თავაზიანად მივიდა ლაზარევი შამილთან და მცირე, მაგრამ მძიმე სიჩუმის შემდეგ მიჰმართა:

— შამილ! მთელი ქვეყანა გიცნობს და შენი სახელი, შენი დიდება არ დაიჩრდილება მთებში, სანამ არსებობენ თვით მთები. დამორჩილდი ბედს და მიეც თავი ხელმწიფის გულკეთილობას. ამით შენ იხსნი იმ შენ ერთგულ, შენთვის თავგადადებულ დარჩენილ მიურიდებს და სოფლის მცხოვრებლებს — ქალებს და ბავშვებს. აჩვენე, რომ შენ ხარ

დიდი როგორც ბედში, ისე უბედურებაში. ღმერთის გულისთვის, წავიდეთ, ნულარ აგვიანებთ.

— თუ შენ დარწმუნებული ხარ, რომ რუსები მე ცუდად არ მომექცევიან, — უთხრა შამილმა ლაზარევს, — შენ დარჩი აქ ჩემ ვაჟებთან, სანამ მე დავბრუნდები.

— მე მოვედი აქ, — უპასუხა ლაზარევმა, — შენი სურვილით, რომ ერთად წავიდეთ მთავარსარდალთან. მე ამანათად არა ვარ გამოგზავნილი. თუ გინდა წავიდეთ ეხლავე, თუ არადა, მე წავალ მარტოკა.

ამ დროს ოჩქოლ-ჩოჩქოლი შეიქნა მიურიდებში. მიურიდებმა დაიწყეს ლაზარევზე წევა.

— ამ დაბრმავებულმა ხალხმა არ იცის, რას სჩადის და რას ლაპარაკობს, — უთხრა ლაზარევმა შამილს, — რად უნდათ მაგათ შენი და შენი ოჯახის დაღუპვა, მათი სიცოცხლე და თავისუფლება შენ ხელშია.

შამილი ყოყმანობდა.

— მპირდები, რომ ნებას მომცემენ, დავბრუნდე ჩემ ოჯახში? — ჰკითხა შამილმა ლაზარევს.

— გპირდები, — უპასუხა ლაზარევმა.

— კარგი, — სთქვა შამილმა, — მე წამოვალ, მაგრამ იმ პირობით, რომ გზაზე არ შემხვდეს არც ერთი მუსლიმანი. მე არ მინდა ვნახო ხალხი, რომელმაც მიღალატა.

ამ სიტყვებით შამილი შეჯდა ცხენზე და ლაზარევთან ერთად გავიდა სოფლიდან თოფებმომარჯვებული ორმოცი მიურიდით გარშემორტყმული.

დიაღ, მრისხანე იმამი საჩაჩნოს და დაღესტნისა, გმირი ახულგოსი, იჩქერიის ტყისა, დარგოსი, ოცდაათი წლის გმირული ბრძოლების შემდეგ მიდიოდა, რომ დაეყარა იარაღი, ქედი მოეხარა გამარჯვებული მტრის წინაშე. ვინ იცის, რა სევდა და ბოღმა, რა ცეცხლი და სინდისი ჰქეჯნიდა და სწვავდა მის გულს ამ დროს?

დღის სამ საათზე, 25 აგვისტოს 1859 წელს შამილი მივიდა რუსების ბანაკში; ჩამოვიდა ცხენიდან და დადგა ბარიატინსკის წინ. შამილს ერთი ხელი ხმალზე ჰქონდა დაყრდობილი, მეორე ედო ხანჯლის ვადაზე. შამილის მარცხნივ იდგა იუნუსი, ყოფილი ხაზინადარი, მარჯვნივ — ლაზარევი. მთავარსარდალი იჯდა არყის ხის ჭალაში, ქვაზე, ნაბადწამოსხმული, ამალით გარშემორტყმული.

დადგა მოკლე ხნის სიჩუმე.

— შამილ! — უთხრა ბოლოს ბარიატინსკიმ, — შენ არ მიიღე ჩემი პირობანი და არ გინდოდა ჩემთან მოსვლა ბანაკში. ეხლა მე მოვედი შენთან. შენ მოინდომე ომი საქმის გადასაწყვეტად. ომმა ჩვენ სასარგებლოდ გადასწყვიტა. ეხლა რამე პირობებზე ლაპარაკი არ შეიძლება. ეხლა შენ უნდა წახვიდე პეტერბურგში და მოელოდო ბედს ხელმწიფე იმპერატორისაგან, მხოლოდ აღგითქვამ შენ და შენ ოჯახს სრულ ხელშეუხებლობას.

თარჯიმანმა გადასცა შამილს ბარიატინსკის სიტყვები.

— სარდალო! — უპასუხა შამილმა, — მე არ მოვისმინე შენი დარიგება, მაპატიე და ნუ დამძრახავ. მე უბრალო უზდენი ვარ. ოცდაათი წელიწადი ვიბრძოლე სამშობლოსათვის. მაგრამ ეხლა ჩემმა ხალხმა მიღალატა, ნაიბები გაიფანტნენ და მე თვითონაც დავიღალე ბრძოლისაგან. მე მოხუცი ვარ, სამოცდა სამი წელიწადი შემისრულდა.

— მე დაუყოვნებლივ გაგგზავნი ხელმწიფე იმპერატორთან, — უთხრა ბარიატინსკიმ შამილს, ადგა და შეჯდა ცხენზე, — ეხლა კი, როგორც სამხედრო ტყვე, უნდა წახვიდე ბანაკში, სადაც პოლკოვნიკი ლაზარევი მოგიყვანს ცოლ-შვილს.

ბარიატინსკი წავიდა. შამილი გაფითრდა.

— შენ მომატყუე, — უთხრა შამილმა ლაზარევს.

— დამშვიდდი, — სთქვა ლაზარევმა, — მე უკვე მივიღე ბრძანება, მოვიყვანო შენი ოჯახობა.

შამილი დაჯდა იმ ქვაზე, რომელზედაც იჯდა ბარიატინსკი და სთხოვა, არ წაეყვანათ იგი. ბოლოს დასთანხმდა და შეჯდა ცხენზე. ერთი მხრივ მისდევდა გრაფი ევდოკიმოვი, მეორე — ტრამპოვსკი. მათ მისდევდა ორი თარჯიმანი და ერთი ესკადრონი დრაგუნებისა.

ერთი ტყის პირას შამილმა სთხოვა, ნება მიეცათ მისთვის ნამაზი /ლოცვა/ შეესრულებინა. მისცეს ნება. შამილი ლოცულობდა, მაგრამ ეს ლოცვა კი არ იყო, არამედ იყო ჯოჯოხეთი. ის ემშვიდობებოდა თავის საყვარელ სამშობლოს, რომელსაც შესწირა მთელი თავის სიცოცხლე, ემშვიდობებოდა თავის დიდებულ წარსულს, ემშვიდობებოდა თავის მიწა-წყალს არა დროებით, არამედ სამუდამოდ. ლოცვის დროს ხანდახან გადაჰხედავდა ხოლმე დამარცხებული, მაგრამ გმირი შამილი

საშშობლო მთებს, მათ ცას მიბჯენილ მწვერვალებს, რომელნიც თითქოს სამგლოვიაროდო, ნისლით შემოსილიყვნენ. ხედავდა მიგრეხილ-მოგრეხილ, თვალჩაუწვდენელ ხევ-ხუვებს, სადაც ღრიალებდნენ მდინარეები და გაშმაგებულნი ღრღნიდნენ კლდოვან კალაპოტებს. ხედავდა სოფელს, მინდორს, რომელზედაც მოსჩანდნენ გვამები მის დასაცველად გმირულად დახოცილი მიურიდებისა, ჯოჯოხეთის ალი ტრიალებდა მის გულში. ცეცხლი აუტანელი ხდებოდა. მალ-მალე თხოულობდა წყალს!..

შამილი წაიყვანეს ბანაკში. შამილი შევიდა საკუთრად მისთვის დადგმულ კარავში, სადაც მას დაჰხვდა ვერცხლის ფიანდაზზე მომზადებული ჩაი.

შამილის წასვლის შემდეგ, ლაზარევი მივიდა მიურიდებთან, რომელნიც მოშორებით იდგნენ. დაინახეს ლაზარევი მიურიდებმა თუ არა, მისცვივდენ და მუქარით მოითხოვდნენ თავიანთ იმამს.

— იმამი მთავარსარდალს ელაპარაკება, — უთხრა ლაზარევმა აღშფოთებულ მიურიდებს, — მე უნდა მოვიყვანო იმამის ოჯახი. აბა, წამომყევით, ჩქარა, თორემ, — იოხუნჯა ყარაბაღელმა, — რუსები დაიტაცებენ თქვენ ცოლებს.

როდესაც ლაზარევი შევიდა სახლში, სადაც იდგა შამილის ოჯახი, შამილის უფროსი ვაჟი ყაზი მაჰამა მივარდა ქვითინით, დარწმუნებული, რომ მისი მამა მოჰკლეს. ძლივ-ძლივობით დაარწმუნეს ყაზი მაჰამა ლაზარევმა და დანიელ ბეგმა, რომ მამამისი ცოცხალია და იმყოფება მთავარ ბანაკში, სადაც მისი მთელი ოჯახობა უნდა მიიყვანონ.

მეორე დილით ლაზარევმა მოიყვანა მთავარ ბანაკში შამილის ოჯახობა.

იმავე დღეს ბარიატინსკიმ გამართა აღლუმი — აღლუმზე მთავარსარდალმა მიულოცა ჯარს გამარჯვება და დაურიგა ათასი თუმანი, რომელიც გადადებული ჰქონდა მისთვის, ვინც მიართმევდა მას შამილის თავს.

Მ

შამილის გამგზავრება რუსეთში. შამილი რუსეთში. შამილის ოჯახი რუსეთში და მისი ბედი. შამილის მიერ რუსების ქვეშერდომობის მიღება. შამილი სტამბოლში, მექაში და მედინაში. შამილის სიკვდილი.

აღლუმის მეორე დღეს შამილი გავიდა მთავარი ბანაკიდან. მას მისდევდა პოლკოვნიკი ტრამპოვსკი, დრაგუნების ორი ესკადრონი, ქვეითთა ჯარის ერთი ბატალიონი, ერთი ასეული დაღესტნის პოლკისა. გზადაგზა სოფლებიდან გამოდიოდა ხალხი. ქალები ტიროდნენ. კაცები ეხვეოდნენ შამილს და უკოცნიდნენ ჩოხის კალთებს. გზაზე შამილი გახდა ავად. მიურიდებში გავრცელდა ხმა, რომ იმამი რუსებმა მოწამლესო, მაგრამ ხმები, რასაკვირველია, ტყუილი გამოდგა. ექიმის წამლის შემდეგ შამილი გამოკეთდა. შამილი მოიყვანეს თემირ-ხან-შურაში. აქ შამილის და მის მიურიდებისათვის შეაკერინეს ტანისამოსი. ქალებს უყიდეს საჩუქრები. შურაში ტყვეები დარჩნენ ოთხი დღე.

შურაში დასტოვეს შამილის ოჯახობა. შამილს და ვაჟიშვილს ყაზი მაჰამათს უნდა განეგრძო გზა. ტყვეები მივიდნენ ყაზახების სოფელ ჩეჩვლენაიში, სადაც მათ ელოდებოდა ეტლი ბარიატინსკის ბრძანებით. ამ სოფელში შამილს მიეგებნენ ლამაზი ქალები, რომლითაც განთქმული იყო ჩეჩვლენაი. ტყვეებმა გაიარეს კუმტურკალე, გირ-იურთი და ხუთ ენკენისთვეს მოვიდნენ ქალაქ მოზდოკში. ამ ქალაქში სცხოვრობდა მდიდარი სომეხი ვაჭარი ულუხანოვი — ძმა შამილის ცოლის, შუანათისა. ულუხანოვმა დაახვედრა დიდებულ სიძეს ბინა, გამართა წვეულება, რომელზედაც მოვიდნენ შუანათის ყველა ნათესავი.

მგზავრებმა მოზდოკიდან გაიარეს გეორგიევსკი, ეკატერინოდარი და მივიდნენ სტავროპოლში საღამოზე. თითქმის მთელი ქალაქი გამოვიდა ქალაქგარეთ შამილის დასახვედრად. ცხენი და ეტლი ვერ უქცევდნენ ერთმანეთს გზას. მეორე დღეს ხალხი სულ გამოვიდა ქუჩაში. დიდი და პატარა, ქუდოსანი თუ მანდილოსანი ეხვეოდნენ სახლს, სადაც დადგა შამილი, რომ როგორმე თვალი მოეკრათ დაღესტნისა და საჩაჩნოს მრისხანე გმირისათვის. საღამოს ხუთ საათზე შამილმა გაისეირნა. ხალხი უკან დასდევდა და ერთ წუთსაც არ

ანებებდა თავს. საღამოს გამართეს წარმოდგენა. ლეკებს უკვირდათ, როგორ ეხვეოდნენ და კოცნიდნენ სცენაზე ერთმანეთს სახალხოდ ქალ-ვაჟნი. წარმოდგენის შემდეგ — საღამო. აქაც სიმღერები, მხარ-მკლავებ გაშიშვლებული ქალები ცეკვავდნენ და დადიოდნენ ვაჟებთან ხელიხელგაყრილნი.

ცამეტ ენკენისთვეს შამილი მოვიდა ქალაქ ხარკოვში, მეორე დღეს ტრამპოვსკის მოუვიდა ბრძანება, რომ წასულიყო შამილთან ერთად ჩუგუევში, რომელიც მდებარეობს ხარკოვიდან ოცდათექვსმეტ ვერსზე, იქ შამილი უნდა წარდგენოდა ხელმწიფე ალექსანდრე მეორეს. სხვა-დასხვა შავი ფიქრები უტრიალებდნენ შამილს თავში. ვინ იცის, როგორ დაუხვდება, როგორ მიიღებს მას „თეთრი ხელმწიფე". ბარიატინსკის მკვახედ დახვედრის შემდეგ, ცოტა არ იყოს, გულში შიში შეეპარა დაღესტნის გმირს, გზადაგზა ციმბირზედაც კი ფიქრობდა და ჩქარ-ჩქარა იყურებოდა კომპასში, ჩრდილოეთისაკენ მიჰყავდათ იგი თუ აღმოსავლეთისაკენ.

გათენდა თხუთმეტი ენკენის თვე. ხელმწიფე მოვიდა ჩუგუევში. შამილი წარუდგა რუსეთის მპყრობელს.

„ძალიან მოხარული ვარ, — სთქვა ხელმწიფემ, — რომ შენ რუსეთში ხარ. მენანება, რომ ეს უფრო ადრე არ მოხდა. შენ არ ინანებ. მე მოგაწყობ და ჩვენ ვიცხოვრებთ მეგობრულად".

ამ სიტყვებით გადაეხვია და აკოცა შამილს. შამილი დამშვიდდა. არაეითარ შიშს, ეჭვს ადგილი აღარ ჰქონდა მის გულში.

ხელმწიფე წავიდა შამილთან ერთად ჯარის დასათვალიერებლად. გაიმართა აღლუმი. დრაგუნებმა, ულანებმა და გუსარებმა /ცხენოსანი ჯარი/ გამართეს ჯირითი. ხელმწიფესთან ერთად აჭენებდა ცხენს შამილიც ჯარების ერთი ნაწილიდან მეორემდინ. შამილს ძალიან მოს-წონდა. აგონდებოდა თავის საჩაჩნო, სადაც მიაქროლებდა ხოლმე ცხენს რუსების დასახვედრად.

ხელმწიფე მივიდა ხარკოვში. მას მიჰყვა შამილიც. აქაც თეატრე-ბი, საღამოები, ცირკები, აქაც მხარ-მკლავებ გაშიშვლებული ქალები. ხალხი პირდაპირ გზას არ აძლევდა იმამს. ნამეტნავად ქალები, ზოგი რას ჰკითხავდა, ზოგი რას:

„მოგწონთ ქალები?", „არ დაიღალე?" „რატომ წინათვე არ დამორ-ჩილდი რუსებს?", „როგორ მოგწონთ, რასაც აქ ხედავთ?" და სხვა ამისთანები.

შამილი ყველა კითხვაზე პასუხს აძლევდა.

მეორე დღეს ხელმწიფე წავიდა ხარკოვიდან. კარგად ხვდებოდნენ რუსები შამილს, ცდილობდნენ გაერთოთ სხვადასხვა დროს გატარებით, შამილის გული მაინც მკვდარი იყო: ის თუმც იღიმებოდა ხოლმე, თითქოს კარგ გუნებაზედაც იყო, მაგრამ შავი ფიქრების კაეშანი მაინც არ შორდებოდა მის მძაფრ სახეს. წარსული, დაღესტანი, მისი მთაველი, ლურჯი ცა, მისი მზე, მისი მთვარე. წარსული დიდება, დღეს კი ტყვეობა...

ცხრამეტ ენკენისთვეს შამილი მივიდა ქალაქ კურსკში პოლკოვნიკ ტრამკოვსკისთან, ყაზი მაჰამასთან და ორი მიურიდით. მოსვლისთანავე შამილმა ინახულა გუბერნიის უფროსი ბიშიკოვი.

— როგორც სამხედრო ტყვე, მე არ მქონდა იმედი, რომ რუსები ასეთ პატივს მცემდნენ, — განუცხადა სხვათა შორის შამილმა ბიშიკოვს.

— რუსებს ჯავრი არ ახსოვთ, — უპასუხა ბიშიკოვმა, — შემდეგაც ყველგან ნახავთ ყურადღებას და პატივისცემას.

ხარკოვში შამილმა ნახა ოფიცერი, რომელსაც ეცვა კავკასიის ჯარის მუნდირი. ოფიცრის დანახვაზე შამილს თვალები გაუბრწყინდა. შამილი მივიდა და ჰკითხა ოფიცერს:

„რას ნიშნავს თქვენი ეს ჩაცმულობა?“

„კავკასიაში ვმსახურობდი“ — მიუგო ოფიცერმა.

„ბევრი ხანია, რაც წამოხვედით იქიდან?“

„თვრამეტი წელიწადია“,

„ჩემი თანამოძმე ყოფილხართ და სასიამოვნოა თქვენი ნახვა,“ — უთხრა შამილმა.

საღამოზე შამილი, ყაზი მაჰამა და მიურიდები იყვნენ ოპერაში. ძალიან მოეწონათ დაღესტნელებს თამაში და სიმღერები მსახიობებისა. ყაზი მაჰამა და მიურიდები პირდაპირ ქვითინებდნენ.

კურსკიდან ტყვეები მივიდნენ ტულაში. ტულაში შამილმა ნახა თოფხანა. დიდის ცნობისმოყვარეობით უყურებდა შამილი სხვადასხვა მანქანებს, ორთქლის მოქმედებას, მის ძალას და მასთან აგონდებოდა თავისი უფროსი ვაჟი ჯემალი-ედდინი და მისი ნალაპარაკევი რუსეთზე.

ოცდაორ ენკენისთვეს შამილი ჩავიდა მოსკოვში. მისვლისთანავე შამილმა ინახულა გენერალი ერმოლოვი — ის საჩაჩნოს და დაღესტ-

ნის ღვთისრისხვა. აქ ათავებდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ფრიად მოხუცებული, ხელმწიფე ნიკოლოზ პირველისაგან გარიყული ბოროდინოს და სხვა დიდ ნაპოლეონთან ბრძოლების გმირი. ბევრ ხანს ისაუბრა ამ ორმა გმირმა, მაგრამ მათი საუბარი საიდუმლოდ დარჩა ისტორიისათვის.

მეორე დღეს პოლკოვნიკ ბოგუსლავსკიმ დაატარა შამილი მოსკოვში, აჩვენა ყველაფერი, რაც ღირსშესანიშნავი იყო. ნახა კრემლის სასახლე, იარაღის პალატა, „მეფე-ზარი", „მეფე-ზარბაზანი" და სხვა სიძველენი. შამილს აჩვენეს პეტრე დიდის ჩექმა. ჩექმა ხელშიდაჭერილი კარგა ხანს დადიოდა შამილი ოთახში ფიქრებში გართული.

შამილი წაიყვანეს თეატრში. თეატრმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ლეკებზე. მათ აკვირვებდათ დიდი ჭაღი, რომელიც ხან ბრჭყინავდა და ანათებდა დარბაზს, ხან მიილეოდა და სიბნელით მოიცვამდა სცენას. შამილს ჰქონდა დურბინდი. მოსკოვში შამილმა დაჰყო ოთხი დღე. ოცდაექვს ენკენისთვეს მივიდა პეტერბურგს.

პეტერბურგში ტყვეები დააბინავეს ზნამენის სასტუმროში. აუარებელი ხალხი შეგროვდა სასტუმროსთან. სადაც უნდა წასულიყო შამილი, ხალხი აცილებდა და უცქეროდა დიდის ცნობისმოყვარეობით. შამილთან განუყრელად იყო პოლკოვნიკი ბოგუსლავსკი, რომელიც ატარებდა მას ღირსშესანიშნავ ალაგებში. მოსვლის დღესვე შამილმა ბოგუსლავსკისთან ერთად გაისეირნა სატახტო ქალაქის ქუჩებში. დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა შამილზე პეტერბურგი — ეს წმიდა ევროპული ქალაქი თავის ლარივით სწორი და სუფთა ქუჩებით, რომელზედაც აუარებელი ხალხი ზღვასავით ღელავდა, სამ, ოთხსართულიანი სახლები თავის სხვადასხვა საქონლით სავსე სავაჭროებით. მშვენიერი სასახლეები, გაშლილი მოედნები თავის ძეგლებით და სხვა. ნახა შამილმა ისაკიევის ტაძარი, რომელმაც გააკვირვა თავისი სიდიდით და სიმდიდრით, როცა აიხედა შამილმა გუმბათისაკენ, თავიდან ჩამოუვარდა თეთრი ჩალმა, რამაც, ცოტა არ იყოს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა მართლმორწმუნე შამილი. საკურთხევლის წინ შედგა შამილი და გამოკითხა ტაძრის ისტორია, თუ როდის არის აშენებული, რამდენი ხანი მოუნდა მის შენებას, რომელი წმიდანის სახელობაზეა და სხვა. გასვლისას შამილი გამოეთხოვა პროტოერკის თავის დახრით და გულზე ხელის მიდებით.

შამილმა ინახულა კუნსტკამერი და სახალხო წიგნთსაცავი. სამხედრო ტოპოგრაფიის დეპოში შამილს აჩვენეს კავკასიის რუქა. კარგა ხანს უყურა შამილმა რუქას და თვითონ აჩვენა სოფელი გიმრი. შამილი წაიყვანეს თეატრში, სადაც ხალხი, როგორც ბუზი, ეხვეოდა გმირს. ბუგოსლავსკიმ წაიყვანა ტყვეები ცარსკოე სელოში /მეფის სოფელში/. სასახლეში შამილმა ნახა ქრისტეს ქანდაკება. კარგა ხანს უყურა შამილმა ქანდაკებას.

„ — ბევრს მშვენიერს გასწავლიდათ იგი, — უთხრა ბოგუსლავსკის, — მეც ვილოცებ, თუ იგი ბედნიერობას მომანიჭებს“.

საზოგადოდ, ხალხი, სადაც კი იყო შამილი, ძალიან კარგად ექცეოდა დაღესტნის გმირს. ნამეტნავად ქალები, რომელნიც პირდაპირ აღტაცებულნი იყვნენ შამილის პიროვნებით. ქალებს უყვარდათ შამილის საზოგადოებაში, ნამეტნავად ქალებს შორის თავის დაჭერა, ზრდილობიანობა, ჭკვიანი სიტყვა-პასუხი. ქალები შამილს ეძახდნენ „საყვარელ მოხუცს“. შამილს ჰკითხეს, თუ რატომ წინეთ არ დაჰმორჩილდა რუსებს? შამილმა ამაზე მიუგო:

„მე ფიცით ვიყავი შეკრული ხალხთან. რას იტყოდნენ ჩემზე? ეხლა მე გავაკეთე ყველაფერი, სინდისი ჩემი უხინჯოა. მთელი კავკასი, რუსები და მთელი ევროპიის ხალხი მომცემენ სიმართლეს, რომ მე დავნებდი რუსებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მთაში ხალხი იკვებებოდა ბალახით. ეხლა რუსებმა დაიპყრეს დაღესტანი იმისთვის, რომ დაგვატყდნენ თავს, როგორც თოვლი“.

პეტერბურგიდან ტყვეები გაემგზავრნენ ქალაქ კალუგაში. წასვლის დროს აუარებელი ხალხი ეხვეოდა ეტლს, რომელშიაც ისხდნენ ტყვეები. მამაკაცები ქუდის ქნევით და ქალები ხელსახოცების ქნევით ემშვიდობებოდნენ შამილს, გაისმოდა ქალების ძახილი:

„მშვიდობით შამილ, გვინახულე ხოლმე! გარდაეცით, ბატონო ბოგუსლავსკი, რომ ჩვენ ძალიან გვიყვარს იგი“.

„გარდაეცით მათ, — უთხრა შამილმა ბოგუსლავსკის, — რომ მე არ შემიძლიან წარმოვსთქვა სიტყვებით ჩემი მათდამი გრძნობანი, უთხარით მხოლოდ, რომ მათი ყურადღება ჩემდამი ისეთ სიამოვნებას მგვრის, რომელიც მე არ მიგრძნია დაღესტანში 1843 წელშიც“.

შამილი, ჰაზი მაჰამა და ბოგუსლავსკი მივიდნენ ქალაქ კალუგაში ათ ოქტომბერს. შამილს სამუდამოდ უნდა ეცხოვრნა ქალაქ კალუგა-

ში. შამილისთვის დაიჭირეს საკმაოდ ფართო, ქვითკირის ორსართულიანი სახლი სუხოტინისა, მაგრამ, რადგანაც სახლი ჯერ არ შეეკეთებინათ, შამილი დროებით დადგა კულონის სასტუმროში. შამილს მოეწონა სახლი, სადაც უნდა დამდგარიყო და ქალაქი კალუგაც თავის მდებარეობით, რომელიც აგონებდა მას, მისივე თქმით, საჩაჩნოს. მოსვლისთანავე შამილს წარუდგინეს ზოგიერთი კალუგის მცხოვრებნი და სამსახურის პირნი. ამავე დროს შამილს მიეცა ნება წამოესხა თავის ოჯახობა შურიდან, რისთვისაც უნდა გაეგზავნა ყაზი მაჰამა.

შამილმა მისწერა წერილი არაბულად მთავარმართებელ ბარიატინსკის:

„თავადო, მეფის მოადგილევ! ჩემი ვაჟი მოდის კავკასიაში ჩემი ოჯახობის წამოსაყვანად. მე ვსარგებლობ ამ შემთხვევით, რომ გიძღვნა მადლობა შენი ჩემდამი ყურადღებისათვის. მე მესმის და ვგრძნობ, რომ მხოლოდ შენი წყალობით მიმიღო ხელმწიფემ მოწყალებით. ხელმწიფე იმპერატორმა სრულიად დამამშვიდა, მითხრა, რომ მე არ ვინანებ, რომ დავმორჩილდი რუსეთს. დედოფალი, მთელი ხელმწიფის ოჯახობა და მთავარ-უფროსები ყურადღებით მომექცნენ, ეს ყველა შენის წყალობით. ჩემ საცხოვრებლად ხელმწიფემ დამინიშნა ქალაქი კალუგა და ამ ქალაქში მომიმზადეს მშვენიერი სახლი. შენი ძმები, რომელნიც ვნახე პეტერბურგში, ძალიან ალერსიანად შემხვდნენ. თეატრში წამიყვანეს. ვისხედით ლოჟაში. ჩემი ვაჟი ყაზი მაჰამა ხელმწიფის ნებადართვით მოდის შურაში, რომ წამოიყვანოს კალუგაში ჩვენი ოჯახი. გთხოვ უბრძანო, მიაქციონ მათ ისეთივე ყურადღება, როგორც ჩვენ, მე შევიტყე, რომ ავადა ხარ. ძალიან დამაღონა. გულითა და სულით ვსთხოვ ღმერთს, რომ მან დაგიბრუნოს ჯანმრთელობა. მე და ჩემი ოჯახი არასდროს არ დავივიწყებთ შენ მოწყალებას, ნუ დაგვივიწყებ შენც, თუ რომელიმე ჩვენგანს აიძულებს საჭიროება მოგმართოს შენ". ხელმოწერილია

არაბულად: „მონა ღვთისა შამუილი
11 ოქტომბერს 1859 წ."

ოქტომბრის დამლევს კალუგაში მოვიდა კაპიტანი რუნოვსკი, რომელსაც უნდა გამოეცვალა ბოგუსლავსკი. რუნოვსკი კარგად მიიღო შამილმა, მაგრამ ძალიან სწუხდა ბოგუსლავსკიზე. ბოგუსლავსკი ძალიან პატივსა სცემდა შამილს და იმასაც გულით და სულით შეუყვარდა ბოგუსლავსკი. ბოგუსლავსკის წასვლის დღეს შამილი ძალიან დაღონდა. ახალი მოსული რუნოვსკი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ როგორმე გაერთო და როგორმე დაემშვიდებინა დაღესტნის მოხუცი გმირი.

შამილმა უთხრა რუნოვსკის:

„ — გთხოვთ, მისდიოთ მხოლოდ ჩვენს ერთ ჩვეულებას: როდესაც რაშიმე სიტყვას აძლევთ, შეინახეთ, თუნდაც სიკვდილი მოგელოდეთ, ვინც ამ ჩვეულებას ასრულებს, იგი ჩვენში კარგი კაცია, ვინც არა, ცუდია. მე აქ უცხო მხარეში ვარ, — დაუმატა შამილმა, — მოხუცებული, არ ვიცი არც თქვენი ენა, არც ჩვეულება და ამისათვის მე აქ მოხუცი შამილი კი არა ვარ, არამედ ვარ პატარა ბავშვი, რომელიც ღმერთის ნებით გახდა ობლად და მოითხოვს ძიძისაგან მასზე ზრუნვას. გთხოვთ, შემიყვაროთ ისე, როგორც, საზოგადოდ, ძიძას უყვარს ხოლმე თავისი ბავშვი და მე აღგითქვამთ, რომ შეგიყვარებთ, არამც თუ როგორც ბავშვს უყვარს თავის ძიძა, არამედ ისე, როგორც მოხუც შამილს შეუძლია შეუყვარდეს კაცი, რომელიც მას სიკეთეს უშვრება“...

„ — აი, ჩვენცა გვაქვს ანდაზა — უთხრა შამილს რუნოვსკიმ, — როდესაც ბალღი არა სტირის, დედა ჰფიქრობს, რომ მას არა სჭირია რა“.

„ — ჩვენცა გვაქვს ეს ანდაზა, — თქვა შამილმა, — მესმის, თუ მე არ ვიტირებ, თქვენ არ გეცოდინებათ ჩემი გასაჭირი, მაშ, — დააბოლოვა შამილმა ღიმილით, — როდესაც რამე გამიჭირდება, მე უეჭველად ვიტირებ“.

სახლი შეაკეთეს — ყველანი, ვისთანაც იყო შამილი და გაიცნო, მოვიდნენ შამილთან ახალ სახლში და მიულოცეს პურ-მარილით. შამილი დაბინავდა, მაგდენად აღარსად დადიოდა, გარდა ძალიან დაახლოვებულ ოჯახებისა. იჯდა შინ და კითხულობდა. თავის მაგივრად თეატრებში და საღამოებზე შამილი ჰგზავნიდა თავის თარჯიმანს ჰაჯიოს, რომელიც აღტაცებული იყო დროსგატარებებისაგან.

ჰაჯიო ამბობდა, რომ ყველაფერი, რასაც შარიათი უკრძალავს კაცს, კარგია, რაც არა — ცუდია.

კალუგაში დაბინავების შემდეგ შამილის სანახავად მოდიოდნენ რუსეთის თითქმის ყოველი კუთხიდან. მოდიოდნენ უფრო სამხედრო პირნი, რომელნიც მსახურობდნენ ოდესმე კავკასიაში და იღებდნენ მონაწილეობას შამილთან ბრძოლებში. მოსულებს შამილი იღებდა ქვემო სართულში, სასტუმრო ოთახში, რომელიც ევროპულად იყო გამართული.

ერთხელ შამილთან მოვიდნენ კალუგაში ორლოვი და ზახარინი, ავტორი „Поездка Шамиля в Калугу в 1860 году". შამილმა ჰკითხა ზახარინს, თუ საიდან მოვიდა, ზახარინმა უპასუხა, რომ მოვიდა ჩემბარიდან, ათასი ვერსის სიშორიდან, რომ ამხანაგებს სურდათ ჩემი თქვენთან მოსვლა, თქვენი ნახვა. როდესაც თარჯიმანმა გრომოვმა გადაუთარგმნა შამილს ზახარინის სიტყვები, შამილმა ჩაჰკიდა თავი და სევდიანად ჩაიცინა. გასახარი რაღა ჰქონდა შამილს, რომ სევდიანად არ ჩაეცინა...

„ — რითაა შესანიშნავი ჩემბარი?" — ჰკითხა შამილმა რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ ზახარინს.

ზახარინმა უპასუხა, რომ ჩემბარიდან თორმეტ ვერსზე მარხია გამოჩენილი რუსის მგოსანი, ყოფილი კავკასიის ოფიცერი ლერმონტოვი.

„გამიგია, — სთქვა შამილმა, — კავკასიაზე სწერდა". შემდეგ მიუბრუნდა შამილი ორლოვს და გამოჰკითხა, რომელი პოლკის ოფიცერია, რამდენ ხანს მსახურობდა კავკასიაში, შემდეგ ჰკითხა, რა ბრძოლაში მიიღო გიორგის ჯვარი.

„ — სოფელ ქიდიროს იერიშით აღებაში, — სთქვა ორლოვმა, — როდესაც ტყვედ იქნა წაყვანილი ნაიბი ჰაჯი-მაჰამედი".

როდესაც გრომოვმა გადაუთარგმნა შამილს, შამილი საშინლად აღელდა, წელში გასწორდა, წარბები შეიჭმუხნა და მის თვალებმა მრისხანედ გაიელვეს. შამილის მხლებელნი, რომელნიც აქამდე გაქვავებულებივით იდგნენ თავიანთ საყვარელი იმამის ორივე მხრივ, მოძრაობაში მოვიდნენ. რუნოვსკი გაფითრდა და შეტოკდა. უცბათ შამილმა რაღაც სთქვა არაბულად ორჯერ ზედიზედ. სიტყვებში ისმოდა ჰაჯი მაჰამედის სახელი.

„ — იმამი ამბობს, რომ ჰაჯი მაჰამედი იყო ჩაგდებული ტყვედ მკვდარი“. — წარმოსთქვა არეულმა გრომოვმა.

შამილი დაღვრემილი და უკმაყოფილო გავიდა ოთახიდან. შამილის გასვლის შემდეგ რუნოვსკი მივარდა ორლოვს და დაუწყო შეჩვენება. ორლოვი იმართლებდა თავს, უთითებდა ოფიციალურ ცნობაზე, სადაც ნაჩვენები იყო „ტყვედ წაყვანა“, მხოლოდ ბრძოლის მეორე დღეს გაგზავნეს დამატებითი ცნობა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ჰაჯი მაჰამედი „მოკვდა ჭრილობისაგან“...

ერთ დღეს შამილის ეზოში შემოვიდნენ ხუთი ყოფილი რუსის ჯარისკაცი. ეს ჯარისკაცები ოდესღაც ყოფილიყვნენ ტყვედ შამილთან. რუნოვსკიმ გამოჰკითხა ნატყვევრებს, თუ რისთვის მოვიდნენ, რა უნდათ შამილთან...

„ — მოვედით, ისე, — უპასუხეს ყოფილმა ჯარისკაცებმა, — გვინდა ვნახოთ ჩვენი ყოფილი პატრონი“. ყოფილი ჯარისკაცები, რასაკვირველია, შეუშვეს. შამილს ძალიან ეამა მათი ნახვა და კმაყოფილი იყო, რომ ყოფილმა ტყვეებმა მოიგონეს იგი. შამილმა დაასაჩუქრა თავის ყოფილი ტყვეები ვერცხლის მანეთიანებით.

იყო იანვრის ხუთი. შამილი იჯდა მარტოდმარტოკა თავის მისაღებ ოთახში დივანზე და ფიქრში გართული ათამაშებდა ხელში კრიალოსანს. ფიქრი ფიქრს აწვებოდა, თავის წარსული მღელვარე ცხოვრებიდან სურათები რიგრიგად ეშლებოდა წინ. მისი სახე ხან მოიღუშებოდა და ხან გაიბრწყინებდა, ფიქრი გადავიდა ცოლ-შვილზე. რამდენი ხანი გავიდა, რაც ცოლ-შვილს მოაშორეს. როგორ არიან, ვინ დარჩა ცოცხალი, ვინ გამოესალმა ამ ცრუ სოფელს, ყაზი მაჰამა წავიდა და ჯერ არსად არა სჩანს. ან ხომ არა მოუვიდა რა გზაზე თვით ყაზი მაჰამას. ჰქონდა რამე ეფიქრნა შამილს.

ამ დროს მარცხენა წარბი აუთამაშდა შამილს. გაუხარდა. იმის რწმენით, ეს იმას ნიშნავდა, რომ ჩქარა ნახავდა თავის ოჯახს. არ გაიარა ბევრმა ხანმა. ოთახში შემოვიდა მისი მეორე ვაჟი მაჰამედ შაფი. შაფი მოწიწებით ემთხვია ხელზე შამილს, დადგა განზე და გამოუცხადა იმამს, რომ ამ რამდენიმე წუთის შემდეგ მოვა ოჯახიო. დაღესტნის გმირს აღელვება დაეტყო. მის სახეს გადაჰკრავდა ხან ნაცრის, ხან წითელი ფერი. მაჰამედ შაფი იდგა თავჩაღუნული, უძრავად — მამის კითხვების მოლოდინში. შამილმა გამოჰკითხა ოჯახის

მგზავრობა, ვინ როგორ არის, ვინ მოდის და ვინ არა. შვილმა უამბო ყველაფერი დაწვრილებით, სთქვა, რომ ყველანი მშვიდობიანად არიან, ჯანსაღად, დიდი სიცივეები არ იყო, ყველას კარგად და თბილად აცვიათ. გზაზედ არავის შესცივნია.

აჰა, სახლს მოადგნენ ეტლები, მოვიდნენ მგზავრები: მოვიდა შამილის ოჯახი. სახლში პირველი შევიდნენ მანდილოსნები. მათ მიჰყვნენ ქუდოსნები, ქალები ავიდნენ ზემო სართულში და დაბინავდნენ თავთავიანთ დანიშნულ ოთახებში. მამაკაცები შევიდნენ იმ ოთახში, სადაც იმყოფებოდა შამილი. შამილი იჯდა ისევ ისე, იმავე დივანზე, კრიალოსნით ხელში.

„ხოშ გიალდი /მშვიდობით მოსვლა/, — მიესალმა შამილი თავის ვაჟებს და სიძეებს. ყაზი მაჰამა მივიდა მამასთან და აკოცა ხელზე. სხვებიც მივიდნენ, აკოცეს ისევ და დადგნენ შამილის გარშემო გატვრინულნი. შამილის მიერ მგზავრობის გამოკითხვის შემდეგ შეასრულეს ნამაზი, რომლის შემდეგ ვაჟები შევიდნენ სასტუმრო ოთახში ჩაის დასალევად, შამილი ავიდა ზემო სართულში ცოლების და შვილების სანახავად. მაჰამედ შაფიმ აჩვენა შამილს, რომელ ოთახში რომელი ცოლი იდგა.

შამილის ოჯახის მოსვლა იმავე დღეს გაიგო მთელმა კალუგამ. რასაკვირველია, დაფაცურდნენ, უმეტესად ქალები. ეხლა მათ მიეცათ შესაძლებლობა იარონ შამილის სახლში. კალუგელ ქალებს ძალიან მოუნდათ შამილის ოჯახის ქალების სურათის გადაღება. ამას მამა, ძმა არ ნდომულობდნენ, აგრეთვე ზოგიერთნი დიდი მთავრების ქალები პეტერბურგში. დაბრკოლება დიდი აღმოჩნდა. მაჰამედის მოძღვრების კანონებით, მამაკაცმა არ უნდა ნახოს ქალის სახე, გარდა ძლიერ მახლობელი ნათესავისა, როგორიც არიან მამა და ძმები. შამილი უარზე იდგა, მაგრამ კალუგელმა ქალებმა მოახერხეს. კალუგაში ცხოვრობდა თავად-აზნაურების წინამძღოლი შჩუკინი. აღმოჩნდა, რომ შჩუკინის ვაჟი და შამილის უფროსი ვაჟი ჯემალ-ედდინი ერთად მსახურობდნენ ულანის პოლკში და იყვნენ დიდი მეგობრები. ამ გარემოებამ ძალიან დააახლოვა ეს ორი — შამილის და შჩუკინის — ოჯახი ერთმანეთს. შჩუკინის ოჯახის ქალები ხშირად დადიოდნენ შამილთან და ისე შეეჩვივნენ, რომ შინაურებივით გახდნენ. ერთხელ შჩუკინის ქალებმა აჩუქეს შამილის ოჯახის ქალებს თავიანთი სურათები და

სთხოვეს სამაგიერო; შამილი დიდ უარზე იყო, მაგრამ ბოლოს, კარგა ყოყმანის შემდეგ, შჩუკინის ქალების თხოვნით, დასთანხმდა,

„ — კარგი, — სთქვა შამილმა, — ნებას მიეცემ, გადაიღოს სურათები ჩემი ცოლების და ქალებისა, მხოლოდ უნდა გადაიღოს ქალმა“.

შამილის პრისტავმა რუნოვსკიმ მოიყვანა ქალი ფოტოგრაფი და გადაიღეს სურათები: შამილის ორი ცოლისა, ორი რძლისა და ქალებისა. როდესაც შამილს აჩვენეს მისი ცოლის სურათი, მშვენიერ შუანათასი, შამილმა წარმოსთქვა: „უმჯობესი იქნებოდა, მენახა მისი თავი მოჭრილი“.

შამილს ჰყვანდა რვა ცოლი. 1/ ხორია — გიმრიდან, რომელთანაც იცხოვრა სამი დღე. 2/ ფატიმათ პირველი, ესეც გიმრიდან. ფატიმათი შეირთო შამილმა, როდესაც ქალის მამამ აბდულ აბისმა მოარჩინა იგი გიმრის ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან. ფატიმათი ძალიან უყვარდა შამილს. მისგან ეყოლა სამი ვაჟი: ჯემალ-ედდინი, ყაზი-მაჰამა და მაჰამედ-შეფი. 3/ საიდათი, ქალიშვილი შამილის აღმზრდელ ყაზიყუმუხელ ჯემალ-ედდინისა. საიდათი იყო დიდად გონიერი ქალი და დიდი გავლენაც ჰქონდა შამილზე. 4/ ჯავგარადი — გიმრელი ქალი, რომელიც დაიღუპა ახულგოში ტყვეობაში ვაჟითურთ. 5/ შუანათა. შუანათა იყო სომხის ქალი, ქალაქ მოზდოკიდან. იყო შვილი ვაჭრის ივანე ულუხანოვისა, ერქვა ანნა. შამილმა შუანათა ტყვედ ჩაიგდო 1840 წ. ქალაქ მოზდოკზე დაცემის დროს. ძმას უნდოდა გამოეხსნა და აძლევდა შამილს ათას თუმანს, მაგრამ შამილმა შეუთვალა, რომ მილიონადაც არ მისცემდა. შუანათა ლამაზი ქალი იყო, ამასთან სათნო, გულკეთილი და ქმრის უღრმესად მოყვარული. რუსულად ლაპარაკობდა თავისუფლად. 6/ ფატიმათ მეორე, ესეც გიმრელი, ხანში შესული დედაკაცი, რომელიც უვლიდა მთელ ოჯახს. 7/ ამინათ — ქისტის ქალი, რომელსაც გაეყარა და 8/ ზაინაბი, ჩაჩნელის ქალი, რომელთანაც სცხოვრობდა სულ სამი საათი.

შამილს ჰყვანდა ოთხი ვაჟი: ჯემალ-ედდინი, ყაზიმაჰამა, მაჰამედ შეფი და მაჰამედი.

ჯემალ-ედდინი, როგორც ზემოთ გვქონდა მოხსენებული, ახულგოდან ამანათად წაიყვანეს რუსებმა. პეტერბურგში, პაჟის კორპუსში მსახურობდა ოფიცრად ულანის პოლკში. დაღესტანში დაბრუნებისას გახდა ჭლექით ავად და მოკვდა სოფელ კარატში.

ყაზი მაჰამა, ეს მარჯვენა ხელი შამილისა იღებდა დიდ მონაწილეობას რუსებთან ბრძოლებში. იყო ახოვანი, წერწეტი, მკვახე სახისა, შავგვრემანი. პატარა თვალები, მოყვითალო სახე, თაფლა თმა უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა ადამიანზე. შემდეგ მამის სანახავად წასული მედიანაში ყაზი მაჰამა აღარ დაბრუნდა რუსეთში, დარჩა ოსმალეთში და შევიდა სამხედრო სამსახურში. 1877 წ. რუს-ოსმალოს ომის დროს, როგორც გენერალი, გარს შემოერტყა მთელი დივიზიით რუსების მიერ დაჭერილ ბაიაზეთს.

მაჰამედ-შაფი შევიდა რუსის სამსახურში 1861 წ., მიიღო ბოლოს გენერლის ჩინი და თავის უკანასკნელი დღეები დალია ქალაქ ყაზანში.

მეოთხე ვაჟი, მაჰამედი დაიბადა რუსეთში 1861 წ. ქალი შამილს ჰყვანდა ექვსი. 1/ ნაფისათი, რომელიც იყო გათხოვილი ჯემალ-ედდინის ვაჟზე აბდურახმანზე, 2/ ფატიმათი გათხოვილი აბდურახმანის ძმა აბდურახიმზე, 3/ ნაჯავათი, 4/ ბახუ-შესედუ, 5/ საფიათი და 6/ მაგაბათი.

შამილის რძლები იყვნენ: ყაზი მაჰამას ცოლი, მშვენიერი კარიმათი, ქალი დანიელ სულთანისა. გუნიბიდან წამოსვლის დროს, როდესაც კარიმათი მივიდა მამასთან გამოსამშვიდობებლად, მამამ დანიელ სულთანმა განაცხადა, რომ ყაზი მაჰამასთან არ გაუშვებს თავის ქალს რუსეთში. ჩემი ხელით აქვე მოვკლავ და არკი გავუშვებო, განაცხადა ვერაგმა შეფმა. შამილი საშინლად განრისხდა. ის იყო სისხლი უნდა დაღვრილიყო, რომ პოლკოვნიკი ტრამპოვსკი არ ჩარეულიყო. ტრამპოვსკიმ განუცხადა დანიელ ბეგს, რომ მთავარსარდალმა ბარიატინსკიმ ბრძანა, რომ ყველა ცოლები თავიანთ ქმრებს უნდა შერჩეთო.

ცოლი მაჰამედ-შაფის, ამინათი იყო შვილი ჩოხის ნაიბის ენკაუ-ჰაჯისა:

ყველა ესენი შეადგენდნენ შამილის ოჯახს. ამათ გარდა, შამილს ჰყვანდა ხაზინადარი ჰაჯიო და თარჯიმანი გრომოვი. ჰყვანდნენ მოსამსახურე ქალები და კაცები, ყველანი შეადგენდნენ ოცდაორ სულს.

შამილი ცხოვრობდა, როგორც ვთქვით, სუხოტინის სახლში, სახლი დიდი და ფართო იყო. ჰქონდა დიდი ეზო, ბაღი. მაღალი ღობით შემოვლებული. ეზოში ცალკე ფლიგელი იყო. ამ ფლიგელში ღებულობდა შამილი სტუმრებს, რომ არ ენახათ მისი ცოლები. ეზოში შამილს აუშენეს პატარა მეჩეთი. ზაფხულობით ცხოვრობდა აგარ-

აკზე, რომელიც მდებარეობდა კალუგის მიდამოებში. ჰქონდა საკუთარი ეტლი. შამილს დაუნიშნეს თხუთმეტი ათასი თუმანი /150000 მ./ წელიწადში. ეს ფული კარგი ფული იყო იმ დროს და შამილიც უზრუნველყოფილი იყო ქონებრივად.

იჯდა შამილი თავის საყვარელ ოჯახში. ხანდახან გაისეირნებდა ხოლმე ეტლით კალუგის ქუჩებზე. ხშირად შამილი თავის ვაჟიშვილებით და სიძეებით გავიდოდა ხოლმე ქალაქგარეთ, გაფენდა ხალიჩას ან ფალაზს ერთ მაღლობზე და გადაჰყურებდა მდინარე ოკას და მის ტყე და მინდვრებით მოქარგულ კიდეებს.

27 მკათათვეს 1861 წ. შამილი წავიდა პეტერბურგში. მასთან იყვნენ კაპიტანი რუნოვსკი, ყაზი მაჰამა და ორივე სიძე. შამილმა ინახულა ბარიატინსკი პეტერბურგში და ხელმწიფე ალექსანდრე II მეფის სოფელში /Царское село/. როგორც ბარიატინსკიმ, ისე თვით ხელმწიფემ, ძალიან კარგად მიიღეს ტყვეები. ბარიატინსკიმ განუცხადა დაღესტნის გმირს, რომ უყვარს იგი როგორც ღვიძლი ძმა. ხელმწიფე ბევრ ხანს ელაპარაკა ალერსიანად თავის კაბინეტში როგორც შამილს, ისე ყაზი მაჰამას და სიძეებს. ხელმწიფემ შამილს აჩუქა მდიდრად მოკაზმული ოქროს ხმალი, რომელიც ერთ დროს ეკუთვნოდა მეხტი შამხალს.

პეტერგოფში დაღესტნელებმა ინახულეს ბაღი. მათ აკვირვებდათ მშვენიერი სასახლეები, შადრევნები და ქანდაკებები. პეტერგოფიდან მგზავრები გადავიდნენ კრონშტატში. ინახულეს აქ ხომალდები, დიდრონი ზარბაზნებით შეიარაღებულები, ინახულეს სახელმწიფო სამჭედლო. პეტერბურგში დაიარეს შუშის ქარხანა, ზარაფხანა, სამხეცე და სხვა ქალაქის ღირშესანიშნავი ალაგები. რუნოვსკის ალაგი დაიკავა შამილთან პოლკოვნიკ პრეჟეცალსკიმ. პრეჟეცალსკიმ ოთხი წელიწადი დაჰყო შამილთან და ეს ოთხი წელიწადი მოშხამული იყო შამილისათვის.

კავკასიაში ყოფნის დროს პრეჟეცვალსკიმ შეიძინა ერთი მოლისაგან არაბულ ენაზე დაწერილი ხელნაწერი „სამ ნაიბზე“ /ნაიბებად იგულისხმებიან: ყაზი-მულლა, ჰამზათ-ბეგი და შამილი/. გადათარგმნა რუსულად და დასაბეჭდად დამზადებული მოუტანა შამილს, რომ მას ხელი მოეწერა დასამტკიცებლად. შამილს აგრეთვე გაგებული ჰქონდა, რომ ნათარგმნში ფაქტები დამახინჯებული იყო, ნამეტნავად შამილზე და არ მოაწერა ხელი. ეს, რასაკვირველია, არ ეამა პრეჟეცვალსკის.

ამას მოჰყვა მეორე უკმაყოფილობა უფრო მნიშვნელოვანი. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ პრეჟეცვალსკი პოლონელი იყო.

1863 წ. როდესაც პოლონელების აჯანყება უკვე ჩაქრობილი იყო და დამნაშავეებს ასობით ხოცდნენ და გზავნიდნენ შორეულ ციმბირს, პოლკოვნიკი პრეჟეცვალსკი ხშირად ესაუბრებოდა ხოლმე შამილს პოლონელების აჯანყებაზე. გულშემზარავად უხატავდა მურავიოვის მხეცობას ლიტვაში და ბერგისა ვარშავაში. პრეჟეცვალსკი ცდილობდა, შთაეგონებინა შამილისათვის, რომ ხელმწიფემ ამ მხეცობაზე არა იცის რა და დიდ სამსახურს გაუწევდა თვით ხელმწიფეს და უბედურ პოლონელებს, ვინც მის ყურამდინ მიიყვანდა ამ ამბებს. შამილი, რასაკვირველია, არარად აგდებდა პრეჟეცვალსკის პოლონელებზე მოთხრობებს და უბრალო ლაყბობად მიაჩნდა.

ერთხელ მოვიდა პრეჟეცვალსკი შამილთან, რამდენიმე ხანს ილაპარაკა ისევ იმ პოლონელების აჯანყებაზე, რუსების მხეცობაზე, სისასტიკეზე. შემდეგ უბის ჯიბიდან ამოიღო წერილი ხელმწიფის სახელზე და სთხოვა შამილს, მოეწერა ხელი. წერილი იყო დაწერილი რუსულად და არაბულად. რუსულად ხელმწიფისათვის, არაბულად შამილისათვის. გაკვირვებულმა შამილმა გამოართვა პრეჟეცვალსკის წერილი და წაიკითხა:

„ — ოთხი წლის წინათ რუსის ხელმწიფეს მიანიჭა ღმერთმა სრული გამარჯვება კავკასიის მთიელებზე, რომელნიც ებრძოდნენ ნახევარ საუკუნეზე მეტი თეთრ მეფეს. თავის უდიდეს გულკეთილობით ხელმწიფემ დაივიწყა ის ბოროტება, რომელიც მიაყენეს მას მთიელებმა ბრძოლის დროს, თვით იმამს უბოძა სრული პატიება და აღმოუჩინა დიდი მოწყალება. ეხლა განმეორდა იგივე. ხელმწიფის უძლეველმა ჯარმა აჯობა პოლონელებს და ომიც გათავდა, მაგრამ შედეგი ამ გამარჯვებისა ისეთი არ არის, როგორიც იყო ოთხი წლის წინათ: მაშინ დაღესტნელებს სჯიდნენ სიკვდილით, გზავნიდნენ კატორღაში, საპყრობილეში, ართმევდნენ ქონებას და სხვა. და იგი მონა ღვთისა შამილი, გაიგო რა ყველა ეს, ნებას აძლევს თავის თავს მიმართოს დიდ ხელმწიფეს და ემუდარება, გამოიჩინოს იგივე გულკეთილობა დამარცხებული პოლონელების მიმართ, როგორც გამოიჩინა მან, ხელმწიფემ 1859 წელს შამილის, მის ოჯახის და მისი ნაიბების მიმართ“.

შამილმა, რა წაიკითხა ხელმოუწერელი წერილი, მკვახედ უთხრა პრეჟეცვალსკის:

„ — გთხოვთ პოლკოვნიკო, ამნაირ წინადადებით აღარ მომმართოთ მე თავის დღეში არ გავბედავ ხელმწიფის შეწუხებას ამნაირ წერილებით“.

ეს მეორედ უთხრა შამილმა უარი პრეჟეცვალსკის და ეს საკმარისი იყო ბოქაულისათვის, რომ მისი გული აღვსილიყო ბოროტებით, სიძულვილით, გესლით და შხამით. ამის შემდეგ დაიწყო პრეჟეცვალსკიმ დევნა გმირი ტყვისა, დაიწყო თესვა შამილის ოჯახში ღვარძლის და შურისა. ერეოდა შამილის ოჯახის შინაურ საქმეებში. ოჯახის წევრები გადაჰკიდა ერთმანეთს და მოსამსახურეებს. სადაც წავიდოდა შამილი, პრეჟეცვალსკი ფეხდაფეხ აედევნებოდა და თვალს არ აშორებდა. ქალაქში ავრცელებდა შამილზე ისეთ ჭორებს, რომ მახლობელი ნაცნობ-მოქალაქენი აღარ დადიოდნენ შამილთან.

სამხედრო მინისტრს ატყობინებდა, რომ შამილი უკმაყოფილოა ხელმწიფეზე, სჩივის, რომ ფულს ცოტას აძლევენ, ფიქრობს, დაიბრუნოს თავისი უფლება კავკასიაში და სხვა ამისთანები.

მობეზრებულმა შამილმა მიმართა გუბერნატორ ლერხეს თხოვნით, რათა გამოეცვალათ პრისტავი პრეჟეცვალსკი, არ გაიარა ბევრმა ხანმა, მოსკოვიდან მოვიდა კალუგაში მოსამსახურე ჯარისკაცი პრეჟეცვალსკისთან და გადასცა წერილი. წერილში ეწერა:

„მე ვარ დანიშნული თქვენ ალაგას, მიიღეთ ჩემი ბარგი. კაპიტანი სმირნოვი“.

გაიარა დრომ. პრეჟეცვალსკი ისევ თავის ალაგზე იყო. შემდეგ გამომჟღავნდა, რომ პრეჟეცვალსკის გაეგზავნა თხოვნა, ვითომდა შამილისაგან, რომ პრეჟეცვალსკი არ გამოეცვალათ.

ესე გაიარა ორმა წელიწადმა. პრეჟეცვალსკი განაგრძობდა თავის შავ-ბნელ საქმეს. ყოველ ღონისძიებებს ხმარობდა, რომ როგორმე დაეჩაგრა, დაემდაბლებინა შამილი.

შამილმა ვეღარ აიტანა ეს ცეცხლი. შამილმა მიჰმართა კალუგაში ახლად დანიშნულ გუბერნიის სამხედრო უფროს გენერალ ჩიჩაგოვს, რომ მან სხვა ქალაქის უმაღლეს თანამდებობის პირების თანადასწრებით მოისმინოს საჩივარი პრეჟეცვალსკიზე. გუბერნატორ სპარსკის სახლში შეიკრიბნენ თვით გუბერნატორი, ვიცე-გუბერნატორი გრაფი

შულენბერგი და გუბერნიის თავად-აზნაურეობის წინამძღოლი შჩუკინი. შამილმა შესჩივლა მათ, აუხსნა, თუ რისთვის გადაემტერა მას პრეჟეცვალსკი, უამბო „სამ ნაიბ“-ზე, სმირნოვზე, უამბო, თუ როგორ ხმებს ავრცელებდა კალუგაში, როგორ ერეოდა მის შინაურ საქმეებში და აძულებდა ერთმანეთს მისი ოჯახის წევრებს და მოსამსახურეებს.

ლაპარაკის დროს შამილი საშინლად ღელავდა, კანკალებდა. ჩიჩაგოვის თქმით, სისხლი ძარღვებში სდუღდა და ბობოქრობდა, მოელვარე თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ.

„პრეჟეცვალსკის გვარის გაგონებაზე, — დაასრულა შამილმა თავის საჩივარი, — მე მებნელება თვალებში, სისხლი მეცემა თავში და მე პასუხს არ ვაგებ, თუ რამეს ვუზამ მას, ან ჩემს თავს. ჩემი სატკივრის მიზეზი ბატონი პრეჟეცვალსკია, რომელიც მიმაჩნია ბოროტ სულად. მიშლის ხელს, რომ ვილოცო ალლაჰს. ჩემი, მოხუცის, ერთადერთი სურვილია განვმარტოვდე სრულებით და ვიცხოვრო მწირის ცხოვრებით. მე ვაღმერთებ ჩემს ხელმწიფე იმპერატორს, მე არ დამავიწყდება თავის დღეში მისი სიტყვები ქალაქ ჩუვუკში ნათქვამი: „ძალიან მოხარული ვარ, რომ შენ რუსეთში ხარ. მენანება, რომ ეს უფრო ადრე არ მოხდა. შენ არ ინანებ. მე მოგაწყობ და ჩვენ ვიცხოვრებთ მეგობრულად“. მე მჯერა სიტყვების დიდი მონარქისა და დარწმუნებული ვარ, რომ პრეჟეცვალსკის დაითხოვენ ჩემგან“

კრებამ გულმოდგინედ მოუსმინა შამილს და გუბერნატორმა სთხოვა სამხედრო მინისტრს, გამოეცვალა პრისტავი პრეჟეცვალსკი, მაგრამ შედეგი სულ სხვა გამოვიდა. სამხედრო მინისტრმა გამოგზავნა კალუგაში პეტერბურგიდან პოლკოვნიკი ბროკი საქმის გამოსაძიებლად. ბროკი დადგა ჩიჩაგოვთან.

„შამილი აქ სულელობს, — უთხრა ბროკმა ჩიჩაგოვს, — ეგ ვიატკაში უნდა გაიგზავნოს“.

ჩიჩაგოვმა, რომელმაც უკვე მოასწრო შამილთან გაცნობა და დაახლოება, აუხსნა გარემოება ბროკს. პრეჟეცვალსკის წერილების სიცრუე, სივერაგე და სხვა.

ბოლოსდაბოლოს ბოქაული პრეჟეცვალსკი გადააყენეს და შამილზე მეთვალყურეობა ჩააბარეს გენერალ ჩიჩაგოვს; შამილმა თავისუფლად ამოისუნთქა.

მშობლიურ დაღესტნის ლურჯ ცისქვეშ დაბადებულნი და აღზრდილ-

ნი ტყვე ლეკები ვერ აიტანდნენ სუსხიან ჩრდილოეთის ჰავას, ნამეტნავად გალიაში ჩამწყვდეულნი, თუნდაც ეს გალია ოქროსი ყოფილიყო. ულმობელი ჭლექი — ეს ღვთის რისხვა კაცობრიობისა, დაერია შამილის ოჯახს.

პირველი მსხვერპლი ამ სენისა გახდა ყაზი მაჰამას ცოლი, დანიელბეგის ასული, მშვენიერი ქერიმათი. ხელმწიფისაგან შამილს მოუვიდა დახმარება და ნება წაესვენა გარდაცვალებულის ცხედარი კავკასიაში და მიებარებინა მშობლიურ მიწას ქალაქ ნუხაში. ორი წლის შემდეგ ამავე სენით გარდაიცვალა უსაყვარლესი ასული შამილისა ნაფისათი, მეუღლე აბდურახმანისა. ნაფისათიც ხელმწიფის დახმარებით კავკასიაში იქნა დამარხული. ნაფისათს მოჰყვა მესამე, მეოთხე... და შამილის კალუგაში ყოფნის დროის განმავლობაში დაიხოცა ჩვიდმეტი სული. უფრო და უფრო უმწარდებოდა შამილს სიცოცხლე. ბოლმას ბოლმა ემატებოდა და ამის შემდეგ შამილის შუბლი აღარ გახსნილა, პირს ღიმილი აღარ მოსვლია.

ალექსანდრე II ძალიან თანაუგრძნობდა შამილს ამ ჭირში. შედიოდა დაღესტნის გმირის აუტანელ მდგომარეობაში და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, შეემსუბუქებინა მისი ხვედრი, მწარე ბედი.

ერთხელ შამილმა ჰკითხა გენერალ ჩიჩაგოვს: „რით და როგორ შემიძლია დავამტკიცო, თუ როგორ მიყვარს და ვაღმერთებ ჩემს ხელმწიფეს?“

ჩიჩაგოვმა ურჩია შამილს, მიეღო მთელი ოჯახითურთ რუსის ხელმწიფის ქვეშევრდომობა. შამილმა მიიღო გენერლის რჩევა. შამილის სურვილი მაშინვე შეატყობინა გაბარებულმა ჩიჩაგოვმა სამხედრო მინისტრს და თვითონ შამილმა კი მიჰმართა არაბულად დაწერილ წერილით ხელმწიფეს:

„შენ, დიდო ხელმწიფევ, დამამარცხე მე და ჩემი ქვეშევრდომი კავკასიის იარაღით. შენ, დიდო ხელმწიფევ, მაჩუქე სიცოცხლე, შენ, დიდო ხელმწიფევ, დაიპყარი ჩემი გული კეთილი განწყობილებით. ჩემი წმიდა მოვალეობაა, როგორც შენი დიდი სულით დაპყრობილს შთავაგონო ჩემს შვილებს მათი მოვალეობა რუსეთის და მის კანონიერი მეფეების წინაშე. მე ვუანდერძე მათ მუდმივი მადლიერება შენდამი, ხელმწიფევ, ყველა იმ პატივისათვის და ყურადღებისათვის, რომლებსაც არასდროს არ მაკლებ. მე ვუანდერძე მათ, იყვნენ ერთგული ქვეშევრდომნი რუსეთის ხელმწიფისა. დაამშვიდე ჩემი მოხუცობა და

ბრძანე, ხელმწიფეე, სად მივიღოთ ფიცი და ქვეშევრდომობა მე და ჩემმა შვილებმა, მე მზად ვარ დავიფიცო სახალხოდ.

რომ ამას წმიდა გულიდან ვეუბნები, მოწმედ მომყავს ყოვლად ძლიერი ღმერთი, დიდი წინასწარმეტყველი მაჰამედი და გაძლევ ფიცს ეხლახან გაციებულ ჩემი უსაყვარლესი ქალის ნაფისათის ცხედრის წინ, უწმინდეს ყურანზე. ინებე, ხელმწიფეე, ბრძანო ჩემს გულწრფელი თხოვნაზე".

1866 წელს, აგვისტოს 26-ში შამილმა თავის შვილებით ყაზი მაჰამა და შაფი მაჰამედით მიიღო რუსეთის ქვეშევრდომობა კალუგის სათავადაზნაურო საკრებულოში თავად-აზნაურების წინამძღოლის შჩუკინის თანდასწრებით.

პეტერბურგში ყოფნის დროს შამილმა ინახულა თავადი ბარიატინსკი, რომელმაც გამოსთხოვა ხელმწიფეს შამილისთვის ნება გადასახლებულიყო ქალაქ კიევში, სადაც ჰავა კალუგაზე ბევრად თბილი და რბილია.

ამ წელს ტახტის მემკვიდრემ, ალექსანდრემ, შემდეგ ხელმწიფე ალექსანდრე III, იქორწინა. მიპატიჟებული იყო შამილიც. შამილმა წარმოსთქვა არაბულ ენაზე სიტყვა, რომელიც ასე დაასრულა: „იცოდეს ყველამ და ყოველმა, რომ მოხუცებულ შამილს ენანება, რომ მას არ შეუძლიან დაიბადოს მეორედ, რათა შესწიროს მთელი თავის სიცოცხლე თეთრ ხელმწიფეს, რომლის წყალობით ის ეხლა სარგებლობს".

1869 წელს შამილი გადასახლდა კიევში. კიევში ბევრ ხანს არ დაყო შამილმა. 1870 წლის დასაწყისში შამილს ნება მიეცა წასულიყო მექქაში. შამილმა გასწია მექქისაკენ მთელი თავის ოჯახით, გარდა მაჰამედ შაფისა, რომელიც იყო რუსის სამსახურში და ყაზი მაჰამასი. ყაზი მაჰამამ მიაცილა მამა ოდესამდინ და დაბრუნდა კიევში.

შამილი მივიდა სტამბოლში. მთელი ქალაქი ფეხზე დადგა. მთელი ქუჩები აივსო ხალხითა და ზღვასავით ღელავდა. შამილი დადგა ერთი ნათესავის სახლში, რამდენიმე დღის შემდეგ ხონთქარმა მიიწვია შამილი სახლში და მიიღო როგორც ხელმწიფე. ხონთქარი და შამილი ემთხვიენენ ერთმანეთს ხელებზე.

„შენ, შამილ, — წამოიძახა აღფრთოვანებით აბდულ-მეჯიდმა, — ჩემთვის ისე ხარ, როგორც მამაჩემი მაჰმუდი".

ხონთქარმა დაუჭირა შამილს საცხოვრებელი სასახლე, დაუნიშნა 15000 მან. ჯამაგირი, მისცა ორი ეტლი, დაუნიშნა ორი ჟანდარმების ოფიცერი, რომელნიც განუშორებლივ გვერდს უნდა ხლებოდნენ შამილს.

ეტლში ჩამჯდარი შამილი დასეირნობდა სტამბოლის ქუჩებში. ბუსურბანი ხალხი, ყველანი, განურჩევლად, მისდამი სარწმუნოებრივ დიდ სასოებით აღჭურვილნი, ვარდებოდნენ მიწაზე პირქვე და იწვნენ, სანამ არ გაივლიდა დაღესტნის გმირი.

შამილი ბევრხანს არ დარჩა სტამბოლში. მალევე გაემგზავრა მექქისაკენ. ხონთქარმა მისცა შამილს უფასოდ გემი, დაავალა ეგვიპტის ხალიფს ჯედდამდინ თან ხლებოდა. შემდეგ, ჯედდიდან მექქამდინ გაჰყვა მექაში შერიფი.

შამილი წავიდა მექქაში, რომ ელოცნა ქააბაში. ზღვა ხალხი დაუხვდა შამილს მექქაში. სხვადასხვა სამუსლიმანო ქვეყნებიდან სალოცავად მოსულნი მართლმორწმუნენი ეხვეოდნენ შამილს, როგორც წმინდანს, ტიროდნენ, ლოცულობდნენ, უკოცნიდნენ დაღესტნის გმირს კაბის კალთებს, ხელებს, ფეხებს. ვარდებოდნენ მუხლებზე და ჰკოცნიდნენ ქვას, მიწას, ქვიშას, ყველაფერს, სადაც კი დასდგამდა შამილი ფეხს. ხალხი ერთი ერთმანეთს აწვებოდა, ბევრს გული მისდიოდა, ბევრი ფეხქვეშ ილახებოდა, იქამდინ მივიდა საქმე, რომ მოლებმა და წესების მეთვალყურეებმა დაადგინეს, დაეწესებინათ შამილისათვის ლოცვის დრო, ღამეობით, როდესაც ხალხი დასაძინებლად წავიდწამოვიდოდა.

შამილმა მეორედ მოინდომა მექქაში წასვლა. რადგანაც შამილი მოხუცებული და დასუსტებული იყო, ვეღარ შესძლო ცხენზე ჯდომა, გაუკეთეს ტახტრევანი ორ საბელზე. საბლების კვანძები გამაგრებული იყო წინა და უკანა აქლემების კუზებზე. მედინიდან გავიდნენ მგზავრები თუ არა, წინა აქლემმა უცბად გაიწია, მოეხსნა ერთი საბელი, შამილი ჩამოვარდა ძირს და ძლიერ დაშავდა. მგზავრი დაბრუნდა უკან მედინში.

რამდენიმე დღის შემდეგ, ოთხ თებერვალს 1871 წელს დაღესტნის გმირმა განუტევა სული და მით გათავისუფლდა ტყვეობისაგან.

შამილი მარხია მედინში ჯანაათ-ემ-ბაკის სასაფლაოზე, დიაღ, სად დაიბადა, სად აღიზარდა, სად იბრძოდა, სად წაიყვანეს ტყვედ და სად განუტევა სული შამილმა. სწორედ შამილზეა ზედგამოჭრილი სიტყვები ქართვლის მზის შოთასი:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა...

ვათავებ შამილზე რუსის მწერლის კრივენკოს სიტყვებით: „შამილს რომ ხვედროდა დაბადება დასავლეთ ევროპაში, იგი გადააბრუნებდა მთელ ევროპას“.

შამილის ოჯახობა აღარ დაბრუნდა რუსეთში. ყაზი მაჰამაც, რომელიც მოვიდა მედინში მამის სანახავად, დარჩა ოსმალეთში, შევიდა სამხედრო სამსახურში და დიდ მონაწილეობას იღებდა 1877 წ. რუს-ოსმალეთის ომში. მისი პატარა ძმა მაჰამედიც დარჩა ძმასთან.

ივ. ბუქურაული
14 აპრილი, 1922 წ.
ტბილისი

ილუსტრაციები

კავკასიის მთავარმართებელი მიხეილ ვორონცოვი (1782-1856)

შამილის მეუღლე შუანათ

გრიგოლ ორბელიანი (1801-1883)

გენერალ-ფელდმარშალი, კავკასიის არმიის მთავარსარდალი, მეფისნაცვალი კავკასიაში, თავადი ალექსანდრე ბარიატინსკი

შამილის დატყვევება, 1859 წ.

ერეკლე II

ალექსანდრე ბატონიშვილი (1770-1844)

სულთანი მაჰმუდი (1785-1839)

სულთანი აბდულ აზიზი (1861-1876)

სულთანი აბდულ მეჯიდ პირველი (1839-1861)

მუჰამედი

გედანის მიერ შესრულებული გრავიურა, ლაიფციგი



ქალაქი მედინა

სარჩევი

წინასიტყვაობა 3
შესავალი 17
ᲓᲐᲦᲔᲡᲢᲐᲜᲘ 18
ᲡᲐᲩᲐᲩᲜᲝ 22
ᲧᲐᲖᲘ ᲛᲣᲚᲚᲐ 26
ᲙᲐᲛᲖᲐᲗ ᲐᲔᲒᲘ 39
ᲨᲐᲛᲘᲚᲘ 49

ა

სხვადასხვა აზრი შამილზე. შამილის ვინაობა. შამილი სიჭაბუკეში. შამილის სწავლა. შამილი ყაზი მულლასთან. შამილის მონაწილეობა გიმრის ბრძოლაში და ამაზე სხვადასხვა ვერსია. ალიხან ავარსკი. შამილის იმამად გახდომა. 49

ბ

შამილს გადააქვს გოცატლიდან აშილთაში პანუ ბიკეს ქონება. რუსების დამარცხება გიმრთან. ბულაჩ ხანის სიკვდილი. შამილის სამჯერ დაცემა ჰუნძახზე. ბარონი ფეზი იჭერს ჰუნძახს. სოფელი ტილიტლი. კიბიტ მაჰომა და ბრძოლა რუსებთან. რუსეთის ხელმწიფის ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლა კავკასიაში. კლიუკი-ფონ კლიუგვენაუს და შამილის შეხვედრა. ახულგო. 55

გ

გენერალი პულლო და მისი მოქმედება საჩაჩნოში. ჩაჩნელების აჯანყება რუსების წინააღმდეგ. საჩაჩნოს გადასვლა შამილისაკენ. კიბიტ მაჰამას მოქმედება. შამილი ხდება ისევ მბრძანებელი დაღესტნის უმეტესი ნაწილისა. შამილის ახალი საცხოვრებელი სოფელი დარგო. ვალერიკი, გერგებილი, ჩოხი. რუსების დარგოზე გალაშქრება. შამილის შეტევაზე გადასვლა. ავარიის გაწმენდა რუსებისაგან. 60

დ

კავკასიის მთავრობის დანაშაულობა. მიხეილ სვიმონის ძე ვორონცოვი. ანდი. ვორონცოვის დარგოზე გალაშქრება. არღუთინსკის გალაშქრება სოფელ ტილიტლზე. 68

ე

ვედენი. შამილის ცხოვრება ვედენში. დაღესტან-საჩაჩნოს დაყოფა ოლქებად და მაზრებად. მათი გამგენი, ჯარი. მურთოზიგატები. ქარხნები. ფული. 75

ვ

შამილის კოდექსი 85

ზ

ვორონცოვის ახალი ტაქტიკა. ჯარის აჯანყება. გერგებილი. სალთი. ახტი. ჩოხი. შამილის დამარცხება გამაშში და ტურჩი-დაღზე. შამილის ნაიბების დამარცხება ბარიატინსკის მიერ საჩაჩნოში. ქართველი მილიციის დამარცხება ჭარში. შამილის გალაშქრება ჭარზე. 97

თ

რუს-ოსმალოს ომი. დაღესტნის ხალხის ღელვა. დარგოს მთავარი ყადი ნურ-ბაგანდა. სოფელ ურკარასის განადგურება. ოსმალებთან ომი ვერ მიდის რუსებისათვის სასარგებლოდ. შიში, მითქმა-მოთქმა. რეადს და ორბელიანს შორის მიწერ-მოწერა. ორბელიანის წერილი ბარიატინსკთან. ორბელიანის თათბირი ლაზარევთან. სამხედრო მინისტრის მოწერილობა რეადზე. შამილის კახეთზე დაცემა და დავით ჭავჭავაძის ცოლ-შვილის დატყვევება. ტყვეების ცხოვრება ვედენში. ტყვეების გაცვლა. 107

ი

1857, 1858 წლები. გრიგოლ ორბელიანი სალათავიაში. არღუნის ხეობის დაჭერა რუსების მიერ. საჩაჩნოს დამორჩილება და ჩაჩნელების გადასახლება. გუმბეთი. კახეთის მხრიდან ბარონ ვრევსკის მძვინვარება დიდოეთში. დიდოეთის განადგურება.

ლეკების შესევა თუშეთში. თუშეთის მოურავი ალექსანდრე ნათიშვილი. მისი გალაშქრება ქისტეთზე. ტყვეები და მათი დასახლება თუშეთში. 123

კ

რუსების მიერ ვედენოს აღება. შამილის მოწოდება ჩაჩნელებისადმი. ბარიატინსკის შესევა დაღესტანში. ნაიბების ღალატი. მთელი თემებისა და სოფლების გადასვლა რუსებისაკენ. შამილი მარტოკა რჩება. შამილის ქონება. გზაზე დაღესტნელების მიერ შამილის გაძარცვა. ჰუნიბი. შამილის დატყვევება. 138

ლ

შამილის გამგზავრება რუსეთში. შამილი რუსეთში. შამილის ოჯახი რუსეთში და მისი ბედი. შამილის მიერ რუსების ქვეშევრდომობის მიღება. შამილი სტამბოლში, მექაში და მედინაში. შამილის სიკვდილი. 147

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჯიშკარიანი
მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
მხატვარი ი. ჭრელაშვილი
ტექრედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი
კორექტორი ნ. ვაშაკიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.04.05.
საბეჭდი ქაღალდი 60X84
პირ. ნაბეჭდი თაბახი 13,11
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 9,11
შეკვეთა №57 ტირაჟი 200

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, 112.